



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

## **IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS**

**L**

**Иберийско-кавказское языкознание**

**L**

Tbilisi 2022 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

**L**

თბილისი  
2022

**მთავარი რედაქტორი**

ვაჟა შენგელია

**Editor-in-chief**

Vazha Shengelia

**სარედაქციო კოლეგია**

ავთანდილ არაბული  
მარინე ბერიძე  
გიორგი გოგოლაშვილი  
თამარ ვაშაკიძე  
ნანა მაჭავარიანი  
სალომე ომიადე  
მურმან სუხიშვილი  
ლია ქაროსანიძე  
მედეა ღლონტი  
იზა ჩანტლაძე  
მერაბ ჩუხუა

**Editorial Board**

Avtandil Arabuli  
Marine Beridze  
Giorgi Gogolashvili  
Tamar Vashakidze  
Nana Machavariani  
Salome Omiadze  
Murman Sukhishvili  
Lia Karosanidze  
Medea Glonti  
Iza Chantladze  
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: [contact@ice.ge](mailto:contact@ice.ge)

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISSN

## შინაარსი – Contents

### I

|  |    |
|--|----|
| ბ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, კომპოზიტურ თეონიმთა ეთნოლინგვისტური ანალიზი-<br>სათვის ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში .....                   | 9  |
| N. A r d o t e l i, On the Ethnolinguistic Analysis of Compound Theonyms in the<br>Kartvelian and the Nakh-Dagestanian Languages .....   | 16 |
| თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, -მეთქი ნაწილაკის გამოყენების თავისებურებანი ზეპირ<br>მეტყველებაში .....  | 17 |
| T. B u r c h u l a d z e, Peculiarities of Using the Particle -metki in Oral Speech .....  | 21 |
| თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, პირსახელი ლ ა შ ა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის<br>ისტორიოგრაფიულ-ფილოლოგიური საკითხები .....                   | 22 |
| T. G v a n t s e l a d z e, The First Name L a s h a and Historiographical-<br>Philological Issues of the Text of “Life of Kartli” ..... | 35 |
| გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, მწერალი, პერსონაჟი და გრამატიკულ პირთა<br>მონაცვლეობა... ..  | 37 |
| G. G o g o l a s h v i l i, Writer, Character and the Alternation of Person Forms<br>of the Verb .....                                   | 48 |
| თ. გ უ ჩ უ ა, ლექსიკურ-გრამატიკულ ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია შეს-<br>რულებით გამონათქვამებში .....   | 49 |
| T. G u c h u a, Neutralization of Lexical-Grammatical Oppositions in Performative<br>Utterances .....                                    | 57 |
| ქ. დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, ნაწილაკიანი ნაცვალსახელები და რიცხვითი<br>სახელები თანამედროვე ქართულში .....                                  | 59 |
| K. D a t u k i s h v i l i, Pronouns and Numerals Containing Participles in Modern<br>Georgian .....                                     | 66 |

|  |     |
|--|-----|
| თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, მსაზღვრელი რიცხვითი სახელის შეთანხმება საზღვრულ-<br>თან ბრუნვასა და რიცხვში .....                                | 67  |
| T. V a s h a k i d z e, The Agreement of a Numeral Modifier with the Head Word<br>in Case and Number .....                           | 84  |
| მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, -ა სავრცობის გამოყენებისათვის თანამედროვე<br>ქართულში .....  | 85  |
| M. L a b a r t k a v a, On Using the Emphatic Vowel -a in Modern Georgian .....  | 91  |
| რ. ლ ო ლ უ ა, არსებით სახელთა რედუპლიკაცია ლეზგიურ ენებში<br>(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი) .....                                     | 92  |
| R. L o l u a, Reduplication of Nouns in the Lezgian Languages (Historical-<br>Comparative Analysis) .....                            | 101 |
| ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ქვინ („სული“) ლექსემის შემცველი რიტუალების ამსახველი<br>კოლოკაციები სვანურში (ეთნოლინგვისტური ანალიზი) .....     | 102 |
| K. M a r g i a n i, Collocations Depicting Rituals Containing the Lexeme “Kwin”<br>(Soul) in Svan (Ethnolinguistic Analysis) .....   | 113 |
| ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში – შეთანხმება<br>თუ მართვა? (საკითხის დასმისათვის) .....                    | 114 |
| N. M a c h a v a r i a n i, Attributive Modifier in Abkhazian - Agreement or<br>Subordination? (Raising an Issue) .....              | 117 |
| მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ოსურ-ალანურიდან ქართულის გზით შეთვისებული<br>ლექსიკური ერთეულების ადაპტაციისათვის სვანურში .....                 | 118 |
| M. S a g h l i a n i, On the Adaptation of Lexical Units Borrowed from Ossetian-<br>Alan Through the Georgian Language in Svan ..... | 133 |
| რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, -ვარ (> ჴორ)//-ვარ ფორმანტიანი ფიცილის ფორმუ-<br>ლები ნახურ ენებში .....                                       | 134 |
| R. P a r e u l i d z e, Phrases Related to the Oath Containing the Formants -var<br>(> -wor)//-par .....                             | 137 |

|   |     |
|---|-----|
| მ. ღ ღ ო ნ ტ ი, ქართული <i>თავის</i> სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკისათვის (ქართული სიტყვის მადლმოსილების დასტურად) .....   | 138 |
| M. G h l o n t i, On the Substantive-Functional Semantics of the Georgian Word tavi "Head" (As a Proof of Blessing of the Georgian Word) .....                        | 158 |
| ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებები სვანურში .....  | 159 |
| N. Shavreshiani, A Simple Complicated Sentence Containing Similar Modifiers in Svan .....   | 165 |
| ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, გარეული ცხოველების აღმნიშვნელი რამდენიმე ლექსიკური ერთეულის შესახებ ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში .....                                    | 166 |
| V. S h e n g e l i a, On Some Lexical Units Denoting Wild Animals in the Kartvelian and the Abkhazian-Circassian Languages .....                                      | 171 |
| ო. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რიხარდ ბერუგის „აღმოჩენები“ სვანეთში .....  | 172 |
| I. C h a n t l a d z e, "Discoveries" by Richard Berug in Svaneti .....   | 180 |
| ო. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ჰუგო შუხარდტის რეცენზია სილოვან ხუნდაძის ნაშრომზე „სალიტერატურო ქართული“ .....  | 181 |
| I. C h a c h a n i d z e, Hugo Shukhardt's Review of Silovan Khundadze's Work "The Georgian Literary Language" .....  | 187 |
| მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ერთი პოემის პოეტური ლოგიკა: პუნქტუაციის გარეშე და ინტონაციის მიღმა – გუჩა კვარაცხელიას უცნაური პოემა „მახინჯი ჩრდილი (კრიპტომნეზია)“ .....        | 189 |
| M. C h a c h a n i d z e, Poetic Logic of the Poem: Without Punctuation and Beyond Intonation – Gucha Kvaratskhelia's Strange Poem "Ugly Shadow (Cryptomnesia)" ..... | 196 |
| ბ. ჭ ა ა ვ ა, კავკასიური ენების კათედრის მუშაობა და კავკასიოლოგიური კვლევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1935 წლის საარქივო მასალების მიხედვით) .....          | 197 |
| S. T c h a a v a, Work of the Department of Caucasian Languages and Caucasus Studies at Tbilisi State University (Based on the Archival Materials of 1935) .....      | 202 |

|  |     |
|--|-----|
| ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ი ნ წ უ ბ ა სიტყვისათვის .....   | 203 |
| N. K h a k h i a s h v i l i, On the Word i n c u b a .....  | 207 |
| ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, მეგრულ-ლაზური ო- პრეფიქსი<br>ქართულ ფიტონიმიაში .....          | 208 |
| N. K h o c h o l a v a - M a c h a v a r i a n i, The Megrelian-Laz Prefix o- in<br>Georgian Phytomy ..... | 214 |
| ც. ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა, მნიშვნელობის ცვლის შესახებ მეგრულ ნასესხებ<br>ლექსიკაში .....                          | 215 |
| Ts. J a n j g h a v a, On the Change of Meanings in Megrelian Borrowed<br>Vocabulary .....                 | 218 |

## II

### მ ე მ კ ვ ი დ რ ე ბ ა Heritage

|   |     |
|---|-----|
| ტ. გ უ დ ა ვ ა, ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა .....           | 219 |
| T. G u d a c a, An Attempt to Explain Zan (Megrelian-Chan) Vowel Fullness ..... | 225 |
| ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ტოგო გუდავა მეგრულ-ლაზური სრულხმოვნობის<br>შესახებ .....    | 226 |
| V. S h e n g e l i a, Togo Gudava About Megrelian-Laz Vowel Fullness .....      | 228 |



ნოდარ არდოტელი

**კომპოზიტურ თეონიმთა ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის  
ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში<sup>1</sup>**

ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენებში დასტურდება ისეთი ეთნოლინგვისტური სიტყვაწარმოებითი შეხვედრები, რასაც ცხადყოფს კომპოზიტური სინტაგმები და მყარი შესიტყვებები. კავკასიის ხალხთა ენებსა და ეთნოლოგიაში თავჩენილი ამგვარი სახელური შესიტყვებანი, ხშირი გამოყენებისა და ლექსიკალიზაციის საფუძველზე, არაიშვიათად კომპოზიტებადაც არიან შეთხზულ-ჩამოყალიბებული. ეთნოლინგვისტური ხასიათის პარალელიზმები, რომლებიც თხზული სახელებია ან შერწყმის ტენდენციას ამჟღავნებენ, მეტწილად სუბსტანტივთა კოორდინაციულ კომპოზიტებში შეინიშნება. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ საკულტო-რელიგიური და მითოლოგიური ტერმინ-შესიტყვებანი, რომლებიც ძველისძველ ქრონოლოგიურ შრეებს განეკუთვნებიან. ნარატიული წყაროების სიმცირის ან უქონლობის პირობებში ეთნოლინგვისტური შესწავლა გამწვანებულია, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ალ. ჭინჭარაული: „ამიტომ ამ ქვეყნისა და ხალხის (ვაინახების – ნ. ა.) ისტორია ვაინახურ ენობრივ მასალაში, მის ტოპონიმიკაში, წეს-ჩვეულებებსა და ხალხურ სიტყვიერებაში უნდა ვეძიოთ“ [ჭინჭარაული 1979: 241].

ქართულ წარმართულ პანთეონში ჯერ **მთვარის**, შემდეგ კი **მზის** კულტს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რასაც ადასტურებს ნუმისმატიკური მასალა („ანბანის პირველი ასო-ნიშანი არის მთვარის, ანუ მთვარის ღმერთის, იდეოგრამა“), ფოლკლორული ტექსტები („მზევ, შინა და, მზევ, გარეთა, მზევ, შინ შემოდო! ეემ მზის მადლმ! ჩემ ძმათ მზემ!“), მითოლოგიური პერსონიფიცირებული სახე („მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი“) და საკულტო-რელიგიური ტექსტები – სადიდებლები („დიდება მზესა, მზის მყოლ ანგელოზთა, დიდება დიდს კვირაესა...“) [პატარიძე 1980: 169; უგრეხელიძე 2010: 151; კიკნაძე, მამისიმედიშვილი, მახაური 1998: 66-67]. გასაგები მიზეზების გამო, ქართულ სინამდვილეში კომპოზიტის სახით **მზეკაცი** (შდრ. **მზეკაზუკი**) არ დასტურდება, მაგრამ მოგვეპოვება **ღმერთკაცი** „რელიგიური რწმენით – ღმერთთან გათანაბრებული ადამიანი“ (ქეგლი). გარდა ამისა, ხელშესახებია ეთნონიმი **მზექალი**, რომელიც ძველ რწმენა-წარმოდგენებში ქალ-ღვთაებად მიიჩნეოდა. ამას ერთგვარად განამტკიცებს ის გარემოება, რომ ხევსურულ კილოში

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: **FR-18-072**).

**მზექალი** ხატის ენაზე **მზეს** ნიშნავს, რომელიც სოლარულ მითებში ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება. სპეციალური ლიტერატურიდანაც ცნობილია, რომ „...მზე, ვითარცა დედა ღმერთი, ქართული წარმართული პანთეონის სათავეში იდგა სწორედ წინარექრისტიანულ ხანაში“ [ოჩიაური 1954: 129-130; უგრეხელიძე 2010: 151]. ამასთან მჭიდრო კავშირში უნდა განიხილებოდეს დარ-ავდრის ღვთაება **პირიმზეც**. ზოგადად მზის კულტი გავრცელებული იყო მთლიანად კავკასიაში, მეტადრე სამხრეთ დაღესტანში [ჰაჯიევი 1991: 83].

ნახურ წარმართულ პანთეონში გვხვდება ერთ-ერთი ღვთაების სახელი **წიუ**, რომელიც ასეა წარმოდგენილი: ჩეჩნ. **წუ**<sup>1</sup>, ქისტ. დ. **წიუ**<sup>2</sup>, ინგ. **წუუ**, წ.-თუმ. **წიბ**. პ. უსლარი ამ სახელს შემდეგნაირად განმარტავს: „бог у язычников-чеченцев, обожаемый в виде некоторых скал, роц, камней“ [უსლარი 1888: 227]. ეგვე სახელი თავს იჩენს მეორე სალოცავის სახელწოდებაში (**თუშოლი წიუ**), რომელიც ჩეჩნეთის მოსაზღვრე სოფლის – მუცოს მახლობლად არის განლაგებული და პირველი კომპონენტი ეტიმოლოგიურად **ღვთისმშობელს** უკავშირდება [ჭინჭარაული 1979: 245]. აღსანიშნავია, რომ **თუშოლი წიუ** „თიშოლის სალოცავი (სამლოცველო)“ ჩეჩნეთის მთიანეთში კიდევ ორ ადგილას გვხვდება [სულეიმანოვი 1976: 88]. გარდა ამისა, ჩეჩნეთის მთიანეთში დასტურდება არაერთი მიკროტოპონიმი (**წაან არა** „ღვთის ველობი“, **წენ ავლახ** „ღვთის კორომი“, **ფულა ლომურა წიუ** ზედმიწ. „სალოცავი (წიუ) ფულას მთიდან“...), რომლებშიც თავს იჩენს სწორედ ამ უზენაესი წარმართული ღვთაების გამოხატველი სახელი.

ინგულურ ენაში ყურადღებას იქცევს კომპოზიტური აგებულების კულტმსახურების ტერმინი **წაისაგ** < **წაი-საგ** (<**წაი** „ღვთაება“ – **საგ** „კაცი“ = „წმინდა კაცი“, „ღვთისკაცი“) „ქურუმი“ > „ხევისბერი“. ამ ღვთაების სახელი წ.-თუმ. **წიბ** შეიძლება დაუკავშირდეს ხუნდ. **წიბ**-ს (შდრ. წ.-თუმ. **წ**, **ბ** : ხუნდ. **წ**, **ბ**), რომელიც გადახრილ-გადააზრიანებული მნიშვნელობით „წყალობას“, „მოწყალებას“ გამოხატავს (ხუნდ. **რაჰმუ-წიბ** „გულმომწყალება-წყალობა“), თუმცა ამ ღვთაების ამოსავალი სემანტიკა შემონახულია ანდ. **წიბ** („ღმერთი“, შდრ. ჰამ. **წიბე** „წყალობა“) ლექსემის სახით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წოვა-თუშურში **წიბ**, ზოგი კონტექსტის მიხედვით, წმინდანს გამოხატავს. კერძოდ, ს. მაკალათიას მონოგრაფიაში დამწყალობების ტექსტი მოყვანილია რედაქტორის – თ. უთურგაიძისეული თარგმანით: **დალე, ლამრე წიბორე, ლეტლე ვაან, რჯულ-საქრისტიანუნ!** „ღმერთო, მთის წმინდანებო (ხაზი ჩემია – ნ. ა.), უშველეთ ჩვენ რჯულ-საქრისტიანოს!“ [მაკალათია 1983: 222].

საგულისხმოა, რომ ი. გიულდენშტედტი ანდიურში ასახელებს **წოუ** (შდრ. ქისტ. **წიუ**, წ.-თუმ. **წიბ**) ფორმას, რომელშიც ბოლოკიდურად **უ**, **რ** თანხმოვნების გვერდით **ბ** თანხმოვნიც იჩენს თავს და, კლას-ნიშნებისადმი მსგავ-

<sup>1</sup> ერთ-ერთ კომპოზიტურ ტოპონიმში **წუნტელო** თ. უთურგაიძე სწორედ ამ სალოცავს ხედავს: **წუნტელო** (< წუნ-ტე-ლო ზედმიწ. „ხატისგორთანა“) [უთურგაიძე 1966: 100-101].

<sup>2</sup> ა. სულეიმანოვს სახელდობრ ეს ფორმა მოჰყავს, როცა მაისტის მიკროტოპონიმის ეხება: „მაისტის ტერიტორიაზე ბევრია უძველესი რელიგიური ძეგლები, ე. წ. **სიელინგი**, **წივ**, **თიშოლ**... (ხაზი ჩემია – ნ. ა.)“ [სულეიმანოვი 1976: 82].

სების მიუხედავად, ჩვენს ყურადღებას დეტერმინანტული სუფიქსისაკენ წარმართავს [გუდავა 1964: 36-37; აზმაიფარაშვილი 2006: 37]. ღვთაების მნიშვნელობა გამოკრთის იდეომებსა და ლოცვა-წყევლის ფორმულებშიც: **ბიჩასულ წობ** „ბეჩედის წყალობა“, ალლაჰას: **წობ** ჰეგი! „ალაჰმა წყალობა მოგცეს (ზედმიწ. დადვას)!“ ალლაჰას: **წობ** ჰოგოგი! „ალაჰმა წყალობა არ მოგცეს (ზედმიწ. არ დადვას)!“ და მისთ. მნიშვნელობის ტრანსფორმაცია-დავიწროება, როგორც ცნობილია, განპირობებულია ისლამის გაბატონებით, რასაც კონტამინირებული ფორმაც (**წობ-ალლაჰ** „წობ-ალაჰი“, შდრ. **ბეჩედ-ალლაჰ/ალლაჰ-ბეჩედ** „ღმერთ-ალაჰი“ > // „ალაჰ-ღმერთი“) ცხადყოფს. რ. სეფერბეკოვი აღნიშნავს: «Как и другие аварцы, тленсерухцы в прошлом поклонялись своему верховному божеству – Цюб. С принятием ислама название этого божества трансформировалось в понятие «божья милость». В то же время в аварском языке сохранился термин Бечед, обозначающий в прошлом другого верховного бога, а с принятием ислама трансформировавшийся в категорию обезличенного «Бога», синонима Аллаха. Таким образом, Бечед – это Аллах, а Цюб – его качество (с. Кутих)» [სეფერბეკოვი 2016: 89].

ცხადია, ხუნძურში, როგორც აღინიშნა, მანამდე ანდიური ენის ანალოგიური ვითარება უნდა გვექნოდა, რომელშიც **წობ** დღესაც **ღმერთს** აღნიშნავს. ანდიურ ენაში დასტურდება კვირის სახელწოდება (**წობოლ ყო** „კვირა“, ზედმიწ. „ღვთის დღე“), მშვილდის სახელი (**წობორ წიუ** „ცისარტყელა“, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი, რკალი“), ორონიმი (**წობოლ გოჰ** „ღვთაების მწვერვალი“), რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ ისტორიულად ამ ღვთაების არსებობას. გარდა ამისა, დიდოეთის ტერიტორიაზე მიუთითებენ თეთრი ფერის ლოდს, რომელსაც **წობ-ალლაჰ** („წობ-ალაჰი“) ჰქვია [აგლაროვი 2002: 209], თუმცა ეს შეიძლება ხუნძური ენის გავლენაც იყოს. სათანადო მნიშვნელობის ამგვარი გადაწევა-გადააზრიანება (**ღვთაება** > **წყალობა**), სემანტიკის გარდაქმნის თვალსაზრისით, სავსებით დასაშვებია. შესაძლოა, თუშურ დიალექტში თავჩენილი სალოცავის სახელი **წოროტაც**<sup>1</sup> (< **წორო-ტა-ც** „ხატზე“) ამავე წარმომავლობისა იყოს. საინტერესოა, რომ დარგულ და ლეზგიურ ენებში **ცა** და **ღვთაება** ერთი ლექსემით (დარგ. **ცაბ**, ლეზგ. **ცაჟ**) გამოიხატება, რომელსაც ძველად ცისა და ციურ მნათობთა (განსაკუთრებით **მზის**) წარმართული უზენაესი ღვთაების გამოხატვა ეკისრებოდა [ჰაჯიევი 1991: 155].

საანალიზო თეონიმი ერთგვარ სემანტიკურ პარალლიზმს ავლენს უდიურ ენაში გ. ვოროშილის მიერ განხილულ კომპოზიტური აგებულების თეონიმთან, რომლის ეტიმოლოგია ასეა წარმოდგენილი: **ბე-აი-მ** (< \***ბე-ღი-მ** < \***ბე-ღ** „მზე“ – **აი-მ** „მამრი“, „მამაკაცი“) [ვოროშილი 1975: 262]. რაც შეეხება ხუნძურ ენაში თავჩენილ კომპოზიტურ თეონიმ **ჰუყუ-ალლაჰ**-ს, იგი ტოლფარდია ქართული კომპოზიტისა **ქალღმერთი**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ოდითგანვე მოხსენიებული და საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ადგილას ფონეტიკური სახესხვაობებით დადასტურებული **წობენი/წუბანი/წობანი**

<sup>1</sup> თუ, რა თქმა უნდა, ხუნძური წარმომავლობისა არ არის: **წერ** „ყინული“ – **წორო-ტა** „ყინულზე“.

შეიძლება უკავშირდებოდეს **წოვა**-ს ან ჩეჩნ. **წუ+ბენე**-ს (სადვთო სახლი), მით-უფრო – წოპი, წოპა („წვერი“, „წვეტი“...) სახელებს [ითონიშვილი 1992: 133-140]. ამავე რიგში შემოვა წმინდა ნინოს მიერ მთიელთა გაქრისტიანების ადგილი – **წობენი**. ცხადია, ზემომოყვანილი მიკროტოპონიმები თუ ორონიმები იმ წარმართული ღვთაების სახელთან ჩანს დაკავშირებული, რომელიც ჩეჩნ. **წუ** და ხუნძ. **წობ** ღვთის სახელთან პოულობს პარალელს. სავარაუდოა, **წობენი/წუბანი/წობანი** წარმომავლობით მრავლობითის ფორმები იყოს (ამაზე სხვა დროს).

ქართულ მითოლოგიაში ცნობილია „**ნადირთა წინამძღოლი**“ (საბა) და მფარველი ღვთაება – **ოროპინტე/ოროპინტრე** (ხევს.), **ორონპეტრე** (თუშ.), **ოროპინტრა** (რაჭ.) (შდრ. მეგრ. **ოროკოჩი** < **ორო-კოჩი** „ორო-კაცი, ურჩი კაცი“), რომელიც თხზული სახელი ჩანს: **ორო-პინტე**. ცნობილია, რომ **ზოჩი** < **ვოჩი** [ჯავახიშვილი 1992: 217] ძველი წარმართული ღვთაება („**ქართველთა კერპი**“ – კირ.) იყო, რომელიც ზემოხსენებული კომპოზიტის ნაწილია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მ. ქურდიანი ერთგვარად იზიარებს ივ. ჯავახიშვილისეულ ეტიმოლოგიას, თუმცა დამატებით აღადგენს საერთო-ქართველურ არქეტიპს **უბე**-ი („მამალი რქოსანი ცხოველი“) [ჯავახიშვილი 1992: 175-180; ქურდიანი 2007: 411].

რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ ენებს, აქ **ალლაჰის** ექსპანსიას გამოუდევნია ეს ღვთაება, თუმცა იგი (ხუნძ. **ბეჩედ** < **ბეჩ-ედ** „ღმერთი“) რელიქტურად შემორჩენილა ხუნძ და ცალკეულ ანდიელ-დიდოელ ხალხებში. ამ მხრივ საინტერესოა ზოგი ანდიური ენის (ჭამ., კარ., ) ჩვენება, რომლებშიც **ბეჩედ** ამჟამადაც უმთავრესი ღმერთის სემანტიკის შემცველია. ხუნძურში ამ სახელიდან არის ნაწარმოები **ბეჩედაბ** („მდიდარი“), რაც, ალაჰთან შედარებით, **ბეჩედ**-ის უწინარესობას უსვამს ხაზს. ამავე ენაში დასტურდება კონტამინირებული ფორმებიც: **ბეჩედ-ალლაჰ, ალლაჰ-ბეჩედ, ალაჰასულ ბეჩედ** (ზედმიწ. „ალაჰის ღმერთი“).

რაც შეეხება დიდოურ ენებს, წარმოდგენილია **ღმერთის** როგორც ლოკალური (**ბეჩედ**), ისე გვიან გავრცელებული (**ალლაჰ**) თეონიმები. სავარაუდოა, რომ გენეზისურად ქართ. **ზოჩი** ხუნძურსა და ზოგ სხვა ენაში დადასტურებულ **ბეჩედ** („ღმერთი“) თეონიმს უკავშირდებოდეს. კერძოდ, ხუნძური ფორმა **-ედ/-დ** დერევატით ნაწარმოები ჩანს (შდრ. რეჩ-ედ). ამასთანავე, ხელშესახებად წარმოდგენილი მასდარული **ბეჩეპი** (1. „გამდიდრება“, 2. „სიმდიდრე, ავლადიდება“) და ნათესაობითის **ბიჩასულ** (ღვთის) ფორმები დამატებითი არგუმენტია **-დ**-ს გვიანდებლობისა: **ბეჩე- > ბეჩედ > ბეჩედაბ**.

წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება – **ელია** უკავშირდება წმინდა ელია წინასწარმეტყველს, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა კავკასიის ხალხთა მითოლოგიაში. ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გაწარმართებული წმ. ელია, როგორც ღვთაება, „...ცეცხლოვანი ეტლით დაქრის ზეცაში და განაგებს სეტყვას, ელვას, ქუხილს, წვიმას და გვალვას“ [ზუბულაშვილი 2007: 25]. გარდა ქართველურ ენათა (ზან. ელიობა/ეიობა, სვან. **ელ, ელ, ეელმა**: ელმა-მგლამ „ელიას ალი“), იგი თავისებური ტრანსლიტერაციით წარმოდგენილია ზოგ სხვა საკვლევ ენაშიც, მაგ.: ჩეჩნ. **სთიელა/სიელა** (< \***სთაგ-იელა/საგ-იელა** „კაც-ღვთაება“, ზედმიწ. „კაც-ელია“: **სთიელა**-ყად „ელიას მშვილდი“), ინგ. **სიელა** (< \***საგ-იელა** „id.“: **სიელა**-ყად „id.“), ადიღ. **ელე / ელია**. გარდა

ამისა, დადასტურებულია **სიელა-სათა**, როგორც ხელოვნებისა და ქალიშვილების მფარველი ღვთაება, რომელშიც პირველი კომპონენტი იგივე **სიელა** (< \***საგ-იელა**) არის, ხოლო მეორე კომპონენტს კი რომაულ ღვთაება **სატურნს** უკავშირებენ, რაც ძნელად გასაზიარებელია [სულეიმანოვი 1976: 163]. ჩეჩნეთის მთიანეთში ვაწყდებით არაერთ თხზულ მიკროტოპონიმს, რომლებშიც ამ ღვთაების სახელი იკითხება, მაგ.: **სიელ-ჯელი** „სიელას (ღვთის) ვანი“, **სიელიტა** „სიელაზე“, **სიელ ფინა** „სიელას (ღვთის) ტამარი“, **სთიელა ხაშთიგ** „ელვა“ (ზედმიწ. „ღვთის ჩირაღდან“) და მისთ.

ჩვენი თვალსაზრისით, ვინაიდან ქრისტიანობამდელ რწმენა-წარმოდგენებში წმ. ელია წარმართულ **კაც-ღვთაებად** იქნა საქართველოში გაგებული და მას ბუნების მოვლენათა მართვა-განგება მიეკუთვნა, იოლად გაიკავა გზა ჩრდილო კავკასიაში, რასაც უნდა მოჰყოლოდა ნახურ ენებში მისი გავრცელება **კაც-ელიად** და წარმართულ ღვთაებადვე დამკვიდრება.

ვინახურ მითოლოგიაში გავრცელებულია კომპოზიტური აგებულების სახელი **დელი-მაღბ** მზის ღვთაება (ზედმიწ. „ღვთის მზე“), რომლის პირველი კომპონენტი ქართველურ ნადირობის ღვთაებასთან – **დალისთან** პოულობს პარალელს (შდრ. წ.-თუშ. **დალ//დალქ**) [გელოვანი 1983: 124]. მას კუთვნილი ადგილი უნდა სჭეროდა ქართულ წარმართულ პანთეონში (შდრ. მისამდერი სიტყვები: **დელი-დელა**, **დალაღე**, **დალი-დალაღე...**), თუმცა ამჟამად იგი კარგად არის დაცული სვანურში, როგორც ნადირობის მაცდური ქალღმერთი: **დალ** (ზს., ლნტ.), **დალ** (ლშხ.). თავად ნახურ წარმართულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთის სახელი **ალლაჰის** წინმსწრებადაა წარმოდგენილი: ჩეჩნ. **დელა**, ინგ. **დილა**. ინგუშეთში, სოფ. არზთან, გამოვლენილი სალოცავის სახელწოდება მეორე კომპონენტად ღმერთს შეიცავს: **ზოლომ-დილა** „ზოლომ-ღვთაება“. ამ კუთხით ყურადღებას იქცევს ხევსურულ დიალექტში პოვნიერი კომპოზიტი – **დალამფარი//დელამფარი** „დიდი ფარი“ [ჭინჭ., 2005: 275, 317]. ამავე დიალექტის მიდმახეურ თქმაში ანალოგიური მნიშვნელობით გავრცელებულია **დელიმფარი**.

ჩვენი აზრით, ზემომოყვანილ ფორმათაგან ამოსავალი ხევსურულში უფრო ფართოდ გავრცელებული **დელამფარი** ჩანს და იგი ჩეჩნური ენისაგან უნდა იყოს შეთვისებული (შდრ. ჩეჩნ. **დელა** „ღმერთი“ – ნათ. **დელან: დელან სურთ** „ხატი“ ზედმიწ. „ღვთის სურათი“). მაშასადამე, ერთი მხრივ, ჩეჩნური, მეორე მხრივ კი, ქართული სიტყვების ერთმანეთთან შერწყმით წარმოქმნილი ატრიბუტული სინტაგმა ჰიბრიდული კომპოზიტის სახით მოგვევლინა: **დელამფარი** (< ჩეჩნ. **დელანფარი**) „დიდი ფარი“.

თეონიმებთან მიმართებით ყურადღებას იპყრობს ადიექტიური კომპოზიტი **ცისარტყელა**, რომელსაც ფუნქციურ-სემანტიკური იზოგლოსა მოეპოვება როგორც ქართველურ, ისე კავკასიურ ენებში, მაგ.: ქართ. **ცისარტყელა** < **ცის-სარტყელა** < **ცის-სარტყელი**, ზან. **ცამ-ოტკაპუ** (ჭან.), **ცამორტყაფუ** < **ცამ-ორტყაფუ** (მეგრ.), სვან. **დეცე-ლარტყ**, დიდ. **ასოს აშუნი** (ზედმიწ. „ცის სარტყელი“), **ალლაჰეს აშუნი** (ზედმიწ. „ალაჰის სარტყელი“), ლაკ. **სურულქურთა** < **სურულ-ქურთა** (ზედმიწ. „ცის მშვილდი“), თაბ. **დერქაუჭიმი** < **დერქაუჭიმი** (ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“) „ცისარტყელა“ (< „ცის სარტყელი“).

ზემომოყვანილი თაბასარანული კომპოზიტი ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ მშვილდის სახელი (**მშვილდ-ისარი**) ანალოგიითა და მსგავსებითი ასოციაციით ცისარტყელაზე არის გადატანილი: **მშვილდი** (მშვილდ-ისარი) > **ცისარტყელა**. გარდა თაბასარანული ენისა, ასეთი სემანტიკური გადახრა-გადაწევა ნიშანდობლივია ზოგიერთი სხვა ენისთვისაც: ბაცბ. **ატყ-წაქ-ი** (მრ.), ხუნძ. **ნურ, ნურაჟულ კამური** (ზედმიწ. „სხივის კამარა, ციური ნათების თაღი“), კარ. **წორიწინ** (< **წორი-წინ** ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“), ჭამ., ახვ. **ჭარა-ჭო** (< **\*ჭარი//ჭა+ძეჭო** ზედმიწ. „ცეცხლის ისარი“), შდრ. ხევს. **მშვილდ-ისარანი** „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „მშვილდ-ისრები“).

ამასთან, ცაში სხივების (ფერების) გარდატეხის ერთგვაროვანი აღქმა და შესაბამისი სახელდება მეტად მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სხვადასხვა წარმოშობის ენებშიც შეიძლება გამოვლინდეს ნომინაციის ერთგვარი სტრუქტურულ-სემანტიკური მოვლენები. კერძოდ, ზოგ ინდო-ევროპულ ენაში ამის დამადასტურებელი მაგალითები ნამდვილად გვხვდება, რაც აფართოებს ამ იზოსემას გავრცელების არეალს: გერმ. **regenbogen** < **regen-bogen**, ინგ. **rain-bow**, რუს. **радуга** < **\*ра-дуга** (შდრ. ძვ. ოს. **არდუნგა** < **\*რადუნგა** „მშვილდი“), სპარს. **რანგინქამან** < **რანგინ-ქამან** (პაბ-ქამან) „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „წვიმის მშვილდი, წვიმის რკალი“).

ყველაზე საინტერესო **ცისარტყელას** თავდაპირველი სახელდებისას მაინც ის არის, რომ იგი დაკავშირებულია წარმართულ ღვთაებებთან და პერსონიფიცირებულად გამოხატულია კომპოზიტით, მაგ.: ჩეჩნ. **სთიელაზად** (< **სთიელა-ზად** ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“ < „\*კაც-ელიას მშვილდი“), ინგ. **სიელაზად** (< **სიელა-ზად** ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“ < „\*კაც-ელიას მშვილდი“), წ.-თუმ. **დალჟ ნატყ-წაქი** „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „ღვთის მშვილდ-ისარი“), ანდ. **წობორ წიჟ** ცისარტყელა, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“), კარ. **წორ-წინ** (< **წობორ-წინ** ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“), შდრ. ყუმ. **თენგრი ჯაიასი** (ზედმიწ. „ღმერთის მშვილდი“).

ქართული მითოლოგიის მიხედვით, ხევსურეთში დევ-კერპებთან მორკინალი **იაჯსარი** დევთა ამოწყვეტისას გამოჰკიდებია უკანასკნელ დევს, რომელსაც აბუდელაურის ტბაში ჩაუსწრია. ლახტომარჯვებული იაჯსარი თავადაც ჩაჰყოლია და შეუმუსრია დევები, თუმცა სისხლში მხარნი გაბმიან და ვედარ ამოსულა მანამდე, სანამ ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი არ შეუწირავთ. დაახლოებით ანალოგიური სიუჟეტები დიდოელთა მითოლოგიაშიც იჩენს თავს იმ განსხვავებით, რომ მათ რწმენა-წარმოდგენებში ტბასთან ცხვრის დაკვლას და სისხლის ტბაში ჩაღვრას საკულტო დანიშნულება ჰქონდა. მსხვერპლთშეწირვის რიტუალს განსაკუთრებით გვალვისას ასრულებდნენ სოფ. შაიტლთან ახლომდებარე მთაზე (**ხილოტ-ოსტო** ზედმიწ. „ხილოტლო-ხარზე“), ვინაიდან იგი ნაყოფიერებისა და შვილიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა [მეგრელიძე 1951: 283].

ამრიგად, კომპოზიტურ თეონიმებზე დაკვირვება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენებზე მეტყველ ხალხთა მითოლოგიაში ძირითადი ადგილი ეჭირა წარმართულ ან გაწარმართულ ღვთაებებს, რომლებიც ერწყმოდნენ რეინტერპრეტირებულ მონოთეისტურ ღვთაებებსა და წმინდანებს. ამასთანავე, ხაზგასასმელია ისიც, რომ მონოთეისტური

წარმომავლობის ღვთაებები და წმინდანები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება წარმართულ ღვთაებებად ქცეულიყვნენ (წმ. ელია წინასწარმეტყველი, ღვთისმშობელი...), კომპოზიტის ერთ-ერთ წევრად გვევლინებიან. გარდა ამისა, იშვიათად დასტურდება ისეთი თხზული თეონიმებიც, რომლებიც მონოთეისტური და პოლითეისტური ღმერთების სახელთა თხზვით არის წარმოქმნილი.

### ლიტერატურა

- აგლაროვი 2002** – М. А. Агларов, Андийцы: Историко-этнографическое исследование. Махачкала.
- ბუბულაშვილი 2007** – ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. თბილისი.
- გელოვანი 1983** – ავ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.
- გუდავა 1964** – Т. Е. Гудава, Консонантизм андийских языков. Тбилиси.
- ვოროშილი 1975** – Г.Ворошил, О некоторых культовых терминах в удинском языке. – ЕИКЯ, Т. II. Тбилиси, С. 261-264.
- ითონიშვილი 1992** – ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბილისი.
- კიკნაძე, მამისიმედიშვილი, მახაური 1998** – ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური, ჯვარ-ხატთა სადიდეზლები. თბილისი.
- მაკალათია 1983** – ს. მაკალათია, თუშეთი. თბილისი.
- მეგრელიძე 1951** – И. В. Мегрелидзе, Археологические находки в Дидо. – Советская археология, Т. XV. Москва-Ленинград, С. 281-292.
- ოჩიაური 1954** – თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბილისი.
- პატარიძე 1980** – რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული. თბილისი.
- სეფერბეკოვი 2016** – Р. И. Сефербеков, Из мифологии, фольклора и обрядовой культуры аварцев-гленсерухцев: синкретизм традиционных верований и ислама. – Исламоведение, Т. 7, №4. Махачкала, С. 82-102.
- სულეიმანოვი 1976** – А. С. Сулуйманов, Топонимия Чечено-Ингушетии, I Часть. Горная Чечния. Грозный.
- უგრეხელიძე 2010** – ნ. უგრეხელიძე, ქართული დამწერლობის ისტორიიდან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით). – ქართველური დამწერლობა, XIV. ქუთაისი, 2010.
- უთურგაიძე 1966** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი.
- უსლარი 1888** – П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. II. Чеченский язык. Тифлис.
- ქურდიანი 2007** – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები. თბილისი.
- ჭინჭარაული 1979** – აღ. ჭინჭარაული, ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი. 1. თუშოლი. – არნოლდ ჩიქობავას (დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული). თბილისი, გვ. 240-248.

**ჰინჭარაული 2005** – ალ. ჰინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი. თბილისი.  
**ჯავახიშვილი 1992** – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად,  
 ტ. X. თბილისი.

**ჰაჯიევი 1991** – Г. А. Гаджиев, Доисламские верования и обряды народов  
 Нагорного Дагестана. Махачкала.

NODAR ARDOTELI

## On the Ethnolinguistic Analysis of Compound Theonyms in the Kartvelian and the Nakh-Dagestanian Languages

### S u m m a r y

In the Kartvelian and the Nakh-Dagestanian languages, as a result of ethnolinguistic word-formation, a number of compound syntagms and fixed phrases are attested. Among them, special attention is paid to the cult-religious and mythological terms and syntagms that are coordinated compounds of substantives in most cases, e.g., Geo. **mzekali**, **pirimze**, **kalymerti** “goddess” (cf. Avar **č-užu-allah** “id.”), **yvtismšobeli** “Mary” (cf. Chech. **tušoli//tušuoli**); Vainakh **čajsag** < **čaj-sag** (< **čaj**, cf. Kist **čiw**, Bats **čib** “deity” – **sag** “man” = “**holy man**”) “priest” > “**Khevisberi** (a secular and ecclesiastical ruler of the gorge)” seems to be related to the Avar-Andi world. In particular, Avar **čob** means mercy with its rethought meaning (Avar **rah-mu-čob** “mercy”, cf. even contaminated forms **čob-allah** “God-Allah”, **bečed-allah//allah-bečed** “God-Allah” > // “Allah-God”), however, the original semantics of this deity is preserved as the Andi lexeme **čob** “God” (cf. Cham. **čobe** “mercy”). It is possible that the name of this deity is related to **čobeni/čubani/čobani** widespread in Georgian.

In Georgian mythology, “the leader of the predatory animals” (Saba) and their patron deity is **očopinte/očopintre** (Khevs.), **očonpetrej** (Tush.), **očopintra** (Rach.) (cf. Megr. **očočoči** < **očo-čoči** “unruly man”) that is a compound name in our opinion: **očo-pinte**. As for the Nakh-Dagestanian languages, the expansion of Allah drove out this deity, although it (Avar **bečed** < **beč-ed** “God”: **bečed-alah**, **allah-bečed**, **alahasul bečed** lit. “God of Allah”) remained as a relic in Avar and some Andi-Dido languages.

The deity of rain, hail and thunder – **elia** is related to Saint Elijah the prophet that was spread in the mythology of the peoples of the Caucasus with a peculiar transliteration, e.g.: Chech. **stjela/sjela** (< \***stag-jela/sag-jela** “man-deity”, lit. “man-Elia”), Ing. **sjela** (< \***sag-jela** “id.”), Adygh. **ele** / **elja**. In addition, in Vainakh mythology, we can find the compound name **deli-malx** that is the sun deity (lit. “God’s sun”), the first component of which finds a parallel with the Kartvelian hunting deity Dali (cf. Bats **dal//dalə**), etc.



თეა ბურჭულაძე

**-მეთქი ნაწილაკის გამოყენების თავისებურებანი  
ზეპირ მეტყველებაში**

წერთი და ზეპირი მეტყველებისას განირჩევა პირდაპირი და ირიბი ნათქვამი, რომელთაგან ისეთ ნათქვამს, რომელიც სხვას ეკუთვნის და ავტორს ჩართული აქვს თავის საუბარსა თუ ნაწერში, სხვათა სიტყვა ანუ სხვათა ნათქვამი ჰქვია [კვაჭაძე 2010 : 498]. მას განეკუთვნება ასევე მთქმელის მიერ წინათ ნათქვამი (თუ განაზრახი), რომელსაც ის იმეორებს და ჩაურთავს თავის საუბარში. მაგრამ, თუ ვინმეს თქმული უცვლელად კი არაა განმეორებული, არამედ მისი აზრია გადმოცემული მოსაუბრის ან დამწერის მიერ (შეცვლილია გრამატიკული ფორმა, ჩამატებული ან გამოტოვებულია სიტყვა...), ეს ირიბი ნათქვამი იქნება [გეგუჩაძე 2010 : 373]. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი ნათქვამი აზრის გამომხატველობითი საშუალებებით მდიდარია, ირიბ ნათქვამთან შედარებით ცოცხალი, ზუსტი და ემოციური.

ქართულში პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამის განმეორებას: **-მეთქი**, **-თქო** და **-ო**. სხვათა სიტყვის გამოყენება ხშირია ზეპირსა თუ წერთ მეტყველებაში, განსაკუთრებით დამახასიათებელია ის მხატვრული ლიტერატურის ენისათვის. ავთ. არაბულის თვალსაზრისით, სხვათა სიტყვის ამ სახეობას ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს პირდაპირ ნათქვამთან მიმართებით. ფორმითა და შინაარსით ის ირიბ ნათქვამს ეკედლება. ამიტომაც მკვლევარს ის მიაჩნია ირიბი ნათქვამის ქვესახეობად, რომელსაც ამავე დროს გარკვეულად შენარჩუნებული აქვს სხვისი ნათქვამის სიტყვასიტყვით გადმოცემის პრეტენზია [არაბული 2004 : 174]. **-მეთქი** ნაწილაკი ზოგ შემთხვევაში სპეციფიკურადაა გამოხატული მეტყველებაში და ზეპირმეტყველების სინტაქსის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში იმთავითვე აღნიშნული იყო, რომ ნაწილაკი **-მეთქი** მომდინარეობს ორი სიტყვის შეერთებისაგან „**მე ვთქვი**“. ამიტომაცაა, რომ ის მოუბარი პირის ნათქვამის გამეორებას ან განაზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს [შანიძე 1980 : 610]. სხვათა სიტყვის ნაწილაკები უპირატესად დაერთვის სხვისი ნათქვამის ბოლო სიტყვას, წინადადების რა წევრიც არ უნდა იყოს ის, თუმცა უპირატესობა მაინც ზმნას უნდა მიენიჭოს [არაბული 2004 : 176].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ სხვათა სიტყვა დამოკიდებული წინადადების ფუნქციით გამოიყენება. ლიტერატურაში ცალკეა გამოყოფილი ის შემთხვევები, როცა შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებთან

ერთ-ერთს ან ყველას ახლავს დამოკიდებული კომპონენტი, რომელიც სხვათა სიტყვაა და შესაბამისი ნაწილაკებიც ახლავს. მაგალითად, „მე ჩემთვისაც არ ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი“ [კვანტალიანი 1990 : 92]. აღნიშნულია, რომ მათ აზრობრივად მჭიდრო კავშირი აქვთ ზმნასთან, რომელთანაც დაქვემდებარებულ ურთიერთობას ქმნიან. ისინი უპირატესად დამატებებისა და მიზნის გარემოების ფუნქციას ასრულებენ. სხვათა სიტყვა დამოკიდებული კომპონენტის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო შერწყმულ, არამედ მარტივსა და თანწყობილ წინადადებებშიც. ავტორისეული ნათქვამისა და სხვათა სიტყვის ამგვარი შერწყმა ქმნის თავისებურ დაქვემდებარებას. სხვათა სიტყვის სახით მოცემული დამოკიდებული წინადადება ფორმით განსხვავდება ჩვეულებრივი ამხსნელი წინადადებისაგან (მას ყოველთვის ახლავს სხვათა სიტყვის ნაწილაკი). ასეთი სხვათა სიტყვა ერთგვარი შუალედური საფეხურია პირდაპირ და ირიბ ნათქვამს შორის [კვანტალიანი 1990 : 92-93].

საყურადღებოა **-მეთქი** ნაწილაკის გამოყენების კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა. ამ ბოლო დროს სასაუბრო მეტყველებისას ნიშანდობლივი გახდა **-მეთქი** ნაწილაკის დასმა არა მხლებელ სიტყვასთან, როგორც ეს მას ზოგადად ახასიათებს, არამედ წინადადების თავში. ხაზგასასმელია, რომ სწორედ მისით იწყება კონსტრუქცია: **მეთქი**, ამის გაკეთებას რა უნდა; **მეთქი**, რა უნდა? **მეთქი**, წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება; **მეთქი**, მივალ და ყველაფერს თვითონ ავუხსნი; **მეთქი**, ამასღა გავაკეთებ და წავალ; **მეთქი**, აქ როგორ ავალ. შდრ.: ამის გაკეთებას რა უნდა-მეთქი; რა უნდა-მეთქი? წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება-მეთქი; აქ როგორ ავალ-მეთქი. ამგვარი აგებულების წინადადებები უფრო ახალგაზრდების მეტყველებაში შეინიშნება და მას ზედმიწევნით სასაუბრო მეტყველების ელფერი აქვს. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ **-მეთქი** ნაწილაკი (ისევე როგორც **-თქო** და **-ო** ნაწილაკები) სალიტერატურო ქართულში ზეპირი მეტყველებიდან ჩანს შემოსული [თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1970 : 162]. ამიტომ არაა გასაკვირი სწორედ ზეპირმეტყველებაში მისი ნაირგვარი გამოყენების ფაქტები.

ცნობილია, რომ **-მეთქი** აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამის (ან განზრახ-ნაფიქრალის) განმეორებას, მაგრამ ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში, ვფიქრობთ, მას სხვა დატვირთვა აქვს. ჩანს, რომ ნათქვამის განმეორებითობა კი არა, აქ უფრო იგულისხმება შინაარსი **ვიფიქრე**. შდრ.: ვიფიქრე, ამის გაკეთებას რა უნდა; ვიფიქრე, წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება; ვიფიქრე, ამასღა გავაკეთებ და წავალ; ვიფიქრე, ამას როგორ ვერ შევძლებ. თუმცა შესაძლოა, სიტყვა **ვიფიქრესთან** ერთადაც წინადადების ბოლოს დაემატოს **-მეთქი** ნაწილაკი: ვიფიქრე, ამის გაკეთებას რა უნდა-**მეთქი**; ვიფიქრე, წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება-**მეთქი**...

ზოგჯერ ის სხვა შინაარსობრივი დატვირთვითაცაა: „გამოიხედა და-რაჯმა, – **მეთქი**, აქა ვარ“; „ხო, ეგ იყო, რა, – თქვა ბოლოს. – **მეთქი**, მძლოლებში რო გაგეკითხა?“; „**მეთქი**, ბაგაჟნიკი გავუღოთ და ჩავუღოთ პირდაპირ“; „ისინი რო წავიდნენ, ხიპიჩამ შემომხედა, შენ დაჭერიო? – **მეთქი**, ხო და გამეცინა“;

„**მეთქი** გოჩა ვარ, ბებო, ვერ მიცანი?“ ამგვარ წინადადებებში **-მეთქი** ნაწილაკ-ში **ვუთხარი, ვთქვი** შინაარსი იკვეთება, ანუ ნაწილაკად ქცევამდე სიტყვათა შეერთების თავდაპირველი მნიშვნელობითაა. ნიშანდობლივია აქაც ის, რომ ამგვარი შინაარსით ის წინადადების თავში გვხვდება, კონსრუქციის შუაში ან თავში ამგვარი სემანტიკით ვერ დავადასტურეთ. შდრ.: გამოიხედა დარაჯმა, – **ვუთხარი/ვთქვი**, აქა ვარ; ხო, ეგ იყო, რა, – თქვა ბოლოს. – **ვუთხარი/ვთქვი**, მძლოლებში რო გაგეკითხა?; **ვუთხარი/ვთქვი**, ბაგაჟნიკი გავულოთ და ჩავუდლოთ პირდაპირ; ისინი რო წავიდნენ, ხიპიჩამ შემომხედა, შენ დაჭერიო? – **ვუთხარი/ვთქვი**, ხო და გამეცინა; **ვუთხარი/ვთქვი**, გოჩა ვარ, ბებო, ვერ მიცანი? მაშასადამე, მოყვანილ შემთხვევებში სპეციფიკურია არა მხოლოდ **-მეთქი** ნაწილაკის ადგილი (წინადადების თავში დასმა), არამედ სხვაგვარი შინაარსობრივი თუ სინტაქსური დანიშნულება. ჩანს, რომ ნაწილაკური დატვირთვა კი აქვს, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ნაწილაკად ქცევამდე არსებული პირვანდელი ან აქამდე არადამახასიათებელი შინაარსი შეიძინა. ის მთლიანად წინადადებას მიემართება და არა რომელიმე წევრს. როგორც ცნობილია, დადგენილი ნორმის მიხედვით, სხვათა სიტყვის ნაწილაკები დეფისით უნდა გამოეყოს მხლებელ სიტყვას. ჩვენს შემთხვევებში კი **-მეთქი** ნაწილაკი ზოგადად მიემართება მთლიან წინადადებას და სხვა დანიშნულება აქვს. რაკი ის დაცლილია ნაწილაკური ფუნქციისაგან, სწორედ ამიტომ ის მძიმით გამოიყოფა მხლებელი წინადადებისაგან. ეს ბუნებრივია, რადგან აღნიშნავს **ვფიქრე, ვუთხარი/ვთქვი** სემანტიკას – შესაბამისად, როგორც ზმნის შემთხვევაში, როცა მას მოჰყვება დამოკიდებული წინადადება, აქაც მძიმით გამოიყოფა.

აქვე კიდევ ერთ გარემოებაზეც გავამახვილებთ ყურადღებას: **-მეთქი** ნაწილაკის ფუნქცია ხომ პირველი პირის ნათქვამის განმეორებაა. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში მას ეს დანიშნულება არ აქვს. ეს უფრო ენის აქტუალიზაციის კერძო შემთხვევას ჰგავს. ზეპირ მეტყველებას ახასიათებს აქტუალიზაცია, ანუ ენის მეტყველებაში გადაყვანა. ამის ერთ-ერთი საშუალებად გვხვდება სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ესე იგი ლექსიკური აქტუალიზატორები (მაგალითად, **არის, რომელია...**). ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი დატვირთვა აქვს **-მეთქი** ნაწილაკს მოყვანილ წინადადებებში, რადგან ის („**ვფიქრობ**“, „**გავიფიქრე**“, „**ვუთხარი**“, „**ვთქვი**“ შინაარსით) გამოიყოფა, როგორც მოსაუბრის თვალსაზრისით საყურადღებო სიტყვა.

ზოგჯერ ის არც განმეორებითობის ფუნქციით არ გამოიყენება და არც საკუთარი სიტყვების დამოწმებისას: „განა, რა უნდა მოსწონებოდა დათა თუ-თაშხიას ამ **ქალისა-მეთქი!**“ „მე თქვენ გეკითხებით, მოცლილნო მკითხველნო, რა **ექნა-მეთქი?**“ „ესე იგი ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერების სიოც არ მიჰკარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველმხრივ მოუშაადებელი იყო, ჯერ **მაშინ-მეთქი** – მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრივ არ განიწესებდა“ (არცერთ წინადადებაში წინა კონტექსტიდან არ იგულისხმება განმეორებითობა ან ნათქვამის დამოწმება). ამგვარ წინადადებებში **-მეთქი** ნაწილაკი უფრო სტილისტიკური დანიშნულებითაა გამოყენებული, ვიდრე სხვათა სიტყვის გადმოსაცემად. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში

მოსაუბრე თავის ნაფიქრს, შეხედულებას გახაზავს სწორედ **-მეთქი** ნაწილაკის საშუალებით. აქაც სათქმელის აქტუალიზებაა. ზოგადად, სტილისტური მოთხოვნილებათა შესაბამისად სხვათა სიტყვის ნაწილაკები წინადადების სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს და ერთსა და იმავე წინადადების ფარგლებში განმეორდეს კიდევ. ასე რომ, უცხო არაა მეტყველებაში მისი სწორედ სტილისტური ფუნქციით გამოყენება.

ზოგჯერ წინადადებაში როცა დაპირისპირებითი შინაარსია და ის გამოხატულია **თუ** კავშირით, **-მეთქი** ნაწილაკი პირველ კომპონენტს (როგორც წესი, შემასმენელს) მიერთვის ხოლმე და არა ბოლო ნაწილს: „ქვეითად **გინდა-მეთქი** თუ ცხენდაცხენ? – ერთხელ კიდევ მიაძახა ოძელაშვილმა“; „**შეესვლება-მეთქი** თუ არ შეესვლება ამ მდაბიოს თქვენს საქმეში?“, „ბოლომდე **შეგჯერდებით-მეთქი** თუ ისევ დავცილდებით ერთმანეთს“. ამგვარ შემთხვევებშიც **-მეთქი** ნაწილაკი უფრო სტილისტიკური დანიშნულებითაა გამოყენებული, ვიდრე სხვათა სიტყვის გადმოსაცემად.

უფრო დაზუსტებით შეგვიძლია პარალელი გაგავლოთ **-მეთქი** ნაწილაკსა და მიგებით ნაწილაკებს შორის. როგორც ცნობილია, მიგებითი ნაწილაკების ერთ-ერთი ფუნქციაა დადასტურება და გაძლიერება მთქმელის ნათქვამისა. ზოგჯერ კი მათ ახლავს დამაზუსტებელი წინადადება. დადასტურებითი ნაწილაკების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე: **რასაკვირველია, როგორ არა, რა თქმა უნდა, რატომ არა, სწორედ, აბა რა, მაშ**. მეტი სიძლიერის გამომსახველია ასევე უარყოფითი ნაწილაკები [კვანტალიანი 1990: 83-84]. ზუსტად ანალოგიურია ვითარება დასახელებულ წინადადებებში. აქ უფრო მიგებითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს, დადასტურებითი შინაარსით, ანუ მთქმელი გადაჭრით ითხოვს კითხვაზე პასუხსა თუ სხვა მოქმედებაზე დასტურს. შდრ.: „**ბულბულია-მეთქი**, ბულბული – გაიძახოდა ელიზბარი“; „ყური **მიგდე-მეთქი**, გიგოლი, ყური – ისეთ კილოზე უთხრა ღვთისავარმა, რომ კედლებმაც კი სცქვიტეს ყურები“; „ჯერ შენა სთქვი, **რა ვუყო-მეთქი** ბატონებს?“; „ბიჭი **ვარ-მეთქი**, ბიჭი, ჩაიცინა ოძელაშვილმა“; „თილისმა **აქვს-მეთქი**, თილისმა“. ამ ტიპის წინადადებებში მას მკვეთრად გამოხატული გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს.

ამგვარ წინადადებებში ერთი თავისებურებაც იკვეთება: ზემოაღნიშნული მიგებითი ნაწილაკის, მტკიცებითობის ფუნქციით **-მეთქი** ზოგჯერ დასტურდება კითხვით წინადადებებში. მაგალითად: „ყოველთვის საღიმილოდ **მაქვს-მეთქი** საქმე, რომ გითხრა, ჰა? ეხლანდელი დაიხსომე და დღესვე მოახსენე, რომ ჩვენ მეფისა და ბატონების სადღეგრძელო დავლიეთ. **გაიგე მეთქი?**“; „მოდი, მეც გადავუდგები, არ **გაგატან-მეთქი**, ჰა?“; „გადასარევი რეჟისორი **ვარ-მეთქი**, რომ გითხრა? აქ კითხვით ინტონაციას ემატება სწორედ **-მეთქი** ნაწილაკით გამოწვეული მტკიცებითობა. ზეპირი მეტყველება ხომ ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და სხვადასხვა მოდალობის შინაარსის გამოსახატავად მრავალფეროვანი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები იჩენს თავს. ინტონაციის ამგვარი ენობრივი აქტუალიზებით მჟღავნდება მოსაუბრის ემოციური გამოხატულება თქმულისადმი.

ჩანს, რომ **-მეთქი** ნაწილაკი ყოველთვის არ გვევლინება სხვათა სიტყვის ნაწილაკად, რომელსაც ნათქვამის განმეორებითობას აღნიშვნის დანიშნულება აქვს. დღეს ზეპირ მეტყველებაში მან შეიძინა დამატებითი შინაარსი (ვფიქრობ, გავიფიქრე) და ნაწილაკის ფუნქციისგან დაცლილია. **-მეთქი** დასტურდება როგორც სიტყვასიტყვით ნაწილაკად, ასევე ხშირ შემთხვევაში ის მიგებითი ნაწილაკის ფუნქციითაა, ზოგჯერ კი გაძლიერებითი ნაწილაკია. ასევე გამოიყენება თავისი პირვანდელი დანიშნულებითაც – **ვთქვი/ვუთხარი** სემანტიკით.

### ლიტერატურა

**არაბული 2004** – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

**გეგუჩაძე 2010** – ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, სინტაქსის საკითხები, თბილისი.

**თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1970.**

**კვანტალიანი 1990** – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი, III ტომი, თბილისი.

TEA BURCHULADZE

### **Peculiarities of Using the Particle -metki in Oral Speech**

#### S u m m a r y

In some cases, the particle **-metki** is specifically expressed in speech and seems interesting in terms of the syntax of oral speech. It does not always appear as a part of the speech of others that means the repetition of what has been said. Today, in oral speech, it has acquired additional meaning (I think, I thought) and is deprived of the function of a particle. **-metki** is attested as a literal particle, and in many cases, it has the function of a response one, and sometimes it is a strengthening particle (expressing affirmance). It is also used with its original function, i.e., with the semantics of “I said/I said to them”.

თეიმურაზ გვანცელაძე

**პირსახელი ლაშა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის  
ისტორიოგრაფიულ-ფილოლოგიური საკითხები**


ქართველ ისტორიკოსთა ნაწილისა და მათი ყველა აფხაზი (აფსუა) კოლევის აზრით:

1. სახელი **ლაშა** აფსუურია და ამ ენაზე აღნიშნავს „სამყაროს გამნათებელს“, ანუ მნათობს;
2. აფსუები თამარისა და ლაშას ეპოქაშიც ცხოვრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე და
3. ისინი დიდი გავლენით სარგებლობდნენ ერთიანი საქართველოს მეფეების კარზე.

მიგვაჩნია, რომ ეს სამი დასკვნა ემყარება ამ კონკრეტული ანთროპონიმისა და საისტორიო წყაროების ცნობათა მეთოდოლოგიურად ნაკლოვან წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ და ენათმეცნიერულ ანალიზს და ამის გამო ახლებური ახსნაა საძიებელი და დასასაბუთებელი. ქვემოთ წარმოვადგენთ როგორც პირსახელ **ლაშას** ეტიმოლოგიური კვლევის, ისე ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერების (ტექსტოლოგიური ანალიზის) შედეგებს.

მამაკაცის პირსახელი **ლაშა** წერილობით **პირველად დასტურდება** 1974 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **დევი ბერმენიშვილის** ხელმძღვანელობით თეთრი წყაროს რაიონის სოფელ **ტბისში** (ჩხიკვთის თემი), კოჭრების ეკლესიის ქვის ჯვრის კვარცხლბეკზე ამოკვეთილ წარწერაში, რომელიც გაშიფრა და გამოაქვეყნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვალერი სილოგავამ**. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ვ. სილოგავამ ეს წარწერა დაათარიღა **VIII საუკუნით**. წარწერის გაშიფრული ტექსტი ასეთია:

„წმიდაო სამებაო, შეიწყალე ამისი მაშენებელი **ლაშაიცა**. ჯუარი ესე ამართა სალოცველად ჩუენდა და საჯსენებელად ნაშობთა ჩუენთა. რომელმან თაყუანი სცეს [ჯუარსა – თ. გ.], სული ჩუენი ლოცვასა მოიჯსენენ. ამენ. ადიდე იესუ ქრისტე“ (სილოგავა 1980: 104-106).



სურ. 1. ტბისის წარწერა, ლაშას სავედრებელი. VIII ს.  
გადმოღებულია ვ. სილოგავას წიგნიდან.

სამწუხაროდ, ამ წარწერის აღმომჩენთ და მის წამკითხავ-გამომცემელს ყურადღების მიღმა დარჩათ **პირსახელის ძალიან დიდი სიძველე** და ის გარემოება, რომ **ეს აღმოჩენა კმნიდა მყარ საფუძველს იმ მნიშვნელოვანი დასკვნისათვის**, რომ **VIII საუკუნეში აფსუებს მჭიდრო კონტაქტი არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ქვემო ქართლის მოსახლეობასთან**. ცხადია, წარწერის დათარიღება სრულებით არ უდრის პირსახელ **ლაშას** წარმოქმნის (გაანთროპონიმების) დროის ავტომატურად დადგენასაც: **ეს სახელი VIII საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო ქართულ გარემოში ქართულ ენაზე**. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტირებულ ფაქტზე დაყრდნობით მივყევთ ანთროპონიმის გავრცელების ისტორიას.

**ლაშა** იყო **მეორე, არაოფიციალური სახელი** თამარ მეფისა და დავით სოსლანის ვაჟისა, ერთიანი საქართველოს მეფე **გიორგი IV-ისა** (1192-1223 წწ.). სწორედ ამ პიროვნების სახელთან დაკავშირებულ ისტორიოგრაფიულ-ფილოლოგიურ საკითხებზე ვიმსჯელებთ ვრცლად ქვემოთ. მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

აკად. **ქეთევან ლომთათიძე** იყო **პირველი მკვლევარი**, ვინც განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გიორგი IV-ის სახელად **ლაშა** დასტურდება გამორჩეული პოეტის, სახოტბო პოეზიის კლასიკოსის, გიორგი-ლაშას თანამედროვე **ჩახრუხაძის** (1170-1212 წწ.) პოემა „თამარიანში“ და დაიმოწმა ამ პოემაში პირსახელ **ლაშას** ხსენების შემთხვევები, კერძოდ:

„...რომლისა მემან, უბინდოდ მზემან,  
**ლაშა-ყე** გიმხო წარმართებულად...“ (9.21).

„...დიდად განმებად, თქვენ მისგან მებად  
გენიშნეს **ლაშას** აღმორჩებანი“ (36.32).

„...მოყმე სვიანი, იესიანი  
**ლაშა** აძებნა ლხინად და შვებად“ (92.24; 99.18)

(ლომთათიძე 2006: 29; შდრ.: <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/44.thamariani.pdf>).

პირსახელ **ლაშას** გამოყენების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა და მათ ნუსხა-რედაქციათა ტექსტებს, რომლებიც სხვადასხვაგვარ, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს გვაწვდიან.

როგორც ცნობილია, მეფე გიორგი IV-ის დაბადების, სახელის დარქმევისა და ცხოვრება-მოდვარეობის შესახებ მოთხრობილია ამ მეფის **ორ თანამედროვე მატიანეში**, რომელთა ავტორების ვინაობა უცნობია.

პირველ მატიანეს პირობით უწოდებენ „**ლაშა-გიორგის დროინდელ მატიანეს**“, ხოლო მეორე ცნობილია როგორც „**ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი**“. პირველ მატიანეში თამარის ვაჟი ორივე სახელით იხსენიება, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ მისი ოფიციალური, ნათლობის სახელი იყო **გიორგი**, ხოლო მისივე **არაოფიციალური, აშკარად ალერსობითი სახელია ლაშა. ამ სახელების ამოსავალი სემანტიკისა და წარმომავლობა-სადაურობის შესახებ მემატიანე სრულებით არაფერს წერს, ეს მას არც ევალებოდა**. პირველი მემატიანე გვამცნობს:

[თამარსა და დავითს] „ორნი შვილნი მიეცნეს: **გიორგი** და რუსუდან. ამის **გიორგის** შობასა ზედა [დავითმა – თ. გ.] გაილაშქრა და აილო კარი, ესრე ჩნდა ბედნიერობა ამისი“ (ქც 2008: 354);

[თამარის გარდაცვალება] „იგლოვა ყოველმან ამან სამეფომან ჟამსა ჯეროვანსა. დასუეს **გიორგი**, ძე მისი, მეფედ მასვე წელიწადსა, რომლისა წელნიცა მრავალჟამიერ არიან და ცხორება მათი კეთილად წარმართებულ აქა – ცვალებადსა თანა, მერმესაცა – დაუსრულებელსა“ (ქც 2008: 355);

„შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთმეფისა წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან, გარნა ღმერთმან, გვანმან მრისხანებისათვის და მოსწრაფემან მოწყალებისათვის, მოსცა მშობელისავე მსგავსი მისგანვე შობისა – **ლაშა**“ (ქც 2008: 355).

„და შემოვიდეს უცხოთესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს... შემდგომად მოხედვით ღმრთისათა და ლმობიერქცევითა მეფისა **გიორგისითა** გააქცივნეს და ამოსწყვდნეს გაქცეულნი“ (ქც 2008: 356);

„გაგზავნა შარვანს ქართლისა ერისთავი და თვთ **გიორგი** მეფე ბაგავანს მივიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა“ (ქც 2008: 357).

„მოკულა **გიორგი** მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ქრონიკონი იყო ოთხასორმოცდარი“ (ქც 2008: 357).



ციტირებული ცნობები უდავოდ გვიჩვენებენ, რომ ამ მატთანეში სახელი **გიორგი** უპირატესია – იგი 5-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო სახელი **ლაშა** ერთადერთ შემთხვევაში გვხვდება, ჩვენი აზრით, მისი არაოფიციალურობის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელ **ლაშას** არანაირი განმარტება არ ახლავს მისი ენობრივი კუთვნილებისა და ამოსავალი მნიშვნელობის (არქესემანტიკის) შესახებ.

გიორგი IV-ის თანადროულ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტშიც ძირითადი, ოფიციალური სახელია **გიორგი**, ხოლო **გიორგიც** და **ლაშაც** ერთმანეთისაგან განცალკევებულად გამოიყენება ამ მეფის დაბადების აღწერისას, ერთხელ კი დასტურდება შერწყმული **ლაშა-გიორგი** ვარიანტიც:

[თამარმა] „...შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა, და **უწოდა სახელი ახოვისა მის მამისა თვისა გიორგი**, რომლისათვისცა ყუავილი უკუდავთა ნაწილისა აღმოგუეყუავილა“ (ქც 2008: 429). ამ ცნობაში ხაზგასმულია, რომ უფლისწულს სახელი პაპის, გიორგი III-ის პატივსაცემად დარქმევია;

„პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა ზედა **ლაშასა, რომელი განმანათლებელად სოფლისა ითარგმანა**, მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად“ (ქც 2008: 429). ეს წინადადებაა პირველი, ყველაზე ძველი ცნობა საკვლევი პირსახელის სიმბოლური სემანტიკის შესახებ;

„...მიიცივალა სოსლან დავით... და დაუტევნა ორნი ძენი: ყრმა ვიდრემე **ლაშა-გიორგი**, ხოლო ასული რუსუდან“ (ქც 2008: 468)...

სხვა მემატანეთაგან თამარის ვაჟის მოხსენიებისას **ხასილი ეზოსმოდღარი** ცალკე არ ხმარობს პირსახელ **ლაშას**, ხოლო პირსახელებს **გიორგის** და შეტყუებულ **ლაშა-გიორგის** თითოჯერ იყენებს:

„...და შვა [თამარმა – თ. გ.] შვილი, **ყოვლითურთ მსგავსი პაპისა; და დაარქუეს სახელი გიორგი**, და განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა“ (ქც 2008: 490). აქაც ხაზგასმულია უფლისწულის ოფიციალური, ნათლობის სახელის მემკვიდრეობითობა პაპიდან შვილიშვილზე;

„და [დავით სოსლანმა – თ. გ.] დაუტევნა ორნი ძენი: ყრმა ვიდრემე **ლაშა-გიორგი**, ხოლო ასული რუსუდან“ (ქც 2008: 509). ი. ჯავახიშვილი და ს. ყაუხჩიშვილი სავსებით სამართლიანად თვლიან ამ ფრაზასაც და მის მომცველ ვრცელ ტექსტსაც „ისტორიანი და აზმანიდან“ გადმოწერილად (შდრ. ციტირებული ფრაზა ზემოთ).

ძველი „ქართლის ცხოვრების“ მატთანეთაგან **ყამთააღმწერლის** „**ასწლოვან მატთანეში**“ სულ სამჯერაა გამოყენებული ამავე მეფის ნათლობის სახელი **გიორგი** (ქც 2008: 543, 572, 574), ოთხჯერ – შეტყუებული **ლაშა-გიორგი** (ქც 2008: 523, 527, 535, 538), ყველაზე ხშირად, 18-ჯერ კი დასტურდება სახელი **ლაშა** (ქც 2008: 523 – ორჯერ, 524, 525, 533, 534, 558, 568 – ორჯერ, 573, 574 – ორჯერ, 575 – ორჯერ, 576, 586 – სამჯერ). ეს ფაქტები მატთანის შედგენისა, თუ გადაწერის დროისათვის ლაშას სახელის დიდ პოპულარულობაზე უნდა მეტყველებდნენ.

**ლაშა** ერქვა აგრეთვე **დემეტრე თავდადებულის ერთ-ერთ ვაჟს**: „ხოლო მეფესა დიმიტრის ესხნეს შვილნი დედოფალსა ტრაპიზონელისა ასულსა თანა, პირმშო დავით, ვახტანგ, **ლაშა** და მანოველ, და ასული რუსუდან“ (ქც 2008: 622). საყურადღებოა, რომ იმავე დემეტრე მეფეს მესამე ცოლთან შეძენილი ვაჟის-

თვის **გიორგი** (გიორგი V, ბრწყინვალედ სახელდებული, 1286-1346 წწ.) უწოდებია: „ხოლო ასულმან ბექასამან, ნათელ, უშვა ძე მხოლო **გიორგი**, რომელი უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა...“ (ქც 2008: 622).

**სამეფო კარზე ერთი მამის ვაჟებისათვის ლაშასა და გიორგის დარქმევა ცხადყოფს, რომ სახელი ლაშა ნათლობის პირსახელიც ყოფილა ისევე, როგორც იყო ტბისის წარწერის შესრულების დროს, VIII საუკუნეში და ალბათ VII საუკუნეში მაინც.**

უკვე მოხმობილი მასალა გვიჩვენებს, რომ სახელი **ლაშა** უცხო არ იყო ქართულ სინამდვილეში არანაკლებ VII საუკუნის აქეთ. ამ მასალიდან ქართველ მეცნიერთა ნაწილი და აფსუა მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ „ისტორიანი და აზმანი მარავანდედთანის“ ზემოთ უკვე დასახელებულ ცნობას:

„პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა **ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმანა**, მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად“ (ქც 2008: 429).

ამ ფრაზის მიხედვით, სახელი **ლაშა** უეჭველად უნდა „ითარგმანოს“, ანუ განიმარტოს როგორც **სოფლიოს, ქვეყნიერების, სამყაროს გამნათებელი, ე. ი. მნათობი**. ამ ადგილის ასე გაგებას ჩვენც ვეთანხმებით და ისიც ვიცით, რომ პირსახელ **ლაშა**-ს ფუძეს, ან მის ძირს **ქართულ ენაზე ამგვარი სემანტიკა** („ქვეყნიერების გამნათებელი“) არ უდასტურდება არც წარსულში და არც ამჟამად. არსებითა ისიც, რომ ფრაზის ავტორი **აუცილებლობად სცნობს სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებას – ეტყობა, ის დარწმუნებული იყო, რომ უამისოდ ქართველი მკითხველი დამოუკიდებლად ამას ვერ ჩასწვდებოდა**. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ განმარტების, უკეთ, **სიმბოლური ეპითეტის ფუნქციაა, მკითხველის ყურადღება მიაპყროს გიორგი-ლაშას ღვთაებრიობას, მის განსაკუთრებულობას, მთელ სამყაროში გამორჩეულობას, ერთადერთობას, შეუძლებლის შემძლებლობას**.

ვიდრე **ლაშა** სახელის ენობრივი კუთვნილების გარკვევაზე გადავალთ, უპრიანია, ჯერ ფრაზის **ავთენტურობის საკითხი** გაირკვეს. საამისოდ გამოგვადგება ზემოთ მოხმობილი მასალაც და ზოგი სხვა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინებაც.

უპირველეს ყოვლისა, დაისმის საკითხი:

**რატომ არ წერია სრულებით არაფერი ლაშას სახელის განსაკუთრებულ სემანტიკაზე თვით გიორგი-ლაშას თანადროულ პირველ მატიანეში, რომლის ავტორიც ასევე მისი მეხოტბეა და არ იშურებს აღმატებით სიტყვიერ მასალას უფლისწულის, მომავალი მეფის განსაზღვრებლად?**

ვფიქრობთ, ამ კითხვის პასუხი ერთადერთია:

**ეს განმარტება არ უნდა იყოს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორისეული და იგი ტექსტში ჩართულია ბევრად უფრო გვიან.**

ქართველ მკვლევართა ნაწილს და ყველა აფხაზ (აფსუა) ავტორს მოყვანილი განმარტების ავთენტურობა ოდნავაც კი არ აეჭვებს. ისინი, ციტირებული ფრაზის გარდა, საკითხის გადამწყვეტ არგუმენტად მიიჩნევენ **ახალი „ქართლის ცხოვრების“** ზოგ ხელნაწერში წარმოდგენილ ორსიტყვიან დანარ-

თსაც, რომლის მიხედვითაც ლაშა „მანათობელს“ ნიშნავს „აფსართა ენითა“, ეს ენა კი მკვლევართა ჯგუფის მიერ იგივედება ამჟამინდელ აფხაზურ-აფსურურ-თან. ამ დასკვნას თითქოსდა მხარს უჭერს აფსურურ ენაში რეალურად არსებული ა-ლაშა სიტყვა, რომელიც ნიშნავს „ნათელს“ (შაყრილი, კონჯარია 1986: 412; კასლანძია 2005: 635; კასლანძია, ჯონუა 2011: 125) და წარმოადგენს ა-ლაშარა „1. სინათლე; 2. ნათება; 3. გათენება“ ზმნის მიმღებობას. ამ მიმღებობის გამოყენების ტიპური ნიმუშებია: ამშ, ლაშა „ნათელი დღე“, ამზა ლაშა „ნათელი მთვარე“, აჟადა ლაშა „ნათელი ოთახი“, აჟჴან ლაშა „ნათელი ცა“...; ა-ლაშარა ზმნის ტიპური გამოყენების მაგალითია ილაშაოიტ „1. ანათებს; 2. თენდება“.

საყურადღებოა, რომ სიტყვა ლაშა „ნათელი“ საერთოდ არ დასტურდება არც რუსულ-აზაზურ და აზაზურ-რუსულ ლექსიკონებში და არც ქ. ლომთათიძისა და პირადად ჩვენ მიერ ჩაწერილ აზაზურ ტექსტებში.

მოსაზრება პირსახელ ლაშას აფსურურ ენასთან კავშირის შესახებ, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი ჩანს, მაგრამ მას დაუძლეველ დაბრკოლებათა მთელი კომპლექსი ახლავს, კერძოდ:

1. შეუძლებელია VIII საუკუნეში აფსურური სიტყვა ლაშა ქვემო ქართლში კი არა, ახლანდელი აფხაზეთის მეზობელ მხარეებში (სამეგრელოში, სვანეთში, გურიაში, იმერეთში) სცოდნოდა ვინმეს, რაკი იმ დროს, როგორც უკვე დადგენილია, აფსურები აზაზებთან ერთად ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის ხეობაში (იხ.: ნარკვევები 2007). ტბისის წარწერის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ყუბანის ხეობიდან დიდი სიმორეც გვიდასტურებს, რომ ამ სახელის წარმომავლობა არ უნდა უკავშირდებოდეს აფსურების ენას და მისი ეტიმოლოგია, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ენაშია საძიებელი.

2. აფსურურ-აზაზური ენის უდიდესი მკვლევარი, აკად. ქეთევან ლომთათიძე წერდა: „ოცდაათიან წლებში (აფხ. ენაზე მუშაობისას) საგანგებოდ ვსწავლობდი და ვაგროვებდი აფხაზურ საკუთარ სახელებს ყოველი კუთხის (კილოკავის) მიხედვით (აფხაზურშიაც და აზაზურშიაც), მაგრამ სახელი ლაშა ვერსად დავადასტურეთ“ (ლომთათიძე 2006: 29). აფხაზთა ეთნოლოგიის გამორჩეული მკვლევარის სალომე ზახია-ოქრუაშვილის ზეპირი ცნობითაც, არც მას ჰქონია ამგვარი შემთხვევა. პირადად ჩვენც მინიმუმ თითო თვით მაინც გვიცხოვრია თითქმის ყველა აფსურურ და აზაზურ სოფელში და ყველგან აუცილებლად ვიწერდით ხოლმე იმ სოფლებში გავრცელებულ პირსახელებს, გვარებსა და ტოპონიმებს, მაგრამ არც ჩვენ გაგვიგონია, ვინმეს სახელად ლაშა რქმეოდეს, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა და ადასტურებს ამ სახელის ტრადიციულობისა და მემკვიდრეობითობის არარსებობას აფსურა-აზაზათა შორის.

3. სინამდვილეს არ შეეფერება ბოლო დროს სოციალურ ქსელში გავრცელებული მოსაზრებაც, თითქოს სახელი ლაშა აფსურურად „წმინდას“ ნიშნავდეს. ამგვარი სემანტიკა არ ჩანს ამ ენის არცერთ ლექსიკონში, არც დიალექტურ ტექსტებში შეგვხვედრია ამგვარი მნიშვნელობით ამ სიტყვის გამოყენების მაგალითები და არც მხატვრულ ლიტერატურაში. „წმინდა“ აფსურურად არის ა-ცქა. მაგალითად, სწორედ ეს სიტყვა უკავშირდება წმინდანთა სახელებს: აცქა გ~არგ~ „წმიდა გიორგი“, აცქა მატრონა „წმიდა მატრონა“...

4. ქეთევან ლომთათიძე ზეპირად განმარტავდა, რომ, მისი აზრით, სახელი ქართულია და უკავშირდება **ლაშ-ი** არსებით სახელს, რომელსაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, აქვს შემდეგი მნიშვნელობები: „**ზოგიერთი ცხოველის (მგლის, ძაღლის, ცხენის და სხვ.) ტუჩი; დიდი (და უშნო) ტუჩი (ადამიანისა)**“, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „**პირის ქვედა ზაგე**“. ქ. ლომთათიძის სახეებით დამაჯერებელი მოსაზრებით, ამ არსებითი სახელისაგან კნინობითობა-ალერსობითობის ქართული **ა-** სუფიქსით ნაწარმოები ფორმა **ლაშ-ა** თავდაპირველად აღნიშნავდა „**სქელტუჩიან ადამიანს, ლაშებიანს**“, შდრ.: ქართლური **ლაშ-იან-ი** „სქელტუჩიანი“ (რ. თოფჩიშვილის ცნობა), იმერულ დიალექტში **ლაშ-ი** და **ლაშ-ა** ფორმებიდანვე მომდინარე ფონეტიკური ვარიანტები: **ლაფშ-ი** „დიდი, სქელი ტუჩი“ და **ლაფშ-ა** „სქელტუჩიანი“. ვვარაუდობთ, რომ **ლაშა** სიტყვას თავიდან გარკვეული ირონიულ-დამცინავი კონოტაციაც ჰქონდა (იმერული **ლაფშა** სწორედ დამცინავი მეტასახელია დღესაც), მერე კი იგივე ფორმა ნეიტრალური კონოტაციის მქონე ჩვეულებრივ პირსახელად გადაიქცეოდა. ჩვენი აზრით, ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, ამას გვიმოწმებს იგივე ტბისის წარწერა – მის დამკვეთს, თუ ამომკვეთს **ლაშა** რქმევია **ოფიციალურად, ნათლობის სახელად და სწორედ ამ სახელით მიმართავდა სამეხას**. ანალოგიური შემთხვევები კონოტაციის ცვლისა არცთუ ისე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში, მაგალითად, **შმაგ-ი** „გიჟი, გადარეული; უგზური“ სულაც აღარ გაიგება დამამცირებლად და დღესაც ბევრ მამაკაცს ერქმევა...

5. პირსახელ **ლაშას** აფსურობას მხარს არ უჭერს არც ის ფაქტი, რომ აფსუათა და მათ მოძმე ჩრდილოეთკავკასიელ აბაზათა შორის არ არსებობს (**ა-**) **ლაშა**, „ნათელი“ სიტყვისაგან მომდინარე გვარები: \***ლაშა-იფა** // \***ლაშე-იფა** > \***ლაშ-იფა**, \***ლაშეიფა**, ან \***ლაშა** მაშინ, როდესაც ქართველებში ცნობილია **ლაშ-** ძირისაგან ნაწარმოები შემდეგი გვარები:

**ლაშა-ურ-ი** – გვარი დღემდე გავრცელებულია მცხეთაში, დუშეთსა და თბილისში (სილაგაძე, თოთაძე 1997: 123);

**ლაშა-ძე** – ვინმე **ლაშაძე გლახა** მოხსენიებულია სოფელ ქორდში (ამჟ. გორის რაიონი) 1789 წლის საბუთში (ქსმ III, 1970: 988);

**ლაშა-ბერ-ი-ძე** – ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის ცნობით, ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენლები დაახლოებით 100 წლის წინ ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ რაჭაში, ონის რაიონის სოფელ ფარახეთში (მაისურაძე 1986: 96; გ. ბოჭორიძე 1994: 209-214);

**ლაშ-ის-შივილ-ი** – იხსენიება 1484-1510 წლების იურიდიულ საბუთში (პალ II 1993: 558).

საყურადღებოა ისიც, რომ ტაო-კლარჯეთში დღემდე დასტურდება მიკროტოპონიმი **ლაშ-ეთ-ი**.

ამრიგად, პირსახელ **ლაშას** აფსურობა ქრონოლოგიური აცდენილობის, გეოგრაფიული ფაქტორისა და აფსუა-აბაზათა შორის წარსულში გაუვრცელებლობის გამო **რეალურად არ მართლდება და არც იმის სამტკიცებლად გამოდგება**, თითქოს თამარ მეფის მიერ ტახტის მემკვიდრისათვის ამ სახელის დარქმევა ადასტურებდეს აფსუათა ავტოქთონობას აფხაზეთში და მეფის კარ-

ზე აფსუა დიდებულთა დიდ გავლენას (ბერმენიშვილი 1990: 616; ანჩაბაძე 2021: 72-73). ამ გავლენის არსებობას ისიც უარყოფს, რომ „ლაშას დროინდელ მატრიანეში“, როგორც ზემოთ ვნახეთ, სახელი **ლაშა** კი იხსენიება, მაგრამ მას არ ახლავს „ისტორიანი და აზმანის“ აშკარად გვიანდელი ჩანართი, ლაშა „სოფლისა მანათობელად ითარგმანება“-ო. **გაუგებარია, გიორგი-ლაშას თანამედროვე ორი მემატრიანედან ერთს რატომ უწერია ეს განმარტება და მეორეს – არა: მეფის სახელის განმარტება, თუკი მისი აფსურობა იმ დროს ვინმემ მართლა იცოდა, უნდა სცოდნოდა მეფის კართან დაახლოებულ ორივე მემატრიანეს და არა მხოლოდ ერთს.** გარდა ამისა, ეს აშკარა ჩანართი უფლისწულის ხოტბა-დიდებას ემსახურება, ხოტბა-დიდების ნაკლებობა კი არ შეინიშნება არც „ლაშას დროინდელ მატრიანეში“, რის საილუსტრაციოდ თუნდაც ეს ადგილი გამოდგება:

„[იყო] ათორმეტისა წლისა, ოდეს მეფედ დაჯდა, **ნერგი კეთილმოზარდი და ყუავილი, ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ღომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა:** დიდთა და მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღვდელთა მათითა[ა] პატივითა; **მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე, მონისაგა ერთისა მათრატისა არა მკრველი, მშვიდდოსანი და ცხენოსანი, გულოვანი და შემმართებელი,** რომელ მისითა მკლავითა **ომნი დასხნა და გარდაიჭადნა სიმცროსავე შინა სწორნი დაავით პაპისპაპისა მისისანი; ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანისა ნაყოფთა მოსღვისათვს, დაჭირებულთა განმკითხველი, ზვე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა“** (ქც 2008: 355-356).

ამ ვრცელ ხოტბას უდავოდ დაამშვენებდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ეპითეტი ლაშას „მნათობობის“ შესახებ, თუკი ის ნამდვილად იცოდა მემატრიანემ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი მართლაც **სამეფო ეპითეტი** სცოდნოდა და აქ არ დაესახელებინათ მემატრიანეს, ან მატრიანის გადამწერებს მაინც.

ვის და როდის შეეძლო „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტში ჩაემატებინა ფრაზა პირსახელ **ლაშას** სიმბოლური სემანტიკის („სოფლისა მანათობელი“) შესახებ?

პასუხი ერთადერთი რჩება: **მხოლოდ იმას, ვისაც შეხება ჰქონდა აფსუბთან და აფსუბ ენასთან.** თუ გავითვალისწინებთ, რომ საანალიზო ფრაზა დასტურდება „ისტორიანი და აზმანის“ შემცველ „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხაში, რომელიც გადაიწერა ქართლის სამეფოს დედოფალ **მარიამ დადიანის**, სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის დის ბრძანებით 1633-1646 წლებს შორის, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ **ეს ფრაზა მატრიანეში უნდა ჩაემატებინათ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის მერე მარიამისეული ნუსხის გადაწერის მომენტის ჩათვლით, ანუ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან 1646 წლამდე,** თუმცა სხვაგვარი დათარიღებაც შესაძლებელია. იქნებ არც ის იყოს შემთხვევითი, რომ მარიამის რძალი, მმის ცოლი, **თანური (თამუნია) შარვაშიძე** აფხაზეთის მთავრის ასული იყო და მას **ეცოდინებოდა აფსუბური ენაც** და თამარ მეფის ვაჟის სახელიც. სწორედ თანურს შეეძლო მულისათვის ეცნობებინა, პირსახელი **ლაშა** აფსუბურად „ნა-

თელს“ ნიშნავსო. ამიტომ არ გამოვრიცხავთ, რომ მარიამ დედოფალსაც შეეძლო გადამწერისათვის ეცნობებინა ამ დეტალის შესახებ, რაც აისახებოდა მატიანის ტექსტშიც.

მეორე ახსნა ასეთია: პირსახელის აფსურობის ვერსია შეიძლება სცოდნოდათ სხვა ქართველ დიდებულებს, ვისაც აფსუა ნათესავები ჰყავდა – XVI-XVII საუკუნეებში ასეთნი იყვნენ უპირატესად მეგრელი, გურული, იმერელი და სვანი დიდებულები. იმ პერიოდში, XVI საუკუნის შემდგომ **იშვიათი არ იყო ქართველთა ქორწინებები აფსუა და უკვე გააფსუებულ დიდებულთა (შარვაშიძეების, მარშანიების...) შვილებზე**. მოსალოდნელია, მათ ნაწილს **სცოდნოდა საკუთარი აფსუა დედებისა თუ ბებიების დედაენა**. ისინი **ლაშა** სახელის აფსურ (-)ლაშა „ნათელი“ სიტყვასთან ბგერითი მსგავსების საფუძველზე უეჭველად ივარაუდებდნენ მეფის სახელის აფსურობას, დანარჩენი ქართველი დიდებულები კი ამ ვარაუდს ფაქტად მიიღებდნენ. ხმა გიორგი-ლაშას მეორე სახელის „აფსურობის“ შესახებ თბილისში სამეფო კარამდეც და მატიანეთა გადამწერ-რედაქტორებამდეც მოაღწევდა.

საკმაოდ განსხვავებულია ცნობები გიორგი-ლაშას სახელის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზოგ გამოცემაში. მაგალითად, აკად. ექვთიმე თაყაიშვილისეულ 1906 წლის გამოცემაში წერია:


„პირველად შემკრებელთა ბედთა და სუესა **ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმანა**, თქს ბარდვად, დიდად და ძველად ქალაქად“ (ქც 1906: 448);

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილისეულ 1959 წლის გამოცემაში ვკითხულობთ:


„პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა ზედა **ლაშასა, რომელი სოფლისა განმანათლებლად ითარგმანა [აფსართა ენითა]**, მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად“ (ქც 1959: 58).

აქვე სქოლიოში დართულია ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა: „**აფსართა ენითა Mm**“. ამ შენიშვნით გამომცემელი გვაცნობებს, სიტყვები „**აფსართა ენითა**“ წერია **მარიამისეულ** (პირობით აღნიშნება **M** სიმბოლოთი) და **მაჩაბლისეულ** (აღნიშნულია **m** სიმბოლოთი) ხელნაწერებშიო. ს. ყაუხჩიშვილმა ეს ორი სიტყვა – „**აფსართა ენითა**“ მატიანის ძირითად ტექსტში კი აიტანა, მაგრამ კვადრატულ ფრჩხილებში იმის მისათითებლად ჩასვა, **ეს სიტყვები არ ეკუთვნის მატიანის ძირითად, თავდაპირველ ტექსტსო**.

სანდო წყაროებიდან გავარკვეით, რომ **ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის ეს ცნობა ზუსტი არ არის – შესიტყვება „აფსართა ენითა“ არ დასტურდება დასახელებულ ნუსხებში: მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ხელნაწერებში ეს ორი სიტყვა – „აფსართა ენითა“ რეალურად არ წერია არც ძირითად ტექსტში და არც არშიებზე** (იხ. ქვემოთ ფოტოები. ცნობა მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხათა შესაბამისი გვერდების ფოტოებითურთ მოგვაწოდა ისტორიის დოქტორმა **თეა ქართველიშვილმა**, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ). მიგვაჩნია, რომ ე. თაყაიშვილს კორექტურული შეცდომა მექანიკურად გაეპარა.



სურ. 2. მარიამისეული ნუსხა, S-30. 1633-1646 წწ.  
მარცხნივ, ქვემოდან სტრ. 7-8



სურ. 3. მახაბლისეული ნუსხა, H 2135, გვ. 223r. 1736 წ.  
ქვემოდან სტრ. 7-8

**აფსართა ენა** გიორგი-ლაშას სახელთან კავშირში **ორჯერ იხსენიება** ვახტანგ მეექვსის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შედგენილი **ახალი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში**, სადაც ვკითხულობთ:

„პირველად შემკრებელთა სუესა ზედა **ლაშასა, რომელი განმანათლებელად სოფლისა ითარგმანება აფსართა ენითა**, მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად“ (ახალი ქც II, 2018: 52);

„მესამეოცე მეფე **ლაშა, რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქუეყანის მანათობელად**, ძე თამარ მეფეთ-მეფისა, ბაგრატიანი“ (ახალი ქც II, 2018: 109).

ამ უკანასკნელ ფრაზას ახლავს გამომცემლის, ისტორიის დოქტორ **გონელი არახამიას** საყურადღებო შენიშვნა სქოლიოში: **სხვიტორულ (S) ნუსხაში სიტყვა „აფსართა“ გადახაზულია და მიწერილია სიტყვა „ასურთა“-ო** (ახალი ქც II, 2018: 109, სქოლიო).

ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსაზრება პირსახელ **ლაშას** მაინცდამაინც „აფსართა ენიდან“ მომდინარეობის შესახებ **არ გაუზიარებია ახალი „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სხვიტორული (S) ნუსხის გადამწერს, თუ მკითხველს**, რომელსაც XVIII საუკუნის დასაწყის წლებში მოქმედი სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შედგენილ ახალი „ქართლის ცხოვრების“ ფრაზაში „**აფსართა ენითა**“ გადაუხაზავს სიტყვა „**აფსართა**“ და ჩაუწერია „**ასურთა**“. რეალურად კი ასირიულ (ანუ ასურთა) ენაზე ცნება „ნათელი“ სულ სხვა, **ბარა** და **ნურა** სიტყვებით აღინიშნება ([http://passyrian-dictionary.blogspot.com/blog-page\\_1199.html](http://passyrian-dictionary.blogspot.com/blog-page_1199.html)), მაგრამ თვით სიტყვის გადახაზვის ფაქტი გვიდასტურებს, რომ **იმდროინდელ განათლებულ საზოგადოებაში ყველას არ სჯეროდა საანალიზო პირსახელის აფსურთა წარმომავლობა**.

როგორც ჩანს, არც **ვახუშტი ბატონიშვილი** იზიარებდა სწავლულ კაცთა კომისიის მოსაზრებას **ლაშას** „აფსართა წარმომავლობის“ შესახებ, მაგრამ „სოფლისა განმანათლებლობა“ სადავოდ არ მიაჩნდა, უკეთ რომ ვთქვათ, მოსწონდა. ვახუშტი თამარ მეფის მიერ ლაშას შობასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა:

„...მიუდგა და შვა ძე **გიორგი** ქსა ჩრპგ, ქართულსა უგ და **დაურთეს კუალად ლაშა (რომელ არს განმანათლებელი)**“ (ქც IV, 1973: 179).

როგორც ვხედავთ, აქ ვახუშტი არ წერს, „აფსართა ენითა“-ო, არადა იგი სწავლულ კაცთა კომისიის შემქმნელის, მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟი იყო და მამისგანაც და კომისიის წევრებისგანაც უეჭველად ეცოდინებოდა კომისიის ყველა გადაწყვეტილება.

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც არის შეტანილი სიტყვა **ლაშა** შემდეგი განმარტებებით: „**ქვეყ(ა)ნის მანათობელი // ქვეყნის მანათობელად გამოითარგმანების**“ (საბა I, 1991, 408). ნიშანდობლივია ისიც, რომ **საბაც მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში** და მისი ლექსიკოგრაფიული განმარტება აშკარად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ჩანართი ფრაზიდან მოდის. ასახსნელია, რატომ შეიტანა საბამ წიგნში პიროვნების საკუთარი სახელი, როცა ქართველ მეფეთა არცერთი სხვა პოპულარული



ოფიციალური სახელი (გიორგი, დავით, ბაგრატ, ვახტანგ...) არ ჩანს ლექსიკონში. ვფიქრობთ, იმიტომ, რომ **ლაშა** მას **ოფიციალურ სახელადაც მიაჩნდა**, მაგრამ სიტყვათა კონის შემკრები მოხიბლა ამ სიტყვის ორიგინალურმა და სიმბოლურად გაგებულმა სემანტიკამ („სოფლისა მანათობელი“). თუ ვახუშტის **ფაქტები** აინტერესებდა ვითარცა **ისტორიკოსს**, საბას **სიტყვა** და მისი ჯადოსნური სამყარო იზიდავდა როგორც **ლექსიკოგრაფს**.

დღეს ზუსტად არავინ უწყის, რა კონკრეტულ ცნობებს ემყარებოდა ვახტანგ მეფის კომისია, როცა აფსართა ენას ასახელებდა პირსახელის პირველწყაროდ.

ამრიგად, განხილული მონაცემები საფუძველს გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოსატანად:

1. ქართული ეპიგრაფიკული მასალა (ტბისის VIII საუკუნის წარწერა), აფხაზ-აბაზათა შორის ამ სახელისა და მისგან მომდინარე გვარების გაუვრცელებლობა, პირსახელ **ლაშა**-საგან მომდინარე არაერთი ქართული გვარის არსებობა ადასტურებენ, რომ სახელი **ლაშა** არ არის აფსუური, იგი ქართული წარმოშობისაა;

2. ეს სახელი ქართულ სინამდვილეში დასტურდება იმ დროს (VIII ს.) და იმ ადგილას (ქვემო ქართლში), როცა და სადაც აფსუებს არ შეემლოთ მისი გავრცელება;

3. ჩანართი ფრაზა „**ლაშა, რომელი სოფლისა განმანათლებელად ითარგმანა**“ „ქართლის ცხოვრებაში“ პირველად გაჩნდა XIII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ და არა უგვიანეს 1646 წლისა, იგი აფსუურ საზოგადოებასთან ნათესაურად დაკავშირებული პირ(ებ)ისგან უნდა გავრცელებულიყო სამეფო კარზე. იმის გათვალისწინებით, რომ აფსუათა მასა ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განსახლდა XVI საუკუნიდან, უფრო მოსალოდნელია, რომ სამეფო კარზე ეს მცდარი ცნობა გავრცელდებოდა XVI საუკუნეში, ან XVII საუკუნის პირველ მესამედში, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ გადაწერამდე. ინტერპოლატორს მიზნად ექნებოდა თამარის ვაჟის ხოტბა-დიდების გამყარება თვით ლაშას სახელის სიმბოლური სემანტიკის ხაზგასმის გზითაც. ჩვენი ვარაუდით, დანართი შეტანილია **მარიამ დედოფლის** კარნახით, მარიამმა კი სახელის „აფსუური სემანტიკა“ თავისი რძლისაგან – **თანური (თამუნია) შარვაშიძისაგან** გაიგო;

4. შესიტყვება „**აფსართა ენითა**“ არცერთ ნუსხაში არ არსებობდა ახალი „ქართლის ცხოვრების“ შედგენამდე, ანუ XVIII საუკუნის 10-იან წლების ბოლომდე;

5. უდავოა, რომ ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ ახალ „ქართლის ცხოვრებაში“ აფსართა ენის ხსენების ჩართვას არ ეთანხმებოდნენ სხვიტორული (S) ნუსხის გადამწერი, ვახუშტი ბატონიშვილი და სულხან-საბა ორბელიანი;

6. „ქართლის ცხოვრების“ ორი სხვადასხვა დროის ჩანართის არსებობა მხარს არ უჭერს ვარაუდს, თითქოს XII-XIII საუკუნეებში საქართველოს სამეფო კარზე აფსუა დიდებულებს მძლავრი გავლენა ჰქონდათ. ამ დასკვნისათვის მატანეებში არანაირი მონაცემები არ არსებობს.

გასარკვევი კიდევ ბევრი რჩება, მაგრამ გვსურს, ერთ ნიშანდობლივ ფაქტს მივაქციოთ ყურადღება:

ისტორიკოსმა **გიორგი ამიჭბამ** 1988 წელს გამოსცა წიგნი, რომელშიც შეტანილია ქართული ისტორიული წყაროების ცნობები აფსუებისა და აფხაზეთის შესახებ რუსული თარგმანითურთ. ლაშას სახელის შესახებ გ. ამიჭბა იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული 1959 წლის გამოცემას, სადაც ქართველ გამომცემელს **კვადრატულ ფრჩხილებში** აქვს მოქცეული სიტყვები „**აფსართა ენითა**“, მაგრამ გ. ამიჭბას **მოუცილებია ეს ფრჩხილები და ძირითადი ტექსტის ორგანულ ნაწილად უქცევია ეს ორი სიტყვა**, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ს. ყაუხჩიშვილს შეცდომით ორი ხელნაწერი აქვს დასახელებული, სადაც თითქოს წერია ეს სიტყვები, თუმცა იმავე ს. ყაუხჩიშვილს ტომის ბოლოში დართულ სამიბელებში, 636-ე გვერდზე **სრულებით გარკვევით უწერია**: „ა ფ ს ა რ ნ ი (ერთ-ერთი ქართველი ტომი დასავლეთ საქართველოში): ...ლაშასა, რომელი განმანათლებელად სოფლისა ითარგმანა ა ფ ს ა რ თ ა ენითა 58,4“. სამწუხაროდ, გ. ამიჭბამ მარტივი მანიპულაციით, კვადრატული ფრჩხილების მოხსნით „დააძველა“ გვიანდელი ჩანართი და ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა მკითხველს, თითქოს სინტაგმა „აფსართა ენა“ იმთავითვე ეწერა მატიანის ტექსტში. სამწუხაროდ, წიგნის რედაქტორმა, პროფ. ედიშერ ხომტარია-ბროსემ ან ვერ შენიშნა ეს დაუსაბუთებელი სიახლე, ანდა მას „...არ გასვლია მართალი“.

### ლიტერატურა

**ამიჭბა 1988** – Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба. Тбилиси.

**ანჩაბაძე 2021** – გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები უძველესი დროიდან 1918 წლამდე. წიგნში: აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში. თბილისი.

**ახალი ქც II, 2018** – ახალი ქართლის ცხოვრება. ვახტანგისეული რედაქცია. ტომი II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბილისი.

**ბერძენიშვილი 1990** – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. მეორე გამოცემა. თბილისი.

**ბოჭორიძე 1994** – გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბილისი.

**კასლანძია 2005** – В. А. Касландзия, Абхазско-русский словарь, т. 1. Сухум[ი].

**კასლანძია, ჯონუა 2011** – В. А. Касландзия, Б. Г. Джонуа, Абхазско-русский, русско-абхазский словарь, Сухум[ი].

**ლომთათიძე 2006** – ქ. ლომთათიძე, მცირე შენიშვნა **ლაშა** სახელთან დაკავშირებით. „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XVII, 2006 წ. 2-5 მაისი. მასალები“. თბილისი.

**მაისურაძე 1981** – ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები). თბილისი.

**ნარკვევები 2007** – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი.

**რუსულ-ასირიული ლექსიკონი** – [http://passyrian-dictionary.blogspot.com/p/blog-page\\_1199.html](http://passyrian-dictionary.blogspot.com/p/blog-page_1199.html).

**საბა I, 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

**სილაგაძე, თოთაძე 1997** – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი.

**სილოგავა 1980** – ვ. სილოგავა, ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო. V-XI სს. თბილისი.

**ქსმ III, 1970** – ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი.

**ქც 1906** – ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა N79. ტფილისი.

**ქც II, 1959** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი.

**ქც IV, 1973** – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი.

**ქც 2008** – ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი.

**შაყრილი, კონჯარია 1986** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Словарь абхазского языка, Первый том. Сухуми.

**ჩახრუხაძე, თამარიანი** – <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/44.thamariani.pdf>

TEIMURAZ GVANTSELADZE

## **The First Name *Lasha* and Historiographical-Philological Issues of the Text of “Life of Kartli”**

### **S u m m a r y**

According to some Georgian historians and all their Abkhaz (Apsua) colleagues:

1. The name **Lasha** is Apsua and in this language, it means "the illuminator of the world", i.e., luminary;

2. The Apsua people lived on the land of present-day Abkhazia even in the 12th-13th centuries;

3. They had great influence at the court of the kings of united Georgia.

We believe that these three conclusions are based on a methodologically flawed textological, historiographical and linguistic analysis of this particular anthroponym and historical sources, and therefore a new explanation needs to be sought and substantiated. In the paper, we present the results of both the etymological research of the name **Lasha** and the textological analysis of Georgian written sources. The main conclusions are as follows:

1. Georgian epigraphic material (the 8th century inscription of Tlisi, in which the name **Lasha** is mentioned for the first time), the non-spreading of this name and surnames derived from it among Abkhaz-Abazas, the existence of several Georgian surnames derived from the base of the name **Lasha** (**Lashauri**, **Lashadze**, **Lashaberidze**, **Lashisshvili**) confirm that the name **Lasha** is not Apsua, it is of Georgian origin;

2. This name is attested in Georgian reality at the time (VIII century) and in the place (Kvemo Kartli), when and where Apsuas could not spread it;

3. The phrase "**Lasha that is translated as the light of the world**" appeared in one manuscript of "Life of Kartli" for the first time after the second half of the 13th century, no later than 1646 (this information is not written in the contemporary second chronicle of King Giorgi-Lasha!). We think that it was spread to the royal court from a person related to the Apsua society. Considering the fact that a big number of Apsuas settled in the territory of present-day Abkhazia from the 16th century, it is more likely that this false information spread to the royal court in the 16th century, or in the first third of the 17th century, before the rewriting of Giorgi-Lasha's contemporary second chronicle. The interpolator would aim to praise the prince by emphasizing the symbolic semantics of the name Lasha;

4. The syntagm "**in the language of the Apsars**" in the discussed appendix did not exist before the compilation of the new "Life of Kartli", that is, until the end of the 10s of the 18th century. Undoubtedly, the inclusion of the mention of the language of Apsars in the new "Life of Kartli" by the commission of Vakhtang VI was disagreed by the copyist of the Skhvitori (S) list, historian Vakhushti Bagrationi and writer and lexicographer Sulokhan-Saba Orbeliani, who lived and worked in the 17th-18th centuries;

5. The existence of two different time inserts of "Life of Kartli" does not support the assumption that Apsua nobles had a strong influence on the royal court of Georgia in the 12th-13th centuries. There is no data in the annals for this conclusion.

გიორგი გოგოლაშვილი

**მწერალი, პერსონაჟი და გრამატიკულ  
პირთა მონაცვლეობა...**

ამ თემაზე ბასილ მელიქიშვილის შემოქმედების გაცნობამ დამაფიქრა. ვამბობთ, ნაწარმოები „დაწერილია მესამე პირში“; ან: ნაწარმოები „დაწერილია პირველ პირში“... ვინ არის „მესამე პირი“ ან „პირველი პირი“? აქ რაღაც გასარკვევია: „პირველ პირში დაწერილ“ ნაწარმოებში პირველ პირად მწერალი იგულისხმება (ვინც მოგვითხრობს ამბავს); „მესამე პირში დაწერილ“ ნაწარმოებში მესამე პირად პერსონაჟები მოიაზრებიან (ვის ამბავსაც მოგვითხრობენ), თუ მწერალია (მთხრობელი) მესამე პირი?... დავაზუსტოთ.

\*\*\*

გავიხსენოთ, აკაკი შანიძე როგორ გვაცნობს გრამატიკულ პირთა სისტემას: „პირი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა...“ და მერე: „პირველ პირად რომ მივიჩნიოთ მოუბარი, მაშინ ვისაც ეს მოუბარი მიმართავს, მეორე პირი იქნება, ხოლო ვინც ან რაც ამ პირების გარეშეა, მესამე პირი გამოვა“ (შანიძე 1973, 167).

ანუ: I და II პირი ერთ **სასაუბრო სივრცეშია** წარმოდგენილი (აქ, აქაური), III – **სხვა სივრცეში** (იქ, იქაური).

გრამატიკამ ეს მარტივად დაალაგა.

მწერალმა?

ე. წ. მე-3 პირში დაწერილ ნაწარმოებში ორი სივრცეა: ა) სივრცე, სადაც მოქმედებენ პერსონაჟები (ისინი) და ბ) სივრცე, სადაც „იმყოფება“ მწერალი (ის). პირობითად მოქმედების სივრცეს დავარქვათ „პირველი სივრცე“; სადაც მწერალი იმყოფება – „მეორე სივრცე“... პირობითობა იმაშია, რომ „მესამე პირში“ დაწერილ ნაწარმოებში „პირველ სივრცეში“ მყოფთათვის მწერალი მესამე პირია; ასეა „მეორე სივრცეში“ მყოფთათვისაა „პირველ სივრცეში“ მყოფები მესამე პირები (ამ – პირველ – სივრცეში მყოფნი ერთი მეორისათვის არიან პრველ-მეორე პირები)...

როცა ვამბობთ, „მესამე პირშია დაწერილი“ ნაწარმოები ან „პირველ პირშია დაწერილი“ ნაწარმოები, აღქმა ხდება „პირველი სივრციდან“ (მოქმედ პირთა სივრციდან): მწერალი თუ ამ სივრცეშია, „პირველ პირშია დაწერილი“

---

\* წაკითხულია მოხსენებად ვარლამ თოფურის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე (თსუ. 08. 01. 2023).

ნაწარმოები; თუ მწერალი სამოქმედო სივრცის მიღმა („მეორე სივრცეშია“), ვამბობთ, „მესმე პირშია დაწერილი“ ნაწარმოები...

ლოგიკური კითხვა: ვინ არის ის „პირველი პირი“ ან „მესამე პირი“? – მწერალი? ეს კითხვა განსაკუთრებით „პირველი პირის“ მიმართაა საინტერესო: – ვინ თხრობს? – მწერალი?

მე არ ვგულისხმობ ავტობიოგრაფიულ თხზულებებს (მაგ.: ოტია იოსელიანის „ჩემი ასავალ-დასავალი“ თუ რევაზ ინანიშვილის „თოჯინის თვალით“ და სხვა...), მითუმეტეს, მემუარულ ლიტერატურას (ვთქვათ, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზა-ზე“, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“ და სხვა...)... მე ვსაუბრობ „პირველ პირში დაწერილ“ „ჩვეულებრივ“ მხატვრულ ლიტერატურაზე.

მოკლედ, ვინ არის ეს „პირველი პირი“?

პირველ პირში დაწერილი რომანია „დიონისოს ღიმილი“; ფინალში კონსტანტინე გამსახურდია საგანგებოდ გვაფრთხილებს: „დასასრულ, ერთი სათხოვარი მკითხველისადმი: მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფა“ (გამსახურდია 1961, 950)... ე. ი. „მე“ არ არის ავტორი...

სხვაგვარი ვითარებაა „მთვარის მოტაცებაში“; ამ რომანში კ. გამსახურდია, თავად ავტორი, თვლის საჭიროდ მიანიშნოს, რომ „მე“ არის **მწერალი**; რომანის მესამე კარში, სადაც პირველ პირში გადავიდა თხრობა, ავტორი საკუთარი სახელითა და გვართ შემოდის სამოქმედო სივრცეში; გავიხსენოთ დიალოგი ჯვარელ ცხენის დალაღთან – ჯოკიასთან:

„თქვენ ხომ არა ხართ ჯოკია?“

„თქვენი გამარჯობა, პატონსქუა“, ენის მობრუნება არ მაცალა: მე თქვენ გეძებდითო“.

„??? თქვენ რა იცით, მე ვინა ვარ?“

„მე ყველას ვიცნობ, კონსტანტინე გამსახურდია ხართ, არა?“

„დიახ, მე გახლავართ“. (გამსახურდია 1958, 499).

არაერთი ნაწარმოები აქვს დაწერილი პირველ პირში ნოდარ დუმბაძეს. ზოგან პერსონაჟი საკუთარი სახელ-გვართ შემოჰყავს: ზურიკელა ვარშალომიძე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ავთანდილ ჯაყელი („ნუ გეშინია, დედა“), ზაზა ნაკაშიძე („თეთრი ბაირაღები“)... ზოგან არ ჩანს სახელი მთხრობელისა („სასაფლაო“...); ზოგანაც საჭიროდ მიუჩნევია, მთხრობელისათვის („მე“-სთვის) ნოდარი დაერქმია („დიდრო“, „ნუ გააღვიძებ“)... ეს უკანასკნელი შემთხვევა ხაზგასმა იმისა, რომ („მთვარის მოტაცებისა არ იყოს“) მთხრობელი ნაწარმოების ავტორია...

მალიან საინტერესოა რევაზ ინანიშვილის აზრი „პირველ პირში დაწერილ“ ნაწარმოებში წარმოდგენილ „მე“-ს შესახებ. პირველ პირში მოთხრობილი თავისი ერთ-ერთი მინიატურის შესახებ მსჯელობისას რეზო ინანიშვილი წერს: „ვინ არის ცხენიდან ჩამოვარდნილი, ნათრევი, დაჩეჩქვილი, ისიც თუ შეთვის მთებში? „მე“ პირველი პირი თითქმის არაფერს ნიშნავს, არ შეიძლება გაიგივდეს იგი არც ავტორთან, რადგან სიტყვა „ავტორი“ კონკრეტულს ვერა-

ფერს წარმოადგენინებს განსაკუთრებით მკითხველთა ფართო წრეს; ამ წრის-თვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ ნაწარმოებიდან ამომავალ სახეს, მის სოციალურ საწყისს“ (ინანიშვილი 1978, 3)... საგულისხმო მსჯელობაა...

ამ მაგალითთა გათვალისწინებით „მე“-ს (ავტორ-პერსონაჟის) მწერალ-თან გაიგივება ყველა შემთხვევაში არ მოხერხდება.

„მთვარის მოტაცების“ იმ ეპიზოდში, სადაც ავტორი პირველ პირად შემოდის; მის მიერ გადმოცემულ ამბავს კ. გამსახურდია „სათხრობს“ უწოდებს: „მომიტევით გრძლსიტყვაობა და მე მინდა კვლავ მივუბრუნდე ჩემს სათხრობს“ (გამსახურდია 1958, 497). ავტორ-პერსონაჟის მიერ გადმოცემულ ამბავს თუ „სათხრობი“ შეიძლება ვუწოდოთ, ავტორ-პერსონაჟი შეიძლება **მთხრობელად** მოვიხსენიოთ. ვფიქრობთ, ეს ნეიტრალური ტერმინი უფრო შესაფერისია, ამ შემთხვევისათვის, ვიდრე „მწერალი“... ჩვენ ამ ნარკვევში „მწერალს“ ჩავანაცვლებთ სიტყვით „მთხრობელი“.

მამ ასე, თუ მთხრობელი არ არის სამოქმედო სივრცეში („პირველ სივრცეში“), ვამბობთ, ნაწარმოები „დაწერილია მესმე პირში“. თუ მთხრობელი არის სამოქმედო სივრცეში, ვამბობთ, ნაწარმოები „დაწერილია პირველ პირში“... ისეთი შემთხვევაც არის, როცა მთხრობელი სამოქმედო სივრცეშია, მაგრამ არ არის პერსონაჟი; ამ შემთხვევაში არ ჩანს „მე“; ფიგურირებს „შენ/თქვენ“; ეს უმთავრესად პოეზიაშია (მაგ., გალაკტიონის „მესაფლავე“, ვაჟა-ფშაველას „არაგვს“ და სხვა...); ასეთ შემთხვევებზე ზოგჯერ ამბობენ, „მეორე პირშიაო დაწერილი“... პროზაშიც დასტურდება მსგავსი ვითარება... ამგვარი შემთხვევების შესახებ გვექნება ქვევით საუბარი, არ გამოვიყენებთ ტერმინად „მეორე პირშიაო დაწერილს“; ეს ვარიანტია პირველ პირში დაწერილი ნაწარმოებისა, ოღონდ „არ ჩანს“ პირველი პირი...

მამ ასე: მთხრობელი შეიძლება იყოს პირველი პირიც და მესამე პირიც; მთხრობელი შეიძლება იყოს პერსონაჟიც და „ოდენ მთხრობელიც“... მთხრობელი შეიძლება შეიცვალოს და რაც ყველაზე მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება, მთხრობელის პირი შეიძლება შეიცვალოს...

\*\*\*

მთხრობელთა მონაცვლეობის ურთულესი ვარიანტია ჭაბუა ამირეჯბის „დათა თუთაშხია“. ურთულესი თავად ავტორისათვის: ენობრივი თვალსაზრისით მწერალმა უნდა შეძლოს, აჩვენოს მთხრობელთა შორის სტილებრივი განსხვავებაც და შეინარჩუნოს მთავარი და არსებითი; ის საერთო, რაც ნაწარმოებს აძლევს ერთიან ენობრივ სახეს... რამდენადაც ვიცი, ამგვარი კვლევა-ძიება არ ჩატარებულა...

პირველ პირში დაწერილ ნაწარმოებთაგან საინტერესო ვარიანტია ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“; აქ ინტერესს პირთა მონაცვლეობაც იწვევს: იწყებს მთხრობელი (ავტორ-მთხრობელი) თხრობას **პირველ პირში**; გაბრიელი ამ დროს მესამე (ხან მეორე) პირია... მერე აგრძელებს პერსონაჟი (პერსონაჟ-მთხრობელი – გაბრიელი) ასევე **პირველ პირში** (ანუ პერსონაჟი იქცევა მთხრობელად; ამ დროს ავტორ-მთხრობელი უკვე მეორე პირია, იგულისხმება

მას უამბობს თავის ამბავს გაბრიელი, მაგრამ ეს მეორე პირი აღარ არის პერსონაჟი და ამთავრებს ისევ ავტორ-მთხრობელი პირველ პირში (პერსონაჟ-მთხრობელი გაბრიელი უკვე მეორე პირია და ა. შ.)... ჩვეულებრივ, ამ ტიპის ყველა ნაწარმოებში **მთხრობელი პერსონაჟიცაა...** თუ ამ ნაწარმოების ენობრივ-სტილისტურ ანალიზს შევყვებით, კითხვები გამრავლდება: – რატომ დაიწერა ეს მოთხრობა პირველ პირში? რატომ არ იწერება „კაცია-ადამიანი“ ან „ოთარაანთ ქვრივი“? რა თქვა ამით მწერალმა? ამგვარ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ ამჯერად მზად არ ვართ... არ არის ეს აქ ჩვენი მიზანი ჩვენ სხვა ვარიანტებზე გვსურს ყურადღების გამახვილება.

შევნიშნავთ: მთხრობელთა ცვლის, პერსონაჟების პირთა მონაცვლეობის საინტერესო ვარიანტებია „ვეფხისტყაოსანში“. ეს ცალკე საუბრის თემაა...

არის შემთხვევები, როცა მესამე პირში დაწერილ ნაწარმოებში მთხრობელი (მეორე სივრციდან) ცალკეულ ეპიზოდებში შედის სამოქმედო სივრცეში (პირველ სივრცეში), იქცევა პირველ პირად, პერსონაჟს (აქამდე რომ მე-3 პირი იყო) აქცევს მე-2 პირად, მაგრამ თავად არ ხდება პერსონაჟი...

როგორც ჩანს, მთხრობელის სივრციდან სივრცეში „მიმოსვლას“ და მთხრობელისა და პერსონაჟის „პირთა მონაცვლეობას“ მიზნობრივი ხასიათი აქვს... მთხრობელი აფრთხილებს, არიგებს, რჩევას აძლევს, თანადგომას უწევს პერსონაჟს...

პერსონაჟთა სამოქმედო სივრცეში მთხრობელის შესვლისა და მე-3 პირის პერსონაჟის მე-2 პირად „გარდაქმნის“ საინტერესო მაგალითები გვაქვს მიხეილ ჯავახიშვითან; – სტილისტურად უაღრესად საინტერესო...

მწერალი სხვადასხვა ვარიაციებს გვთავაზობს. „არსენა მარაბდელი“ ჩვეულებრივ „მესამე პირში დაწერილი“ რომანია. მაგრამ აქ არის პასაჟები, როცა მთხრობელი „შედის“ მოქმედ პირთა სივრცეში და იქცევა „პირველ პირად“; აქამდე რომ მესამე პირი იყო, ის პერსონაჟი (/პერსონაჟები) გარდაიქმნებიან „მეორე პირად(/პირებად)“... მაგალითი:

ჭიდაობის ეპიზოდში ვითარება დაიძაბა; მთხრობელი (პირველი პირი) აქამდე რომ მესამე პირი იყო, მიმართავს მეორე პირს:

„მაშ არსენა ჯერ არ წაქცეულა? მაშ რაღაც ამბავი უნდა მოხდეს. იქნება მარაბდელი რაღაც ფანდს ამზადებს? იქნება ბედი შეატრიალოს და საბარათი-ანოს აუგი ჩამორეცხოს?“ (ჯავახიშვილი 1961, 25)...

თუმცა კონკრეტულად ვის მიემართება ეს; ვინაა „მეორე პირი“? – მთხრობელი შევიდა პერსონაჟთა (პირველ) სივრცეში და „უხილავ მეორე პირს“ (და არა კონკრეტულ პერსონაჟს) უსვამს კითხვებს (თითქოს მეორე პირად საკუთარ თავს მოიპოვებს, ხმამაღლა ფიქრობს...)... საინტერესო ხერხია: ამ დროს მწერალი ისეთ დეტალებზე (ნიუანსებზე) ამახვილებს ყურადღებას და იმგვარად, მესამე პირში თხრობისას რომ ვერ დასვამდა... აქ მოყვანილი ამონარიდი (იმავე აზვაცში) ასე გრძელდება: „ხალხის ტალღამ უმაღლესი დაიწია...“ (მოხდა გადასვლა სივრციდან სივრცეში და დაბრუნება ისევ ძველ სივრცეში)...

სხვა ეპიზოდი „არსენა მარაბდელიდან“: არლოვის ბრძანებით ბასილა მაიორი დროშას წაეტანა... შექმნილი სიტუაციის სიმძაფრის ხაზგასასმელად



მთხრობელი სასწრაფოდ „გაჩნდა იქვე“ და ისევ „უჩინარი მეორე პირისადმი“ მიმართვით „განმარტავს“ ვითარების სიმწვავეს:

„ეს რა მიჰქარა ბასილა მაიორმა? ჰსურს დროშა ჩამოართვას? ვის, ბართაშვილებს და ორბელიანებს? კეთილი, მაგრამ ეს ალაში მარტო მათი ხომ არ არის! არა, მარტო მათი აღარ არის. არსენას პაპამ მახარა ოძელაშვილმა, ეხლაც რომ ცოცხალია და ამას წინათ ას-პირველში რომ გადადგა, ეს ალაში დიდ ზა-ალთან ერთად ორმოცდაათ წელს ატარა...“ (ჯავახიშვილი 1961, 29)...

ახლა წარმოვიდგინოთ: მთხრობელს მესამე პირში გაეგრძელებინა ეს ამბავი, მოეწოდებინა ეს ინფორმაცია – გაცილებით მეტ ფართობს დაიჭერდა და ტემპი, დინამიკა მოქმედებისა დაეცემოდა... ამად შეიყვანა მთხრობელი მ. ჯავახიშვილმა სამოქმედო სივრცეში... მერე ეს მონოლოგი ჩვეულებრივ გადაიზრდება „მესამე პირის“ თხრობაში... ყურადღება მივაქციოთ: „არსენა მარაბდელის“ შემთხვევაში „პირველი პირი“ მთხრობელია (მაგრამ არა პერსონაჟი), „მეორე პირი“ არ ჩანს...

ეს ერთი ვარიანტია მ. ჯავახიშვილთან მთხრობელის „მეორე სივრციდან“ „პირველ სივრცეში“ შესვლისა“ ...

მ. ჯავახიშვილთან არსებობს სხვა ვარიანტიც, როცა მთხრობელი შედის სამოქმედო სივრცეში, მესამე პირის პერსონაჟს წარმოვიდგენს **მეორე პირის** ფორმით და მიმართავს მას... მთხრობელი (კეთილისმსურველი) – აქეზებს, აფრთხილებს, ჭკუას არიგებს და მეორე პირიც ეპასუხება... მაგალითები „კვაჭი კვაჭანტირაძიდან“:

კვაჭი აქ მესამე პირია: „დარბის კვაჭი კვაჭანტირაძე ქუდმოგლეჯილი შიკრიკივით“...

მთხრობელი „მიდის“ კვაჭისთან; კვაჭი მეორე პირად იქცევა; მთხრობელი „გვერდით დაუდგება“, ამხნეებს, ასწავლის, არიგებს, აქეზებს:

ერთ აზნაცს მოვიყვან, როგორ ხდება სივრციდან სივრცეში გადასვლა. მწერალი სამოქმედო (პირველი) სივრცის გარეთაა (მეორე სივრცეშია), კვაჭი მესამე პირია. შუა აზნაცში მთხრობელი „მიდის“ სამოქმედო სივრცეში; კვაჭი უკვე მეორე პირია:

„რა ქნას კვაჭი კვაჭანტირაძემ? ვეღარ გაუძლო განზე დგომას, რადგან კვაჭიც ქართველია! კვაჭიც საქართველოს ერთგული შვილია – შეწევნითა ღვთისათა! – **დაიმკლავე, კვაჭი! აინთე ღვთაებრივი გული მამულიშვილური ცეცხლით! მოიგონე შენი ძლევა მოსილი სქემენი საარაკონი დემირ-თეფეს ზეგანზე და რუსეთის თვალუწვდენ მინდორზე, კიევის მახლობლად, (...) შეასრულე შენი ვალი სამშობლოს წინაშე, კვაჭი! (...)**“

ეს პასაჟი საკმაოდ ვრცელია.

„ჩქარა, კვაჭი, ჩქარა! თორემ მოდის თეთრი ტალღა! მოვა და წაჰლეკავს შენს „სიბუნეონსაც“ და სამშობლოსაც“...

მერე კვაჭი (მეორე პირი) შეეპასუხება „უჩინარ“ პირველ პირს (მთხრობელს):

”  
–

„– თეთრები უის მოგვიტანენ, წითლები ვაის შეგვეყრიან.“ – და მერე ისევ მთხრობელი:

„ეს არის შენი გადაწყვეტილება? მაშ რა გინდა?“... – ასე გრძელდება საკმაოდ ვრცელი დიალოგი მთხრობელსა ( I პირი) და პერსონაჟს ( II პირი) შორის...

შემდეგ მთხრობელი ბრუნდება მეორე სივრცეში, კვაჭი ისევ III პირია (მთხრობელიც):

„იმ დღეს, როცა ინგლისელთა უკანასკნელი ჯარი ბათომიდან უნდა გასულიყო, კვაჭი და ბესოც იქ იყვნენ“... (ჯავახიშვილი 1960, 341-345).

გრამატიკულ პირთა მონაცვლეობისა და მთხრობელის სივრციდან სივრცეში მიმოსვლის საინტერესო მაგალითი ვაჟა-ფშაველასთანაც დავადასტრეთ:

„სტუმარ-მასპინძელი“ მესამე პირში დაწერილი პოემაა. მთხრობელი მეორე სივრციდან ადევნებს თვალს და აღწერს, რა ხდება პირველ სივრცეში... და როცა ჯოყოლას გარიყავს თემი, დამლაპარაკებელიც კი აღარავინ ჰყავს და ხევსურები გამოილაშქრებენ ქისტეთზე, ავტორ-მთხრობელი „ტოვებს“ მეორე სივრცეს, „შედის პირველ სივრცეში და (უკვე პირველი პირი), გვერდით დაუდგება და ამხნევებს მეორე პირს – ჯოყოლას (რომელიც აქამდე მესმე პირი იყო) და მიმართავს მას:

„– კარში გამოდი, ჯოყოლავ,  
წყნარად ნუ სწევხარ კერასა,  
რამდენი ხალხი მოერტყა  
ჩვენისა მთების წვერასა!...  
წადი, უშველე თავისებს,  
მტრის დასახვედრად მორბიან,  
შენც ისე წადი, ჯოყოლავ,  
როგორაც სხვანი მოდიან!“ (...)

ჯოყოლა (მეორე პირად ქცეული) მიუგებს „უჩინარ“ მთხრობელს:

„– გაყვე? რას ამბობ, ჭკვათხელო?  
არ გამივლევენ ახლოსა!  
მარტოკამ უნდა ვიომო,  
მთელმა ჯარეგამ ნახოსა,  
ვინ ერთგულია, ვინ არა,  
ქვეყანამ დაინახოსა!“ (...)

მთხრობელი დაბრუნდება მეორე სივრცეში... და განაგრძობს პირველ სივრცეში მიმდინარე მოქმედების აღწერას...

ასეთი ეპიზოდი სხვაგვარა: მარტოდარჩენილ ალაზასთან „მიდის“ მთხრობელი და თანაუგრძნობს, არიგებს (აქაც „მიმოსვლა“ ხდება სივრციდან სივრცეში, იცვლება მთხრობელისა და პერსონაჟთა პირებიც);

„– უცხოს კაცისა მოზარევ,  
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია,  
წადი, იტირე, ალაზავ,  
სამარეს მიაზარია...“ (...)

უკვე მეორე პირი ალაზა შესჩვილებს პირველ პირად ქცეულ მთხრობელს;

„– მენს მტერსა ისეთი ყოფნა,  
რო ჩემი ყოფნა მწარია...“ (...) (ვაჟა-ფშაველა 1964, 230-234)

მთხრობელი მერე ისევ ბრუნდება თავის სივრცეში...

(ამ ფაქტზე მიმითითა მწერალმა თამაზ ხმალაძემ; მადლობა მას ამისათვის)...

მთხრობელის მსგავსი „მიმოსვლისა“ და „პირთა მონაცვლეობის“ საინტერესო მაგალითი დასტურდება თვით თამაზ ხმალაძის ერთ ადრეულ მოთხრობაში – „სისხლი“ (ხმალაძე 1985)...

მთხრობელის „მიმოსვლა“ სივრციდან სივრცეში და „გრამატიკულ პირთა მონაცვლეობა“, როგორც სტილისტური ხერხი, ვფიქრობთ, აქ დამოწმებულ შემოქმედთა ენობრივ-სტილისტური ანალიზისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული...

ამ თემაზე სხვაც შეიძლება თქმულიყო; მაგ., „გივი შადური“ იძლევა საინტერესო მასალას მსჯელობისათვის; საერთოდ მ. ჯავახიშვილის სტილი ამ მხრივ (და სხვა მრავალი თვალსაზრისითაც) შესასწავლია...

\*\*\*

ზემოთაც ვთქვი: ამ თემაზე ბასილ მელიქიშვილის პროზამ დამაფიქრებელია.

ჩემდა სამწუხაროდ, ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებას ადრე არ ვიცნობდი. ხელთა მაქვს მისი წიგნი „თურმანი“ (მელიქიშვილი 2021). სურათიდან ახალგაზრდა კაცი შემოგვყურებს მრავლისმეტყველი თვალებით... და იქვე ძუნწი ბიოგრაფიული ცნობა: „დაბადების თარიღი: 2 ოქტომბერი, 1904. გარდაცვალების თარიღი: 24 აპრილი, 1930 (25 წლის ასაკში)“... კრებულს ერთვის რამდენიმე საინტერესო წერილი მწერლის შესახებ... ამონარიდი როსტომ ჩხეიძის ესეიდან:

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბასილ მელიქიშვილის შემოქმედების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად გავიაზროთ XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ლიტერატურა; საერთოდ ჩვენი მწერლობის მაგისტრალური ხაზი“ (ვიმოწმებ წიგნიდან: ბ. მელიქიშვილი, თურმანი, 2021, გვ. 269).

ფაქტია, ბასილ მელიქიშვილს, როგორც მწერალს, ასაკობრივი შეღავათი არ სჭირდება! (მისი ხახელი მიჩქმალული იყო მისი საინტერესო ბიოგრაფიის გამო...).

ბ. მელიქიშვილი ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მწერალია; ჩვენ ამჯერად მხოლოდ ერთ თემაზე შევჩერდებილ:

**თხრობის დროს მთხრობელის (მწერლის) „მიმოსვლა“ სივრცეთა შორის და პერსონაჟების გრამატიკულ პირთა ცვლა...** – ეს სტილისტური ხერხი არის ძირითადი მახასიათებელი ამ მწერლის მხატვრული შემოქმედებისათვის... ამის თაობაზე ვისაუბრებ...

\*\*\*

ამ სტილისტური საშუალებების გამოყენება ბ. მელიქიშვილთან არ არის ისეთი ეპიზოდური ხასიათისა, როგორც ვაჟა-ფშაველასთან თუ მიხეილ ჯავახიშვილთან; ეს ხერხი ორგანულადაა ჩაქსოვილი მთელ ნაწარმოებში; გასდევს მთელ ნაწარმოებს; უაღრესად შთამბეჭდავი სურათი იხატება...

ბასილ მელიქიშვილთან **სიტუაციის სიმძაფრე და პერსონაჟის ვინაობა (რაობა) განსაზღვრავს მთხრობელის პოზიციას: რომელ ენობრივ სივრცეში იყოს, საიდან „ადევნოს თვალი“ მოქმედებას; ვის სჭირდება მეტი თანადგომა, გამხნეება, შეშველება... ფაქტობრივ, ზმნის პირთა მონაცვლეობით გვაწვდის დამატებით ინფორმაციას, თუ როგორ უყურებს, როგორ აღიქვამს, როგორია მთხრობელის დამოკიდებულება პერსონაჟისადმი; ვინ არის ღირსი თანადგომისა; თუნდაც, ვისადმი არის მთხრობელი კეთილგანწყობილი.....**

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ენის როგორი გრძნობა უნდა ჰქონდეს მწერალს (მთხრობელის), ზმნაში წარმოჩენილ პირთა მიმართ ურთიერთობები ასე არეგულიროს თხრობისას პირთა ცვლით... ეპითეტთაგან ამ „**მიმოსვლას**“ ალბათ ყველაზე მეტად **ლადი** შეჰყვების...

უეჭველია, ეს ხერხი არაა **ბასილ** მელიქიშვილის „გამოგონება“; სხვა რომ არა, იგი აღმერთებდა ვაჟა-ფშაველასა და მიხეილ ჯავახიშვილს... არ შეიძლება, ეს შემჩნეული არ ჰქონოდა; იგი ამუშავებს და აქცევს მნიშვნელოვან სტილურ მახასიათებლად თავისი პროზისა...

\*\*

მაგალითისათვის მოკლედ განვიხილავთ ბ. მელიქიშვილის მოთხრობას – „**მკერდშებოლილი მერცხალი**“ ...

გავიხსენოთ ზემონათქვამი სასაუბრო სივრცეთა შესახებ.

ბასილ მელიქიშვილის ეს მოთხრობა, ასე ვთქვათ, მესამე პირშია დაწერილი; მაგრამ ორიგინალური ისაა, მთხრობელი მთელი მოთხრობის მანძილზე **სისტემატურად „მიმოდის სივრცეთა შორის“**; როგორც ითქვას, ამ „მიმოსვლას“ არა აქვს ეპიზოდური ხასიათი.. ამ „მიმოსვლას“ თავისი კანონზომიერება აქვს; ერთი და იგივე პერსონაჟი მთხრობელისათვის ხან **მესამე პირია** და ხან – **მეორე**. თუ სწორად ვამბობ: მწერალი საუბრობს, ვთქვათ, თორელზე; იგი ხან **მეორე პირადაა** წარმოდგენილი, ხანაც – **მესამე პირად**; ზოგჯერ ერთსა და იმავე თავშიც, ერთსა და იმავე ეპიზოდშიც კი... ანუ მთხრობელი ხან „შორიდან“ (მეორე სივრციდან) უყურებს მოვლენების განვითარებას; აღწერს პირველ სივრცეში მყოფ პირთა ამბებს; თითქოს არ ერევა მის საქმეში, მხოლოდ აღწერს მოქმედებას; ხანაც პერსონაჟის გვერდით დგას (ერთ სასაუბრო სივრცეში არიან) და ეს „გადასვლა“ ხდება ბუნებრივად, თითქოს იდუმალად, სხვა პერსონაჟთაგან „შეუმჩნევლად“; მართალია, მთხრობელი და პერსონაჟი ხშირად ერთ (პირველ) სივრცეში არიან, მაგრამ პირველი პირი „მე“ არ მოქმედებს, არ მონაწილეობს მოქმედებაში... არსებითია ისიც, რომ „მეორე პირი“ – პერსონაჟი – თითქოს ვერ ამჩნევს „პირველ პირს“, არასოდეს შეეპასუხება მას (განსხვავებით კვაჭი კვაჭანტირაძისაგან თუ ვაჟა-ფშაველას გმირებისაგან)... არაა მთლად ჩვეულებრივი ეს მოვლენა ჩვენს მწერლობაში და ამიტომაც ამ ვითარების აღწერა (ჩვენ მიერ მოვლენის ახსნა) შეიძლება მთლად ზუსტი (და ზოგჯერ დამაჯერებელიც) არ მოეჩვენოს მკითხველს...

რაც ვთქვი, ეს ასეც შეიძლება გამოითქვას: **მთხრობელი გარკვეულ პასუხისმგებლობას გრძნობს პერსონაჟთა მიმართ, ზრუნავს მათზე და საჭიროებისამებრ „მათ გვერდითაა“**. ეს გვერდით დგომა გამოიხატება იმით, რომ პერ-

**სონაჟი იქცევა გრამატიკულად მეორე პირად (მთხრობელი – პირველ პირად)...** მთხრობელი თითქოსდა ვალდებულებას იხდის... და ეს არ ეხება მხოლოდ ერთ პერსონაჟს... და არ ხდება მხოლოდ ერთ ნაწარმოებში...

თქმული ასეც შეიძლება დაზუსტდეს: **მთხრობელი გაფაციცებით ადევნებს თვალს პერსონაჟთა მოქმედებას; ვის გვერდითაც ჩათვლის საჭიროდ ყოფნას (თანადგომისთვის, გამხნეებისთვის, წაქეზებისთვის, გაფრთხილებისთვის...), მას აქცევს მეორე პირად... ჩვეულებრივ ეს ის პერსონაჟია, ვის მიმართაც მთხრობელს კეთილი დამოკიდებულება აქვს** (თუმცა არა ყოველთვის – მაგ., „ქვირინაში“ ერთ ეპიზოდში გაბოროტებულ ადამიანებთანაა...).

თუ გასაგებად ვთქვი, შევეცდები უფრო თვალსჩინო გავხადო ეს სტილისტური ხერხი კონკრეტული მაგალითით. გავყვეთ თხრობას.

\*\*\*

იწყება მოთხრობა „მკერშებოლილი მერცხალი“.

**მთხრობელი ხვედას** შესახებ გვესაუბრება; ხვედას დაჰყვება. მაგრამ სხვადასხვა სასაუბრო სივრცეში არიან (ხვეია პირველ სივრცეშია, მთხრობელი – მეორეში); ხვედია **გრამატიკულად მესამე პირია** (ანუ მთხრობელი საუბრობს მესამე პირის შესახებ):

*„ხვედიამ ლიტრა რცხილის ჯაგს მიაბა ამოქნილ წნელითა – წყლით სავსე ლიტრა რომ არ დაჰგორებოდა (მას – გ.გ.). მისი (ხვედასი – გ.გ.) თვალი მოიტაცა ძირს გაწოლილმა სოფელმა. მის (ხვედას – გ.გ.) თვალთა წინ წამოტუზულიყო სოფლის კოშკი“... (გვ. 74).*

სოფელს ლეკები დაესხმიან თავს. თხრობა ისევ **მესამე პირში** გრძელდება; მთხრობელი ისევ „შორიახლო“ დაჰყვება ხვედას:

*„– რას სჩადის ციხე! – დაიდრიალა (ხვედიამ – გ.გ.) და კუდამოძუებული გაჰყვა (ხვედია – გ.გ.) ბრბოს ნამცვრევსა.“*

ამ მომენტამდე **ხვედია მესამე პირია**... ანუ მთხრობელი და პერსონაჟი **სხვადასხვა სასაუბრო სივრცეში** არიან...

მოთხრობაში მოვლენები ტრაგიკულად უნდა განვითარდეს და... მთხრობელი **იცვლის პოზიციას**; „გვერდით დაუდგება“ ხვედას; თითქოს ამხნეებს, თანადგომას უცხადებს... და ეს თანადგომა გამოიხატება ენობრივი საშუალებით – **„ხვედია გადაიქცევა მეორე პირად“** (გრამატიკულად); მთხრობელი მასთან „მივიდა“, მის სივრცეში ტრიალებს, მის გვერდითაა (ანუ პირველი პირია)...

მოთხრობა ასე გრძელდება:

„კვლავ თვალწინ **გიდგას** (შენ, ხვედას – გ.გ.) ქოსალები, **ხვედავ**, წინ **გიდგას** (შენ – გ.გ.) და **ჰფიქრობ** (შენ – გ.გ.)...“

– ხვედავ, ბალლი სად არის? – **გითხრა** (შენ) პელამა. **შეერთი** (შენ), მთაკაცო, გული **მოგეწურა** (შენ) ცეცხლწაკიდებულ ხოკერივითა...

– ბალლი სად არის?! – **იმეორებ** (შენ) ხვედავ, და **გარბიხარ** (შენ) ლელი-საკენ. იქ არის ლიტრა, იქვე იქნება ბალლიცა. თითქოს ქოსა ლეკი თან **დაგდევს** (შენ). აღარ **გასვენებს** (შენ), აღარ **გასვენებს** (შენ)!“

\*\*

ხვედია თავსდატეხილმა უბედურებამ სასოწარკვეთაში ჩააგდო; „აღარ უსმენს“ მთხრობელს; მარტო ერთი საფიქრალი გაუჩნდა – იპოვოს დაკარგული შვილი... და მთხრობელს „მიატოვებს“ ხვედია, „გაურბის“ მას, აღარ აინტერესებს მისი რჩევანი... გადის მისი სასაუბრო სივრციდან... ანუ ხვედია გრამატიკულად **მესამე პირად იქცა**... მოთხრობა ასე გრძელდება:

„– თორელო!.. თორელო... ო! – **ჰყვირის ხვედია**. პასუხი არ არის. სიჩუმეა. კვალი არსად სჩანდა“.

პერსონაჟის „გადაქცევა“ მესამიდან მეორე პირად და პირიქით (ასევე მთხრობელისა მესამე პირიდან პირველ პირად და პირიქით), როგორც ვთქვით, ბუნებრივად, შეუმჩნევლად ხდება... ბ. მელიქიშვილი ამ ენობრივ-სტილისტურ შესაძლებლობას საოცარი ოსტატობით იყენებს.

და ასეა მთელ მოთხრობაში.

მეორე თავის („თორელი“) დასაწყისში უკვე **თორელია მეორე პირია**; ახლა უკვე მთხრობელი „მის გვერდითაა“: ლეკთაგან გატაცებული ყმაწვილის გვერდით; თითქოს ამხნეებს; ცდილობს არ აგრძნობინოს მარტოობა, გაუადვილოს ყოფა... და ა. შ. ასე „ჩაიყვანს“ დაღესტანში მთხრობელი თორელს, დამოდვრავს: „ალბათ **შეეგუები** ლეკეთს, თორელო, ალბათ“ ... და დროებით „მიატოვებს“ – თორელი იქცვა „მესამე პირად“...

მთხრობელი მთიულეთში ბრუნდება, ხვედიასთან... მოთხრობა გრძელდება მესამე პირში... მერე ისევ დაღესტანში და ისევ შედის პირველ სივრცეში... კარგა ხანს **თორელი** ისევ **მეორე პირია**, თითქოს სანამ წამოიზრდება, სანამ დავაჟგაცდება მთხრობელი მის ენობრივ სივრცეში ტრიალებს, გვერდით უდგას, არ შორდება, მარტო ვერ ტოვებს...

თორელი წამოიზარდა და „მესამე პირად“ იქცა...

რალაც მომენტში **თუმბოლის** გვერდით აღმოჩნდება მთხრობელი; ერთ ეპიზოდში მთხრობელი მერცხლის ამბავს გვიყვება: „...**გადაფერდა მერცხალი**. მკერდშებოლილი **დასჭიკჭიკებს** ხან თორელს, ხან ბიწალასა.“ – აქ მერცხალი „მესამე პირია“. ეპიზოდი ასე გრძელდება: „მვირფასო **მერცხალო! შეგებოლა** გულმკერდი და **ჰვენესი**...“

ძირითადად კი მთხრობელი თორელის გვერდითაა... უცხოობაში ტყვედმყოფს იშვიათად „გაუშვებს ხელს“; და ასე ჩამოიყვანს საქართველოში; „ჰხედავ?! თორელო, ჩადის ციხე ძლივს მოსჩანს“...

მერე „მშობელ დედას – პელაის – ჩააბარა“ მთხრობელმა შვილი და თორელი **„იქცა მესამე პირად“**...

მაგრამ მოთხრობის ფინალში მთხრობელს ისევ „ებრალება“ თორელი: როცა თორელმა დაღესტანს მოისურვა წასვლა – „დეი უნდა ვნახო“... მთხრობელმა საჭიროდ მიიჩნია და **თორელი მეორე პირად იქცა**: მთხრობელი „გვერდით დაუდგება“ და თანაუგრძნობს თავის გმირს; ამშვიდებს, აფრთხილებს, აჩვენებს თავის ბედს: „დიახ, დეი **გინდა ნახო**, თორელო!... დეის **ველარა ნახავ**, **ველარა ნახავ!**“ – დასასრული...

\*\*

ენობრივ-სტილისტური საშუალებებით გამოხატული მსგავსი დამოკიდებულება მთხრობელსა და პერსონაჟებს შორის ქართულ მწერლობაში მე სხვა არ ვიცი...

**სიტუაციის სიმძაფრე და პერსონაჟის ვინაობა (რაობა) განსაზღვრავს მთხრობელის პოზიციას: რომელ ენობრივ სივრცეში იყოს, საიდან „ადევნოს თვალი“ მოქმედებას; ვის სჭირდება მეტი თანადგომა, გამხნეება, შეშველება... ფაქტობრივ, ზმნის პირთა ამგვარი მონაცვლეობით გვაწვდის დამატებით ინფორმაციას, თუ როგორ უყურებს, როგორ აღიქვამს, როგორია მთხრობელის დამოკიდებულება პერსონაჟისადმი; ვინ არის ღირსი თანადგომისა; თუნდაც, ვისადმი არის მთხრობელი კეთილგანწყობილი.....**

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ენის როგორი გრძნობა უნდა ჰქონდეს მწერალს (მთხრობელს), ზმნაში წარმოჩენილ პირთა მიმართ ურთიერთობები ასე არეგულიროს თხრობისას პირთა ცვლით...

\*\*\*

ეს – „მკერდშებოლილი მერცხალი“. ასე „მოგზაურობს“ მწერალი სასაუბრო სივრციდან სივრცეში სხვა ნაწარმოებებშიც... ამგვარადაა, მაგალითად, ყველაზე ვრცელ მოთხრობაში „თურმანი“ და ერთგვერდიან მინიატურაშიც „ქვირინა“...

ფაქტია: სტილისტური ხერხი (რომელსაც პირობითად ვუწოდებთ „თხრობის დროს მთხრობელის (მწერლის) „მიმოსვლა“ სივრცეთა შორის და პერსონაჟთა გრამატიკული პირის ცვლა“) საინტერესო მწერლური მიგნებაა და შესასწავლია...

## ლიტერატურა

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

## წყაროები

**მელიქიშვილი 2021** – ბ.მელიქიშვილი, თურმანი, თბილისი.

**გამსახურდია 1958** – კ. გამსახურდია, თხზულებანი რვა ტომად, ტ. I, თბილისი.

**გამსახურდია 1961** – კ. გამსახურდია, თხზულებანი რვა ტომად, ტ. V, თბილისი.

**ვაჟა-ფშაველა 1964** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბილისი.

**ინანიშვილი 1978** – რ. ინანიშვილი, ჩიტების გამომზამთრებელი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1960** – მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ექვს ტომად, ტ. III, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1961** – მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ექვს ტომად, ტ. IV, თბილისი.

**ხმალაძე 1985** – თ. ხმალაძე, მოლოდინი, თბილისი.

GIORGI GOGOLASHVILI

### **Writer, Character and the Alternation of Person Forms of the Verb**

#### S u m m a r y

According to the grammar rules the 1<sup>st</sup> and 2<sup>nd</sup> persons are linked to the same conversational space (here), whereas the 3<sup>rd</sup> person is associated with a different one (there).

As is known, the type of narration space with no writer/narrator present is referred to as the third person narrative. In cases when the writer/narrator is part of the character space described, two subtypes can be differentiated: (a) the narrator is a character (as it is in K. Gamsakhurdia's *The Smile of Dionysius*); (b) the narrator is not a character (as it is in G. Tabidze's poem *The Grave-Digger*). However, there is one more mixed variant: initially, the narrator describes the third person space, then s/he decides to 'enter' this space as a character; as a result, the third person character turns into the second person one and the 3<sup>rd</sup> person narrative transforms into the first-person narrative. Later, the narrator 'leaves' the narrative space and the situation is reversed. This technique aims at making the narrative sound more convincing (this is the case in K. Gamsakhurdia's *Stolen Moon*).

M. Javakhishvili suggests different variations of the mixed variant in question: (a) in his works the narrator does not turn into a character, however, he comments on a particular situation, showing its intensity; (b) the narrator appears next to certain characters supporting or encouraging them thus turning them into the 2<sup>nd</sup> person characters.

This alternation in the narrative techniques is interestingly realized in the works of the unjustly forgotten writer Basil Melikishvili (1904-1930). Unlike M. Javakhishvili's works where the mixed variant mentioned above is episodically evidenced, in B. Melikishvili's works it is of systematic nature. Melikishvili starts his narrative in the 3<sup>rd</sup> person, however, throughout the narration the narrative type undergoes different changes.

The acuteness of a particular situation and a character type determine the peculiarities of the narrator's perspective. The alternation of person forms of the verb gives the reader some additional information on the writer's attitudes towards his characters.



თამარ გუჩუა

**ლექსიკურ-გრამატიკულ ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია  
შესრულებით გამონათქვამებში<sup>1</sup>**

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თეორიამ პერფორმატივების (შესრულებითი გამონათქვამების) შესახებ ენის ფუნქციონირების საკითხი განსხვავებულად წარმოაჩინა და დაგვანახა, რომ ენის დანიშნულება ხშირად არა მხოლოდ ასახვა, არამედ მოქმედების ჩადენაცაა.

ტერმინი „პერფორმატივი“ (ლათ. *performo* – ვმოქმედებ, ვასრულებ) სამეცნიერო მიმოქცევაში ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯონ ოსტინმა შემოიტანა. მის მიერ 1952-1954 წლებში ჯერ ოქსფორდში, ხოლო 1955 წელს – ჰარვარდში წაკითხული ლექციები თემაზე „სიტყვა და მოქმედება“ ერთ სალექციო კურსად შეიკრა და 1962 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „როგორ ვიმოქმედოთ სიტყვებით“ (*How to do Things with Words*). ოსტინი პირველივე ლექციაზე სვამს შეკითხვას, არსებობს თუ არა ენაში ისეთი ოპოზიცია, როგორცაა პერფორმატივი-კონსტატივი და იქვე პასუხობს: „კონსტატიურ გამონათქვამს, როგორც მტკიცებას, ახასიათებს იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. პერფორმატიული გამონათქვამი კი არ შეიძლება იყოს ასეთი. მას თავისი მიზანი აქვს – მოქმედების განხორციელება“. ფილოსოფოსი წერს: „როცა საკუთხეველთან ვამბობ, „დიახ, თანახმა ვარ“, ამით ვინმეს კი არ ვატყობინებ ჩემი ქორწინების შესახებ, არამედ თავად ამ სიტყვებითვე ვმონაწილეობ საკუთარი ქორწინების იურიდიულ აქტში“ (ოსტინი 1961: 222; 1962: 3-7).

მართალია, დიდია ოსტინის წვლილი ამ რიგის გამონათქვამების კვლევის საქმეში და მას ჩვენ ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით, მაგრამ მანამ საკითხის დიაქრონიაში მიმოხილვისას აუცილებლად მიგვაჩნია ადვნიშნოთ, რომ ენებში პერფორმატიულობის კატეგორიის არსებობა ოსტინამდე გაცილებით ადრე იქნა შემჩნეული.

1890 წელს ჟურნალ *Ljubljanski zvon*-ის რამდენიმე ნომერში გაგრძელებით გამოქვეყნდა სლოვენელი ენათმეცნიერის, ლუკა პინტარის ვრცელი სტატია, სადაც ავტორი ზმნის დროისა და ასპექტის კატეგორიებზე საუბრისას შესრულებითი გამონათქვამების ტიპის შემთხვევებზეც ამახვილებს ყურა-

<sup>1</sup> კვლევა [PHDF-21-091] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

დღებას, მათ დიურატიულ (უწყვეტ) აწმყოს უწოდებს (*durativni sedanjiki*) და წერს: *გზუქნი, გთხოვნი, გაწოდებ* და სხვა მსგავსი ზმნების წარმოთქმით ჩვენ ვასრულებთ მოქმედებას (პინტარი 1890: 685-690). მსგავს ფორმებზე დაყრდნობით, პინტარი განარჩევს მოქმედების აქტის თანმხლებ და აქტზე მითითებულ ზმნებსაც. ფაქტობრივად, ეს ზმნური ფორმების სწორედ იმგვარი ოპოზიციაა, რომელსაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ოსტინი „პერფორმატივ-კონსტატივად“ მოიხსენიებს.

1903 წელს ჟურნალში „სლავური ფილოლოგიის არქივი“ (*Archiv für slavische Philologie*) გამოქვეყნდა კიდევ ერთი სლოვენური ენათმეცნიერის, სტანისლავ შკრაბეცის სტატია „სლოვენურ ენაში სრული და უსრული ასპექტის ზმნების გამოყენების შესახებ“ (*Zum Gebrauche der Verba perfectiva und imperfectiva im Slovenischen*). ავტორი სტატიაში რელიგიურ მსახურებასა თუ სასამართლო პროცესებზე გამოყენებულ სიტყვა-ფორმულებზე ამახვილებს ყურადღებას, მათ „აწმყო მოქმედებითს“ (*Praesens effectivum*) უწოდებს და შენიშნავს, რომ მსგავს გამონათქვამებში ზმნის გარშემო გაერთიანებული სიტყვებით ერთგვარი მოქმედება სრულდება, რომ შესრულებითობის პოტენციური მთლიანად ზმნაშია მოქცეული. მაგალითად, როცა ვამბობთ „გმადლობ“, „გპირდები“, „ვვიცავ“, „გირჩევ“, ამით შესაბამის მოქმედებებსაც ვასრულებთ. თუკი გამყიდველი ასახელებს ნივთის ფასს და მყიდველი პასუხობს „ვყიდულობ“, ამით ის მოქმედებს კიდევ (შკრაბეცი 1903: 554-556).

1934 წელს გერმანელი ენათმეცნიერი ერვინ კოშმიდერი სტატიაში „პოლონური ენის ზმნის ასპექტის შესწავლის მონახაზი: სინთეზის ცდა“ (*Nauka o aspektach czasownika polskiego w zarysie: próba syntezy*) ასპექტისა და დროის კატეგორიებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს შესრულებითი გამონათქვამების ტიპის შემთხვევებზე და მათ „კოინციდენციას“ (*koinzidenz*) უწოდებს. კოინციდენციაში კოშმიდერი გულისხმობს სიტყვისა და მოქმედების დამთხვევას, ოღონდ არა უბრალოდ აღწერითად და დროში დამთხვევის თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ სიტყვა, რომელიც ითქმის, არის კიდევ ის მოქმედება, რომელსაც აღნიშნავს. მაგალითად, თუკი გამონათქვამი „ვწერ“ არანაირად არ წარმოადგენს თავად წერის აქტს და უბრალოდ შეტყობინებაა მის შესახებ, გამონათქვამი „გთხოვ“ შესაძლოა თავად იყოს თხოვნის აქტი (კოშმიდერი 1962: 163).

1961 წელს ოსტინი „ფილოსოფიურ შრომებში“ (*Philosophical Papers*) ჩამოთვლის იმ გრამატიკულ კრიტერიუმებს, რომლებიც დაგვეხმარება გავარკვიოთ, გამონათქვამში მოცემული ზმნა არის თუ არა პერფორმატიული. ესენია: აწმყო დროის, პირველი პირის, მხოლოდობითი რიცხვის, მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს ფორმები. გარდა ამისა, შესრულებითი გამონათქვამების ზმნებს ახასიათებთ ასიმეტრიულობა პირისა და დროის კატეგორიების მიხედვით. საკმარისია, ნებისმიერი პერფორმატიული ზმნა გადავიყვანოთ სხვა პირში ან სხვა დროში, რომ ის პერფორმატიულობას დაკარგავს. ეს

ასიმეტრიულობა პერფორმატიულობის მნიშვნელოვანი გასაღებია (ოსტინი 1961: 228-229). მაგალითად, გამონათქვამი „მე გპირდები“ განსხვავდება შემთხვევისგან „ის გპირდება“ ან წარსული დროის ფორმისაგან „მე დაგპირდი“ იმიტომ, რომ, როცა ვამბობთ „მე გპირდები“, ამით ფაქტის შესახებ კი არ ვსაუბრობთ, არამედ პირობას ვიძლევი, დაპირების აქტს ვასრულებთ. აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, ოსტინამდე პერფორმატიულობის პრობლემა ფაქტობრივად ასპექტოლოგიების მიერ იქნა დამუშავებული, შესრულებითი გამონათქვამების კრიტერიუმების ოსტინისეულ ნუსხაში ასპექტის კატეგორია დასახელებული არ არის.

ის გარემოება, რომ შესრულებით გამონათქვამებში ზმნა პირველ პირშია, სავსებით ბუნებრივია, რადგან მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ზმნის პირველი პირის ფორმით წარმოთქმა ვერანაირად ვერ იქნება რომელიმე სხვა პირის მოქმედება. პერფორმატიულ გამონათქვამებს გამოარჩევს ის, რასაც 1966 წელს ფრანგი ენათმეცნიერი ემილ ბენვენისტი წიგნში „ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები“ (Problèmes de linguistique générale) „თვითრეფერენციას“ უწოდებს: „ფრაზა „მე ვფიცავ“ წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფორმას, რამდენადაც ის ფიცის ნამდვილობას მიაწერს მთქმელს, პირველ პირს. აქ გამონათქვამი იმავდროულად მოქმედებაცაა. „მე ვფიცავ“ თვითონ ვალდებულების აღების აქტია და არა შესრულებული აქტის აღწერა. როცა ვამბობ, „მე გპირდები, „მე უზრუნველვყოფ,“ ამით ვიძლევი პირობასაც და გარანტიასაც“ (ბენვენისტი 1974: 299). პერფორმატიული გამონათქვამებით გამოხატული ფიცისა თუ პირობების განხორციელება (სოციალური, იურიდიული და ა.შ.) იწყება თქმის მომენტიდან. თუმცა ეს ყველაფერი უბრალოდ ზმნის მნიშვნელობაში კი არაა ჩადებული, არამედ თვითონ მეტყველების სუბიექტურობა ხდის ამ მოქმედებას შესაძლებელს.

გარდა ზემოჩამოთვლილი პირობებისა, იმისათვის, რომ გამონათქვამმა პერფორმატიულობა შეიძინოს, აუცილებელია, მიმართული იყოს უშუალო თანამოსაუბრისადმი. გამონათქვამი კარგავს პერფორმატიულობას და გადაიქცევა აღწერით წინადადებად, თუ ობიექტური პირი მეორის ნაცვლად მესამე იქნება. მაგალითად, შდრ. 1) *გპირდები, მოვალ* და 2) *გპირდები მას, მოვალ*.

ამგვარად, რომ შევაჯამოთ, ტრადიციული ლინგვისტიკური თვალსაზრისით, მოქმედების საპირწონე პერფორმატივები გრამატიკული კატეგორიების ასიმეტრიულობით ხასიათდებიან და მათი ამოცნობაც სწორედ ამ ნიშნითაა შესაძლებელი. ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია შესრულებითი გამონათქვამების ერთ-ერთი სადიაგნოსტიკო საშუალებაა (მაჭავარიანი 1989: 34).

სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკული კატეგორიები განმარტებულია, როგორც ერთი და იმავე მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნების გაერთიანების შედეგად მიღებულ გრამემათა ისეთი ერთობლიობა, რომელშიც ყოველი დიფერენციალური ნიშანი წარმოდგენილია თავისი ერთ-ერთი შესაძლებელი მნიშვნელობით. მაგალითად, I, II, III პირის გრამემები ქმნიან

პირის გრამატიკულ კატეგორიას; აწმყო დროის, ნამყო დროისა და მომავალი დროის გრამებები შეადგენენ დროის გრამატიკულ კატეგორიას და ა. შ. ერთი და იმავე კატეგორიის გრამებები ზოგჯერ არ უპირისპირდებიან ერთმანეთს; ხდება მათ შორის არსებული დაპირისპირების ნეიტრალიზაცია. ასეთი ნეიტრალიზაცია შეიძლება იყოს შეპირობებული პოზიციურად, ე.ი. დაპირისპირება შეიძლება მოიხსნას სინტაგმატიკაში (გამყრელიძე და სხვ. 2008: 222-224). შესრულებით გამონათქვამებშიც თვალსაჩინოა გრამატიკულ ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია<sup>1</sup> და მთავარ ღერძს პირველი პირის, მხოლოდობითი რიცხვისა და აქტიური ზმნის ფორმა წარმოადგენს. მაგალითად, *გისურვებ, გთხოვ, გპირდები, გიკრძალავ* და ა.შ.

შესრულებითი გამონათქვამების ერთ-ერთი სტრუქტურული თავისებურებაა ისიც, რომ გრამატიკული ოპოზიციების მიხედვით ნეიტრალიზებული ზმნა შესაძლოა არც იყოს წარმოდგენილი და იგულისხმებოდეს. ამის მიხედვით განარჩევენ ექსპლიციტურ (explicit) და იმპლიციტურ (implicit) პერფორმატივებს (ოსტინი 1962: 61). პირველ შემთხვევაში პერფორმატიული ზმნა პოვნირია, მეორეში – ინტერპრეტირებული.

იმპლიციტურ შემთხვევებში კონტექსტის გარეშე რთულია მიხვედრა, რასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ბრძანებასთან, ფაქტის დასახელებასთან თუ თხოვნასთან. როცა ვამბობთ „იქ ვიქნები“, ამით პირობას ვიძლევი (ნაგულისხმევია პერფორმატიული ზმნა „გპირდები“: *გპირდები, რომ იქ ვიქნები*) თუ საკუთარ გეგმებზე ვსაუბრობთ (მაგალითად, *ხვალ იქ ვიქნები*)? ვინაიდან შესრულებითი გამონათქვამი კონკრეტულ სამეტყველო აქტს ემთხვევა, იმის მისახვედრად, წარმოდგენილი კონსტრუქცია ნამდვილად პერფორმატივია თუ არა, ოსტინი ერთმანეთს უპირისპირებს ლოკუციურ და ილოკუციურ აქტებს: „ლოკუციურ აქტს აქვს მნიშვნელობა, ხოლო ილოკუციურ აქტს აქვს ძალა, რომ რაღაც ითქვას“ (ოსტინი 1962: 121).

ლოკუციური და ილოკუციური აქტებისა თუ კონსტატიური და პერფორმატიული გამონათქვამების გარჩევა გვაგონებს კითხვითი და ბრძანებითი წინადადებების ფრეგესულ გარჩევას. 1918 წელს ნაშრომში „აზროვნება: ლოგიკური კვლევა“ (Der Gedanke: Eine logische Untersuchung) გერმანელი ფილოსოფოსი გოტლობ ფრეგე ერთმანეთისგან განასხვავებს მნიშვნელობას და ინტენციას: „კითხვით და ბრძანებით წინადადებებს შესაძლოა აქვთ ერთი და იგივე შინაარსი, უბრალოდ ბრძანებითს აქვს დამატებით კიდევ რაღაც, სახელდობრ, მტკიცება; კითხვით წინადადებასაც აქვს დამატებით რაღაც, სა-

<sup>1</sup> ნეიტრალიზაციის (ლათ. neuter – „არც ერთი“. ელემენტთაშორისი ოპოზიციების პოზიციური მოხსნა) ცნება თავდაპირველად ტრუბეცკოიმ 1939 წელს „ფონოლოგიის საფუძვლებში“ ფონემათა ოპოზიციებისა და ერთეულთა სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციაზე საუბრისას შემოიტანა (ტრუბეცკოი 1960: 86-87). მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ნეიტრალიზაციის თეორიამ ენის ყველა სფერო მოიცვა და დღეს მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის მასალაზე დაყრდნობით განიხილება.

ხელდობრ, თხოვნა (ფრეგე 1956: 293-294). ფაქტობრივად, ფრეგე იყო პირველი, რომელმაც ისაუბრა შინაარსისა და მტკიცებითი ძალის გარჩევაზე. კონსტატიური და პერფორმატიული გამონათქვამებიც შესაძლოა დაემთხვევს ერთმანეთს, უბრალოდ ის, რაც მეორე შემთხვევას პირველისგან განასხვავებს ილოკუციური ძალის პოვნირებაა. ილოკუციურ ძალაზე დაყრდნობით კი სხვადასხვა ტიპის ილოკუციური აქტის გარჩევა შესაძლებელი (სერლი 1976: 1-23; სერლი 1979: 2-8).

პერფორმატივი ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა წინადადების მიერ აღწერილი მოვლენა თავადაა სამეტყველო მოვლენა (ლანგაკერი 2008: 158-159). შესრულებითი გამონათქვამების მსგავსი სიტყვა-ფორმულები სხვადასხვა სამეტყველო რიტუალში დასტურდება და ისეთ შემთხვევებს გულისხმობს, როგორებიცაა: დალოცვა, წყევლა, თხოვნა, დაპირება, აღიარება, გაფრთხილება და სხვა. ქვემოთ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ ფორმობრივი და სემანტიკური თავისებურებების ხაზგასმით.

ზემოდასახელებული ე. წ. კანონიკური ფორმის შესრულებითი გამონათქვამების გვერდით ქართულში დასტურდება რამდენიმე იმპლიციტური შემთხვევა შემდეგი სტრუქტურული ნიშნებით:

1. პერფორმატიული ზმნა ნაგულისხმევია და შესრულებითი გამონათქვამიც ელიფსურადაა წარმოდგენილი; მაგალითად, დალოცვა: *შენს პირს შაქარი* (ნაგულისხმევია პერფორმატიული ზმნა „გისურვებ“); დაპირება: *შენი – ხმალი, ჩემი – კისერი* (ნაგულისხმევია პერფორმატიული ზმნა „გპირდები“); დაფიცება: *შენ – დედა, მე – შვილი* (ნაგულისხმევია პერფორმატიული ზმნა „ვფიცავ“);

2. გამონათქვამში ზმნა არის პოვნირი, მაგრამ არა პერფორმატიული. მაგალითად, *ჩემი წყალი გადაგესხას*. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ორ შემთხვევას გულისხმობს:

ა) როცა ნაგულისხმევია პერფორმატიული ზმნა „გისურვებ“. მაგალითად, *გისურვებ, რომ ჩემი წყალი გადაგესხას*;

ბ) როცა ნაგულისხმევია მოდალური ელემენტი. მაგალითად, *მინდა, რომ ჩემი წყალი გადაგესხას*. ასეთ შემთხვევებში გამონათქვამს პერფორმატიულობას სძენს სწორედ ის ილოკუციური ძალა, რომელიც კონტექსტიდან გამომდინარეა ცნობილი. მოდალური ელემენტების ჩართვით ირღვევა პერფორმატივების მარტივი, ე. წ. კანონიკური სტრუქტურა (შდრ.: 1) *გაფრთხილებთ, რომ...* და 2) *მინდა გაგაფრთხილოთ, რომ...* პირველი შემთხვევა შედარებით უფრო იმპერატიულია, მეორე – ოფიციალურ-ნეიტრალური). ამიტომ, ასეთ დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მოცემულ საკომუნიკაციო აქტში რის მიღწევას ცდილობს მთქმელი, როგორია მისი ინტენცია (განზრახვა).

ვინაიდან პერფორმატივები ასრულებენ მოქმედებას და არ აღწერენ მას, ამიტომაც ამ რიგის გამონათქვამებს არ მიემართება ის პრედიკატული მახასიათებლები, რაც ზოგადად მოქმედებათა აღწერისას გამოიყენება ხოლმე. პერფორმატიული გამონათქვამები სხვა, კონსტრუქციის მიხედვით, ერთი შეხედვით, მსგავსი ფრაზებისგან სემანტიკურ-სინტაქსური შეზღუდვებითაც გამორჩევიან; მაგალითად, მათთან მიმართებით არ გამოიყენება: ა) უარყოფის ნაწილაკები და უარყოფითი ნაცვალსახელები (არ, ვერ, არავინ, ვერავინ და ა. შ.); ბ) დროის გარემოებები და ზმნიზედები (მოკლედ, დიდხანს, კარგად, იშვიათად, უცნაურად და ა. შ.); გ) არ ჩანს მოქმედების შეფასება (კარგი, ცუდი); დ) არ ჩანს მოქმედების მიზანი, პირიქით შემთხვევაში გამონათქვამი აღწერითი იქნება. შდრ.: 1) *გთხოვ* და 2) *გთხოვ იმ მიზნით, რომ...* (აპრესიანი 1995: 204-206). ამ შეზღუდვების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პერფორმატივები სემანტიკურად ექვემდებარებიან პრედიკატების საკმაოდ შეზღუდულ წრეს.

სხვადასხვა სამეტყველო რიტუალში დადასტურებულ შესრულებით გამონათქვამებში, გრამატიკულ კატეგორიებთან ერთად, ნეიტრალიზაცია გვაქვს ლექსიკის დონეზეც, სადაც სინონიმია-პოლისემიის გვერდით ნეიტრალიზაციის მაგალითია სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებაც, როცა „ერთი აღსანიშნი=ერთი აღმნიშვნელი“ სიმეტრია დარღვეულია. 1929 წელს ჟენევის ლინგვისტური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა სერგეი კარცევსკიმ პირველმა ისაუბრა ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულ დუალიზმზე (კარცევსკი 1965: 85-93), შემთხვევებზე, როცა ნიშანი და მნიშვნელობა მთლიანად არ ფარავს ერთმანეთს და მათი საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ლექსიკური ასიმეტრიის პრობლემა სინტაგმატურ ჭრილშიც საყურადღებოა და ისეთ შემთხვევებს მოიცავს, როცა ერთი შინაარსის გამოხატვა ორი ან მეტი ერთეულით კომპლექსურად ხდება. გამომდინარე აქედან, ლექსებათა ასიმეტრიულობა განსაკუთრებით აქტუალურია პერფორმატივებთან მიმართებით.

ნებისმიერი გამონათქვამის პერფორმატიულობას სოციუმში დადგენილი ტრადიციული პროცედურა არეგულირებს, რომელიც კონკრეტული სიტყვების წარმოთქმას გულისხმობს კონკრეტული ადამიანების მიერ და კონკრეტულ პირობებში. ამიტომ ხშირად კონსტრუქციის შემადგენელი კომპონენტები გადატანითი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და ფრაზის მთლიანი შინაარსი გამოიყვანება ისეთ რიტუალურ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც მოცემული ეთნოსის კულტურაშია პოვნირი. ამის მაგალითებია ზემოდასახელებული შემთხვევები ქართულში:

*შენს პირს შაქარი* – უკავშირდება საქორწილო რიტუალის დროს ამბის მახარობლისთვის პირში შაქრის ჩადებას, რომელიც ადრე ძნელად მოსაპოვებელი იყო (სახოკია 1979: 754);

*შენ – დედა, მე – შვილი* – უკავშირდება შვილად აყვანისა და ორი მოწინააღმდეგე მხარის შერიგების რიტუალებს (ლამბერტი 2011: 85, სახოკია 1956: 73-77; მაკალათია 2006: 347);

*ჩემი წყალი გადაგესხას* – უკავშირდება რელიგიურ წარმოდგენებს, სადაც წყალი განკურნებისა და განწმენდის სიმბოლოა (სახოკია 1979: 780, 877);

*შენ შემოგველე* – უკავშირდება ავადმყოფი ადამიანისთვის ე. წ. თავშემოვლის რიტუალს (სახოკია 1956: 95);

*შეგირცხვეს ცხვირი* – უკავშირდება ძველ ქართულ სასჯელის ფორმას, ცხვირის მოჭრას (სახოკია 1979: 822).

პერფორმატიული გამონათქვამების სემანტიკა ხშირად გადატანითი და პირობითია. მთქმელის ინტენციისა და ილოკუციური ძალის გამოვლენისას გადამწყვეტ როლს თამაშობს გარეგანი ფაქტორები: კონტექსტი და ექსტრალინგვისტური გარემო, რიტუალები და ეტიკეტის წესები, რომლებიც ეროვნულ-კულტურული ტრადიციებითაა ნაკარნახევი. ამიტომ ისეც არ უნდა გავიგოთ, თითქოს გარკვეული სიტყვების წარმოთქმა საკმარისია რომელიმე სამეტყველო აქტისთვის. რა თქმა უნდა, არა. აუცილებელია პირობითი პროცედურა და იმისათვის, რომ ამ პროცედურამ „იმუშაოს“, სოციუმში ამაზე შეთანხმებაა საჭირო. მაგალითად, ქორწინების შემთხვევაში, ვერბალურ ტექსტებთან ერთად, იგულისხმებიან რიტუალში მონაწილე ადამიანები: სასულიერო პირი, ქორწინების მოწმეები (მეჯვარეები), დამსწრეები და ა. შ. ქორწინების აქტის გარშემო ერთგვარი სოციალური შეთანხმებაა საჭირო. განსხვავებას ადვილად დავინახავთ, თუ განვიხილავთ განქორწინების შემთხვევას. მამაკაცმა ცოლი რომ წინ დაიყენოს და ხმამალა და ყველას გასაგონად უთხრას „გმორდები“, პროცედურა მაინც არ იქნება წარმატებული იმიტომ, რომ ჩვენს კულტურაში ამაზე შეთანხმება არ არსებობს (ოსტინი 1961: 223-225).

ამგვარად, ის გარემოება, რომ ამ რიგის გამონათქვამებში ზმნა წარმოდგენილია (ექსპლიციტურად) ან იგულისხმება (იმპლიციტურად) აწმყო დროის, პირველი პირის, მხოლოდობითი რიცხვის, უსრული ასპექტის, მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს ფორმებით და ამასთან, ნეიტრალიზებულია გრამატიკული ოპოზიციები ყველა დასახელებულ კატეგორიაში, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მთლიანობაში შესრულებითი გამონათქვამები ამოვარდნილია ტრადიციული მორფოლოგიურ-სინტაქსური ყალიბებიდან და სწორედ ეს თავისებურება ხდის შესაძლებელს, რომ მათი მეშვეობით პერფორმატიული ფუნქცია შესრულდეს. როცა ჩვენ წარმოვთქვამთ პერფორმატივებს, კონცეპტუალურად ვხდებით იმ რიტუალის მონაწილენი, საიდანაც კონკრეტული გამონათქვამი იძენს ილოკუციურ ძალას და პირიქით, იმისათვის, რომ განვახორციელოთ სოციალურ პირობებზე დაფუძნებული ილოკუციური აქტი, ამავე პირობების, შეთანხმების მონაწილენი უნდა ვიყოთ.

## ლიტერატურა

**აპრესიანი 1995** – Ю. Д. Апресян, *Избранные труды. Том II. Интегральное описание языка и системная лексикография*. Москва: Школа «Языки русской культуры».

**ბენვენისტი 1974** – Э. Бенвенист, *Общая лингвистика*. Москва: «Прогресс».

**გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2008** – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**კარცევსკი 1965** – С. О. Карцевский, Об асимметричном дуализме языкового знака. *История языкознания XIX-XX вв. в очерках и извлечениях*, #2. Москва: Наука.

**კატცი 1980** – J. J. Katz, *Propositional Structure and Illocutionary Force: A Study of the Contribution of Sentence Meaning to Speech Acts*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

**კოშმიდერი 1962** – Э. Кошмидер, Очерк науки о видах польского глагола. Опыт синтеза. *Вопросы глагольного вида*. Москва: Издательство иностранной литературы, сс. 105-167.

**ლანგაკერი 2008** – R. W. Langacker, *Cognitive Grammar: A Basic Introduction*. Oxford: Oxford University Press.

**მაჭავარიანი 1989** – მ. მაჭავარიანი, პერფორმატივების (შესრულებითი გამონათქვამების) სტატუსისათვის (ჯ. ოსტინის მიხედვით). იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი XXVIII. თბილისი; გვ. 25-35.

**ოსტინი 1962** – J. L. Austin, *How to Do Things with Words*. Cambridge, MA: Harvard University Press.

**ოსტინი 1961** – J. L. Austin, *Philosophical Papers*. Oxford: Clarendon Press.

**პინტარი 1890** – L. Pintar, Jezik v Matevža Ravnikarja Sgodbah svetiga pisma sa mlade ljudi. *Ljubljanski zvon*, letnik 10, številka: 1; 2; 3.

**ჟაგარი & გრგიჩი 2011** – I. Žagar, M. Grgic, *How to Do Things with Tense and Aspect: Performativity before Austin*. Cambridge Scholars Publishing.

**სერლი 1979** – J. R. Searle, *Expression and meaning: Studies in the theory of speech acts*. Cambridge: Cambridge University Press.

**სერლი 1976** – J. R. Searle, A classification of illocutionary acts. *Language in Society*, 5 (1), pp. 1-23.

**ტრუბეცკოი 1960** – Н. С. Трубецкой, *Основы фонологии*. Москва: Издательство иностранной литературы.

**ფრეგე 1956** – G. Frege, The Thought: A Logical Inquiry. *Mind, New Series*, Vol. 65, #259, pp. 289-311.

**შკრაბეცი 1903** – S. Skrabec, Zum Gebrauche der Verba perfectiva und imperfectiva im Slovenischen. *Archiv für slavische Philologie*, 25, pp. 554-564.



### გამოყენებული წყაროები

- ლამბერტი 2011** – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი.  
**მაკალათია 2006** – სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.  
**სახოკია 1979** – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.  
**სახოკია 1956** – თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი.

TAMAR GUCHUA

### Neutralization of Lexical-Grammatical Oppositions in Performative Utterances<sup>1</sup>

#### S u m m a r y

Performative utterances are characterized by asymmetry of grammatical categories, grammatical oppositions are neutralized and presented by means of the following construction: [1<sup>st</sup> person pronoun] + Present Tense of a performative verb (for instance, *I apologize, I swear, I promise*, etc.). Such items are fallen out from traditional morphological-syntactic patterns, and exactly this feature makes it possible for them to perform a performative function.

Next to the so-called canonical forms of performance expressions, several cases are confirmed in Georgian with the following structural signs: 1. The performative verb is implied and the performance expression is also presented in an elliptical way. For example, blessing: *šens p'irs šakari* – "Thank you for the pleasant news!" [lit. *sugar to your mouth!*], implied the performative verb "wish". 2. The verb in the expression is a possessor but not performative. For example, *čemi c'q'ali gadagesxas* – 'I wish you be happy as me!' [lit. let my water be poured on you]. The latter involves two cases: a) When the performative verb "wish" is implied (for example, *I wish you could pour my water*) and b) When the modal element is defaulted (for example, *I want my water to pour on you*). It is interesting that the inclusion of modal elements violates the simple, so-called canonical structure. In such cases, expressiveness acquires precisely the illocutionary power that is known from the context.

---

<sup>1</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [PHDF-21-091].

Alongside with grammatical categories, neutralization is also confirmed at the vocabulary level and such utterances have some semantic peculiarities in Georgian: 1) They are formulaic, that is, a meaning of a construction is not a sum of its components' meanings; 2) words, referring to those actions, are not just etymologically associated with those referring to free individual behaviors but rather to established social situations, certain rituals, occurring in a given people's culture and history (For example, *šen šemogevle* – 'bless you' [lit. I will surround you] – it is a phrase of expressing love and indicates that the speaker is ready to die instead of the one who will surround him; *šegircxves cxviri* – 'Shame on you!' [lit. let your nose be disgraced] – It is a formula of curse, connected with the form of the old Georgian punishment, cutting the nose, etc.).

Based on the Georgian ethnographic sources, the present paper is aimed at illustrating similar, structurally and semantically specific performative utterances, at establishing their ritual provenance, and at highlighting their ethno-cultural peculiarities.

ქეთევან დათუკიშვილი

### ნაწილაკიანი ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები თანამედროვე ქართულში

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში გამოყოფენ ნაწილაკთა ორ სახეობას: ცალკე მდგომი (**ხომ, კი, განა, ნუთუ...**) და სიტყვასთან შერწყმული (**ც, ვე, და, მე...**). ჩვენ ამ ორ ტიპს სხვადასხვა ენობრივ ოდენობად მივიჩნევთ და ვფიქრობთ, რომ ცალკე მდგომი ნაწილაკები მეტყველების ნაწილებია, სიტყვასთან შერწყმულნი კი – აფიქსები (დათუკიშვილი, 2018, გვ. 27). წარმოდგენილ სტატიაში ამ უკანასკნელი ტიპის (აფიქს-ნაწილაკების) შესახებ გვექნება მსჯელობა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე განიხილება **ვე**-ნაწილაკიანი რიცხვითი სახელებისა და **ვე, მე, და, ღაცა** ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნება. ამ ფორმებში გამოყოფენ წარმოების სამ სახეობას (შეუხორცებელი, შეხორცებული და ნარევი), რომლებიც „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ამგვარად განიმარტება:

- შეუხორცებელი, როდესაც ბრუნებისას იცვლება სახელი და ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: ორ-მა-ვე, რა-ს-მე, რა-ს-ღა... ამგვარი წარმოება ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი;
- შეხორცებული, როდესაც ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ მოდის, ნაწილაკი ფუძესაა შეხორცებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის: სახელის ფუძე + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი: ორივე-მ, რამეს, რაღა-ს... ეს წარმოება გავრცელებულია თანამედროვე ქართულში;
- ნარევი სახეობა, როდესაც ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინა და ნაწილაკის შემდეგაც: სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი: ვი-ს-მე-ს, რა-ს-მე-ს...

(„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, 1970, გვ. 87)

აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელებისა და რიცხვითი სახელების განხილვისას ყველა მკვლევარი ბრუნების ამ სამ სახეობას გამოყოფს, სხვაობა მხოლოდ ტერმინებშია: **შეუხორცებელი / შეხორცებული** – ამ ტერმინებს იყენებენ არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. არაბული, თ. ტეტელოშვილი და სხვ. ამავე მნიშვნელობით ა. შანიძეს, ლ. კვაჭაძესა და სხვ. გამოყენებული აქვთ ტერმინები: **ნაწილაკშეუხრდელი** (= **შეუხორცებელი**) და **ნაწილაკშეხრდილი** (= **შეხორცებული**).

ნარევი სახეობა წარმოების თვალსაზრისით არასწორად არის მიჩნეული. რაც შეეხება შეუხორცებელი და შეხორცებული წარმოების ფორმებს (**ორ-მავე** და **ორივემ, რასმე** და **რამეს**), ისინი პარალელურ ვარიანტებად განიხილება; პარალელურადვეა ისინი წარმოდგენილი ლექსიკონებშიც:

ვინმე (**მოთხრ.** ვინმემ, **მიც.** ვისმე და ვინმეს, **ნათ.** ვისიმე და ვინმესი) (ქეგლი)

ორივე: **მოთხრ.** ორივემ, **მიც.** ორივეს (|| ორსავე), **ვითარ.** ორივედ (|| ორად-ვე), **ნათ.** ორივეს (|| ორივესი), **მოქმ.** ორივეთი (ქეგლი)

ჩვენი აზრით, **ვინმეს** და **ვისმე, ორივეს** და **ორსავე...** პარალელური ფორმები კი არ არის, არამედ სხვადასხვა პარადიგმის წევრებია. აქ საქმე გვაქვს წარმოების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ ერთეულებთან, კერძოდ:

1. **ორსავე, რასმე** და მსგავს ვარიანტებში ბრუნვის ფორმას დაერთვის **ვე** და **მე** ნაწილაკები: ორ-ი-ვე, ორ-მა-ვე, ორ-ს(ა)-ვე... რა-მე, რა-ს-მე, რ-ის(ა)-მე... ამ სიტყვებს აქვთ მარტივი ფუძეები: **ორ** და **რა**.
2. **ორივეს, რამეს** და მსგავს შემთხვევებში კი ნაწილაკი დაერთვის არა ბრუნვის ფორმას, არამედ ფუძეს: ორივე-მ, ორივე-ს... რამე-მ, რამე-ს... ამ სიტყვებს აქვთ რთული ფუძეები: **ორივე** და **რამე**.

პირველ შემთხვევაში (**ორსავე, რასმე...**) რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები ისეთივე ნაწილაკიანი ფორმებია, როგორებიც შემდეგი არსებითი სახელები: კაც-ი-ვე, კაც-მა-ვე... ძმა-ვე, ძმა-მ-ვე, ძმა-ს-ვე და მისთ.

#### შდრ.

|       | რიცხვ. სახელი | არს. სახელი |
|-------|---------------|-------------|
| სახ.  | ორ-ი-ვე       | კაც-ი-ვე    |
| მოთხ. | ორ-მა-ვე      | კაც-მა-ვე   |
| მიც.  | ორ-ს-ა-ვე     | კაც-ს-ა-ვე  |
| ნათ.  | ორ-ის-ა-ვე    | კაც-ის-ა-ვე |
| მოქმ. | ორ-ით-ვე      | კაც-ით-ვე   |
| ვით.  | ორ-ად-ვე      | კაც-ად-ვე   |

#### შდრ.

|       | ნაცვალსახელი | არსებითი სახელი |
|-------|--------------|-----------------|
| სახ.  | რა-ლა        | ძმა-ლა          |
| მოთხ. | რა-მ-ლა      | ძმა-მ-ლა        |
| მიც.  | რა-ს-ლა      | ძმა-ს-ლა        |
| ნათ.  | რ-ის-ლა      | ძმ-ის-ლა        |
| მოქმ. | რ-ით-ლა      | ძმ-ით-ლა        |
| ვით.  | რა-დ-ლა      | ძმა-დ-ლა        |

მეორე შემთხვევაში (**ორივეს, რამეს...**) ნაწილაკი ფუძის ნაწილია, ფუნქციურად იგი ფუძის მაწარმოებელ (დერივაციულ) აფიქსს წარმოადგენს.

როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, „მხოლოდითი რიცხვის ფორმებში ბრუნვის ნიშნის წინ ყველაფერი (**რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს იგი**) სახელის ფუძეს განეკუთვნება“ (უთურგაიძე, 1986, გვ. 130).

ცნობილია, რომ ქართულ ენაში ფლექსიური სუფიქსი (ბრუნვის ნიშანი ან თანდებული) შეიძლება შეგვხვდეს დერივაციული აფიქსის ფუნქციით და აწარმოოს ახალი ფუძე: გულ-ად -> გულად-ი, კითხვ-ით -> კითხვით-ი, მის-ებრ -> მისებრ-ი და მისთ.

ჩვენი აზრით, ასეთივე უნარი აქვს ნაწილაკებსაც. რანგობრივად ისინი ფლექსიური აფიქსების რიგისაა, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იყოს ფუძის მაწარმოებლის როლში.

თუ ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას, ის ფლექსიური აფიქსის რანგშია, ხოლო თუ ნაწილაკდართული ფორმა იქცევა ფუძედ და ქმნის ახალ პარადიგმას, მაშინ ნაწილაკი (ბრუნვის ნიშანთან ერთად) შედის ფუძის შემადგენლობაში და დერივაციული აფიქსის როლს ასრულებს. მაგალითად: **ორივე** არის სახელობითი ბრუნვის ფორმა რომელსაც **ვე** ნაწილაკი დაერთვის; აქ **ი** და **ვე** ფლექსიური აფიქსებია; ეს სიტყვაფორმა შეიძლება ფუძედ იყოს გამოყენებული და ახალი პარადიგმა შექმნას: **ორივე-მ** **ორივე-ს**, **ორივე-ს(ი)**, **ორივე-თი**... ამ უკანასკნელ შემთხვევებში **მ**, **ს** და **თი** ფლექსიური აფიქსებია, **ი** და **ვე** კი ფუძის შემადგენლობაში შედის, ამიტომ მათ სიტყვაწარმოებითი და-ნიშნულება აქვთ. მაშასადამე, ზემოთ განხილულ ფორმებში გვაქვს ორი ფუძე: ძირეული (**ორ**) და წარმოქმნილი (**ორივე**), რომლებიც ქმნიან თავ-თავიანთ პარადიგმებს.

|       |                  |   |                     |
|-------|------------------|---|---------------------|
|       | <b>ფუძე – ორ</b> | → | <b>ფუძე – ორივე</b> |
| სახ.  | <b>ორ-ი-ვე</b>   |   | <b>ორივე</b>        |
| მოთხ. | ორ-მა-ვე         |   | <b>ორივე-მ</b>      |
| მიც.  | ორ-ს(ა)-ვე       |   | <b>ორივე-ს</b>      |
| ნათ.  | ორ-ის(ა)-ვე      |   | <b>ორივე-სი</b>     |
| მოქ.  | ორ-ით-ვე         |   | <b>ორივე-თი</b>     |
| ვით.  | ორ-ად-ვე         |   | <b>ორივე-დ</b>      |

შდრ.:

|       |                   |   |                     |
|-------|-------------------|---|---------------------|
|       | <b>ფუძე – გულ</b> | → | <b>ფუძე – გულად</b> |
| სახ.  | გულ-ი             |   | <b>გულად-ი</b>      |
| მოთხ. | გულ-მა            |   | <b>გულად-მა</b>     |
| მიც.  | გულ-ს(ა)          |   | <b>გულად-ს</b>      |
| ნათ.  | გულ-ის(ა)         |   | <b>გულად-ის</b>     |
| მოქ.  | გულ-ით            |   | <b>გულად-ით</b>     |
| ვით.  | <b>გულ-ად</b>     |   | <b>გულად-ად</b>     |
| წოდ.  | გულ-ო             |   | <b>გულად-ო</b>      |

ჩვენი აზრით, ტერმინები „ფუძეს შეხორცებულ“ და „ფუძეს შეზრდილი“ ვერ ასახავს პროცესის არსს. ასევე შეგვეძლო გვეთქვა, რომ **გულად**-ში „ად“ ანდა **კითხვით**-ში „ით“ არის ფუძესთან შეხორცებული (ან შეზრდილი) ბრუნვის ნიშანი. არადა სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ ფორმებში (გულად-ი, კითხვით-ი...) ბრუნვის ნიშანი გამოყენებულია სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით. შესაბამისად, ზემოთ განხილულ ვარიანტებშიც (ორივე-მ, ორივე-ს..) გვაქვს არა ნაწილაკის შეხორცება ფუძესთან, არამედ მისი გამოყენება **დერივაციული** ფუნქციით.

ორი ტიპის ფორმათა (ერთი მხრივ – **ორსავე, ვისმეს** და მეორე მხრივ – **ორივეს, ვინმეს**) გასამიჯნად, **შეუხორცებელ** და **შეხორცებულ** სახეობათა ნაცვლად, უმჯობესია გამოვიყენოთ შემდეგი ტერმინები: **ნაწილაკდართული** და **ნაწილაკფუძიანი**. ე. წ. „შეუხორცებელი სახეობის“ შემთხვევაში ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ან თანდებულებიან ფორმას, შესაბამისად, ვიღებთ **ნაწილაკდართულ** ვარიანტებს, ხოლო „შეხორცებული სახეობის“ შემთხვევაში ნაწილაკიანია არა ფორმა, არამედ ფუძე, ამგვარ სახელებს შეიძლება **ნაწილაკფუძიანი** ვუწოდოთ. (კარგად ცნობილი ტერმინების – ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი – ანალოგიით). **ნაწილაკფუძიანის** ნაცვლად შესაძლოა გამოვიყენოთ აგრეთვე **ფუძენაწილაკიანი** (შდრ. ფუძეხმოვნიანი, ფუძეთანხმოვნიანი).

**ნაწილაკდართული** ფორმა: ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: რა-ს-მე  
**ნაწილაკფუძიანი** ფორმა: რთული ფუძე (მარტივი ფუძე + ნაწილაკი) + ბრუნვის ნიშანი: რამე-ს

ნაწილაკდართული ფორმების (**ორსავე, ვისმე, რასმე...**) წარმოება ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი. ნაწილაკფუძიან სახელთა (**ორივეს, ვინმეს, რამეს...**) წარმოება კი აქტიურია თანამედროვე ქართულში.

ნაწილაკდართული და ნაწილაკფუძიანი ვარიანტების (**ორსავე** და **ორივეს**) პარალელურ ფორმებად მიჩნევა განპირობებულია იმით, რომ გარკვეულ შემთხვევებში მათ ერთგვარი სემანტიკა აქვთ და თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. წარმოვადგენთ მასალას ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან: „**ორსავე** საქმე აწუხებს, ორნივე მედგრად იბრძვიან“.

„ამ გზებზედ **ორსავე** ერთი ხარჯი უნდებოდათ“.

„გვირგვინოსანი სტუმარი როგორ მოექცეს ან ერთსა ან მეორეს? **ორსავე** ხელმწიფურის პატივით მოექცეს?“

წარმოდგენილ კონტექსტებში **ორსავე** შესაძლოა ჩავანაცვლოთ ნაწილაკფუძიანი ვარიანტით – **ორივეს**.

**ორივე / ორსავე** და მსგავს შემთხვევებში ხშირად გვაქვს სემანტიკური სხვაობა. ამის შესახებ მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაში: „პარალელური წარმოება ზოგჯერ სემანტიკური სხვაობის ტენდენციას ამჟღავნებს; მაგალითად, ითქმის: „ამ ამბავმა ს ა მ ი ვ ე შ ი ალტაცება გამოიწვია“; ამ

შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ იხმარება ს ა მ შ ი ვ ე, და ა. შ.“ (ჯორბენამე, კობაიძე, ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, 1988, გვ. 166).

წარმოვადგენთ მასალას ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან:

„ხუთ სექტემბერს პოლ სარტრი და სიმონ დე ბოვუარი თბილისში ჩამოვიდნენ. **ხუთშივე** დაუთვალაიერებიათ ქალაქი“. (ქეეკ) – აქ **ხუთშივე** ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ **ხუთივეში** ვარიანტით.

„სქოთის ორ მოგებას ინგლისელმა **ორითვე** უპასუხა“. (ქეეკ) – აქ **ორითვე** ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ **ორივეთი** ვარიანტით.

ზემოთ განვიხილეთ რიცხვით სახელთა ბრუნვის ფორმების ასახვის შემთხვევები ლექსიკონებში. რაც შეეხება ნაცვალსახელებს, აქაც პარალელურ ვარიანტებად განიხილება ნაწილაკდართული და ნაწილაკფუძიანი ფორმები: **ვისმე // ვინმეს; ვისიმე // ვინმესი; ვისლა // ვილას; რასმე // რამეს; რისამე // რამის; რასლა // რაღას** და სხვ.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ფორმები ამგვარად არის წარმოდგენილი:

ვინმე (**მოთხრ.** ვინმემ, **მიც.** ვისმე და ვინმეს, **ნათ.** ვისიმე და ვინმესი)

რამე (**მოთხრ.** რამემ, **მიც.** რასმე (და რამეს), **ნათ.** რისიმე (და რამესი ან რამისა))

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ამ ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმები ასეთი სახით დასტურდება

ვინმე: **მოთხ.** ვინმემ, **მიც.** ვინმეს [|| ვისმე], **ვითარ.** ვინმედ, **ნათ.** ვინმეს [||ვისიმე].

რამე || რამ (||რაიმე); **მოთხ.** რამემ, **მიც.** რამეს[||რასმე], **ვითარ.** რამედ || რადმე, **ნათ.** რამეს || რამისა (რისამე).

ჩვენი აზრით, **ვინმე** ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა არის **ვინმეს** და არა **ვისმე**, ნათესაობითისა – **ვინმესი** და არა **ვისიმე**; **რამე** ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა არის **რამეს** და არა **რასმე**, ნათესაობითისა – **რამის** და არა **რისამე**. ლექსიკონებში ბრუნვის ფორმათა მითითებისას **ვისმე, ვისიმე, რასმე, რისამე** ნაცვალსახელები არ უნდა იყოს დასახელებული ისევე, როგორც სხვა ნაწილაკდართული სახელები: ვისა-ც, კაცსა-ც, კაცს-ვე, კაცს-ლა და ა. შ.

ნაწილაკდართულ და ნაწილაკფუძიან ფორმათა პარალელურ ვარიანტებად განხილვა გაუმართლებელია. რადგან ისინი სხვადასხვა ფუძისგანაა ნაწარმოები:

**ვი-ს-მე:** ფუძე – ვი; **ვინმე-ს:** ფუძე – ვინმე

**რა-ს-მე:** ფუძე – რა; **რამე-ს:** ფუძე – რამე

ამასთან. სახელობით ბრუნვაში მათი სეგმენტაცია ფლექსიის დონეზე სხვადასხვაგვარია:

**ნაწილაკდართულები:** ორ-ი-ვე, რა-მე

**ნაწილაკფუძიანები:** ორივე, რამე

წარმოვადგენთ დასახელებულ ნაცვალსახელთა პარადიგმებს ფუძეების მითითებით:

|       | (ფუძე – ვი)     | (ფუძე – ვინმე)  | (ფუძე – ვი)     | (ფუძე – ვილა)  |
|-------|-----------------|-----------------|-----------------|----------------|
| სახ.  | <b>ვინ-მე</b> → | <b>ვინმე</b>    | <b>ვინ-ლა</b> → | <b>ვილა</b>    |
| მოთხ. | -----           | <b>ვინმე-მ</b>  | ვინ-ლა          | <b>ვილა-მ</b>  |
| მიც.  | ვი-ს-მე         | <b>ვინმე-ს</b>  | ვი-ს-ლა         | <b>ვილა-ს</b>  |
| ნათ.  | ვი-სი-მე        | <b>ვინმე-სი</b> | ვი-სი-ლა        | <b>ვილა-სი</b> |
| მოქ.  | -----           | <b>ვინმე-თი</b> | ----            | <b>ვილა-თი</b> |
| ვით.  | ----            | <b>ვინმე-დ</b>  | ----            | <b>ვილა-დ</b>  |

|       | (ფუძე – რა)    | (ფუძე – რამე) | (ფუძე – რა)    | (ფუძე – რაღა)  |
|-------|----------------|---------------|----------------|----------------|
| სახ.  | <b>რა-მე</b> → | <b>რამე</b>   | <b>რა-ლა</b> → | <b>რაღა</b>    |
| მოთხ. | -----          | <b>რამე-მ</b> | რა-მ-ლა        | <b>რაღა-მ</b>  |
| მიც.  | <b>რა-ს-მე</b> | <b>რამე-ს</b> | <b>რა-ს-ლა</b> | <b>რაღა-ს</b>  |
| ნათ.  | რ-ის-მე        | <b>რამ-ის</b> | რ-ის-ლა        | <b>რაღა-სი</b> |
| მოქ.  | რ-ით-მე        | <b>რამ-ით</b> | რ-ით-ლა        | <b>რაღა-თი</b> |
| ვით.  | რა-დ-მე        | <b>რამე-დ</b> | რა-დ-ლა        | <b>რაღა-დ</b>  |

მაშასადამე, ნაწილაკფუძიან ფორმებში (**ორსავე, ვისმე, რასმე**) **ვე** და **მე** სუფიქსები ფლექსიური აფიქსის მსგავსად გამოიყენება, ხოლო ნაწილაკფუძიანებში (**ორივეს, ვინმეს, რამეს**) – დერივაციული ფუნქციით. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აფიქსთა რანგობრივი განაწილება: ერთი რანგის სახელური სუფიქსებია შემდეგი ნაწილაკები: **ც, ვე, ლა, მე**. ამიტომ ერთ ფორმაში არ შეიძლება შეგვხვდეს ორი მათგანი. შესაბამისად, გამორიცხულია ფორმები: ორსავეც, ორსაველა, ვისმეც... მეორე ტიპის ფორმებს კი (**ორივეს, ვინმეს, რამეს**...) შეიძლება დაერთოს ეს ნაწილაკები: ორივესაც, ვინმესაც...

„დღეს ცოტა **ვინმემღა** თუ იცის, რომ ჩვენი ბავშვების ეს საყვარელი ლექსი“... (ქეეკ)

„ეს პრაქტიკები რომ არა, უშანგი ხუმარაშვილი **„ვინმედვე“** დარჩებოდა“ (ქეეკ).

„ქულები **სამივესაც** არანაკლებ სჭირდებოდა“ (ქეეკ).

უფრო მეტიც: ერთ ფორმაში შეგვხვდა ორი **ვე**: ერთი – დერივაციული, მეორე – ფლექსიური ფუნქციით:

„ამ ორ პოლუსს შორის ბალანსის განსაზღვრისას **სამივემვე** სამოქალაქო უფლებების წინ ქვეყნის უსაფრთხოება დააყენა“ (ქეეკ).



ზემოთ განხილული ნაწილაკების მსგავსად რიცხვით სახელებთან დერეგაციული ფუნქციით გამოიყენება **ოდე** ნაწილაკი. **ვე** ნაწილაკისგან განსხვავებით ის ნაწილაკდართულ ფორმებში არ დასტურდება. არ გვაქვს ამგვარი რიცხვითი სახელები: ორ-მა-ოდე, ორ-ს-ა-ოდე და ა. შ. **ოდე** წარმოშობით ნაწილაკია (ოდენ), მაგრამ თანამედროვე ქართულში ფლექსიური რანგის აფიქს-ნაწილაკის როლში ის არ დასტურდება, მხოლოდ ფუძეს დაერთვის და ქმნის ნაწილაკფუძიან სახელებს: **ორიოდე, ორიოდე-მ, ორიოდე-ს** და ა. შ.

მაშასადამე, **ვე** და **ოდე**-ნაწილაკიანი რიცხვითი სახელების ან **ვე, მე, ღა, ღაცა** ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმები შეიძლება გამოყენებული იყოს ფუძედ და მივიღოთ ახალი ბრუნვის ფორმები (ორივე-მ, სამიოდე-ს, ვინმე-მ, რაღა-ს...). ასეთ შემთხვევებში ნაწილაკი ფუძის ნაწილია, შესაბამისად, მას დერეგაციული აფიქსის ფუნქცია აქვს. ამგვარ სახელებს შეიძლება **ნაწილაკფუძიანი** ვუწოდოთ (ნაცვლად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინებისა: შეხორცებული / შეზრდილი).

## ლიტერატურა

**ახალი ქართული ენა 2016** – ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გიორგი გოგოლაშვილის და ავთანდილ არაბულის რედაქციით, თბილისი.

**დათუკიშვილი 2018** – ქ. დათუკიშვილი, თანდებულისა და ნაწილაკის საკითხი თანამედროვე ქართული ენის მეტყველების ნაწილთა სისტემაში, სამეცნიერო კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, V, გვ. 24-29, თბილისი.

**კვაჭაძე 1981** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**ტეტელოშვილი 2016** – თ. ტეტელოშვილი, „-მე“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისთვის თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთექვსმეტე, თბილისი.

**ტეტელოშვილი 2017** – თ. ტეტელოშვილი, „-ღა“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისთვის თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეჩვიდმეტე, თბილისი.

**ტეტელოშვილი 2018** – თ. ტეტელოშვილი, „ვიღაცა“ და „რაღაცა“ ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმათა მართლწერისთვის თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთვრამეტე, თბილისი.

**უთურგაძე 1986** – თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი. თბილისი.

**უთურგაძე 2009** – თ. უთურგაძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბილისი.

**ჩიქობავა 1998** – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

KETEVAN DATUKISHVILI

### **Pronouns and Numerals Containing Participles in Modern Georgian**

#### S u m m a r y

In modern Georgian, the nominative form of a pronoun containing the particles **ve-**, **me-**, **ya-** or a numeral containing the particles **ve-** or **ode-** can be used as a base; Case markers or postpositions are added to them and a new paradigm is created: **orive-m**, **orives**, **samiode-m**, **samiode-s**, **vinme-m**, **vinme-s**, **raya-m**, **raya-s**, etc. In such cases, the particles form a new base, so they are used in the derivational function. We called the above-mentioned forms **naçilakpužiani** “particle-based” ones (instead of the terms known from the scientific literature: *šexorcebuli/šezrdili* “fused”); As for the forms **ormave**, **visme**, **rasya** and similar ones, we use the term **naçilakdartuli** “added with the particle” (instead of the terms used in the scientific literature: *šeuxorcebeli/šeuзrdeli* “unfused”).

თამარ ვაშაკიძე

**მსაზღვრელი რიცხვითი სახელის შეთანხმება საზღვრულთან  
ბრუნვასა და რიცხვში**

ატრიბუტულ (პრეპოზიციურ თუ პოსტპოზიციურ) მსაზღვრელად დას-  
ტურდება როგორც რაოდენობითი, ისე რიგობითი და წილობითი რიცხვითი  
სახელები: „სერზე მიდის **სამი მგელი**“ (ხალხ.); „**ცხრა ძმას ცხრა ხარი** ჰყავდა“  
(ი. გოგებაშვილი); „ბაღში **ხევრი ხეხილი** იდგა“ (ი. გოგებაშვილი); „განიერ  
სერზე **ხუთი ათასი ცხვარი** უზარმაზარ თეთრ სუფრასავით გაშლილიყო  
(მ. ჯავახიშვილი); „ღონისძიებას **ხევრი სტუდენტი** ესწრებოდა“; „ბაღში **ათი-  
ოდე ხე** იდგა“ (მ. ჯავახიშვილი); „ბარტყევივით გარს ვეხვივენით დედ-მამას  
**ორნი დანი და სამნი ძმანი**“ (ილია); „**ოთხთა ძმათა**, ტანით ტოლთა, / თავზე  
ჰხურავთ ერთი ქუდი“ (გამოც.); „იყვნენ **სამნი ამხანაგნი**“ (საბა); „**გუშაგნი  
ხევრნი** თვითოსა მცველად / გვყვან ნების წარმტაცველად“ (ალ. ჭავჭავაძე);  
„ალოდინეს და ... **მეთხუთმეტე კაცად** შევიდა“ (მუხრანი); „კივის სადგური-  
დან **ზარი მეცამეტე**“ (გალაკტიონი); „დათვს იმის **მეასედი ზარალი** არ მოუცია  
ჩვენთვის, რაც ამ მგლებმა და ტურებმა მოგვცესო“ (ვაჟა); „განადგურდა მხო-  
ლოდ **მეათედი ნაწილი**“...

რიცხვითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის სა-  
ზღვრულთან შეთანხმებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

თუ ატრიბუტულ მსაზღვრელად წარმოდგენილია რაოდენობითი რი-  
ცხვითი სახელები (მათ შორის – გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელნიც: ბევ-  
რი, მრავალი, ცოტა...), საზღვრული წევრი მხოლოდობითში დაისმის. ის (მსა-  
ზღვრელი) ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის  
მქონე ზედსართავი.

|        |                   |              |
|--------|-------------------|--------------|
| სახ.   | სამ-ი მეგობარ-ი   | ცხრა წიგნ-ი  |
| მოთხრ. | სამ-მა მეგობარ-მა | ცხრა წიგნ-მა |
| მიც.   | სამ მეგობარ-ს     | ცხრა წიგნ-ს  |
| ნათ.   | სამ-ი მეგობარ-ის  | ცხრა წიგნ-ის |
| მოქმ.  | სამ-ი მეგობარ-ით  | ცხრა წიგნ-ით |
| ვით.   | სამ მეგობარ-ად    | ცხრა წიგნ-ად |
| წოდ.   | _____             | _____        |

|        |                  |              |                      |
|--------|------------------|--------------|----------------------|
| სახ.   | ბევრ-ი ბავშვ-ი   | ცოტა საქმე   | მრავალ-ი მოსწავლე    |
| მოთხრ. | ბევრ-მა ბავშვ-მა | ცოტა საქმე-მ | მრავალ-მა მოსწავლე-მ |
| მიც.   | ბევრ ბავშვ-ს     | ცოტა საქმე-ს | მრავალ მოსწავლე-ს    |
| ნათ.   | ბევრ-ი ბავშვ-ის  | ცოტა საქმ-ის | მრავალ-ი მოსწავლ-ის  |
| მოქმ.  | ბევრ-ი ბავშვ-ით  | ცოტა საქმ-ით | მრავალ-ი მოსწავლ-ით  |
| ვით.   | ბევრ ბავშვ-ად    | ცოტა საქმე-დ | მრავალ მოსწავლე-დ    |
| წოდ.   | _____            | _____        | _____                |

როცა მსაზღვრელად გვაქვს **ორი ათასი** ტიპის (ორკომპონენტური) შედგენილი რიცხვითი სახელები, საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება მხოლოდ ბოლო წევრი – **ათასი** (ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელი), ხოლო პირველი ნაწილი (**ორი**) უცვლელად (სახ. ბრუნვის ფორმით) წარმოდგება ყველა ბრუნვაში.

|        |                         |
|--------|-------------------------|
| სახ.   | ორ-ი ათას-ი სტუდენტ-ი   |
| მოთხრ. | ორ-ი ათას-მა სტუდენტ-მა |
| მიც.   | ორ-ი ათას სტუდენტ-ს     |
| ნათ.   | ორ-ი ათას-ი სტუდენტ-ის  |
| მოქმ.  | ორ-ი ათას-ი სტუდენტ-ით  |
| ვით.   | ორ-ი ათას სტუდენტ-ად    |
| წოდ.   | _____                   |

ანალოგიური ვითარება გვექნება (მამასადამე, საზღვრულს ბრუნვაში შეეწყობა რიცხვითი სახელის მხოლოდ ბოლო წევრი) მაშინაც, როცა მსაზღვრელად წარმოდგენილია **სამი ათას ხუთასი** (სამკომპონენტური), **ხუთი ათას შვიდას თხუთმეტი** (ოთხკომპონენტური) ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები.

|        |                                |
|--------|--------------------------------|
| სახ.   | სამ-ი ათას ხუთას-ი სტუდენტ-ი   |
| მოთხრ. | სამ-ი ათას ხუთას-მა სტუდენტ-მა |
| მიც.   | სამ-ი ათას ხუთას სტუდენტ-ს     |
| ნათ.   | სამ-ი ათას ხუთას-ი სტუდენტ-ის  |
| მოქმ.  | სამ-ი ათას ხუთას-ი სტუდენტ-ით  |
| ვით.   | სამ-ი ათას ხუთას სტუდენტ-ად    |
| წოდ.   | _____                          |

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ი სტუდენტ-ი   |
| მოთხრ. | ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-მა სტუდენტ-მა |
| მიც.   | ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი სტუდენტ-ს     |
| ნათ.   | ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ი სტუდენტ-ის  |
| მოქმ.  | ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ი სტუდენტ-ით  |
| ვით.   | ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი სტუდენტ-ად    |
| წოდ.   | _____                                    |

საზღვრულს შედგენილი რიცხვითი სახელის (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) მხოლოდ ბოლო კომპონენტი ეთანხმება ბრუნვაში იმ შემთხვევაშიც, თუ პირველი წევრი ფუძემოვნიანია.

|         |                        |
|---------|------------------------|
| სახ.    | რვა ათას-ი სტუდენტ-ი   |
| მოთხზრ. | რვა ათას-მა სტუდენტ-მა |
| მიც.    | რვა ათას სტუდენტ-ს     |
| ნათ.    | რვა ათას-ი სტუდენტ-ის  |
| მოქმ.   | რვა ათას-ი სტუდენტ-ით  |
| ვით.    | რვა ათას სტუდენტ-ად    |
| წოდ.    | _____                  |

თუ მსაზღვრელად წარმოდგენილი შედგენილი რიცხვითი სახელის ბოლო კომპონენტი ფუძემოვნიანია (**ორი ათას რვა სტუდენტი...**), ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ საზღვრული, ხოლო თუ ბოლო წევრი ფუძეთანხმოვნიანი სახელით არის გამოხატული (**ორი ათას შვიდი სტუდენტი**), ეს უკანასკნელი (ფუძეთანხმოვნიანი ნაწილი) ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

|         |                          |                              |
|---------|--------------------------|------------------------------|
| სახ.    | ორ-ი ათას რვა სტუდენტ-ი  | ორ-ი ათას შვიდ-ი სტუდენტ-ი   |
| მოთხზრ. | ორ-ი ათას რვა სტუდენტ-მა | ორ-ი ათას შვიდ-მა სტუდენტ-მა |
| მიც.    | ორ-ი ათას რვა სტუდენტ-ს  | ორ-ი ათას შვიდ სტუდენტ-ს     |
| ნათ.    | ორ-ი ათას რვა სტუდენტ-ის | ორ-ი ათას შვიდ-ი სტუდენტ-ის  |
| მოქმ.   | ორ-ი ათას რვა სტუდენტ-ით | ორ-ი ათას შვიდ-ი სტუდენტ-ით  |
| ვით.    | ორ-ი ათას რვა სტუდენტ-ად | ორ-ი ათას შვიდ სტუდენტ-ად    |
| წოდ.    | _____                    | _____                        |

მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე **ორი მილიონი, სამი მილიარდი...** ტიპის (ორკომპონენტიანი) შედგენილი რიცხვითი სახელები. ასეთ შემთხვევებში ორივე ნაწილი (**ორი და მილიონი; სამი და მილიარდი...**) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითსა და მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩამოსცილდება ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტი.

|         |                        |                          |
|---------|------------------------|--------------------------|
| სახ.    | ორ-ი მილიონ-ი კაც-ი    | სამ-ი მილიარდ-ი კაც-ი    |
| მოთხზრ. | ორ-მა მილიონ-მა კაც-მა | სამ-მა მილიარდ-მა კაც-მა |
| მიც.    | ორ მილიონ კაც-ს        | სამ მილიარდ კაც-ს        |
| ნათ.    | ორ-ი მილიონ-ი კაც-ის   | სამ-ი მილიარდ-ი კაც-ის   |
| მოქმ.   | ორ-ი მილიონ-ი კაც-ით   | სამ-ი მილიარდ-ი კაც-ით   |
| ვით.    | ორ მილიონ კაც-ად       | სამ მილიარდ კაც-ად       |
| წოდ.    | _____                  | _____                    |

თუ მსაზღვრელად გვაქვს **ორი მილიონ შვიდასი, სამი მილიარდ ცხრაასი** (სამკომპონენტური), **ხუთი მილიონ ოთხას ორმოცდაათი, ოთხი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი** (ოთხკომპონენტური), **ექვსი მილიონ ცხრაასი ათას შვიდასი, სამი მილიარდ ხუთასი ათას რვაასი** (ხუთკომპონენტური)... ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები, საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება მხოლოდ ბოლო წევრი (**შვიდასი, ცხრაასი, ორმოცდაათი, ოთხმოცდათხუთმეტი...**) ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელი.

|        |                              |                                |
|--------|------------------------------|--------------------------------|
| სახ.   | ორ-ი მილიონ შვიდას-ი კაც-ი   | სამ-ი მილიარდ ცხრაას-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | ორ-ი მილიონ შვიდას-მა კაც-მა | სამ-ი მილიარდ ცხრაას-მა კაც-მა |
| მიც.   | ორ-ი მილიონ შვიდას კაც-ს     | სამ-ი მილიარდ ცხრაას კაც-ს     |
| ნათ.   | ორ-ი მილიონ შვიდას-ი კაც-ის  | სამ-ი მილიარდ ცხრაას-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | ორ-ი მილიონ შვიდას-ი კაც-ით  | სამ-ი მილიარდ ცხრაას-ი კაც-ით  |
| ვით.   | ორ-ი მილიონ შვიდას კაც-ად    | სამ-ი მილიარდ ცხრაას კაც-ად    |
| წოდ.   | _____                        | _____                          |

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | ხუთ-ი მილიონ ოთხას ორმოცდაათ-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | ხუთ-ი მილიონ ოთხას ორმოცდაათ-მა კაც-მა |
| მიც.   | ხუთ-ი მილიონ ოთხას ორმოცდაათ კაც-ს     |
| ნათ.   | ხუთ-ი მილიონ ოთხას ორმოცდაათ-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | ხუთ-ი მილიონ ოთხას ორმოცდაათ-ი კაც-ით  |
| ვით.   | ხუთ-ი მილიონ ოთხას ორმოცდაათ კაც-ად    |
| წოდ.   | _____                                  |

|        |   |
|--------|---|
| სახ.   | ოთხ-ი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | ოთხ-ი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი-მა კაც-მა |
| მიც.   | ოთხ-ი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი კაც-ს     |
| ნათ.   | ოთხ-ი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | ოთხ-ი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი-ი კაც-ით  |
| ვით.   | ოთხ-ი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი კაც-ად    |
| წოდ.   | _____   |

|        |   |
|--------|---|
| სახ.   | ექვს-ი მილიონ ცხრაასი ათას შვიდას-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | ექვს-ი მილიონ ცხრაასი ათას შვიდას-მა კაც-მა |
| მიც.   | ექვს-ი მილიონ ცხრაასი ათას შვიდას კაც-ს     |
| ნათ.   | ექვს-ი მილიონ ცხრაასი ათას შვიდას-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | ექვს-ი მილიონ ცხრაასი ათას შვიდას-ი კაც-ით  |
| ვით.   | ექვს-ი მილიონ ცხრაასი ათას შვიდას კაც-ად    |
| წოდ.   | _____                                       |

|        |   |
|--------|---|
| სახ.   | სამ-ი მილიარდ ხუთასი ათას რვაას-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | სამ-ი მილიარდ ხუთასი ათას რვაას-მა კაც-მა |
| მიც.   | სამ-ი მილიარდ ხუთასი ათას რვაას კაც-ს     |
| ნათ.   | სამ-ი მილიარდ ხუთასი ათას რვაას-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | სამ-ი მილიარდ ხუთასი ათას რვაას-ი კაც-ით  |
| ვით.   | სამ-ი მილიარდ ხუთასი ათას რვაას კაც-ად    |
| წოდ.   |   |

საზღვრულს შედგენილი რიცხვითი სახელის (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) მხოლოდ ბოლო კომპონენტი შეეწყობა ბრუნვაში იმ შემთხვევაშიც, თუ პირველი წევრი ფუძემოვნიანია (**რვა მილიონი კაცი, ცხრა მილიარდი კაცი...**).

|        |                      |                        |
|--------|----------------------|------------------------|
| სახ.   | რვა მილიონ-ი კაც-ი   | ცხრა მილიარდ-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | რვა მილიონ-მა კაც-მა | ცხრა მილიარდ-მა კაც-მა |
| მიც.   | რვა მილიონ კაც-ს     | ცხრა მილიარდ კაც-ს     |
| ნათ.   | რვა მილიონ-ი კაც-ის  | ცხრა მილიარდ-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | რვა მილიონ-ი კაც-ით  | ცხრა მილიარდ-ი კაც-ით  |
| ვით.   | რვა მილიონ კაც-ად    | ცხრა მილიარდ კაც-ად    |
| წოდ.   |                      |                        |

თუ მსაზღვრელად წარმოდგენილი შედგენილი რიცხვითი სახელის ბოლო კომპონენტი ფუძემოვნიანია (**ოთხი მილიონ ექვსასი ათას რვა, ხუთი მილიარდ შვიდასი ათას ცხრა...**), ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ საზღვრული, ხოლო თუ ბოლო წევრი ფუძეთანხმოვნიანი სახელით არის გამოხატული (**ოთხი მილიონ ექვსასი ათას ხუთი, ხუთი მილიარდ შვიდასი ათას შვიდი...**), ეს უკანასკნელი (ფუძეთანხმოვნიანი ნაწილი) ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

|        |                                       |
|--------|---------------------------------------|
| სახ.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას რვა კაც-ი  |
| მოთხრ. | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას რვა კაც-მა |
| მიც.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას რვა კაც-ს  |
| ნათ.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას რვა კაც-ის |
| მოქმ.  | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას რვა კაც-ით |
| ვით.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას რვა კაც-ად |
| წოდ.   |                                       |

|        |   |
|--------|---|
| სახ.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას ცხრა კაც-ი  |
| მოთხრ. | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას ცხრა კაც-მა |
| მიც.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას ცხრა კაც-ს  |
| ნათ.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას ცხრა კაც-ის |
| მოქმ.  | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას ცხრა კაც-ით |
| ვით.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას ცხრა კაც-ად |
| წოდ.   |   |

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას ხუთ-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას ხუთ-მა კაც-მა |
| მიც.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას ხუთ კაც-ს     |
| ნათ.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას ხუთ-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას ხუთ-ი კაც-ით  |
| ვით.   | ოთხ-ი მილიონ ექვსას-ი ათას ხუთ კაც-ად    |
| წოდ.   | _____                                    |

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას შვიდ-ი კაც-ი   |
| მოთხრ. | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას შვიდ-მა კაც-მა |
| მიც.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას შვიდ კაც-ს     |
| ნათ.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას შვიდ-ი კაც-ის  |
| მოქმ.  | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას შვიდ-ი კაც-ით  |
| ვით.   | ხუთ-ი მილიარდ შვიდას-ი ათას შვიდ კაც-ად    |
| წოდ.   | _____                                      |

მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები (**სამ-სამი, რვა-რვა...**) ისე შეეწყობიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავები.

|        |                     |                  |
|--------|---------------------|------------------|
| სახ.   | სამ-სამ-ი ბავშვ-ი   | რვა-რვა ბავშვ-ი  |
| მოთხრ. | სამ-სამ-მა ბავშვ-მა | რვა-რვა ბავშვ-მა |
| მიც.   | სამ-სამ ბავშვ-ს     | რვა-რვა ბავშვ-ს  |
| ნათ.   | სამ-სამ-ი ბავშვ-ის  | რვა-რვა ბავშვ-ის |
| მოქმ.  | სამ-სამ-ი ბავშვ-ით  | რვა-რვა ბავშვ-ით |
| ვით.   | სამ-სამ ბავშვ-ად    | რვა-რვა ბავშვ-ად |
| წოდ.   | _____               | _____            |

თუ მსაზღვრელად წარმოდგენილია **შვიდი-ათი** ტიპის რიცხვითი სახელი (მაშასადამე, როცა პირველი კომპონენტი სახ. ბრუნვის ფორმითაა დადასტურებული), საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება კომპოზიტის ორივე წევრი (და შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი).

|        |                      |
|--------|----------------------|
| სახ.   | შვიდ-ი-ათ-ი კაც-ი    |
| მოთხრ. | შვიდ-მა-ათ-მა კაც-მა |
| მიც.   | შვიდ-ათ კაც-ს        |
| ნათ.   | შვიდ-ი-ათ-ი კაც-ის   |
| მოქმ.  | შვიდ-ი-ათ-ი კაც-ით   |
| ვით.   | შვიდ-ათ კაც-ად       |
| წოდ.   | _____                |



როცა მსაზღვრელად გვაქვს **შვიდი-რვა** ტიპის რიცხვითი სახელი (მაშა-სადამე, თუ პირველი კომპონენტი ფუძეთანხმოვნია – სახ. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ფუძეხმოვნია), საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება კომპოზიტის პირველი ნაწილი – ფუძეთანხმოვნიანი წევრი (შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი).

|        |                        |
|--------|------------------------|
| სახ.   | შვიდ-ი-რვა სტუდენტ-ი   |
| მოთხრ. | შვიდ-მა-რვა სტუდენტ-მა |
| მიც.   | შვიდ-რვა სტუდენტ-ს     |
| ნათ.   | შვიდ-ი-რვა სტუდენტ-ის  |
| მოქმ.  | შვიდ-ი-რვა სტუდენტ-ით  |
| ვით.   | შვიდ-რვა სტუდენტ-ად    |
| წოდ.   | _____                  |

**რვა-ცხრა** ტიპის კომპოზიტი მსაზღვრელი ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ფუძეხმოვნია ზედსართავი სახელი.

|        |                     |
|--------|---------------------|
| სახ.   | რვა-ცხრა მოსწავლე   |
| მოთხრ. | რვა-ცხრა მოსწავლე-მ |
| მიც.   | რვა-ცხრა მოსწავლე-ს |
| ნათ.   | რვა-ცხრა მოსწავლ-ის |
| მოქმ.  | რვა-ცხრა მოსწავლ-ით |
| ვით.   | რვა-ცხრა მოსწავლე-დ |
| წოდ.   | _____               |

თუ კომპოზიტი რიცხვითი სახელის (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) პირველი ნაწილი ფუძეხმოვნია, ხოლო მეორე – ფუძეთანხმოვნია (**ცხრა-ათი მეგობარი...**), საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება მეორე (ფუძეთანხმოვნიანი) კომპონენტი (და შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი).

|        |                       |
|--------|-----------------------|
| სახ.   | ცხრა-ათ-ი მეგობარ-ი   |
| მოთხრ. | ცხრა-ათ-მა მეგობარ-მა |
| მიც.   | ცხრა-ათ მეგობარ-ს     |
| ნათ.   | ცხრა-ათ-ი მეგობარ-ის  |
| მოქმ.  | ცხრა-ათ-ი მეგობარ-ით  |
| ვით.   | ცხრა-ათ მეგობარ-ად    |
| წოდ.   | _____                 |

მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელი ზოგჯერ (ძირითადად – მხატვრულ ლიტერატურაში) წოდებითი ბრუნვის ფორმითაც დასტურდება: „ოო, ძვირფასო **ოთხო წელიწადო!** ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთქვეშ არ ჩასწყდომია!“ (ილია); „**ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,** შემოხვეულო შუქთა ბადრებით“ (გ. ტაბიძე)...

თუ საზღვრული წევრი ნარიან მრავლობითშია, რაოდენობითი რიცხვითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი მას რიცხვშიც ეთანხმება (**ორნი დანი, სამნი ძმანი, შვიდნი ძმანი...**): „ბარტყებივით გარს ვეხვივენით დედ-მამას **ორნი დანი და სამნი ძმანი**“ (ილია); „**ოთხთა ძმათა,** ტანით ტოლთა, / თავზე ჰხურავთ ერთი ქუდი“ (გამოც.); „იყვნენ **სამნი ამხანაგნი**“ (საბა)...

რიგობითი რიცხვითი სახელი, რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავი. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა მსაზღვრელად წარმოდგენილია რამდენიმეკომპონენტის შედგენილი რიგობითი რიცხვითი სახელები. გამონაკლისია **პირველი** (ის თავის საზღვრულს ეთანხმება ისე, როგორც ფუძეთანხმოვნიანი ზედსართავი).

|        |               |                   |
|--------|---------------|-------------------|
| სახ.   | მეორე ძმა     | პირველ-ი წიგნ-ი   |
| მოთხრ. | მეორე ძმა-მ   | პირველ-მა წიგნ-მა |
| მიც.   | მეორე ძმა-ს   | პირველ წიგნ-ს     |
| ნათ.   | მეორე ძმ-ის   | პირველ-ი წიგნ-ის  |
| მოქმ.  | მეორე ძმ-ით   | პირველ-ი წიგნ-ით  |
| ვით.   | მეორე ძმა-დ   | პირველ წიგნ-ად    |
| წოდ.   | (მეორე ძმა-ო) | (პირველ-ო წიგნ-ო) |

|        |                                  |
|--------|----------------------------------|
| სახ.   | ორ-ი მილიონ ხუთას მეშვიდე კაც-ი  |
| მოთხრ. | ორ-ი მილიონ ხუთას მეშვიდე კაც-მა |
| მიც.   | ორ-ი მილიონ ხუთას მეშვიდე კაც-ს  |
| ნათ.   | ორ-ი მილიონ ხუთას მეშვიდე კაც-ის |
| მოქმ.  | ორ-ი მილიონ ხუთას მეშვიდე კაც-ით |
| ვით.   | ორ-ი მილიონ ხუთას მეშვიდე კაც-ად |
| წოდ.   |                                  |

მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული **მეშვიდე-მერვე (VII-VIII)** ტიპის რიცხვითი სახელები ისე ეთანხმებიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავები, ხოლო საზღვრულის რიცხვი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება კომპოზიტი მსაზღვრელის ნაწილებად – **მეშვიდე და მერვე** თუ **მეშვიდე ან მერვე**. პირველ შემთხვევაში (**მეშვიდე და მერვე**) საზღვრული მრავლობით რიცხვში დაისმის, მეორეში კი (**მეშვიდე ან მერვე**) – მხოლოდითში: „**მეშვიდე-მერვე (VII-VIII) საუკუნეებში** თავისუფალი გლეხები უკვე კარგავენ თავიანთ მიწებს“, შდრ., „ეს მეგლი **მეშვიდე-მერვე (VII-VIII) საუკუნეში** უნდა იყოს აგებული“.

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ებ-ი  |
| მოთხრ. | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ებ-მა |
| მიც.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ებ-ს  |
| ნათ.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ებ-ის |
| მოქმ.  | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ებ-ით |
| ვით.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ებ-ად |
| წოდ.   | _____                                  |

|        |                                     |
|--------|-------------------------------------|
| სახ.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე    |
| მოთხრ. | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-მ  |
| მიც.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ს  |
| ნათ.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ის |
| მოქმ.  | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-ით |
| ვით.   | მეშვიდე-მერვე / VII-VIII საუკუნე-დ  |
| წოდ.   | _____                               |

მსაზღვრელად წარმოდგენილ რიგობით რიცხვით სახელთან საზღვრული წევრი შესაძლებელია მრავლობითი რიცხვის ფორმითაც გამოიხატოს გარკვეულ კონტექსტებში (მაგ., როცა საუბარია რამდენიმე **მესამე, მეხუთე, მეშვიდე...** ნომერზე თუ სხვ.). რაც შეეხება **პირველს**, მრავლობით რიცხვში დასმული საზღვრული მას არაერთგზის უდასტურდება (**პირველი ნაბიჯი-ბი/დღეები/წიგნები...**).

|        |                       |                   |
|--------|-----------------------|-------------------|
| სახ.   | პირველ-ი ნაბიჯ-ებ-ი   | მესამე ნომრ-ებ-ი  |
| მოთხრ. | პირველ-მა ნაბიჯ-ებ-მა | მესამე ნომრ-ებ-მა |
| მიც.   | პირველ ნაბიჯ-ებ-ს     | მესამე ნომრ-ებ-ს  |
| ნათ.   | პირველ-ი ნაბიჯ-ებ-ის  | მესამე ნომრ-ებ-ის |
| მოქმ.  | პირველ-ი ნაბიჯ-ებ-ით  | მესამე ნომრ-ებ-ით |
| ვით.   | პირველ ნაბიჯ-ებ-ად    | მესამე ნომრ-ებ-ად |
| წოდ.   | პირველ-ო ნაბიჯ-ებ-ო   | მესამე ნომრ-ებ-ო  |

წილობითი რიცხვითი სახელი, რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ფუძეთანხმოვნანი ზედსართავი.

|        |                    |
|--------|--------------------|
| სახ.   | მეათედ-ი ნაწილ-ი   |
| მოთხრ. | მეათედ-მა ნაწილ-მა |
| მიც.   | მეათედ ნაწილ-ს     |
| ნათ.   | მეათედ-ი ნაწილ-ის  |
| მოქმ.  | მეათედ-ი ნაწილ-ით  |
| ვით.   | მეათედ ნაწილ-ად    |
| წოდ.   | _____              |

თუ მსაზღვრელ-საზღვრულის შესიტყვებაში იგულისხმება რამდენიმე სხვადასხვა სახის (სხვადასხვა „მთელის“) ნაწილი (მაგ., **მეოთხედი, მესამედი...**), საზღვრული წევრი შესაძლებელია დაისვას მრავლობით რიცხვში, მაგ., „გამოყავით რამდენიმე მთელი სიდიდის **მეოთხედი ნაწილები**“...

|        |                        |
|--------|------------------------|
| სახ.   | მეოთხედ-ი ნაწილ-ებ-ი   |
| მოთხრ. | მეოთხედ-მა ნაწილ-ებ-მა |
| მიც.   | მეოთხედ ნაწილ-ებ-ს     |
| ნათ.   | მეოთხედ-ი ნაწილ-ებ-ის  |
| მოქმ.  | მეოთხედ-ი ნაწილ-ებ-ით  |
| ვით.   | მეოთხედ ნაწილ-ებ-ად    |
| წოდ.   | _____                  |

როცა საზღვრულის ფუნქციით გამოყენებული წილობითის მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია, ეს უკანასკნელი თავის საზღვრულს (წილობითს) ეთანხმება ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

|        |                  |                |
|--------|------------------|----------------|
| სახ.   | ორ-ი მესამედ-ი   | ცხრა მეათედ-ი  |
| მოთხრ. | ორ-მა მესამედ-მა | ცხრა მეათედ-მა |
| მიც.   | ორ მესამედ-ს     | ცხრა მეათედ-ს  |
| ნათ.   | ორ-ი მესამედ-ის  | ცხრა მეათედ-ის |
| მოქმ.  | ორ-ი მესამედ-ით  | ცხრა მეათედ-ით |
| ვით.   | ორ მესამედ-ად    | ცხრა მეათედ-ად |
| წოდ.   | _____            | _____          |

თუ მსაზღვრელ რაოდენობით რიცხვით სახელს ერთვის **-ოდე** ან **-ვე** ნაწილაკი, ის (მსაზღვრელი) თავის საზღვრულს შეეწყობა ისე, როგორც ფუძე-მოვნიანი ზედსართავი.

|        |                 |                   |
|--------|-----------------|-------------------|
| სახ.   | ორიოდე სიტყვა   | სამივე მეგობარ-ი  |
| მოთხრ. | ორიოდე სიტყვა-მ | სამივე მეგობარ-მა |
| მიც.   | ორიოდე სიტყვა-ს | სამივე მეგობარ-ს  |
| ნათ.   | ორიოდე სიტყვ-ის | სამივე მეგობარ-ის |
| მოქმ.  | ორიოდე სიტყვ-ით | სამივე მეგობარ-ით |
| ვით.   | ორიოდე სიტყვა-დ | სამივე მეგობარ-ად |
| წოდ.   | _____           | _____             |

საზღვრული წევრი მხოლოდობითში დაისმის, თუ მსაზღვრელად წარმოდგენილია პოსტპოზიციური რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ფუძეთანხმოვნიანი თუ ფუძეხმოვნიანი). ის (მსაზღვრელი) ყველა ბრუნვაში ეთანხმება თავის საზღვრულს.

|        |              |                |                   |
|--------|--------------|----------------|-------------------|
| სახ.   | ძმა სამ-ი    | წიგნ-ი ცხრა    | ყვავილ-ი ბევრ-ი   |
| მოთხრ. | ძმა-მ სამ-მა | წიგნ-მა ცხრა-მ | ყვავილ-მა ბევრ-მა |
| მიც.   | ძმა-ს სამ-ს  | წიგნ-ს ცხრა-ს  | ყვავილ-ს ბევრ-ს   |
| ნათ.   | ძმ-ის სამ-ის | წიგნ-ის ცხრ-ის | ყვავილ-ის ბევრ-ის |
| მოქმ.  | ძმ-ით სამ-ით | წიგნ-ით ცხრ-ით | ყვავილ-ით ბევრ-ით |
| ვით.   | ძმა-დ სამ-ად | წიგნ-ად ცხრა-დ | ყვავილ-ად ბევრ-ად |
| წოდ.   | _____        | _____          | _____             |

რიცხვითი სახელით (რაოდენობითით თუ რიგობითით) გადმოცემული ყველა ფუძეებმოვნიანი ინვერსიული მსაზღვრელი იკვეცება. გამოწაკლისია **ცოტა**.

|        |                  |              |                        |
|--------|------------------|--------------|------------------------|
| სახ.   | წყალ-ი ცოტა      | ძმა ცხრა     | საუკუნე ოცდამეერთე     |
| მოთხრ. | წყალ-მა ცოტა-მ   | ძმა-მ ცხრა-მ | საუკუნე-მ ოცდამეერთე-მ |
| მიც.   | წყალ-ს ცოტა-ს    | ძმა-ს ცხრა-ს | საუკუნე-ს ოცდამეერთე-ს |
| ნათ.   | წყლ-ის ცოტა-ს(ი) | ძმ-ის ცხრ-ის | საუკუნ-ის ოცდამეერთ-ის |
| მოქმ.  | წყლ-ით ცოტა-თი   | ძმ-ით ცხრ-ით | საუკუნ-ით ოცდამეერთ-ით |
| ვით.   | წყლ-ად ცოტა-დ    | ძმა-დ ცხრა-დ | საუკუნე-დ ოცდამეერთე-დ |
| წოდ.   | _____            | _____        | _____                  |

**შენიშვნა:** თანამედროვე ქართულში პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული რიცხვითი სახელი **მრავალი** ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ნაკლებად შეიკუმშავს ფუძეს: ეს არის მოთხოვნა **ხალხის მრავალის**, ან კიდევ: მოედანი სავსე იყო **ხალხით მრავალით**... შეკუმშული ვარიანტი ზმნი-სართის (გარემოების) ფუნქციას ასრულებს: „**მრავლად** იყვნენ მოწვეული მაზრებიდან ადგილობრივი მცხოვრებნი“ (დ. კლდ.); „იქ შენი ძმებიც **მრავლად** არიან“ (ყაზბეგი)...

წილობითი რიცხვითი სახელი (პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგენილი) ყველა ბრუნვაში დაირთავს შესაბამის ნიშნებს.

|        |                     |
|--------|---------------------|
| სახ.   | ნაწილ-ი მეთათედ-ი   |
| მოთხრ. | ნაწილ-მა მეთათედ-მა |
| მიც.   | ნაწილ-ს მეთათედ-ს   |
| ნათ.   | ნაწილ-ის მეთათედ-ის |
| მოქმ.  | ნაწილ-ით მეთათედ-ით |
| ვით.   | ნაწილ-ად მეთათედ-ად |
| წოდ.   | _____               |

როცა პოსტპოზიციურ მსაზღვრელად გვაქვს **ორი ათასი** (ორკომპონენტური) ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები, საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება მხოლოდ ბოლო წევრი (**ათასი**), ხოლო პირველი ნაწილი (**ორი**) უცვლელად (სახ. ბრუნვის ფორმით) წარმოდგება ყველა ბრუნვაში.

|        |                         |
|--------|-------------------------|
| სახ.   | სტუდენტ-ი ორ-ი ათას-ი   |
| მოთხრ. | სტუდენტ-მა ორ-ი ათას-მა |
| მიც.   | სტუდენტ-ს ორ-ი ათას-ს   |
| ნათ.   | სტუდენტ-ის ორ-ი ათას-ის |
| მოქმ.  | სტუდენტ-ით ორ-ი ათას-ით |
| ვით.   | სტუდენტ-ად ორ-ი ათას-ად |
| წოდ.   | _____                   |

ანალოგიური ვითარება გვექნება (მაშასადამე, საზღვრულს ბრუნვაში შეეწყობა რიცხვითი სახელის მხოლოდ ბოლო კომპონენტი) მაშინაც, როცა პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილია **სამი ათას ხუთასი** (სამკომპონენტური), **ხუთი ათას შვიდას თხუთმეტი** (ოთხკომპონენტური) ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები.

|        |                                |
|--------|--------------------------------|
| სახ.   | სტუდენტ-ი სამ-ი ათას ხუთას-ი   |
| მოთხრ. | სტუდენტ-მა სამ-ი ათას ხუთას-მა |
| მიც.   | სტუდენტ-ს სამ-ი ათას ხუთას-ს   |
| ნათ.   | სტუდენტ-ის სამ-ი ათას ხუთას-ის |
| მოქმ.  | სტუდენტ-ით სამ-ი ათას ხუთას-ით |
| ვით.   | სტუდენტ-ად სამ-ი ათას ხუთას-ად |
| წოდ.   | _____                          |

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | სტუდენტ-ი ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ი   |
| მოთხრ. | სტუდენტ-მა ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-მა |
| მიც.   | სტუდენტ-ს ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ს   |
| ნათ.   | სტუდენტ-ის ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ის |
| მოქმ.  | სტუდენტ-ით ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ით |
| ვით.   | სტუდენტ-ად ხუთ-ი ათას შვიდას თხუთმეტი-ად |
| წოდ.   | _____                                    |

საზღვრულს შედგენილი რიცხვითი სახელის (რომელიც პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) მხოლოდ ბოლო კომპონენტი ეთანხმება ბრუნვაში იმ შემთხვევაშიც, თუ პირველი წევრი ფუძემდგომიანია (**სტუდენტი რვა ათასი...**).

|        |                        |
|--------|------------------------|
| სახ.   | სტუდენტ-ი რვა ათას-ი   |
| მოთხრ. | სტუდენტ-მა რვა ათას-მა |
| მიც.   | სტუდენტ-ს რვა ათას-ს   |
| ნათ.   | სტუდენტ-ის რვა ათას-ის |
| მოქმ.  | სტუდენტ-ით რვა ათას-ით |
| ვით.   | სტუდენტ-ად რვა ათას-ად |
| წოდ.   | _____                  |

თუ პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილი შედგენილი რიცხვითი სახელის ბოლო კომპონენტი ფუძემდგენიანია (**სტუდენტი ორი ათას რვა...**), ბრუნვის ნიშნებს (ამ შემთხვევაშიც) დაირთავს ეს უკნასკნელი (**რვა...**) და, ჩვეულებრივ, შეიკვეცება ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა შედგენილი რიცხვითი სახელი რიგობითია (**კაცი ორი ათას მეხუთე**).

|        |                             |                            |
|--------|-----------------------------|----------------------------|
| სახ.   | სტუდენტ-ი ორ-ი ათას რვა     | კაც-ი ორ-ი ათას მეხუთე     |
| მოთხრ. | სტუდენტ-მა ორ-ი ათას რვა-მ  | კაც-მა ორ-ი ათას მეხუთე-მ  |
| მიც.   | სტუდენტ-ს ორ-ი ათას რვა-ს   | კაც-ს ორ-ი ათას მეხუთე-ს   |
| ნათ.   | სტუდენტ-ის ორ-ი ათას რვა-ის | კაც-ის ორ-ი ათას მეხუთე-ის |
| მოქმ.  | სტუდენტ-ით ორ-ი ათას რვა-ით | კაც-ით ორ-ი ათას მეხუთე-ით |
| ვით.   | სტუდენტ-ად ორ-ი ათას რვა-ად | კაც-ად ორ-ი ათას მეხუთე-ად |
| წოდ.   | _____                       | _____                      |

პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით დასტურდება აგრეთვე **ორი მილიონი, სამი მილიარდი...** ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები. ასეთ შემთხვევებში საზღვრულს ყველა ბრუნვაში ეთანხმება მსაზღვრელის ბოლო კომპონენტი (**მილიონი, მილიარდი...**), ხოლო პირველი ნაწილი (**ორი, სამი...**) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს მხოლოდ სახელობითსა და მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმონი-თი ელემენტები.

|        |                        |                          |
|--------|------------------------|--------------------------|
| სახ.   | კაც-ი ორ-ი მილიონ-ი    | კაც-ი სამ-ი მილიარდ-ი    |
| მოთხრ. | კაც-მა ორ-მა მილიონ-მა | კაც-მა სამ-მა მილიარდ-მა |
| მიც.   | კაც-ს ორ მილიონ-ს      | კაც-ს სამ მილიარდ-ს      |
| ნათ.   | კაც-ის ორ-ი მილიონ-ის  | კაც-ის სამ-ი მილიარდ-ის  |
| მოქმ.  | კაც-ით ორ-ი მილიონ-ით  | კაც-ით სამ-ი მილიარდ-ით  |
| ვით.   | კაც-ად ორ მილიონ-ად    | კაც-ად სამ მილიარდ-ად    |
| წოდ.   | _____                  | _____                    |

თუ დასახელებული ტიპის შედგენილ რიცხვით სახელთა პირველი წევრი ფუძემოვნიანია (**კაცი რვა მილიონი...**), საზღვრულს ბრუნვაში შეეწყობა მხოლოდ მეორე კომპონენტი.

|        |                      |
|--------|----------------------|
| სახ.   | კაც-ი რვა მილიონ-ი   |
| მოთხრ. | კაც-მა რვა მილიონ-მა |
| მიც.   | კაც-ს რვა მილიონ-ს   |
| ნათ.   | კაც-ის რვა მილიონ-ის |
| მოქმ.  | კაც-ით რვა მილიონ-ით |
| ვით.   | კაც-ად რვა მილიონ-ად |
| წოდ.   | _____                |

როცა შედგენილი რიცხვითი სახელი (პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული) წარმოდგენილია ორზე მეტი კომპონენტით (**ხუთი მილიონ რვაასი, სამი მილიარდ ექვსასი ათას ოცდარვა...**), ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ ბოლო წევრი – ფუძეთანხმოვნიანიც და ფუძემოვნიანიც.

|        |                              |
|--------|------------------------------|
| სახ.   | კაც-ი ხუთ-ი მილიონ რვაას-ი   |
| მოთხრ. | კაც-მა ხუთ-ი მილიონ რვაას-მა |
| მიც.   | კაც-ს ხუთ-ი მილიონ რვაას-ს   |
| ნათ.   | კაც-ის ხუთ-ი მილიონ რვაას-ის |
| მოქმ.  | კაც-ით ხუთ-ი მილიონ რვაას-ით |
| ვით.   | კაც-ად ხუთ-ი მილიონ რვაას-ად |
| წოდ.   | _____                        |

|        |   |
|--------|---|
| სახ.   | კაც-ი სამ-ი მილიარდ ექვსას-ი ათას ოცდარვა     |
| მოთხრ. | კაც-მა სამ-ი მილიარდ ექვსას-ი ათას ოცდარვა-მ  |
| მიც.   | კაც-ს სამ-ი მილიარდ ექვსას-ი ათას ოცდარვა-ს   |
| ნათ.   | კაც-ის სამ-ი მილიარდ ექვსას-ი ათას ოცდარვა-ის |
| მოქმ.  | კაც-ით სამ-ი მილიარდ ექვსას-ი ათას ოცდარვა-ით |
| ვით.   | კაც-ად სამ-ი მილიარდ ექვსას-ი ათას ოცდარვა-ად |
| წოდ.   | _____   |

პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული ფუძეგარკეცებული რიცხვითი სახელები – ფუძეთანხმოვნიანნი თუ ფუძემოვნიანნი (**სამ-სამი, რვა-რვა...**) – ყველა ბრუნვაში დაირთავენ შესაბამის ნიშნებს.

|        |                     |                     |
|--------|---------------------|---------------------|
| სახ.   | ბავშვი-ი სამ-სამ-ი  | ბავშვ-ი რვა-რვა     |
| მოთხრ. | ბავშვ-მა სამ-სამ-მა | ბავშვ-მა რვა-რვა-მ  |
| მიც.   | ბავშვ-ს სამ-სამ-ს   | ბავშვ-ს რვა-რვა-ს   |
| ნათ.   | ბავშვ-ის სამ-სამ-ის | ბავშვ-ის რვა-რვა-ის |
| მოქმ.  | ბავშვ-ით სამ-სამ-ით | ბავშვ-ით რვა-რვა-ით |
| ვით.   | ბავშვ-ად სამ-სამ-ად | ბავშვ-ად რვა-რვა-ად |
| წოდ.   | _____               | _____               |



თუ პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილია **შვიდი-ათი** ტიპის რიცხვითი სახელი (მაშასადამე, როცა პირველი კომპონენტი სახ. ბრუნვის ფორმით დასტურდება), საზღვრულს ყველა ბრუნვაში ეთანხმება კომპოზიტის მეორე ნაწილი (**ათი**), ხოლო პირველი კომპონენტი (**შვიდი**) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითსა და მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ **ი** ხმოვნით ელემენტს.

|        |                      |
|--------|----------------------|
| სახ.   | კაც-ი შვიდ-ი-ათ-ი    |
| მოთხრ. | კაც-მა შვიდ-მა-ათ-მა |
| მიც.   | კაც-ს შვიდ-ათ-ს      |
| ნათ.   | კაც-ის შვიდ-ი-ათ-ის  |
| მოქმ.  | კაც-ით შვიდ-ი-ათ-ით  |
| ვით.   | კაც-ად შვიდ-ათ-ად    |
| წოდ.   | _____                |

როცა პოსტპოზიციურ მსაზღვრელად გვაქვს **შვიდი-რვა** ტიპის რიცხვითი სახელი (მაშასადამე, პირველი წევრი სახ. ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი), კომპოზიტის მეორე ნაწილი (**რვა**) ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშნებს, პირველი კომპონენტი (**შვიდი**) კი სრულად ეთანხმება საზღვრულს სახელობითსა და მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნითი ნაწილი, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით დაუკავშირდება საზღვრულს.

|        |                          |
|--------|--------------------------|
| სახ.   | სტუდენტ-ი შვიდ-ი-რვა     |
| მოთხრ. | სტუდენტ-მა შვიდ-მა-რვა-მ |
| მიც.   | სტუდენტ-ს შვიდ-რვა-ს     |
| ნათ.   | სტუდენტ-ის შვიდ-ი-რვა-ის |
| მოქმ.  | სტუდენტ-ით შვიდ-ი-რვა-ით |
| ვით.   | სტუდენტ-ად შვიდ-რვა-დ    |
| წოდ.   | _____                    |

**რვა-ცხრა** ტიპის პოსტპოზიციური მსაზღვრელის შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს დაირთავს კომპოზიტის მხოლოდ მეორე ნაწილი (**ცხრა**).

|        |                       |
|--------|-----------------------|
| სახ.   | მოსწავლე რვა-ცხრა     |
| მოთხრ. | მოსწავლე-მ რვა-ცხრა-მ |
| მიც.   | მოსწავლე-ს რვა-ცხრა-ს |
| ნათ.   | მოსწავლ-ის რვა-ცხრ-ის |
| მოქმ.  | მოსწავლ-ით რვა-ცხრ-ით |
| ვით.   | მოსწავლე-დ რვა-ცხრა-დ |
| წოდ.   | _____                 |

ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა კომპოზიტის პირველი წევრი ფუძემოგონიანია, ხოლო მეორე – ფუძეთანხმოვნია (მეგობარი ცხრა-ათი).

|        |                       |
|--------|-----------------------|
| სახ.   | მეგობარ-ი ცხრა-ათ-ი   |
| მოთხრ. | მეგობარ-მა ცხრა-ათ-მა |
| მიც.   | მეგობარ-ს ცხრა-ათ-ს   |
| ნათ.   | მეგობრ-ის ცხრა-ათ-ის  |
| მოქმ.  | მეგობრ-ით ცხრა-ათ-ით  |
| ვით.   | მეგობრ-ად ცხრა-ათ-ად  |
| წოდ.   |                       |

პოსტკოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული **მეშვიდე-მერვე (VII-VIII)** ტიპის რიცხვითი სახელები ყველა ბრუნვაში დაირთავენ შესაბამის ნიშნებს, ხოლო საზღვრულის რიცხვი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება კომპოზიტი მსაზღვრელის ნაწილებად – **მეშვიდე** და **მერვე** თუ **მეშვიდე** ან **მერვე**. პირველ შემთხვევაში (**მეშვიდე** და **მერვე**) საზღვრული მრავლობით რიცხვში დაისმის, მეორეში კი (**მეშვიდე** ან **მერვე**) – მხოლოდითში.

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | საუკუნე-ებ-ი მეშვიდე-მერვე / VII-VIII        |
| მოთხრ. | საუკუნე-ებ-მა მეშვიდე-მერვე-მ / VII-VIII-მ   |
| მიც.   | საუკუნე-ებ-ს მეშვიდე-მერვე-ს / VII-VIII-ს    |
| ნათ.   | საუკუნე-ებ-ის მეშვიდე-მერვე-ის / VII-VIII-ის |
| მოქმ.  | საუკუნე-ებ-ით მეშვიდე-მერვე-ით / VII-VIII-ით |
| ვით.   | საუკუნე-ებ-ად მეშვიდე-მერვე-დ / VII-VIII-დ   |
| წოდ.   |  |

|        |  |
|--------|--|
| სახ.   | საუკუნე მეშვიდე-მერვე / VII-VIII         |
| მოთხრ. | საუკუნე-მ მეშვიდე-მერვე-მ / VII-VIII-მ   |
| მიც.   | საუკუნე-ს მეშვიდე-მერვე-ს / VII-VIII-ს   |
| ნათ.   | საუკუნ-ის მეშვიდე-მერვე-ის / VII-VIII-ის |
| მოქმ.  | საუკუნ-ით მეშვიდე-მერვე-ით / VII-VIII-ით |
| ვით.   | საუკუნე-დ მეშვიდე-მერვე-დ / VII-VIII-დ   |
| წოდ.   |  |

ინვერსიულ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე **-ოდე** და **-ჰე** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები (ფუძეუკვეცელნი), რომლებიც ყველა ბრუნვაში ეთანხმებიან თავიანთ საზღვრულებს.

|        |                      |                       |
|--------|----------------------|-----------------------|
| სახ.   | სიტყვა ორიოდე        | მეგობარ-ი სამივე      |
| მოთხრ. | სიტყვა-მ ორიოდე-მ    | მეგობარ-მა სამივე-მ   |
| მიც.   | სიტყვა-ს ორიოდე-ს    | მეგობარ-ს სამივე-ს    |
| ნათ.   | სიტყვ-ის ორიოდე-ს(ი) | მეგობრ-ის სამივე-ს(ი) |
| მოქმ.  | სიტყვ-ით ორიოდე-თი   | მეგობრ-ით სამივე-თი   |
| ვით.   | სიტყვა-დ ორიოდე-დ    | მეგობრ-ად სამივე-დ    |
| წოდ.   |                      |                       |

ნარიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს პოსტკოზიციური მსაზღვრელი (რაოდენობითი თუ რიგობითი რიცხვითი სახელით წარმოდგენილი) რიცხვშიც შეეწყობა (**ძმანი სამნი, ყვავილნი მრავალნი, სიტყვანი პირველნი...**): „**გუშაგნი ზევრნი** თვითოსა მცველად / გვყვან ნების წარმტაცველად“ (ალ. ჭავჭავაძე).

### ლიტერატურა

**არაბული 2004** – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

**აფრიდონიძე 2009** – შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.

**გიგინეიშვილი 1970** – ივ. გიგინეიშვილი, რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხები, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

**დავითიანი 1973** – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**თანამედროვე ქართული ენა**, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კვაჭაძე 2018** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

**ლეჟავა 1970** – ლ. ლეჟავა, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

**შალამბერიძე 1998** – გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები (მეორე შევსებული გამოცემა), თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

**ჩიქობავა 1983** – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი.

**ჩიქობავა 1998** – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

**ჯანაშია 1970** – ს. ჯანაშია, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

---

TAMAR VASHAKIDZE

**The Agreement of a Numeral Modifier with  
the Head Word in Case and Number**

S u m m a r y

The paper analyzes the cases of the agreement of numeral modifiers with the head word in case and number.

A numeral modifier can be a cardinal number (**three** friends), an ordinal number (the **second** issue), and a fractional number (one **fourth** of a whole).

The cases where we have open compound numerals (**two thousand seven hundred** students), hyphenated compound numerals (**lit. seven-ten** people), and hyphenated compound numerals with a doubled base (**lit. five-five** children) as modifiers are discussed separately.

We also present the cases of the agreement of a postpositional modifier with the head word in case and number.

მაკა ლაბარტყავა

**-ა სავრცობის გამოყენებისათვის თანამედროვე  
ქართულში**

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში -ა ხმოვანი – იგივე სავრცობი, შეიძლება დაერთოს სახელებს, ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვას და, იშვიათად, ზმნებსაც.

აკ. შანიძე შენიშნავს, რომ „ფორმები ოთხი ბრუნვისა (მიც., ნათ., მოქ., ვით.) მხოლოდითში და იმავე ბრუნვებისა I მრავლობითში შეიძლება გავრცობილ იქნეს ა ელემენტის დართვით, რომელიც წარმოშობით ნაშთია განსაზღვრების ნაწილაკისა (ე. წ. ნაწევრისა ანუ ართრონისა), სახელთან შეზრდილი. ეს ელემენტივე შეიძლება დაერთოს აგრეთვე II მრავლობითის თანაირ ფორმებს (მოთ., მიც., ნათ)“ (შანიძე 1973: 48).

თანამედროვე ქართულში -ა სავრცობის გამოყენების ორი ძირითადი შემთხვევა შეინიშნება: 1. როდესაც -ა სავრცობი აუცილებელია (მის გარეშე სიტყვა არ იხმარება) და 2. როდესაც მისი გამოყენება ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

პირველი რიგის შემთხვევები სალიტერატურო ქართულში დავას არ იწვევს. კერძოდ:

ა) -ა ხმოვანი უთუოდ გამოვლინდება თანხმოვანზე გათავებულ სიტყვებში -ც(ა) ნაწილაკის წინ.

კონტექსტები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენიდან:

1. **წამალსაც**: „ბოლო დროს ისე დასპეციალისტდნენ საქმეში, რომ ექიმის მიერ გამოწერილ **წამალსაც** აღარ ენდობიან“ („საქ. რეპუბლიკა“: 2011).
2. **ქათმისაც**: „მათ დღევანდელი კვერცხის ფასიც იციან და ხვალინდელი **ქათმისაც**“ („დილის გაზეთი“: 2000).
3. **სახლისაც**: „მეხსიერებაში ჩამრჩა, რასაკვირველია, და ფოტოებიც არსებობს, **სახლისაც** და ჩოხა-ახალუხიანი ქართველებისაც“ („24 საათი“: 2006).
4. **შენგანაც**: „ის თავის საქმეში იყო მომთხოვნი და მაქსიმუმს ითხოვდა **შენგანაც**“ („ახალი თაობა“: 2011).

5. **ჩემგანაც**: „მადლობა გოგონა, მაგრამ, ვიცი, ამას ისე არ გააკეთებდი **ჩემგანაც** რომ არ ელოდე რამეს სანაცვლოდ“ (tavisufleba.org).
6. **უნივერსიტეტისაც**: „დიდი აკაკი ბატონი ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ **უნივერსიტეტისაც** და აკადემიისაც“ („საქ. რესპუბლიკა“: 2012).
7. **წიგნისაც**: „პრეტენზიული სიტყვაა პრეზენტაცია, საკუთარი **წიგნისაც** კი!“ (tavusupleba.ge).
8. **მისთვისაც**: „მე კი მივხვდი, რომ ახლა **მისთვისაც** თითოთ საჩვენებელი გავხდი“ (ბ. ჯანიკაშვილი).
9. **მეგობრისთვისაც**: „ყველა მხოლოდ თავისთვის კი არ თამაშობდა, **მეგობრისთვისაც** იბრძოდა და სწორედ ეს არის გადამწყვეტი“ („სარბიელი“: 2007).
10. **სიხარულისაც**: „ხათუნამ მწუხარების ცრემლს **სიხარულისაც** მიუმატა და დიდხანს ხარხარებდნენ ორთავენი მთელი ძალით“ („საქართველო“: 2003).

გამონაკლისს წარმოადგენს: **შენც, ჩვენც, თქვენც, როგორც...** ნაცვალსახელები.

ბ) აუცილებელია -**ა** ხმოვნის გამოყენება სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმებთან, როდესაც მას -**ვით** თანდებული ერთვის.

კონტექსტები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენიდან:

1. **კალიასავით** : „ქართული სალიტერატურო ენის ვრცელ და ნოყიერ სარბიელს ამჟამად **კალიასავით** მოსდებია კალკთა ხროვა რუსული ენის შეწევნით“ („საქ. რესპუბლიკა“: 2010).
2. **მზესავით** : „ეს **მზესავით** ჩახჩახებს და იგი მთვარეს უფრო ჩამოჰკავდაო“ (ო. იოსელიანი).
3. **ხბოსავით**: „**ხბოსავით** კი ნუ კუნტრუშობთ! ჯერ დაფიქრდით, გაზომეთ და მერე ისე თქვით“ (გ. ლეონიძე).
4. **მდინარესავით**: „შედეგებულ **მდინარესავით** დიოდა, განურჩევლად კაცი და ცხენი“ (ლ. გოთუა).
5. **ხესავით**: „იხვეწებოდა თავმორეული, ყველასაგან გარიყული, უშტოვო **ხესავით** მარტო, ყინვა-სიცხეში ჩამომწვარი ფუფალა“ (გ. ლეონიძე).
6. **დედასავით**: „მიმიღე და შემინახე, შენ ხომ **დედასავით** გულუბვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან არის“ (გ. ჩოხელი).
7. **კლდესავით**: „...მომწონს შენი ილეთი და მიმხვდურობას გიქებ!... ისევ ადი სერზე, **კლდესავით** დადექ!“ (ლ. გოთუა).
8. **მთასავით**: „არც ისე დიდა, მაგრამ პატარა ბიჭის გვერდით **მთასავით** მოჩანს“ (თ. ბიბილური).

9. **თოლიასავით**: „შენი ნაცრისფერი სანაპირო მობუზულია ფრთამოტეხილ **თოლიასავით** და უხმოდ სველდება“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014).

10. **კატასავით**: „ცოფიან **კატასავით** შემოუტია, ალის ქარმა დასწვა ხვარამზეს“ (ვ. გამსახურდია).

გ) ჩვეულებრივ, -ა ხმოვნის გარეშე არ იხმარება ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, როდესაც ის საზღვრულს მოსდევს.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „როცა ნათესაობითი ბრუნვა მსაზღვრელის როლში გამოდის და საზღვრულს მოსდევს, ეს -ა აუცილებელია: იგი ამთავრებს და ხმავს კონსტრუქციას: **წიგნი ამხანაგისა** (და არა: **წიგნი ამხანაგის!** ამ უკანასკნელს შეიძლება ახალი მსაზღვრელი დაერთოს: **წიგნი ამხანაგის ძმისა!** არა-და, კონსტრუქცია ისევ ღია დარჩება: **წიგნი ამხანაგის ძმის მასწავლებლისა**)... ეს -ა ისევე საჭიროა, როგორც -ო არის საჭირო ფორმაში **ხორავასი**“ (ჩიქობავა 1998:29).

კონტექსტები თანამედროვე ქართული ენიდან:

1. **ძალა სიყვარულისა**: „რაც უფრო დიდია **ძალა სიყვარულისა**, რომელიც ერმა ჩადო თავის მგოსნის სულში, მით უმეტეს კეთილშობილია“ (ტ.ტაბიძე).
2. **ხმა ღვთისა**: „ხოლო ღრუბლიან ცაზე გაისმა **ხმა ღვთისა**: –„ესე არს მე ჩემი საყვარელი“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014).
3. **ძალა ერისა**: „ენა ეს არის **ძალა ერისა**, რომელიც მას უძღვის უფლისკენ“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014).
4. **ცეცხლი სიყვარულისა**: „მწველი იყო მუნით ნაკვესი **ცეცხლი სიყვარულისა**“ (ვ. ბარნოვი).
5. **ჟამი შენებისა**: „დადგა **ჟამი შენებისა**, ჩვენი ერი კვლავ უბრუნდება თავის ფესვებს“ („ახალი 7 დღე“: 2004).
6. **ხელი მეგობრობისა**: „ინაუგურაციის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას გაუწოდა **ხელი მეგობრობისა**“ (tavisufleba.org).
7. **გზა ხსნისა**: „მწერალი თუ პოეტი ცდილობდა გაერკვია, რამია ჭეშმარიტება და სად არის **გზა ხსნისა**“ (<https://www.orthodoxy.ge>).
8. **ნატამალი სირცხვილისა**: „არა, ბატონო, **ნატამალი სირცხვილისა** არ ემჩნეოდათ“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014).
9. **სიტყვა სინანულისა**: „გმადლობთ, პრეზიდენტო, და ნახვამდის!“... არცერთი **სიტყვა სინანულისა!**“ („საქ. რესპუბლიკა“: 2014).
10. **გლოვა ქარისა**: „სული ზეცაში გაფრენილიყო, მხოლოდ ისმოდა **გლოვა ქარისა**“ („ლიტ. საქართველო“: 2004)...

აღსანიშნავია, რომ „**ხმამ დედისამ**“ და „**მუშაობას გიორგისას**“ ტიპის შესიტყვებები XIX საუკუნის მწერლებთან ხშირად დასტურდება. ილიასთან ვკითხულობთ: „შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ **ხმამ დედისამ** გამოაბრუნა,—ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა...“ (ილია); „...ქვევიდამ შე-

სცქეროდა გამალებულს **მუშაობას გიორგისას**“ (ილია)... თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მსგავსი კონსტრუქციები იშვიათია.

დ) მავრცობი -ა მუდამ ახლავს სიტყვას, თუ ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, იგუებს მას და, ამასთანავე, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია.

1. **ქვისაა**: „სხვების ჯვარი: ან **ქვისაა** ან რკინის ან უბრალო ხის“ (გრ.რო-ბაქიძე).
2. **გიორგისაა**: „ჩემი პირველი მთავარმოწამე ხატი წმინდა **გიორგისაა**“ ([www.ambioni.ge](http://www.ambioni.ge)).
3. **კარგადაა**: „ჩვენი პატრიარქის წყალობითა და ჩვენი მთავრობის გვერდში დგომით, ყველაფერი **კარგადაა**“ ([postv.media](http://postv.media)).
4. **იმიტომია**: „ნეიტრალიტეტზე საუბარი ახლა აუცილებელი **იმიტომია**, რომ საქართველო აცდეს უბედურებას“ (<https://obieqtivi.info>).
5. **აქაა**: „პანდემიის ტალღამ გადაიარა, მაგრამ კოვიდ-19 ისევ **აქაა**“ ([www.amerikiskhma.com](http://www.amerikiskhma.com)).
6. **ღვთისაა**: „ქართველი კაცისთვის სტუმარი **ღვთისაა**“ („ლიტ. საქართველო“: 2007).
7. **პრეზიდენტისაა**: „საპარლამენტო უმრავლესობა **პრეზიდენტისაა**, რასაც იტყვის პრეზიდენტი, იმას გააკეთებენ“ („ახალი 7 დღე“: 2007).
8. **ქართველისაა**: „ეს მაღლი ყველა **ქართველისაა**“ („ახალი თაობა“: 2008).
9. **სიყვარულისაა**: „მართლმადიდებლური სარწმუნოების თანახმად ყოველი დღე **სიყვარულისაა**“ („საქ.რესპუბლიკა“: 2007).
10. **შეყვარებულისაა**: „სხვისი სახელი ან **შეყვარებულისაა**, ან იმის, ვისთანაც პრობლემები გაქვთ“ (<http://old.tbiliselebi.ge>)...

ე) როდესაც და ან თუ კავშირითაა შეერთებული მიცემით ანდა ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი ორი სახელი, რომელთაგანაც მეორე თანდებულდართულია, პირველი აუცილებლად -ა ხმოვანს საჭიროებს.

1. **მზესა და მთვარესავით**: „გადაიხადეს ახალი ქორწილი, ნეფე-დედოფალი **მზესა და მთვარესავით** აშუქებდნენ ერთმანეთს“ ([document.pub](http://document.pub)).
2. **ცასა და დედამიწასავით**: „ან რა დასკვნა უნდა გამოეტანა დედა-შვილის საუბრიდან, რომლებიც **ცასა და დედამიწასავით** განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან“ ([lib.ge](http://lib.ge)).
3. **ცხოველისა თუ ტანსაცმლისაგან**: „ამასთან, შვილებს საკუთრებად არ მიიჩნევენ **ცხოველისა თუ ტანსაცმლისაგან** განსხვავებით“ ([tavisufleba.org](http://tavisufleba.org)).
4. **დედისა და მეგობრისაგან**: „ახლა კი, ბების, **დედისა და მეგობრისაგან** ნასწავლ რეცეპტებს თავი ერთ წიგნში მოუყარა“ („24 საათი“: 2004).



5. **მზესა და ნათელთან:** „იგი ცდილობს იესო (ლოგოსი) გასაგები გახადოს **მზესა და ნათელთან** შედარებით“ (ვ. ნოზაძე).
6. **ზღვასა და ხმელეთზე:** „მადიანად შეექცეოდნენ ნატვრის სუფრას, ისეთი კონსტრუქციები იყო, რომ **ზღვასა და ხმელეთზე** იმგვარი არსად იქნებოდა“ (ვ. დოჩანაშვილი).
7. **ბავშვსა თუ მოზარდზე:** „ალარაფერს ვამბობთ ათასობით მათხოვარ, მაწანწალა **ბავშვსა თუ მოზარდზე**“ („საქ. რესპუბლიკა“: 2007).
8. **ხესა თუ ბუჩქში:** „მცენარე, რომლის ღერო არ ხდება მერქნიანი და მდგრადი (როგორც **ხესა თუ ბუჩქში**), მაგრამ რჩება რბილი და წვნიანი“ ([https:// wikipedia.net](https://wikipedia.net)).
9. **მასწავლებლისა თუ მოსწავლისათვის:** „**მასწავლებლისა თუ მოსწავლისათვის** – ყველასთვის სულერთი იყო, ვინ რას აკეთებდა“ (*lib.ge*)...
10. **სიმღერებსა და ცეკვებში:** „ჩვენი ნაკრები დანარჩენ გუნდებს ხალხურ **სიმღერებსა და ცეკვებში** შეეჯიბრება“ („24 საათი“: 2006).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდება მეორე რიგის შემთხვევები, როცა -ა სავრცობი არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს. ეს შემთხვევებია:

1) -ა ხმოვანი დასტურდება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებსა და ნაცვალსახელებთან მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებში და, აგრეთვე, შესაფერის შემთხვევაში ხმოვანფუძიან სახელებსა და ნაცვალსახელებთან გამოვლინდება მოთხრობით ბრუნვაშიც – **ქალსა, მეფისა, ხმითა, ღონითა, ქუდადა, შვილადა, ვანომა, სიძემა...**

2) ხშირად -ა ხმოვანი შესაფერის პირობებში დაერთვის ან აღდგება თანდებულებთანაც – **ბავშვისთვისა, კესოსკენა, წყაროსთანა, ცხენივითა.**

3) -ა ხმოვნით გავრცობილია ბევრი ისეთი ნაცვალსახელი, რომლებიც ბრუნვის ნიშნით არ არის გაფორმებული. ამ შემთხვევაშიც ზოგან აღდგება ეს ხმოვანი, ზოგან კი დაერთვის – **შენა, ჩვენა, ესა, ისა, ვინა...**

4) მავრცობი -ა ხშირად იხმარება ფორმაუცვლელ სიტყვებთან, ძირითადად ზმნისართებთან, ზოგჯერ კი კავშირებსა და ნაწილაკებთან – **აქა, შინა, წინა, სადა, კიდევა, ძალიანა, იმიტომა...**

5) ხშირად სხვათა სიტყვის -ო ხმოვანი -ა ხმოვნით გავრცობილ ფორმას ერთვის და გარკვეულ სიტუაციაში ეს სრულიად ბუნებრივია – **რადაცამაო, გულითაო, თქვენაო, რადაო...**

6) იშვიათად -ა ხმოვანი გვხვდება ზმნებთანაც. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია სასაუბრო მეტყველებაში, ძირითადად, მრავლობითობის -თ-სა და სუბიექტური მესამე პირის ნიშნის **ს-ს** შემდეგ (**ნახესა და განიცადეს**).

ზემოთ დასახელებულ ფორმათა შესახებ ნორმებში აღნიშნულია, რომ: „ყველა ამ შემთხვევაში -ა ხმოვანი არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გამოყენება კანონზომიერია, მას გარკვეული ადგილი აქვს წინადადებაში და გარკვეულ პირობებში იხმარება...“ (ბიულეტენი 1985: 24).

შესაბამისად, -ა სავრცობის ხმარება ინდივიდუალურია და ყველა მწერლის ნაწერებში იგი ერთნაირად არ არის წარმოდგენილი, თუმცა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მისი გამოყენება შეზღუდული და ნაკლებ დამახასიათებელია, რადგან ფრაზას დიალექტურ ელფერს აძლევს.

მეორე რიგის შემთხვევებიდან თანამედროვე ქართულში ყურადღებას იქცევს -ა სავრცობის დართვა-დაურთველობა **და/თუ** კავშირების წინ (როცა ეს კავშირები აერთებს ორ სიტყვას).

ნორმებში აღნიშნულია, რომ: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მავრცობი -ა-ს ხმარება სავსებით ბუნებრივი და მართებულია **და** და **თუ** კავშირების წინ, როცა ეს კავშირები აერთებს ორ სიტყვას (გარდა ზმნებისა): **დასა** და **მმას**, **მიწისა** თუ **ცის**, **ამასა** თუ **იმას**...“ (ბიულეტენი 1985: 23).

რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში (ასევე მწერლობაში) ვხვდებით კონტექსტებს როგორც სავრცობიანი, ისე უსავრცობო ფორმებით: „**მზისა და მთვარის** სხივ-კრთომაზე, ქართული ხმლების ელვარება ილანდება“ (ლ. სანიკიძე), შდრ.: „შენს ღვაწლთან **მზის და მთვარის** სხივი არაფერია“ (lib.ge); „ვიცი, რომ ამ დროში **დედასა და მამას** დედამთილ-მამამთილს აღარავინ ეძახის“ („ახალი თაობა“: 2010), შდრ.: „აქედან დაიწყო **დედას და მამას** შორის ურთიერთობა, რომელიც საბოლოო ჯამში ქორწინებით დაგვირგვინდა“ („ახალი თაობა“: 2007); „ძალიან ხმაურიანია ეს დოლიძის ქუჩა, განურჩევლად **დღისა თუ ღამის**“ (tavisupleba.org), შდრ.: „გსმენიათ კიდეც, თუ როგორ არღვევს **დღის და ღამის** მყუდროებას ჩვილის ტირილი“ („საქ. რესპუბლიკა“: 2007) და სხვა.

დაისმის კითხვა: აღნიშნულ შემთხვევებში -ა სავრცობის გამოყენებლობა არის თუ არა ნორმის დარღვევა?

ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში -ა სავრცობს სტილისტიკური დანიშნულება აქვს. არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ბოლოკიდურ -ა-ს დართვა ამჟამად – მეტ წილ შემთხვევაში – უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს“ (ჩიქობავა 1998: 29).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დასახელებულ შემთხვევებში -ა სავრცობი შეგვიძლია გამოვიყენოთ ან – არა: **ცისა** და **მიწის/ ცის** და **მიწის**; **ზღვასა** და **ხმელეთს/ზღვას** და **ხმელეთს**; **ქალსა** თუ **კაცს/ქალს** თუ **კაცს**...

## ლიტერატურა

**ბიულეტენი 1985** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი № 1-2, თბილისი.

**ქეეკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები.

**ჩიქობავა 1998** – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

MAKA LABARTKAVA

### On Using the Emphatic Vowel -a in Modern Georgian

#### S u m m a r y

The paper discusses two important issues related to the use of the emphatic vowel **-a** in modern Georgian: 1. when the emphatic vowel **-a** is necessary (without it the word is not used) and 2. when the use is not caused by such necessity.

The cases of the first issue do not cause disputes in the modern Georgian language. As for the second issue, the cases of adding and not adding the emphatic vowel **-a** before the conjunctions **da/tu** are analyzed, e.g., **mzisa da mtvaris** sxiv-  
krtomaze, kartuli xmlebis elvareba ilandeba “The rays of the sun and the moon make it possible to see the shining Georgian swords” (L. Sanikidze), cf.: **šens**  $\gamma$ vaxltan **mzis da mtvaris** sxivi araperia “The rays of the sun and the moon are nothing compared to your merits” (lib.ge); vici, rom am droši **dedasa da mamas** dedamtil-mamamtils a $\gamma$ aravin e $\gamma$ axis “I know that nowadays no one calls mother and father mother-in-law and father-in-law anymore” (Akhali Taoba: 2010), cf.: akedan dai $\check{c}$ o **dedas da mamas** šoris urtiertoba, romelic saboloo žamši kor $\check{c}$ inebit dagvirgvinda “This is where the relationship between mother and father began, which ultimately culminated in marriage” (Akhali Taoba: 2007).

In connection with the above-mentioned issue, a question will be asked: Do we violate the norm if we do not use the emphatic vowel **-a**?

The paper extensively discusses the mentioned problem.

რომან ლოლუა

## არსებით სახელთა რედუბლიკაცია ლეზგიურ ენებში

(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)<sup>1</sup>

რედუბლიკაციის როლი ლექსიკის განვითარების თვალსაზრისით ლეზგიურ ენებში ნაკლებადაა შესწავლილი. რედუბლიკაცია სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ცალკეულ ლექსიკურ მაგალითებშია შენიშნული (მაგ., ხაიდაკოვი 1973: 14; გიგინეიშვილი 1977: 96; თალიბოვი 1980: 197 და სხვ.), ხოლო მისი სისტემური კვლევა არ ყოფილა. თან მკვლევრები რედუბლიკაციის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ რედუბლიცირებული და არარედუბლიცირებული ფორმების დაპირისპირების შემთხვევაში. შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის ლექსემები (არსებითი სახელები და ზოგიერთი ზედსართავი სახელი. ისტორიულად და დღესაც ეს მეტყველების ნაწილები სუსტად არიან დიფერენცირებულნი ლეზგიურ ენებში), რომლებიც გაორკვევული ფუძეებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საერთოდადესტნურ ან საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე.

### საერთოდადესტნური ქრონოლოგიური დონე:

ფრინველთა სახელწოდებანი:

„გუგული“ – ლეზგ. **ქუქუბ**, თაბ. **ქუქუმ**, აღ. **ქექუ**, რუთ. **გიგუზ**, წახ. **გუქი**, არჩ. **გუქუ**, კრიწ. **გუგუ**, ბუდ. **გუგუბ**, უდ. **ქუფქუფ** ~ ხუნძ. **გაგუ**, ანდ. **გიგუ**, ბოთლ., გოდ., კარ. **გუგუ**, ახვ. **გიგუ**, ბაგვ. **გიგო**, დარგ. **გიგუთ**, ლაკ. **ჩექუ**, ხინ. **გუქუ**, ბეჟტ. **ქუქუბო**, ხვარშ. **ქუქუ**. იხ. (ბოკარევი 1961, 62; ლექსიკა 1971, 154; ხაიდაკოვი 1973, 16; გიგინეიშვილი 1977, 78; ზაგიროვი 1987: 20). ხმაბაძვითი ლექსემაა. ზოგიერთ ენაში ფუძე გართულებულია ექსპრესიული სუფიქსებით (ლეზგ. -**ბ**, ბუდ. -**ტ** და ა. შ.). ამ ხმაბაძვითი ფუძის გავრცელების შესახებ კავკასიის სხვა ენებში იხ., მაგ., (აბაევი 1958: 506). იხ. აგრეთვე ლექსემები **წერო** და **კოდალა**.

მწერთა სახელწოდებანი:

„ბუზი“ – ლეზგ. **ტუბ**, აღ., ბუდ. **ტუბ**, რუთ. **დგდ**, წახ. **ტობ** „ფუტკა-რი“, არჩ. **ტანტ** „id“, კრიწ. **ტგტ**, უდ. **თათ** ~ ხუნძ., დიდ., ხვარშ., ჰინ. **ტუბ**, ანდ. **ტანტა**, ბოთლ. **ტუნტ**, ლოდ., ტინდ. **ტუნტუ**, კარ. **ტუბუ**, ახვ. **ტიტი**, ბაგვ.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072 „არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“).

**ტუნტუ**, ჭამ. **ტუნტ**, ბეჟ. **ტოტ**, დარგ. **ტენტ**. იხ. ლექსიკა 1971, 156; ხაიდაკოვი 1973, 20; კლიმოვი, ალექსეევი 1980: 285; ზაგიროვი 1987: 21-22). გენეზისურად აგრეთვე უკავშირდება ჩეჩნ. **ტოდ** და ბაცბ. **ტუტ** „კრაზანა“ (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 998-999).

„კალია“ – ლეზგ. **წიწ**; თაბ. **წიწ**; ბურშ. **წირწირ ალი** // **წირწინ ალი**; რუთ. **წგწ**; წახ. **წითა**; გილმ. **წით**; უდ. **ცეც** „ჩრჩილი“; სხვ. ნახ.-დალ.: დარგ. **წერწ**, ჩეჩნ. **წოზ** და სხვ. იხ. აგრეთვე, თალიბოვი 1980: 296; ბოკარევი 1981: 78; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 823 [ს.-ლეზგ. \***წიწ** (// **წიწა**)]. იხ. აგრეთვე ლექსემები **კუტკალია**, **ჭიანჭველა**, **ხოჭო**, **კოდო**.

სხეულის ნაწილები:

„მუხლი (ანატ.)“ – თაბ. **ყამყ**, აღ. **ყაყყუ**, რუთ. **ყაყყ** ~ დარგ. **ყუყა**, **ყაყყა**, დიდ. **ყანყუ**, ჰინ. **ყაყუ** „ლულოვანი ძვალი“; იხ. (ლექსიკა 1971: 114; ზაგიროვი 1987: 28; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 908).

„მკერდი (ქალის)“ – ლეზგ. **მამ**, თაბ. **მემე**, **ნენეა**, არჩ. **მამ**, კრიწ. **მამ**, ბუდ. **მემ** ~ ხუნძ., დარგ. **მამა**, ბეჟ. **მომოლა**, ჰუნზ. **მომლა**. იხ. ლექსიკა 1971: 108; თალიბოვი 1980, 270; ზაგიროვი 1987: 28. უკავშირდება ჩეჩნ. **მამაგ** ფორმას (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 806). როგორც ჩანს, მიეკუთვნება ე. წ. საბავშვო ლექსიკას. გვხვდება რედუპლიცირებული სინონიმური ძირიც, რომელიც აგრეთვე საერთო-ნახურ-დადესტნურ ლექსიკას მიეკუთვნება (იხ. ხუნძ. **ქექე** და სხვ.).

„ყელი“, „ხორხი“ – ყანდ. **ყარყარ**; აღ. **ყურყ**; რუთ. **ყაყარ**; არჩ. **ყაყარა** „ცხოველის ყელი“; უდ. **ჭოჭ**; ნიჯ. **ჭიდ** (?); ლეზგ. **ჭუჭ** „ჩიყვი“, „ნემსის ყუნწი“ (?); სხვ. დალ.: ჰინ. **ყეყ** „ყელი“, „ხორხი“, ლაკ. **ყაყარი** „ყელი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: (ლექსიკა 1971: 106; თალიბოვი 1980: 307; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 473, 909 [ს.-ლეზგ. \***ყარყ** // **ყარყარ**]).

იხ. აგრეთვე **ზარმაყი**, **კვერცხი** / „**testiculus**“, **თვალის გუგა**, **ჭორფლი**, **ნერწყვი**.

მცენარეთა სახელწოდებანი:

„წიფელი“ – ლეზგ. **ფიფ-ინ თარ**; თაბ. **ფირფ-უნ ჰარ**; კრიწ. **ფიფ**; ბუდ. **ფიფ**; უდ. **ფუფ** // **ფუფნა ხოდ**; ს.-ლეზგ. \***ფირფ**. სხვ. დალ.: ანდ. **ფიფი** „ჭადარი“ და სხვ. (ხაიდაკოვი 1973: 53; მუსაევი 1978: 82; ზაგიროვი 1987: 33; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 873).

„ეკალი“ – ლეზგ. **ცაზ**, **ცაცუნ**; თაბ. **ზაზ**; დიუბ. **ძამა**; აღ. **ზაზ**; რუთ. **ზაზ**; წახ. **ზაზა**; არჩ. **ცაც**; უდ. **ცაც**; სხვ. დალ.: ხუნძ. **ზაზ**; ლაკ. **ცაც** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოვი 1930: 84; ლექსიკა 1971: 164; გიგინეიშვილი 1977: 84; თალიბოვი 1980: 293; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 1091 [ს.-ლეზგ. \***ცაცა**]).

იხ. აგრეთვე **ტოტი**.

საერთოდადესტნური წარმოშობის გაორკეცებული ფუძეები გვხვდება ლექსემებში, რომლებიც მომცრო საგნებსა ან მათ ერთობლიობას აღნიშნავს:

„კენჭი“ – ლეზგ. **ხირხემ**, თაბ., რუთ. **ხაზა’ლ** – ხუნძ. **ხახი** «ხრეში» და სხვ. იხ. (ზაგიროვი 1987: 45; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1073). ლეზგიურ

ენებში ფუძეს აქვს დართული მოგვიანო წარმოშობის სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის აფიქსები.

„ფუნთუშა“, „მომცრო ბრტყელი მრგვალი პური“ – თაბ. **ქიქი**, ად. **ქუქალ-ამ**, რუთ. **გუგალ-ამ**, არჩ. **გერგე-ზოს** „ცომის გაბრტყელება“, უდ. **ქოქომ** „გამომცხვარი პურის ნაჭერი“ – დარგ. **გერგ** „მრგვალი პური“, ხუნძ. **გურგა** „მომცრო მრგვალი პური“, კარ. **ჰენგო** „პური“. (იხ. ხაიდაკოვი 1973: 67; ზაგიროვი 1987: 48. ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994 : 474).

„კვერცხი“ – ად. **ღარაღალ**; რუთ. **დგღღღ**; უდ. **კოკლა**; ს.-ლუზგ. **\*ჰალანკა**. სხვ. დად. ჰუნძ. **კონკლა** (სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 906).

„კვერცხი“ (1); „testiculum“ (2) – თაბ. დიუბ. **ყურყურ** (2); ხნუხ. **ყგღყ III** (2); წახ. **ყყყ** (2); ბუდ. **ყალყყ**; უდ. ვართ.-ზინ. **ჰანკაფუნ** „ერბო-კვერცხი“; ს.-ლუზგ. **ყოლოყ**. უდიდურში ემატება გაურკვეველი ფუქციის მქონე სუფიქსი **-ფუნ**. სხვ. დად.: დარგ. ჩირად. **ჰულყყ** „მარცვალი“, ხვარშ. ინხ. **ყწყყე** „კაკა-ლი“ და სხვ. (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 933).

გაორკვეცებული ფუძეებით წარმოდგენილია ზოგიერთი საერთოდ აღეს-ტნური ზედსართავი სახელიც:

„ყვითელი“ – ად. **ჰუჰე-ჰე**, თაბ. **ღათხუ**, არჩ. **ხახა** ~ ლაკ. **ჰაჰისა**, ხუნძ. **ჰაჰაჰ** „თეთრი“, დარგ. **ბუჰუტა**;

„რბილი“ – ლუზგ. **ფურფუ**, თაბ. **ფურფუ**, უდ. **ფოფ** „მამლის ბიბილო“ – ანდ. **ფაფა**, ბოთლ. **ფაფა**, ახვ. **ჰუჰაჰუადა**, ტინდ. **ფაფა-ბ**, ჰამ. **ფაფა-ბ**, ბაგვ. **ფაფა-ბ**, ლოდ. **ფაფა** „მსუბუქი“, „რბილი“, ბეჟ. **ზაზ**, ჰინ. **ზაზ** „წვერი“.

„მრგვალი“ – თაბ. **გერგმი**; ად. **გილგენ-ჰე**; იხრ. **გერგენგ-დე**; წახ. **გზგზრა-ნ**; წახ. კილ. **გერგგ-რან**; მიშლ. **გილგილენ**; არჩ. **გუჰი** (შესამღებელია, < ლაკ. **ჰურჰი**-); კრიწ. **გურ-გუმ**; ბუდ. **გუნგურ-ტი**; ვართ.-ზინ. **ჰაჰანჰიჰი**, ნიჯ. **ჰანჰიჰირომ**; სხვ. დად.: ლაკ. **ჰურჰი-სა**, ხუნძ. **გურგინა-ბ**, ახვ. **გიგადა**, კარ. **გირგანუბ**, ტინდ. **კორკალუბ**, ჰამ. **კორაკუბ**, ბაგვ. **გურგინაბ**, ლოდ. **გირგამუ**, ანდ. **გორგომა**, ბეჟ. **გომორდიომ**, ხვარშ. **კორკოლოლ**, ჰინ. **გურგელი**, ჰუნძ. **გერდუ** (ლექსიკა 1971: 221; გიგინიევილი 1977: 68; ჩველ: 438 [ს.-ლუზგ. **\*ჰ(ე)ლჰომ** // -ნ]).

### საერთოლენგიური ქრონოლოგიური დონე:

„ბუ“ – თაბ. დიუბ. **გუგუნამ**; ყანდ. **გუგუ ტიფ**; ად. ბურშ. **ჰუჰა-ზანგუ**; უდ. **გუნგალ**; ს.-ლუზგ. **\*გუგუ-მ**. ბგერწერითი სიტყვა რეფლექსების მცირე რაოდენობით.

„ჰიანჰველა“ – ლუზგ. **ცეჰუ**, **ცეჰ ურე**; ხლუტ. **ცეჰე**, მრ. **ცეჰეცეჰერ**; თაბ., ყანდ. **ზიმზ**; ად. **ზაზზ**; რუთ. **ძეძეზ**; წახ. **სემსალე** (?); არჩ. **ზიმზი** // **ზიმ-ზუ**; კრიწ. **ძ ზ**; ალიკ. **ზ ზ**; უდ. **იზაჰ**; ს.-ლუზგ. **\*ციმცე**. მსგავსი ლექსემები გვხვდება სხვა დაღესტნურ ენებშიც, მაგ., ახვ. **ცოცოლო** „ხოჭო“ და სხვ. (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 325).

„კვერნა“ – თაბ. **წურწულ**, ლუზგ. **წუნულ**, ად. **წუნულ**, არჩ. **წუნულ**, წახ. **სიულენმა**, რუთ. **სგრგწალ**. იხ. (ხაიდაკოვი 1973, 12; ზაგიროვი 1987: 73). ფუძის სტრუქტურის შეცვლა წახურსა და რუთულურში, როგორც ჩანს, მოხდა საერთო-დასავლეთ-სამურულ ქრონოლოგიურ დონეზე. ს. ნიკოლაევი და

ს. სტაროსტინი (1994: 909) რედუპლიცირებულ კორელატებს აღნიშნავენ სხვა მთის კავკასიურ ენებშიც.

„კაჭკაჭი“ – თაბ. **ჭაარჭაარ**, აღ. **ჭაარაჭაალ**, რუთ. **ჭა'რაჭა'ალ**. იხ. (ხაიდაკოვი 1973 : 41; ზაგიროვი 1987: 74. ხმაბადვითი ფუძეა. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 921) რედუპლიცირებულ კორელატებს აღნიშნავენ ზოგიერთ სხვა მთის კავკასიურ ენაშიც. იქვე აღნიშნულია ფონეტიკური მსგავსება ლეზგ. **ქერექულ** და კრიწ. **კერაყელ** „კაჭკაჭი“ ფორმებთან.

„მწყერი“ – ლეზგ. **პაპიშ** «ტოროლა», თაბ. **პა'მპულ**, არჩ. **პა'რბგლა**. იხ. (ზაგიროვი 1987: 74). ფუძეები გართულეებულია სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი აფიქსებით. ლეზიური ენების გარეთ პარალელები არ მოეძებნება. ხმაბადვითი სიტყვაა.

„მამალი“ – თაბ. **დათა**; აღ. ფიტ. **თათა**; რუთ. **დადალ**; წახ. **დადალ**; უდ. **დადალ**; ს.-ლეზგ. **\*დად**. სხვა დადესტნურ ენებში დასტურდება მსგავსი ფუძე: დარგ. ჩირად. **თათა**, ხაიდ. **თათაღ** „მამალი“ და სხვ. (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 397). საყურადღებოა მსგავსება ქართვ. **\*დედა-ლ-** ლექსემასთან (კლიმოვი 1964: 72). რუთული, წახური და უდიური ფორმები ქართულიდან ნასესხები ჩანს.

„ჭიყელა“ – ლეზგ., რუთ. **ქუაქ**, თაბ. **ქამქ**, აღ. **ქახქ**, კრიწ. **ქვაქ**, წახ. **ქოქ** „ლარვა“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 206-207); ადარებენ ხუნძურანდიური ენების არარედუპლიცირებულ ფორმებს (ხუნძ. **ნუქა**; ახვ. **უნქა**). ამრიგად, საფიქრებელია, რომ ამ ფუძის რედუპლიკაცია განხორციელდა საერთოლეზიურ ქრონოლოგიურ დონეზე.

„კრახანა“, „მაწუხელა“ – ლეზგ. **ზულბულ**, თაბ. **ზულბულ** „ფუტკარი“, აღ. **ბულბულამ** „ბაზი“, რუთ. **ლულბალ** „ფუტკარი“, კრიწ. **ზულბულუ**. იხ. (ზაგიროვი 1987: 73). ლეზიური ენების გარეთ პარალელები არ ეძებნება.

„მუშმულა“ – ლეზგ. **ქიციქ**, აღ., ბურკ. **ქირიქ**, თფილ. **ქითაიქ**, ქოშ. **ქიდიქ**, წახ. **ქგდგქ**, კრიწ. **ქითიქ**, ბუდ. **ქიდიქ**, უდ. **ქენექ**. იხ. (თალიბოვი 1980: 279; ბოკარევი 1981: 65; ზაგიროვი 1987: 78). აქ შესაძლებელია რედუპლიკაცია გამოწვეული იყოს **-ქ** ექსპრესიული სუფიქსის დართვით.

„ხახვი“ – ლეზგ. **ჩიჭექ**, აღ., თფილ. **ჭიჭაკ**, კრიწ. **ჭიჭექ**, ბუდ. **ჭიჭექ**. იხ. (ზაგიროვი 1987: 78). სუფიქსური წარმოება ექსპრესიული ფუძისაგან **\*ჭიჭ** „ხაო“, „ფოჩი“.

„მამა“ – ლეზგ., იარკ., ახტ., ფიძ., ყურად. **ზუზა** „მამა“; რუთ. **ზაზა** „პაპა“; ბუდ. **ზებზე** „პაპა“; უდ. **ზაზა** „მამა“; ს.-ლეზგ. **\*ზაზა-მ**. იხ. აგრეთვე: აზ. **ზაზა** „პაპა“ (ამით უნდა იყოს განპირობებული მეორე მნიშვნელობის გაჩენა ლეზიურ ენებში). ე. წ. საბავშვო სიტყვაა. გვხვდება სხვა დადესტნურ ენებშიც, შდრ. დიდ. **ზაბ-მუ** „მამა“ და სხვ. (სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 286). ზოგიერთი მკვლევარი (ლექსიკა 1971: 132) აქ არარედუპლიცირებული ფუძის რეკონსტრუირებას ახდენს – **\*აფამ**.

„კუთხე“, „მუხლი“ – ლეზგ., თაბ. **პიპ** „კუთხე“, არჩ. **პომფ** „მუხლი“ (ანატ.), კრიწ. **ფიფ**, ბუდ. **ფეფ**. იხ. (ზაგიროვი 1987: 83). გარე პარალელები არ ეძებნება.

„წამწამი“ – ლეზგ. **კაკამ**, წახ. (გელმ.) **კაქ**, კრიწ. **კვავ** „ქუთუთო“. იხ. (ზაგიროვი 1987: 74). ლეზგიურ ენაში მრავლობითობა გადმოცემულია **-ამ** სუფიქსის მეშვეობით.

„ტყავი“ – ლეზგ. **ყიციყ**, თაბ. **დიდიყ**, აღ. **ყადიყ**, რუთ. **ჭვდვყ**, არჩ. **ყონყ**, ბუდ. **ყინჯყყ** „ტიკი“. იხ. (ზაგიროვი 1987: 74). შესაძლებელია, რომ ამ ლექსემაში რედუპლიკაცია წარმოიქმნა შემთხვევით – **-ყ** ექსპრესიული სუფიქსისა და ანლაუტის თანხმოვნის დამთხვევის შედეგად.

„თავის ქალა“ – ლეზგ. **ქუგ**, თაბ. **გუგ**, აღ. **გუგ**, რუთ. **გუგუი** (**-ი** სუფიქსით არის გართულებული, რომელიც კნინობით-ალერსობით სახელებს აწარმოებს) „თხემი (თავის)“. იხ. (ზაგიროვი 1987: 77). ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 450-451) პოულობენ პარალელებს ლეზგიური ენების გარეთაც: ხუნდ. **გუანგუარა**, ჰუნდ. **გოგორ**, ლავ. **ქარქ** და სხვ. გვაქვს ფონეტიკური და სემანტიკური სიახლოვე ლექსემასთან „მრგვალი“.

„ჩიყვი“ – თაბ. **დიუდდიუდ**, წახ. **ლოტ**, ბუდ. **ყატყატ** „ფაშვი“. იხ. (ზაგიროვი 1987: 77). წახურში ლექსემამ დერედუპლიკაცია განიცადა, თუმცა გვხვდება რედუპლიცირებული ვარიანტიც – **ღვრღვტ**. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 468) პარალელებს პოულობენ სხვა დაღესტნურ ენებშიც: დარგ. **ჭუდჭუდი** და სხვ.

„კვერცხის ნაჭუჭი“ – ხნუხ. **პეპეღ**; წახ. **პაპაღ**; უდ. **ფუმფალ**; ს.-ლეზგ. **\*პაპაღ**.

„მწვერვალი“ – ლეზგ. **კუკ**, თაბ. **კაკ** (წვერსაც აღნიშნავს), აღ. **კეკუ**, **კუკ** (ბურში), რუთ. **კეკ**, **კეკ** (შინ.), ბუდ. **კეკ** „წვერი“. იხ. (თალიბოვი 1960: 300; ბოკარევი 1961: 74; ლექსიკა 1971: 179-180; ზაგიროვი 1987: 81). ბგერწერითი სიტყვაა. საყურადღებოა, რომ აფხაზურ-ადიღურსა (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 733) და ქართველურ ენებშიც (კლიმოვი 1964: 75) ეს ლექსემა რედუპლიცირებული ფორმით აღდგება.

„დიდი ქვა“, „აკჭარი“ – ლეზგ. **ხუახ**, რუთ. (მიუხრ.) **ხუახ** „კუზი“, არჩ. **ხონხ**. იხ. (ხაიდაკოვი 1973: 71; ზაგიროვი 1987: 81). ექსპრესიული ლექსემაა, რომელიც დიდი ზომის საგანს აღნიშნავს. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 1070) აფხაზურ-აბაზურ მასალას უდარებენ.

„ქვიშა“ – თაბ. (ხივ.) **სიმს**, წახ. **სოც**. არჩ. **სარსი**. იხ. (ზაგიროვი 1987: 87). ბგერწერითი ლექსემაა. ლეზგიური ენების გარეთ პარალელები არ ეძებნება.

„ტალახი“, „ტლაპო“ – ლეზგ. **ხურხ**, არჩ. **ჰერჰ** „ლორწო“, რუთ. (ხნუხ.) **ხურხ**. ექსპრესიული ბგერასიმბოლური ხასიათის ლექსემაა. გარე პარალელები არ ეძებნება.

„ბებერა“ – ლეზგ. **ქურქურ**, აღ. **ქურქურ**, კრიწ. **გვრვრ** „ჩირქგროვა“. იხ. (ზაგიროვი 1987: 86). ბგერწერითი ფუძეა.

„ხაო“, „ფოჩი“ – ლეზგ. **ჭიჭ**, **ჩიჭედი** „ხაო“, თაბ. **ჭიჭ** „ხაო“, რუთ. **ჭიჭ**, „ხახვის ფოჩები“, კრიწ. **ჭიჭ** „სამყური“, ბუდ. **ჭიჭ** „მცენარეს სახეობა“, უდ. **ჩაოჩიქ** „ფოჩი“, ს.-ლეზგ. **\*ჭიჭ**. იხ. (ზაგიროვი 43 1987; 87). უდიურში ემატება ექსპრესიული სუფიქსი **-ქ**. ექსპრესიული ბგერწერითი ფუძეა.

„მომცრო ბრტყელი მრგვალი პური“ – რუთ. **კიკერ**, არჩ. **კურკუნი** „მრგვალი, ნახვრეტიანი პური“, კრიწ. **კუკ**, ბუდ. **კუკ**. იხ. (თალიბოვი 1980:



289; ზაგიროვი 1987: 84. ს.ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი უდარებენ ხინალულურ და აფხაზურ მასალას (1994: 736).

„ფინაგირი“ – ლეზგ. **ფურარ**, თაბ. **ფირფირ**, აღ. **ფურარ**, **pyT. ფაფგრ, ფგ'ფგ'ირ** (ხნუხ.) (?). იხ. (ხაიდაკოვი 1973: 88; თალიბოვი 1980: 277; ზაგიროვი 1987: 85). ლეზგიურსა და აღლულურში მოხდა დერედუპლიკაცია.

„ფინჯანი“, „ლანგარი“ – ლეზგ., თაბ. **კუაკა** „ხის ლანგარი“, არჩ. **კოკ** „გრძელი ღრმა ხის ლანგარი“, კრიწ. **კუკამ** „დიდი თიხის ფინჯანი“. იხ. (ზაგიროვი 1987: 85). კრიწულში ერთვის ექსპრესიული სუფიქსი **-ა**.

„ჩურჩული“ – ლეზგ., აღ. **ქუმქუმ**, რუთ. **ქუმქუმ**, წახ. **ქუმქუმ**. იხ. (თალიბოვი 1980: 316; ზაგიროვი 1987: 86). ხმაბადვითი ლექსემა.

„ტვირთი“ – თაბ. **ღად**, აღ. (ბურშ.) **ჰაჰ**, არჩ. **კოკ** „ზურგი“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 921) ამ ლეზგიურ იზოგლოსას უდარებენ შემდეგ ფორმებს: ხინ. **ყადა** „ზურგი და მხრები“, დიდ. **ყო'გ**, ჰინ., ხვარშ. **ყოგ** და სხვ.

საერთოდადესტნურ ლექსიკურ ფონდში გვაქვს საწინააღმდეგო მაგალითებიც, როდესაც ლეზგიურ ენეთა არარედუპლიციურებულ ფორმებს სხვა დადესტნურ ენებში შეესატყვისება რედუპლიციურებული ფორმები. შდრ.:

„ცარიელი“ – ლეზგ. **ყერი**, თაბ. **ყიარ**, აღ. **ყიარე-ფე**, რუთ. **ყარ-დგ**, წახ. **ყარა-ნ**. იხ. (მაკომეტოვი 1966: 340. ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 921). სხვა დადესტნური ენები: დიდ. **ყო'ყო'რუ**, ჰინ. **ყოყო'რუ**, ინხ. **ყო'ყო'რუ**. შესაძლებელია დიდოურ ენებში გვქონდეს მეორეული რედუპლიკაცია.

მეორეული რედუპლიკაციის შემთხვევები გვაქვს ლეზგიურ ენაშიც, მაგ., **აღმოსავლეთ-სამურული ენებში**:

ლეზგ. **თა'უდ** (ასევე ამისგან ნაწარმოები **თა'უთა'უხ**), თაბ. **დუ'დ** (ასევე ნაწარმოები **დუ'დუ'ხ**), აღ. **დუ'ტ**, **თუთ** „ყელი“, რუთ. **დუ'დუ'ჟე** „ხახა“. ხმაბადვითი სიტყვაა. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 736) უდარებენ შემდეგ ფორმებს: ხუნძ. **დად** (> არჩ. **დად**), ახვ. **დადი**, კარ. **დიდუ**, ბავგ. **დარგ** „სადღვებელი“, „დოქი“, „ბორბალი“, ლავ. **დიუდუ** „მეგაფონი“, დარგ. **დიად** „საყვირი“. ჩვენი აზრით, ლეზგიურის მასალა აზერბაიჯანულ **დუ'დუ'ქ** „დუდუკი“, „ბუკი“, „სალამური“ ფორმას უკავშირდება, ისევე როგორც უდ. **თა'უთა'ამ**, წახ. **დიუტ-დიაკ**, რუთ. **თუ'თა'გ** „id“;

ლეზგ. **ქექ**, თაბ. **ქარქ**, აღ. **ქარქ**, **ქირქ** „ფრჩხილი“. რედუპლიკაცია, როგორც ჩანს, მოხდა მრავლობითობის აღნიშვნისას. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 45 689-690) უდარებენ შემდეგ ფორმებს: ახვ. **ქაქე**, დარგ. **ქექ** „ღრძილი“;

ლეზგ. **ყიტა'ეიტ**, თაბ. **ყიატყიატ**, აღ. **ყიატყიატ** „წისქვილის ერთგვარი დეტალი“. ხმაბადვითი სიტყვაა;

ლეზგ. **კუკუუმ**, თაბ. **კუკუუმ**, აღ. **კუკ** „მთის წვერი“. ლეზგიურსა და თაბასარანულში დამატებულია ინოვაციური ექსპრესიული სუფიქსი **-ში**;

ლეზგ. **წალწამ**, თაბ. **წალწამ**, აღ. **წალწამ** „გადატყვილი“. ნათლად გამოხატავს ექსპრესიულ სემანტიკას;

თაბ. **ყიურყ**, აღ. (ხუდ.) **ყურყ** „ბოხჩა“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 936) უდარებენ ლაკურ **კურტ** ფორმას (> არჩ. **კერტ** „ბოხჩა“).

**ლეზგიურ ენაში:** დუღლდ (< უღლდ (ხლუტ.) „გველი“ ~ თაბ. მანღაჯუ; დიუბ. მულაჯ; აღ. მალჯ; ბურკ. მანღეჯუ; რუთ. მულუზ; წახ. მგჯ; არჩ. მი-ლიხუ; ბუდ. მულაჯ; უდ. მეჯ; ხინ. მოქ „ჭია“ სხვ. დად.: დარგ. მილიჯ; და სხვ. იხ. აგრეთვე: (გიგინეიშვილი 1977: 97; ხაიდაკოვი 1973: 11; ზაგიროვი 1981: 21; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 817 [ს.-ლეზგ. \*მულაჯ]).

**ჭურჭულარ** „მაცვალი“ ~ თაბ. ურნარ „მახველი“, აღ. ჭულა მეხერ, რუთ. ხურ, წახ. ხურა „ჟოლო“. იხ. (ზაგიროვი 1987: 78; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1065).

**აღულურ ენაში:** ყურყ ~ რუთ. ყგრკ „სირსველი“, არჩ. ყარკა-ჩ: „ჩამომონ-ძილი“. მ. ალექსეევმა (1985: 112) არჩიზულში გამოყო ექსპრესიული სუფიქსი -ჩ. როგორც ჩანს, რედუპლიკაცია ამ ლექსემაში აღულურში ფონეტიკური პროცესებით არის გამოწვეული;

**ყაბყ** „ჩრჩილი“ ~ დარგ. (ჩირ.) ყიკუ „ჩრჩილი“, ლაკ. ყაჭი „მატლი“, „ჭია“; ხუნძ. ჭუეკ, ანდ. ჭიკა „ჭია (ხორცში)“ (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 46 912). როგორც ჩანს, აღულური ფორმა ნასესხებია დარგულიდან, ხოლო შემდეგ მოხდა მეტათეზისი და მეორეული რედუპლიკაცია;

**რუთულურსა და წახურ ენაში:** რუთ. ჭირჭიმ-დგ, წახ. ჭირჭიმა'ნ ~ ლეზგ. უმწუ „მლაშე“, თაბ. უჭ'რუ, აღ. ჭუჭუ-ჭ, ლაკ. ყურჭი (ყ- პრეფიქსით), ახვ. ჭიკუდა „მყავე“. იხ. (ზაგიროვი 1987: 59);

რუთ. ხგნგხ „ბავშვი“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 1063) ლეზგიური ენების გარეთ პოპულოზენ პარალელებს: ჩეჩნ., ინგ. ხოგხარ, ხუნძ. ხუხ „ბატკანი“, დიდ. ხეხ-ხი, ჰინ. ხეხ-ხე „ბავშვები“, ხვარშ. ჰიჰა, ინხ. ჰუჰო „მცირე ხნის ცხოველი“. შესაბამისად, თუ გავიზიარებთ მათ მოსაზრებას, მაშინ რუთულური ფორმა არის საერთო-წახურ-დადესტნური წარმომავლობის, ხოლო სხვა ლეზგიურ ენებში იგი დაკარგულია;

წახ. ტებ „ყვავილი“ ~ არჩ. ტე, ლაკ. ტუტი, ხუნძ. ტეპ. იხ. (ლექსიკა 1971, 168; ხაიდაკოვი 1973, 65; ზაგიროვი 1987: 38; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1006). შესაძლოა უკავშირდებოდეს უდ. ციციქ „ყვავილი“ (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1006).

წახ. ბებერჩენ ~ თაბ. ფსინჭ, ბისიმჭი (დიუბ.), აღ. ბიშიკ, უდ. (ვართ.) ბაჩანა „მერცხალი“.

**კრიწულსა და ბუდუხურ ენებში:** კრიწ. ხანხ „სითხე“, ბუდ. ხი-ხი „წვნიანი“. მიეკუთვნება ე. წ. საბავშვო ლექსიკას. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 1063) უკავშირებენ, აგრეთვე, ლეზგ., თაბ. ხან, არჩ. ლამძ (< \*ამძ), უდ. ხოხო-ფესუნ, ლაკ. ხამა, დარგ. ხამნა „ქაფი“. მათი აზრით, რედუპლიკაცია ამ ლექსემაში მოხდა ჯერ კიდევ ლეზგიურ-დარგულ ერთობაში;

კრიწ., ბუდ. ყირიყ „ფადარათი“. არ არის გამორიცხული, რომ რედუპლიკაცია ამ მაგალითში შემთხვევითი იყოს – ყ ექსპრესიული სუფიქსის დართვის შედეგად წარმოქმნილი.

კრიწ. ჭერჭურ „ჭაობი“, ბუდ. ჭირჭირ „მიტოვებული ადგილი“. ექსპრესიული ხასიათის მქონე ლექსემა. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 555) ბუდუხურ ლექსემას უკავშირებენ კრიწულს: ჭერან „გამოქვამული“.

კრიფ. **ტატან** „ბოხოხი“ (-ხ ექსპრესიული სუფიქსით). შესაძლოა, აგებული იყოს აზ. **ფაფაფ** „ბოხოხი“, „ქუდი“ (> წაზ. **ფაფაზ**, ლეზგ. **ზაპაზ**) მიხედვით. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 997) უკავშირებენ შემდეგ ფორმებს: ლოდ. **ტატა**, ხვარშ. **ტუტარ**.

**არჩიულ ენაში: ყუაყუარ-თაუ** ~ აღ. **ყურე-ჭ** „ვიწრო“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 736) უკავშირებენ ხუნძ. **ჭუარა-**, **ჭაჭა-**, კარ. **ჭორა-**, ახგ. **ჭუარადა-**, ჭამ. **ჭორა-**, ტინდ. **ჭუარა-**, ბეჟ. **ჭაჭალო**, დარგ. **ჭაჭა-სი**. ის, რომ ხუნძურში გვაქვს როგორც რედუპლიცირებული, ისე არარედუპლიცირებული კორელატები, გვაფიქრებინებს ორი ტიპის ფუძეთა გრამატიკული ან ლექსიკო-სემანტიკური კორელაციის ალბათობას საერთოდადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე.

ლეზიურ ენებში ზოგიერთ ლექსემაში რედუპლიკაცია პარალელურად განვითარდა. ასე, მაგალითად:

მწარე: ლეზგ. **თუყუღ**, თაზ. **ყუტლი**, **ყურყლი** (დიუბ.), აღ. **ყულყულ-ჭ**, რუთ. **დგყღღდგ**, კრიფ. **ყატყულ**, არჩ. **ყალა**. იხ. (თალიბოვი 1960: 301; 1980: 307; ლექსიკა 1971: 219; გიგინეიშვილი 1977: 103; ზაგროვი 1987: 89; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 912). აქ გვაქვს ექსპრესიული რედუპლიკაციის სემანტიკური მოტივაცია: უსიამოვნო გემოს აღნიშვნა. თუ თაზასარანულსა და აღულურში, შესაძლოა, გვექნდეს საერთო რედუპლიცირებული ფუძე, კრიწულში რედუპლიკაცია დამოუკიდებლად განვითარდა. სხვა დადესტნური ენებიდან რედუპლიკაცია ამ ლექსემაში დასტურდება დარგულ ენაში.

გვაქვს „შემთხვევითი“ რედუპლიკაციის მაგალითებიც. იგი შეიძლება იყოს გამოწვეული ფონეტიკური პროცესებით (მეტწილად – ასიმილაციით), ზოგჯერ კი – მორფოლოგიურით, კერძოდ – ფუძისეული ფონემისა და მაწარმოებელი სუფიქსის დამთხვევით. „შემთხვევითი“ რედუპლიკაციის სხვა წყარო, რომელსაც აგრეთვე არაფერი აქვს საერთო ნამდვილ რედუპლიკაციასთან, არის სესხება. ამოსავალი ფორმა გამსესხებელ ენაში არის რედუპლიცირებული, თუმცა ამას არავითარი გავლენა არ აქვს ნასესხები ლექსემის კვალიფიკაციაზე მსესხებელ ენაში, მაგ.:

არჩ. **ჭაჭა**, წაზ. **ჭეჭეიზგ** „ჭაჭა“ < ქართ. **ჭაჭა**. მ. ხალილოვი (2003: 299) ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევს, ისევე როგორც ჩეჩნ. **ჭაჭა** „ჭაჭა“ ფორმასაც;

ზოგჯერ კი რედუპლიკაცია გვაქვს ნასესხებ ლექსემაში, თუმცა სესხებას არ უკავშირდება, მაგ., წაზ. **გოგ** „სიმწვანე (მცენარეების)“, „აჯეჯილებული ყანა“. ნასესხებია აზერბაიჯანულიდან: **გრამ** „ცა“; „ლურჯი“; „მწვანელი“.

ამრიგად, რედუპლიკაციის ფუნქციონირების სპეციფიკა ლეზიურ ენებში გვიჩვენებს, რომ ეს ლინგვისტური ფენომენი მათში წარმოდგენილია სამი ფუნქციონალური სახით:

- 1) როგორც ისტორიულად პირველადი ნომინაციის საშუალება;
- 2) როგორც მეორეული ნომინაციის საშუალება;
- 3) როგორც სიტყვათცვლილების (ფლექსიის) საშუალება.

აღსანიშნავია, რომ პირველი ორი დამახასიათებელია ყველა ლეზგიური ენის არსებითი სახელისათვის, ხოლო მესამე სახელისთვის თითქმის არ არის ნიშანდობლივი, და მეტწილად ახასიათებს ზმნას, ფუნქციურად და სემანტიკურად კი სხვადასხვაგვარად ვლინდება.

### ლიტერატურა

- აბაევი 1958** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Москва–Ленинград.
- ალექსეევი 1985** – М. Е. Алексеев, Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков. Морфология. Синтаксис. Москва.
- ბოკარიოვი 1961** – Е. А. Бокарев, Введение в сравнительное изучение дагестанских языков, Москва.
- ბოკარიოვი 1981** – Е. А. Бокарев, Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков, Москва.
- გიგინეიშვილი 1977** – Б. К. Гигинейшвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.
- ზაგიროვი 1987** – В. М. Загиров, Историческая лексикология языков лезгинской группы. Махачкала.
- თალიბოვი 1960** – Б. Б. Талибов, Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы // Учен. зап. ИИЯЛ, т. VII.
- თალიბოვი 1980** – Б. Б. Талибов, Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.
- კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. Москва.
- ლექსიკა 1971** – Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, Москва.
- მაჰომეტოვი 1966** – А. А. Магомедов, Рефлексы фарингализованных согласных в агульском языке // Ежегодник иберийско-кавказского языкознания. Тбилиси, т. XV.
- მუსაევი 1978** – М.-С. М. Мусаев, Лексика даргинского языка (Сравнительно-исторический анализ). Махачкала.
- ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994** – S. L. Nikolayev, S. A. Starostin, A North Caucasian Etymological Dictionary, Moscow.
- ტრუბეტკოვი 1930** – N. S. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. Bd. XXXVII, Heft 2. Wien. (ხელახლა გამოქვეყნებულია: Трубецкой Н. С., Избранные труды по филологии. Москва, 1987).
- ხაიდაკოვი 1973** – С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков. Москва.
- ხალილოვი 2004** – М. Ш. Халилов, Грузинско-дагестанские языковые контакты / ИЯЛИ ДНЦ. Москва.

ROMAN LOLUA

## **Reduplication of Nouns in the Lezgian Languages** (Historical-Comparative Analysis)

### S u m m a r y

The role of reduplication in terms of vocabulary development in Lezgian languages is less studied. In the scientific literature, reduplication is noted only in individual lexical examples, and there was no systematic study. The aim of the paper is to present the forms that should have been presented with doubled bases at the Proto-Dagestanian or the Proto-Lezgian chronological levels.

The following lexemes belong to the Proto-Dagestanian chronological level: names of birds – "cuckoo", "crane", "woodpecker"; Names of insects – "fly", "grasshopper", "bush cricket", "ant", "beetle", "mosquito"; Body parts – "knee", "breast (female)", "throat/larynx", "thigh", "testiculus", "eyeball", "freckle", "saliva"; Names of plants – "beech", "thorn", "branch"; Names denoting small things – "pebble", "bun", "egg"; Adjectives – "yellow", "soft", "round", etc.

The following forms belong to the Proto-Lezgian chronological level: "owl", "marten", "magpie", "quail", "rooster", "worm", "wasp", "loquat", "onion", "father", "corner", "eyelash", "skin", "skull", "goiter", "eggshell", "peak", "big rock", "sand", "mud", "bleb", "fringe", "bun", "saddle", "cup/tray", "whisper", "load", etc. Some lexemes are echoic or imitative, but they still show regular accordance.

The Proto-Eastern-Samurian level includes: "throat" (parallels can be found in other Dagestanian languages as well), "nail", "peak", "sack", "tight", etc.

"Salty" belongs to the Proto-Western-Samurian level.

The Proto-Southern-Samurian level includes: "liquid/soup", "diarrhea", "swamp/abandoned place", etc.

The specificity of functionality of reduplication in the Lezgian languages shows that this linguistic phenomenon is present in three functional forms:

- 1) As a historically primary means of denomination;
- 2) As a means of secondary denomination;
- 3) As a means of word change (flexion).

It should be noted that the first two are characteristic of nouns in all Lezgian languages, while the third is not typical of nouns and largely characterizes the verb. It manifests itself functionally and semantically in different ways.

ქეთევან მარგიანი

**ქვინ („სული“) ლექსების შემცველი რიტუალების ამსახველი  
კოლოკაციები სვანურში<sup>1</sup>**

(ეთნოლინგვისტური ანალიზი)

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის მითითებული სვანური ენის ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ. მაგ., პრექართველურიდან მომდინარე და-ძმის აღმნიშვნელი ოთხი ლექსიკური ერთეული; სიარულის აღმნიშვნელი 300-მდე საწყისი და, შესაბამისად, ამდენივე ზმნა სვანურისა. განსაკუთრებით მრავალფეროვანია სვანური დარგობრივი ლექსიკით, საყოფაცხოვრებო სიტყვებით, ეთნოგრაფიული მონაცემებით და მასალებით... სიმდიდრეს ქმნის ერთი და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში, ლექსიკის სიმდიდრეს ასევე განაპირობებს დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება, სიტყვაწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით [თოფურია, 2002: 214].

სვანური ხასიათდება ასევე **რიტუალების ამსახველი ლექსიკის**, ფრაზეოლოგიზმების, **კოლოკაციების** სიმდიდრით და მრავალფეროვნებით;

რამდენიმე სიტყვა ეთნოლინგვისტური ტერმინის – კოლოკაციის შესახებ: ნებისმიერი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მკაფიოდ თვალსაჩინოა ადამიანთა ურთიერთობების, ქცევის ნორმებისა და ქმედებების სტერეოტიპულობა, რაც განმტკიცებულია ტრადიციებით. ამგვარი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისთვის დამახასიათებელია მდგრადობა და რეგულარობა – ერთი და იმავე სახით მრავალჯერ განმეორებადობა, რაც სათანადო ასახვას ჰპოვებს ენაშიც. „ტრადიციებით გამაგრებული ესა თუ ის მყარი სტერეოტიპული ქცევა, ქმედება თუ მოვლენა (წეს-ჩვეულება, რიტუალი) ტრადიციული საზოგადოების დისკურსში მყარი ენობრივი ერთეულით – კოლოკაციით არის ხოლმე სახელდებული და გამოხატული“ [აზმაიფარაშვილი, 2020: 10].

წინამდებარე პუბლიკაციაში რიტუალებთან დაკავშირებული ქვინ „სული“ ლექსების შემცველი **კოლოკაციების საანალიზო მასალა** ამოკრებილია: სვანური ენის ლექსიკონებიდან; ბ. ნიჟარაძის, ივ. მარგიანის, ვ. ბარადაველი-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100).

მის, ე.კოჟენიკოვას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან..., ე. გაზდელიანის, მ. საღლიანის, ნ. წერედიანის, ხ. იოსელიანის... პუბლიკაციებიდან.

სანაალიზო მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ასევე დალის ხეობის საექსპედიციო ჩანაწერებიდან 2006–2008 წლებში: მოგეხსენებათ, დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა – დალის საბოჭაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. გასულ საუკუნეში პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა დედაქალაქიდან (მაგ. ტოპონიმიკის ლაბორატორიის...) სამეცნიერო მივლინების განხორციელება მასალის ჩასაწერად და შესაკრებად ისტორიულ კოდორის ხეობაში. 1986 – 2008 წლებში მშობლიურ დალის ხეობაში აღვსუსხეთ და ჩავიწერეთ მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური და ეთნოლინგვისტური მასალა... 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედასამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა. შესაბამისად წინამდებარე კვლევაში დიდწილად არის წარმოდგენილი ისტორიული დალის ხეობის ეთნოლინგვისტური მასალები.

ქვინ „სული“ ლექსების შემცველი რიტუალების ამსახველი სვანური კოლოკაციებია:

**ქვინეგვეშ / ქუნეგვეშ** – ქელების (გასვენების, ორმოცის, წლისთავის) „ლიფაანების“ რიტუალები.

**ლიქუნგუეში** „მიცვალეზულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები“.

**ხოჩა ლაქუნ მარე** „ცხოვრებული“ „სასუფეველში მოხვედრილი“ სიტყვასიტყვით „კარგი სულეთის ადამიანი“.

**ხოლა ლაქუნ მარე** „წარწყმედილი“. სიტყვასიტყვით „ცუდი სულეთის ადამიანი“.

**ქუნრუტ ლისგუჯინე** „სულების გაცილება“ „სულების გაბრძანება“.

**ქვინი ლიტხე** „სულის დაბრუნება“.

**ხოჩა ლაქუნ** „სასუფეველი“ სიტყვასიტყვით „კარგი სულეთი“.

**ხოლა ლაქუნ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვასიტყვით „ცუდი სულეთი“.

**ქვინი ლითვეფ** „წარწყმედა“ სიტყვასიტყვით „სულის დაკარგვა“.

**ქუნრე ლიბერდაგი / ქალიბერდაგი** „სულების გაცილება“.

ვიდრე აღნიშნულ კოლოკაციათა ეთნოლინგვისტურ ანალიზზე გადავიდოდეთ, საინტერესოა სალექსიკონო მონაცემები ქვინ „სული“ ლექსებისა ენათმეცნიერულთან ერთად რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტებით: სხვადასხვა ეროვნებისა თუ ხალხის წარმოდგენები **სულზე** თითქმის ერთნაირია, თუმცა გარკვეული ასპექტებით განსხვავებულიც, რადგან ასახავს ისტორი-

ულ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებს. ქართველურ ენებში წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენები სულზე შერეულია ერთმანეთში. ვ. თოფურიასა და მ.ქალდანის სვანურ ლექსიკონში ლექსემა ქვინ განმარტებულია შემდეგნაირად: **ქვინ** (ზს. ლნტ.) **ქუნ** (ლშხ.) – 1. სული. 2. სუნი. მუშტუნ მწრა მეუარ ხანწმ ლდგვარი **ქვინ** „სვან კაცს ძალიან სწამს მიცვალებულის სული“. **ქუნარს** ლაფანაჟი“ სწმმზ ხასდიკხ „სულებს კურთხევის (საკურთხის) დროს ხმაური სწყინთ“. **ქუნარს** ემხუ ლდედ ლახორ ლოქ ხარხ „სულებს ერთი დღე თავყრილობა აქვთო“. ჭირსუფვალს **ქვინ** ქორთე **ხად ლეტხე** „ჭირსუფვალს მიცვალებულის სული ოჯახში უნდა დაებრუნებინა“. კნინობითი ფორმა: **ქვინილდ** (ზს. ლნტ.) **ქუნულ** (ლშხ.) გადატ. „ნეტავი“. **ქვინილდ** ათხეჟ აწრდ ემგენე შტუნს (ზზ.) „ნეტავი ახლა ვინმემ სვანეთში დამსვას“. **ქვინმეყულე** „ორგული, ბოროტი“ სიტყვასიტყვით „სულგაყოფილი“. ეჯა მეტარ **ქვინმეყულე** მწრე ლი (ზზ). „ის ძალიან ბოროტი, კაცია“. **ქვინმეყულე** მარე დჰს ხალწტ (ბქ). „ბოროტი კაცი არავის უყვარს“. **ქვინმერდე** /**ქვინმერდე** „სულწასული“. იმჟი **ქვინმერდე** მწრე ლი (ზზ). „როგორი სულწასული კაცია“. **ქვინმერდე** ამსტალდჰმ მწგ ხოლამდ მეწუნენი (ბქ). „სულწასული ადამიანის ყველაფერი ცუდად მეჩვენება“ [თოფურია, ქალდანი, 2000: 789].

სულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ამსახველი ლექსიკა საინტერესოდ არის წარმოდგენილი ქართველურ ენათა ლექსიკონებსა და ტექსტურ გამოცემებში: **ქვინ** – სული. **ქუნარეში** – მიცვალებულთა მოსახსენებელი კვირეული. **ქვინ მგწლეები** – სული კბილით უჭირავს; **ქვინ ხანშგერა** – სული ძლივს უდგას; **ქვინ ხესკვანთი** – სული ეხუთება; **ქვინს დემ ახეილე** – ვერაფერს ბედავს; **ქვინს იცხვანტე** – სულს ითქვამს; **ქვინს იჰნე** – სულს ინარჩუნებს; **ქვინს პგრე** – ძალიან სურს, უყვარს. **ქვინს ხოჰნე** – სულს ინარჩუნებს, თავი გააქვს; **ქვინარ** – სულები; **ქვილგმგენე** – სულდგმული [ლიპარტელიანი: 2014: 259].

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში განმარტებულია, რომ „ქართული **სულ**- ძირის შესატყვისი უნდა იყოს წარმოდგენილი სვანურ **ლი-შურ-ნელ** („ამოხვრა“) საწყისში, რომლის თავდაპირველი \*შულ->შურ- დისიმილაციით. ამავე ძირს უკავშირდება სვან. **ლი-შული** „ქომინი“ [ფენრიხი, სარჯველაძე: 1990: 287] თემატურად ასეთი მრავალფეროვანია სალექსიკონო მონაცემები ლექსემა სულზე. კონცეპტი **ქვინ** „სული“ ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტების ამსახველ შემდეგ ლექსემებს და ფრაზეოლოგიზმებს: **ლიქუნაჟალ** „აგონია“, სულის ამოხდომის პროცესი“. **ქვინილდ სურიდ** „ნეტა, ნეტავ, ნეტამც“. **ქვინი ლიკედ** „ხმის ამოდება“. **ქვინმეყულე** „სულწასული“, „უსუსური“. **ქვინლგნე** „სულდგმული“ გადატ. ხმაურიანი, მედეგი, მებრძოლი“. **ქვილგმგენე** „საქონელი“, სიტყვასიტყვით „სულდგმული“. **ქვინი ლიტხე** „სულის მობრუნება“. **ქვინი ლიტხემი ლოც** „სულის მობრუნების ლოცვა“.



**ქტინი ლიწუზურა** „სულის ამოხდომა“. **ქუნარუ** „სულები“. **ქტინი ლიხუწტი** „სუნთქვა“. **ქტინი ჟილისგუჯინე** „სულის ამობრძანება“. **ქტინილდ უენდ გარ ხაბედარა** „სული ძლივს უდგას“. **ქტინილიჩედ** „სულის ამოხდომა“. **ქტინიჩადობ** „სულის ამოხდომა“. **ქტინი ლიგნე** „მოღონიერება“. **ქტინს იცურე** „თავს ირჩენს, სულს ინარჩუნებს“. სვანურში ერთგვარი დაფიცების ფორმულაა ფრაზეოლოგიზმი **ქვინუ ამთეფა** „სულიმც დამკარგვოდეს“ (მაგ. მიშეუ საბრაღ **ქვინუ ამთეფა**, ჰესა მა მიხალდენდს ამიშ „ჩემი საცოდავის **სულიმც დამკარგვოდეს**, თუკი ვიცოდე რამე ამ ამბისა“. **ქტინმგწლები** „სული კბილით უჭირავს“. **ქტინ ხანშგრა** „სული ძლივს უდგას“... [კაკაჩია, მარგიანი, ჯღარკავა 2017: 203].

საინტერესოა გრამატიკული ანალიზი ფორმისა **ლიქუნაუჭლ** „აგონია“, სულისა და სხეულის განყოფის პროცესი“ (სეგმენტაცია სიტყვისა ამგვარია: **ლი-ქუნ-აუ-ჭლ**: **ლი-** მასდარის, საწყისის მაწამოებელია, **ქუნ** (< ქვინ) ძირია, **-აუ** თემის ნიშანია, **-ჭლ** მრავალგზისობის სპეციფიკური მაწამოებელია). **ლიქუნაუჭლ** საწყისის სიტყვასიტყვითი, ზუსტი ასახვა სალიტერატურო ფორმით რთულია. სვანურში გავქვს ასევე სინტაგმები: **ეჩე ზუასდ** „საიქიო“ და **ამე ზუასდ** „სააქაო“. (სვან. **ეჩე ზუასდ** „საიქიო“ შდრ. ძვ. ქართული „**იმა სოფლად**“).

ხალხური წარმოდგენები ძველი ქართული „იმა სოფლისა“ თუ სვანური **ეჩე ზუასდ** „საიქიო ცხოვრების“ შესახებ ასახულია ზეპირსიტყვიერებასა და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში. სვანური ამ თვალსაზრისით მდიდარ ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მასალას მოიცავს.

**ეთნოლინგვისტური ანალიზი.** თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სიტყვათა კომბინატორული პოტენციალის გამოვლენა სხვადასხვა ენებში, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა **კორპუსლინგვისტიკის** განვითარების პირობებში. ამასთან ერთად, ლინგვისტიკაში დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების, ენისა და ადამიანის ურთიერთმიმართება (ენა კულტურაში და კულტურა ენაში, ენა საზოგადოებაში და საზოგადოება ენაში, ენა ადამიანში და ადამიანი ენაში), რაც მოითხოვს, რომ ეს მიმართებები თვალსაჩინოდ იქნეს ნაჩვენები კონკრეტული ფაქტებით [აზმაიფარაშვილი 2020: 24].

სულთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველი სვანური **კოლოკაციების** ძირითადი კომპონენტია **ლაქუნ** ლექსემა. **ლა-ქუნ** სვანურად სიტყვასიტყვით არის სულეთი, სულისთვის განკუთვნილი ადგილი; სწორედ **ლა-ქუნ**-ზე ეპითეტების **ხოჩა**, **ხოლა** დამატებით იწარმოება სვანურად სამოთხე და ჯოჯოხეთი ანუ **კარგი სულეთი** და **ცუდი სულეთი**. საინტერესოა ბ. ნიჟარაძის ცნობა ამასთან დაკავშირებით: „საიქიო სვანებს თავისებურადა აქვს წარმოდგენილი; იგი ვრცელი მინდორია, დაფარული მუდამ მწვანე და ნორჩის ბალახით. ზემოდან ცა აფარია, აქვს ერთი კარი სულების შესასვლელი. ცხონებულნიც და წაწყმენდილნიც, ანუ სვანურიდამ რომ პირდაპირ გადმო-

ვთარგმნოთ, კარგი სულისა და ცუდი სულის კაცები (**ხოჩა ი ხოლა ლაქენა მარე**) ამ კარში შედიან. იქ კი ცხოვებული კარგს „**ლაქუნთესკენ**“ (სულის ადგილი, ან **სასულეთი**) უხვევს, წაწყმენდილი კი – გლახა „**ლაქუნთესკენ**“. კარგი სასულეთი, ან ქართულად სამოთხე ამნაირად არის მოწყობილი“ [ნიჟარაძე 1962: 178].

„კარგი სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვდიადი სუფევს (მუბირ უტკვინ). აქ არის სხვათა შორის ფისის ტბა (**ფისეში გვიბ**). ეს არის გლახა სულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (**ხოლა ლაქუნ**). მკითხველი ხედავს, რომ სვანების ჯოჯოხეთი ან სულეთი ისეთი საშინელება არა არის, როგორადაც ამას აგვიწერს ხოლმე ჩვენი სარწმუნეობა, ე. ი. სვანეთის სასულეთში არა არის „ცეცხლი გენისა“ და დაუმრეტელი კუპრის ტბა-მდინარეები, ქაჯ-ეშმაკთა ლეგიონი, გველ-ვეშაპნი და სხვანი მრავალნი. სვანების კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა. აღსანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სული-წმიდის ხსენება სულ არა არის. სვანი არასდროს არ გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს. პირველს ეძახის „**სადირბათ**“ (სადმრთო) და მეორეს „**საქუნ**“ (სულის საკურთხი). წაწყმედილ სულად ვსთარგმნი სვანურ „**ქვინი ლითევეფ**“-ს, თუმცა პირდაპირ „**ქვინი ლითევეფ**“ ჰნიშნავს სულის დაკარგვას. მაშასადამე, წაწყმედილი სული იგივე დაკარგული სულია“ [ნიჟარაძე 1962: 179-180] (ხაზგასმა ჩვენია ქ. მ.)

სულთან დაკავშირებული კოლოკაციების კვლევა სვანურში წარმოუდგენელია **ლიფანეს** რიტუალის აღწერისა და ანალიზის გარეშე. **ლიფანესა** და **ლიფანწლის** სვანურში მოეპოვება სარიტუალო დანიშნულება, კერძოდ, დაკავშირებულია სულთან, მიცვალებულის კულტთან და მისი მნიშვნელობაა „**მიცვალებულის სახელზე დადგმული ტაბლის დალოცვა, მიცვალებულთა სახელების დალოცვით მოხსენიება**“. **ლიფანწლი** მრავალგზისობის **-წლი** სუფიქსითაა ნაწარმოები **ლიფანე** ლექსემიდან და აღნიშნავს სულების ოჯახებში სტუმრობის კვირეულს 18 იანვრიდან მომდევნო ორშაბათამდე; **ლიფანწლის** რიტუალს ასე აღწერს ბ. ნიჟარაძე: ყოველს წელიწადს სულები საიქიოდამ (ზოგის სიტყვით, საფლავებიდამ) სააქაოს მოვლენ, ჭირისუფალთ ესტუმრებიან. ეს მოხდება ხოლმე ხუთ იანვარს, რომელსაც ხალხი „**ადგომ**“-ს ეძახის (აღდგომა მკვდართა). ხუთს იანვრიდამ იმის მომყოლ ორშაბათამდე ჭირისუფალი სადილ-ვახშმად საკურთხს უკეთებს მიცვალებულთა და ამიტომაც ამ დროს ეძახიან „**ლიფანალ**“-ს (ფან-იჯრა). თვით ორშაბათს, როდესაც „**ლიფანალ**“ ი თავდება, ეწოდება „**ლისგეჯინალ**“-ი (წაბრძანება სულთა) [ნიჟარაძე 1962: 182]

ეთნოლოგიისტიკაში ითვლება, რომ კოლოკაციათა შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არა მხოლოდ სემანტიკა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თუ მორფოსინტაქსური ურთიერთობა კო-

ლოკაციაში კომბინირებული სიტყვებისა, არამედ გარკვეული **კონტექსტიც**, რომელშიც ესა თუ ის კოლოკაცია გამოიყენება. ეთნოგრაფიული კონტექსტის თვალაზრისით საინტერესოა სვანური კოლოკაცია **ქვინი ლიტხე** „სულის დაბრუნება“, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სვანური პროზაულ ტექსტებსა თუ სვანური ენის სახელმძღვანელოებში.

სულთან დაკავრებული წეს-ჩვეულებების კვლევისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს **ლიფანწლის** კვირეულის ერთი რიტუალი, რომელიც ოთხი სინონიმური კოლოკაციით აღინიშნება; ეს არის რიტუალი სულების გაცილებისა; რიტუალი ყოველთვის, ყველა ოჯახში შესრულდება ხოლმე ზამთარში, საქიოდან სულების ოჯახებში სტუმრობის დასასრულს, ორშაბათ დილას, რიჟრაჟზე, გამთენიისას მთელი პომპეზურობით და წესების დაცვით, საკურთხი ტაბლით, ლოცვით, დიდი მოკრძალებით და ვედრებით.

ეს კოლოკაციებია:

**ჯრდი ჰამ** „გრძელი დილა“.

**ქუნრე ქალიბერდაგი** „სულების გასტუმრება, სულების გაცილება“.

**ქუნრტრ ქალისგუჯინე** „სულების გაბრძანება“ და **ლიჰლომწლი** (მნიშვნელობა და სემანტიკა ბუნდოვანია).

საინტერესოა რომ ამ ოთხი სინონიმური კოლოკაციიდან ერთ-ერთი ტერმინის **ლიჰლომალის** სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ვერც სვანურ ლექსიკონებში და ვერც ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოვიპოვეთ მიუხედავად არაერთ ინფორმატორთან გადამოწმებისა. სიტყვის მნიშვნელობას ვერ განმარტავენ ვერც ამ რიტუალის აღმასრულებლები. ამ ნაზმნარი სახელის, მასდარის სემენტაცია ასე წარმოგვიდგენია: **ლიჰლომწლი** < ლი-ჰლომწლი-ი (**ლი-ი** საწყისის მაწარმოებელია, **-წლი** – გენეზისურად მრავალგზისობის მაწარმოებელია და მოქმედების აღმნიშვნელ სახელს ვნებითობის სემანტიკას სძენს). ფრთხილი ვარაუდის საფუძველზე ამოსავალი ძირეული ლექსემა ამ საწყისისთვის უნდა იყოს სვანური **ჰამ** „დილა“. თუმცა სწორი, ეჭვმიუტანელი ეტიმოლოგიისთვის დამატებითი კვლევის ჩატარება, ხოლო ძირეული მორფემის სემენტაციისთვის დამატებით არგუმენტების მოძიება საჭირო. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ (**ლიჰლომწლი** < **ჰამ** „დილა“) მეტყველებს ის გარემოება, რომ **ლიჰლომწლი** სწორედ დილის რიტუალია. ლიფანალის კვირეულის დასასრულს სწორედ რიჟრაჟზე, გამთენიისას სრულდება სულების ოჯახებიდან გაცილების ცერემონიული მთელი პომპეზურობით და წესების დაცვით. არგუმენტებს ამყარებს სინონიმური ტერმინიც: **ჯრდი ჰამ** „გრძელი დილა“ ამავე რიტუალის აღსანიშნავად. ამ რიტუალის აღმასრულებელს ანუ **ქუნრტრ ქამუსგუჯინეს** „ოჯახიდან სულების გამბრძანებელს“ რძით, თაფლით, შესანდობარით, კწრზით, ცხუნლით... სავსე საკურთხის სკამტაბლას გაიტანს ეზოში და ასე დალოცავს, და ერთკვირიანი მასპინძლობის შემდგომ გზას დაულოცავს სულებს:

ჰე, საბლუ, ნიშგვემ ლემუნდვებრლ, მი დემ ჯარანგე ი დემ ჯიკვლდინე, იმვამჟი ისგვემ გზანვრობს ხომსგობამდ ხოცდენდედს, ეჯჟი გარ აყირდ. ხოჩა ჭიშხ ენცვირდ, ხოჩა გარ ეთიანლედ ნიშგვემ ქორა მერდე მარემი ბედჟი! მამ **სანს დოშ ენხვიენს**, ქა ნასარვინედ, ქა ლანპატივედ. ხოჩა გუჟი ანცვირდ. იმვამ ბამბამჟ შდღუვე ი თვივშუ უჩხე, ერევ ჯარხ ლაქუნ. იესო ქრისდჟ ტაბანგდ უვ ჯიგანდს! მგჟარ, თუვარ უვ ლი ისგვემ ლაქუნ...

მასალები, ინფორმატორი მარი ზურებიანი, 1997 წელი, დალის ხეობა.

„ჰე, მადლით მოსილო ჩვენო შესანდობარებო, ჩვენო მოსახსენებლებო, მე არც გაყოვნებთ და არც გაჩქარებთ, როგორც თქვენი მგზავრობისთვის იყოს უმჯობესი, ისე მოიქეცით, იმის კვალობაზე გასწიეთ მხოლოდ. კარგი ფეხი დაგვიტოვეთ, მხოლოდ კარგს შეეცადეთ ჩვენს სახლსა შინა მყოფთათვის! რაც მადლიანად და ზეციურ ძალთა მისაღწევად, თქვენს საკადრისად ვერ გავაკეთეთ, ის ყოველივე შეგვინდეთ და გვაპატიეთ. კარგ გუნება-განწყობაზე დაგვტოვეთ. სადაც ბამბით თოვს და თაფლით წვიმს, იქ ყოფილიყოს თქვენი **სულეთი**, თქვენი სასუფეველი. იესო ქრისტეს თანაზიარნი ყოფილიყავით! მზიანი, ანუ ნათელი და თაფლიანი ყოფილიყოს თქვენი **სულეთი**, თქვენი სასუფეველი“.

რიჟრაჟზე, გამთენიისას სახლში, ზღრუბლზე, კიბის თავზე და ეზოში სამჯერ ამ ტექსტით დალოცავს სულებს. ჭიქით რძეს დაასხამს და ამით სავალ გზებს დაულოცავს სულებს. თაფლის ჭიქას, ანთებულ სანთელს და ცხუნის სარიტუალო პურს იქვე დატოვებს. ასე სრულდება ლიჭლომადი.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გვხვდება ამ რიტუალის შემავსებელი დამატებითი ნიუანსებიც; მაგ. „ჯრდი ჰამლეთ **ქუნრე ქანაზგრდგუნდო** ლი ლენყე ლემზირანლ. ხემზირხ ნესკვლდამში თარინგზელს: დიდამბი ლეკედ ნესკვლდამში თარინგზელ, ნიშგვე ქორა მერდე მარე ლანხენთხილ ლესგი მზიგხან დიდამბი ლეკედ. ლემზირილარ უწენად ლიხ ლენყე ი ჩულეთვე (ინფორმატორი სარინო ფარჯიანი, 1996 წ.)

„ჯრდი ჰამის შემდეგ სულების გასტუმრებისთანავე დასაცხოზია ლემზირები. ილოცებიან ნესკვლდამის თარინგზელისთვის – დიდების მიმდებო ნესკვლდამის თარინგზელს, ჩვენი ოჯახის წევრები დაიცავი ტკივილისგან, დიდება მოსასვლელი. ლემზირები უწენად არის დასაცხოზი და მისართმევი“ [წერედიანი: 2004: 360].

საინტერესოა საკითხი, როგორია სვანურ კოლოკაციათა სტრუქტურა ანუ კომბინატორული მექანიზმი.

კოლოკაცია **ქვინეგვეშ** სვანურში კომპოზიტია და აღნიშნავს კონკრეტულ რიტუალს, სიტყვასიტყვით ნიშნავს „სულის საქმეს“.

**ლი-ქუნ-გუმ-ი** (< **ქვინეგვეშ** / **ქუნეგვეშ**) საწყისია, არის **ლი** – **ი** კონფიქსით ნაწარმოები მასდარი ქვინე-გვეშ კომპოზიტიდან და აღნიშნავს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების პროცესს, ქმედებას

მთლიანობაში. შესაბამისად, მოიცავს ქელეხის (გასვენების, ორმოცის, წლის-თავის) „ლიფანების“ რიტუალებს.

**ქვინეგვმ / ქუნეგვმ** „სულის საქმეები“ კოლოკაციათან არის დაკავშირებული ლექსემები: **მუქუნგვეში** და **ლექუნგვეში**. სალიტერატურო ქართულთა უსტი თარგმანი რთულია, მით უფრო მიმდებარე ფორმით, ერთი სიტყვით გადმოცემა შესაბამისი სვანური სემანტიკისა;

**მუქუნგვეში**, **ლექუნგვეში** კოლოკაციათა სტრუქტურული ტიპი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი. **მუქუნგვეში** < (მუ-ქუნ-გვეში-ი) მოქმედებითი გვარის მიმდებარე და გულისხმობს **ლექუნგვეში**ს რიტუალის, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შემსრულებელს;

**ლექუნგვეში** < (ლე-ქუნ-გვეში-ი) კი ვნებითი გვარის მიმდებარე; გულისხმობს მიცვალებულს, ვის სახელზეც **ლექუნგვეში**ს რიტუალები უნდა შესრულდეს.

**ქტინი ლიტხე** „სულის მობრუნების რიტუალი“.

**ქტინი მგტხე** „სულის მობრუნების რიტუალის შემსრულებელი“.

**ქტინი ლიტხემი ლოც** „სულის მობრუნების ლოცვა“.

**ქტინი მგტხე** „ის, ვინც ასრულებს სულის მობრუნების რიტუალს“. (მაგ. **ქტინი მგტხე** მარეს ხეკუტეს **ქტინი ლიტხემი ლოც** ხოხალდედს „მიცვალებულის სულის სახლში დასაბრუნებლად **სულის დამბრუნებელმა** ადამიანმა უნდა იცოდეს სულის დაბრუნების ლოცვა“, ექსპედიციის მასალები, 2007 წ. დალის ხეობა).

საყურადღებოა ერთი ასპექტიც: სულთან დაკავშირებულ რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში სვანურში თანამედროვე ქართული, თუმცა წარმოშობით ბერძნული სიტყვის – **ეკლესიის** სინონიმად მუდმივად გვხვდება სვანური **ლაჯტმი / ლაჯტმ** ლექსემა. **ეთნოლინგვისტური** ასპექტით ასევე საინტერესოა ამ სიტყვის **ლაჯტმი** „ეკლესია“ ეტიმოლოგია, გენეზისი, წარმომავლობა და სემანტიკა თანამედროვე სვანურში: **ლაჯტმი / ლა-ჯტმ-ი** < სვან. **მა-ჯტმ** „მადლობა“, **ნა-ლ-ჯტამ-ი** < სვან. **\*ნა-ლა-ჯტამ-ი** „ნაეკლესიარი“; სვან. **ლაჯტმი / ლაჯტმ** სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“.

**ლაჯტმინი** ძღუთიდისგა მესტფელა თემნი თემნ ისგტრინხ [კოჟენიკოვა: იფარი, საქალაღდე, # 2 გვ. 66] „**ეკლესიის გაღაგანში** სოფლის მკვიდრნი თემების მიხედვით სხდებიან“.

რელიგიური და სახალხო დღესასწაულები მუდამ, შუა საუკუნეებშიც და შავზნელ საბჭოთა ეპოქამიც კი მთელი პომპეზურობით, ზედმიწევნით, მთელი სიზუსტით სრულდებოდა სვანეთში. სვანური **მემზირ ხომ არქაული ქართული** მლოცველია. სალოცავი ლემზირის მზირისადმი **ზე აღმვლენი**. სვანურში მზის საკრალური დღე კვირა დღეა: სვან. მიშლაღდე < **მიჟ ლაღად** – მზის დღე! ქრისტიანობამ ამ დღეს კვირიაკე ანუ საუფლო უწოდა [ჯავახიშვი-

ლი, 1979: 171]. შესაბამისად, მკვლევართა აზრით, სვანურ ხალხურ დღეობებში დამარხული რელიგიური სივრცე საკმაოდ ძველია, არქაულია, უაღრესად სპეციფიკურია.

ევდოკია კოჭენიკოვა (რომელმაც თითქმის ათეული წლები იცხოვრა სვანეთში და ზედმიწევნით სრულყოფილად ისწავლა სვანური ენა) სიტყვასიტყვით განმარტავს, რომ ერთ კონკრეტულ რიტუალს ჰქვია **ჟეზგერან** (<\* **ჟი-ეს-ჯგერ-ან**) – „აქ ერთნი ვიყავით და იქაც ერთად ვიქნებით, იმ ქვეყნად, შენი მომსახურე ვიქნები იმ ქვეყანაში“. **ჟეზგერანის** რიტუალი მოიცავდა მიცვალებულისთვის არა მხოლოდ საკურთხე ტაბლების, ასევე სამოსის, ცხენის, სხვადასხვა ძვირფასი ნივთების თუ საგნების მიძღვნას და კურთხევას. **ჟეზგერან** <\* **ჟი-ეს-ჯგერ-ან** / [ჟემ <\* ჟი-ეს] გენეზისი დამახასიათებელია სვანურისათვის; მას შესაბამისი გარემო და ფონოტაქტიკის წესები განაპირობებს.

ცნობილია, რომ ყოველი ენა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე. ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის ... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს.

ზემოთგანხორციელებული სვანური რიტუალების ამსახველი კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანალიზისა და ვ. ფ. ჰუმბოლდტისეული კონცეფციის – დედაენისეული მსოფლხედვის კონტექსტში ყურადღება შეიძლება გამახვილდეს ერთ გარემოებაზე:

სულთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველი სვანური კოლოკაციების – **ლიქუნგუშეში, ლალხორთე ღიზი, ქუნარუთ ლისგუჯინე, ხოჩა ლაქუნ...** სვანური სინტაგმების სალიტერატურო ქართულზე ზედმიწევნით თარგმნა ძალიან რთულია, ლიტერატურული ფორმით გადმოცემა და სვანურის შესაბამისი სემანტიკის სრულყოფილად ასახვა (მით უფრო სინტაგმური სახით გადმოტანა) გარკვეულ სიმნელებთან არის დაკავშირებული. სვანური ფორმები ლინგვისტურად სწორედ იშვიათი სრულყოფილებით ასახავს ამა თუ იმ ეთნოგრაფიულ რიტუალს, ამა თუ იმ წეს-ჩვეულებას, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით ასრულებდნენ სვანები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, სავარაუდოდ, ქრისტეს წინარე ეპოქაშიც და XX საუკუნეშიც, კომუნისტური აკრძალვების და იძულებების მიუხედავადც კი. სწორედ ამიტომ, ამგვარი და სხვა არაერთი სპეციფიკური წეს-ჩვეულებისა თუ რიტუალის გამოცაა, რომ ქართველოლოგები სვანეთს – ქართული კულტურის ნამდვილ სავანეს, სრულიად დამსახურებულად უწოდებენ **საქართველოს ოლიმპოს** და **ეთნოგრაფიულ „კალიედოსკოპს“**, სვანურ ენას კი – **ქართველოლოგიის „ოქროს ზოდს“** (ა. არაბული). სვანეთი ხომ ქართული ეთნიკური სამყაროს, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის უძველესი კერაა, სვანები თავიანთი სამე-

ურნეო, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრებით უხსოვარი დროიდანვე ქმნიან ქართველი ერის ერთიან ისტორიას.

ეთნოგრაფიულ კონტექსტთან ერთად საინტერესოა **კოლოკაციათა სტრუქტურა**, აღნაგობა. ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა როლი და წილი მყარი ენობრივი ფორმების „შენების“ საქმეში. ეთნოლიგვისტიკაში დადგენილია, რომ ზმნურკომპონენტის სტრუქტურის კოლოკაციებით სახელდებულა ადამიანთა ქცევები და ქმედებები (წეს-ჩვეულებები და რიტუალები), ხოლო დანარჩენი სტრუქტურის კოლოკაციებით – ამ ქცევებსა და ქმედებებთან დაკავშირებული ესა თუ ის მოქმედი პირი, მოქმედების საგანი, მოქმედების თვისება, მოქმედების ადგილი და სხვ.

სვანურში სულთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველი **ზმნურკომპონენტის** სტრუქტურის კოლოკაციებია:

**ქვინი ლიტხე** „სულის დაბრუნება“.

**ქვინი ლითეფე** „წარწყმედა“ სიტყვასიტყვით „სულის დაკარგვა“.

**ქუნრჷნ ლისგუჷინე** „სულების გაბრძანება“.

**ქუნრე ქალიბგრდჷგი** „სულების გაცილება“.

**ლიქუნგუეში** „მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები“.

არსებითთან ერთად ზედსართავი სახელი ატრიბუტების, ეპითეტების როლში მონაწილეობს შემდეგ ფრაზემებში ანუ ქვინ ლექსების შემცველი ოდენ **სახელურ კომპონენტის** სტრუქტურის სვანური კოლოკაციებია:

**ხოჩა ლაქუნ** „სასუფეველი“ < „კარგი სულეთი“.

**ხოლა ლაქუნ** „ჯოჯოხეთი“ < „ცუდი სულეთი“.

**ხოჩა ლაქუნ მარე** „სასუფეველში მოხვედრილი“ < „კარგი სულეთის ადამიანი“.

**ხოლა ლაქუნ მარე** „წარწყმედილი“ < „ცუდი სულეთის ადამიანი“.

ამრიგად, სვანური ხასიათდება არქაულობით და **რიტუალების ამსახველი ლექსიკის**, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით; ეთნოლიგვისტიკაში ტერმინით კოლოკაცია აღინიშნება ტრადიციებით გამაგრებული სხვადასხვა სტერეოტიპული ქცევა, (წეს-ჩვეულება, რიტუალი), რომელიც გამოხატულია მყარი ენობრივი ერთეულით.

სვანურში გამოვლინდა სულთან და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების, რიტუალების ამსახველი ათეულობით კოლოკაცია: **ქვინი ლიტხე** „სულის დაბრუნება“. **ხოჩა ლაქუნ** „სასუფეველი“ სიტყვასიტყვით „კარგი სულეთი“. **ლახორთე ღრზი** „ლალხორში სულების წასვლა სამსჯელოდ“, **ჯრდი ჰამ** „სულების გაცილების რიტუალი“...

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ამ კოლოკაციათა ეთნოლიგვისტური ანალიზი; შესწავლილია კოლოკაციათა გამოყენების **კონტექსტი** და **სტრუქტურა**.

გაირკვა, რომ აღნაგობის მიხედვით სვანურში გვხვდება როგორც **ზმნურკომპონენტის** (ქუნარტრ ქალისგუჯინე „სულების გაცილება“ „სულელების გაბრძანება“...) ასევე **ოდენ სახელური სტრუქტურის** (არსებითი სახელი + არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი, მიმღეობა + არსებითი სახელი, არსებითი სახელი + მიმღეობა...) კოლოკაციები (**ხოჩა ლაქუნ** „სამოთხე“ (< „კარგი სულეთი“). **ჯრდი ჰამ** „სულების გაცილების რიტუალი“ (< გრძელი დილა“)...

წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული სვანური ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ასპექტით კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

### ლიტერატურა

**აზმაიფარაშვილი 2020** – ლ. აზმაიფარაშვილი, სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნოლინგვისტური შესწავლისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 48, თბილისი.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, სვანური სინტაქსი, შრომები, ტ. II თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**კოჟენიკოვა 1927** – ე. (დინა) კოჟენიკოვა, სვანური ტექსტები [ხელნაწერი 1200 გვერდი, 1927-1933 წწ.].

**კაკაჩია, მარგიანი, ჯღარკავა 2017** – მ.კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა, კონცეპტი სული ქართველურში (სტატია ინგლისურ ენაზე) Concept „Spirit“ in Kartvelian, გლობალიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტ. II **ოსაკა, იაპონია**.

**ლიპარტელიანი 1994** – ა. ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო). თბილისი.

**ნიჟარაძე 1962** – ბ. ნიჟარაძე, თვისუფალი სვანი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 1990** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**წერდიანი 2004** – ნ. წერდიანი, სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, ტ. XI მონრეალი-თბილისი.

**ჯავახიშვილი 2002** – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I თბილისი.



KETEVAN MARGIANI

**Collocations Depicting Rituals Containing the  
Lexeme “Kwin” (Soul) in Svan<sup>1</sup>**  
(Ethnolinguistic Analysis)

S u m m a r y

The Svan language is characterized by the richness, variety, and ancientness of vocabulary, phraseology, and collocations depicting customs. In ethnolinguistics, the term collocation refers to various stereotyped behaviors (customs, rituals) reinforced by tradition that are expressed by a solid linguistic unit.

More than two dozen collocations depicting customs and rituals related to the cult of the soul and the dead are revealed in the Svan language. **Kwinegwesh/Kunegwesh**/(kvinegveš/kunegveš) refers to the rituals related to a funeral; **Kwini litkhe**/(kwini liṭxe) means returning of the soul; **Khoča Lakun**/(xoča lakun) describing heaven, a literal translation is “good abode of souls”; **Khola Lakun**/(xola lakun) describing the hell, a literal translation is “bad abode of souls”; **Kunareeshi**/(kunareeši) refers to the week of remembrance of the dead, etc. The paper presents an ethnolinguistic analysis of these collocations. The context and structure of the use of collocations are studied.

Studies have shown that, according to the structure, in Svan you can find collocations that are characterized by a verb component and a subject component **Khoča Lakun**/(xoča lakun) meaning heaven, a literal translation is “good abode of souls”, **Jodi Ham**/(žodi ham) meaning ritual of sending souls away, a literal translation is “long morning”.

Linguistic literature emphasizes the richness and ancientness of the vocabulary of the Svan language; Accordingly, the ethnolinguistic research of Svan phraseology and collocations related to customs provides an opportunity to make extremely interesting conclusions.

---

<sup>1</sup> The research was carried out with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (grant project No. FR-21-2100).

ნანა მაჭავარიანი

**ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში –  
შეთანხმება თუ მართვა?**

(საკითხის დასმისათვის)

ცნობილია, რომ აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება. კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური პრეფიქსებია:

მხ. რ.

|        |               |                  |              |
|--------|---------------|------------------|--------------|
| I პ.   | <b>სარა</b> – | „მე“             | <b>ს (გ)</b> |
| II პ.  | <b>ჟარა</b> – | „შენ“ (მკ.)      | <b>ჟ (გ)</b> |
|        | <b>ზარა</b> – | „შენ“ (ქ.)       | <b>ზ (გ)</b> |
| III პ. | <b>მარა</b> – | „ის“ (მკ.)       | <b>მ (გ)</b> |
|        | <b>ლარა</b> – | „ის“ (ქ.)        | <b>ლ (გ)</b> |
|        | <b>მარა</b> – | „ის“ (ნ., არაგ.) | <b>ა</b>     |

მრ. რ.

|        |               |         |               |
|--------|---------------|---------|---------------|
| I პ.   | <b>ჰარა</b> – | „ჩვენ“  | <b>ჰ (ა)</b>  |
| II პ.  | <b>შარა</b> – | „თქვენ“ | <b>შ° (გ)</b> |
| III პ. | <b>დარა</b> – | „ისინი“ | <b>რ (გ)</b>  |

|          | <b>მხ. რ.</b>   |          | <b>მრ. რ.</b>                   |
|----------|---|----------|---------------------------------|
| I პირი   | <b>ს(გ)- ნაპგ</b> „ჩემი ხელი“   | I პირი   | <b>ჰა - ნაპგ</b> „ჩვენი ხელი“   |
| II პირი  | <b>ჟ(გ)- ნაპგ</b> „შენი (მკ.) ხელი“<br><b>ზ(გ)- ნაპგ</b> „შენი (ქ.) ხელი“       | II პირი  | <b>შ°გ - ნაპგ</b> „თქვენი ხელი“ |
|          | <b>მ(გ)- ნაპგ</b> „მისი (მკ.) ხელი“   | III პირი | <b>რგ - ნაპგ</b> „მათი ხელი“    |
| III პირი | <b>ლ(გ)- ნაპგ</b> „მისი (ქ.) ხელი“<br><b>ა- ნაპგ</b> „მისი (არაგ./ ნივთ.) ხელი“ |          |                                 |

ამ პრეფიქსთაგან მხოლოდითი რიცხვის მეორე და მესამე პირთა პრეფიქსები განარჩევენ მფლობელის გრამატიკულ კლასს. მეორე პირში ერთმანეთს უპირისპირდება მამაკაცისა და ქალის ქვეკლასები, ხოლო მესამე პირში – მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა (ნივთის) ქვეკლასები. მეორე პირში **ხ(გ)** პრეფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მდედრობითი სქესის ადამიანებს. უფრო კონკრეტულია დანაწილება მესამე პირში: **ა (გ)**- პრეფიქსით აღინიშნება მამაკაცი და მამრობითი სქესისად გაგებული ანთროპომორფული არსებანი (დმერთი, ანგელოზი, ქაჯი, ტყის კაცი), **ლ (გ)**- პრეფიქსით აღინიშნება ქალი და მდედრობითი სქესისად მიჩნეული ანთროპომორფული არსებანი (ღვთისმშობელი, ალი, ტყის ქალი...), ხოლო **ა**- პრეფიქსი აღნიშნავს ყველა არაგონიერ არსებასა და მოვლენას, მიუხედავად იმისა, სულიერია მფლობელი, თუ უსულო.

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **აძღაბ ლ-ნაპე** „გოგოს ხელი“.

თუ სიტყვას მახვილი მოუდის ზოგადობის **ა**- პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **გ**- ნახევარხმოვნითაა წარმოდგენილი: **ალა** „თვალი“ **სგლა** „ჩემი თვალი“, მაგრამ **ალა** „ძალი“, **სლა** „ჩემი ძალი“.

ქართული „სტუდენტის ხელი“ აფხაზურში იქნება **ასტუდენტ ინაპე**... ქართულის ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი სუფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად:

ქართ. **ქალიშვილის ხელი** აფხაზ.: **აძღაბ ლ-ნაპე**

ასე მიიღება კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთაგან კუთვნილების შინაარსის მქონე ნაცვალსახელური პრეფიქსები აფხაზურში.

აფხაზურში დამოუკიდებელი მნიშვნელობის კუთვნილებითი ნაცვალსახელების უქონლობა ჩანაცვლებულია პირ-კლასის ნაცვალსახელთაგან მომდინარე ე. წ. „ლ“-ს რიგის პრეფიქსებით (იხ. ზემოთ).

ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ემთხვევა შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურ ელემენტებს, გარდა ორი შემთხვევისა:

მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი **ა**- პრეფიქსი განსხვავდება ნივთთა (არაგონიერთა) კლასის მესამე პირის **ძარა** „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის **ძა** ძირისაგან. ეს **ა**- პრეფიქსი იკარგება სინტაგმიდან, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი.

ყურადღებაა გამახვილებული „აფხაზური ენის გრამატიკაში“ აგრეთვე მრავლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებით **რ**- ნიშანზე, რომელიც არ ემთხვევა შესაბამისი **ძარა** „ისინი“ ნაცვალსახელის თავკიდურა ელემენტ **დ**-ს (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 34).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ძარა** „ისინი“ უნდა მომდინარეობდეს „**რარა**“-დან და დისიმილაციის საფუძველზეა **რ**- მიღებული. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია **მ-დ-რაშოიტ** // **მ-რ-რაშოიტ** „ისინი მარგლავენ“.

ამრიგად, პირველადი უნდა ყოფილიყო არა **დარა**, არამედ **რარა**;

ქ. ლომთათიძე კი ფიქრობს, რომ III პ.-ის მრ. რ.-ის ნიშანი **დ**- უნდა ყოფილიყო ისტორიულად და არა **რ**-. **დ**- უნდა მომდინარეობდესო **დარა** ნაცვალსახელისაგან (ლომთათიძე 1945: 34).

მორფოლოგიური თვალსაზრისით ზემოთ განხილული კუთვნილების კატეგორია სინტაქსური თვალსაზრისით ატრიბუტულ სინტაგმას წარმოადგენს.

აფხაზურში სახელურ სინტაგმაში დამატებით კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელიც ან მკუთვნელის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა იყოს გამოყენებული: **ლარა აფჳგს ლგწკგ ყაფშუჳ** „მისი ქალის კაბა წითელია“... ამ დროს ნაცვალსახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე მარტივი სახითაც (გვანცელაძე 2003 : 60).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ აფხაზურის ატრიბუტულ სინტაგმას ახასიათებს შეთანხმება. (გვანცელაძე 2003 : 119).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის ატრიბუტულ სინტაგმას ახასიათებს არა შეთანხმება, არამედ მართვა.

აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

როგორც აღვნიშნეთ, სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება.

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **აძღაბ ლ-ნაპგ** „გოგოს ხელი“.

მმართველი სახელი – **აძღაბ** „გოგო“ მართულში – **ლ-ნაპგ** „მისი ხელი“ აჩენს პირ-კლასის ნიშანს **ლ-**, რომელიც თავად მას არ გააჩნია მოცემულ შემთხვევაში. (შდრ.: ქართ. გოგოს ხელი) ამ შემთხვევაში მმართველი „**ხელი**“ მოითხოვს მართული „**გოგოსაგან**“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. ანუ თუ ქართულში მმართველი არის საზღვრული, აფხაზურში მმართველი მსაზღვრელი იქნება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, აფხაზურის ატრიბუტული სინტაგმა სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით **მართვას** უნდა წარმოადგენდეს და არა **შეთანხმებას**.

## ლიტერატურა

- აფხაზური ენის გრამატიკა 1968** – Грамматика абхазского языка, Сухуми.  
**გვანცელაძე 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, ტ. I, თბილისი.  
**ლომთათიძე 1945** – ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი.

NANA MACHAVARIANI

### **Attributive Modifier in Abkhazian – Agreement or Subordination?**

(Raising an Issue)

#### S u m m a r y

In the scientific literature, it is considered that the Abkhazian attributive syntagm is characterized by agreement.

The paper presents an assumption, while raising an issue, that the attributive syntagm of the Abkhazian language is characterized not by agreement, but by subordination.

Abkhazian does not have the declension system, not even the genitive case. Instead of the genitive case, it uses the prefixes that come from the possessive pronouns or the pronouns of person and class.

The possessive category of nouns is formed by adding pronoun prefixes to the nominal base in Abkhazian.

The prefix of the genitive case (expressing possession) is added not to a modifier but to the head word as a prefix, e.g., **azyab l-napə** "girl's hand".

The subordinating part **azyab** "girl" shows the person-class marker **l-** in the subordinated part **l-napə** while it does not have the marker at all. (cf. Geo. gogos xeli "girl's hand") In this case, the subordinating **xeli** demands the genitive form from the subordinated **gogo**. So, if in the Georgian language the head word is a subordinating element, in Abkhazian a modifier is a subordinator.

მედეა საღლიანი

### ოსურ-ალანურიდან ქართულის გზით შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ადაპტაციისათვის სვანურში

სვანური ენის კილო-კილოკავებში, როგორც დიდძალი საანალიზო მასალის განხილვამ აჩვენა, დასტურდება არამხოლოდ უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული, არამედ ქართულის გზით დამკვიდრებული არაერთი ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეული, რომელთაც სესხების პროცესში მეტად საყურადღებო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განუცდიათ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ოს-ალანებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჩვენი ერის ისტორიის პირველ საუკუნეებშივე იგულისხმება... ალანთა გაქრისტიანების შემდგომ კი მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა, ჩვეულებრივი გახდა ქორწინება საქართველოსა და ოსეთის სამეფო სახლებს შორის<sup>1</sup>. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, „ასეთ ხანგრძლივსა და მჭიდრო პოლიტიკურ-ისტორიულ ურთიერთობას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა ენობრივი ურთიერთობა ქართულსა და ალანურ-ოსურს შორის და, მართლაც, ორივე ხალხის ენაში ჩვენ ვხვდებით ამ ურთიერთობის კვალს შეთვისებული ლექსიკური ელემენტების სახით“ (1966: 49-50). ოსური ენის მკვლევრები (ვ. მილერი, ჰ. ჰიუზმანი, გ. ახვლედიანი, ვ. აბაევი, ე. ბენვენისტი...) ხშირად აღნიშნავენ ოსურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ქართული ელემენტების არსებობას, თუმცა შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა ოსური ელემენტების გამოვლენას ქართულში. შემდგომ ამ მხრივ მეტად საყურადღებო შედეგები მიიღეს გ. ახვლედიანმა და ვ. აბაევმა (იქვე:50). სწორედ ვ. აბაევმა გამოავლინა რამდენიმე ათეული (30-მდე) ოსური წარმოშობის სიტყვა ქართულსა და ქართველურში (მეგრულსა და სვანურში), მათ შორის ისეთი ყოველდღიური ხმარების ჩვეულებრივი სიტყვები, როგორიცაა: *ქუდი, ხიდი, ორმო, ბევრი, ქადილი, ქდაგი, შვი, მნელო, მკაცრი, დოლი* და სხვ. საკუთარი სახელები: *საურმაგი, აღსართანი, ვახტანგი, იაღსარი, ალუდა, აფშინა*; არმაზსა და მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული და არამეული წარწერების სახელებიდან: *ქსეფარნუგი, იოდმანგანი, შარგასო, ზევახი, ბევრაზურია...* (1956: 438). ცხადია, მას დასახელებული აქვს ის

<sup>1</sup> ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან – ფარნავაზის, საურმაგის, გორგასალის დროს.

<sup>2</sup> ამ სიტყვასთან ხომ არ არის კავშირში სვანური საკუთარი სახელი ჩარგაზ?

მიზეზებიც, რომლებიც ხელს უშლიდნენ და ართულებდნენ ოსურ-ალანური ელემენტების გამოვლენას ქართულში. ერთი მხრივ, ეს გახლდათ ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონის უქონლობა და ქართული ლექსიკის სისტემატური შეუსწავლევლობა სიტყვათა წარმომავლობის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ ქართულის კულტურული უპირატესობის გამო ოსურის გავლენა ქართულზე უფრო ნაკლებია, ვიდრე პირიქით. ასევე ხაზს უსვამს იმ სირთულეს, რომელიც თან სდევს ქართულში ოსურიდან შემოსული სიტყვების გამიჯვნას სპარსულიდან შეთვისებული სიტყვებისაგან (ანდრონიკაშვილი 1966: 50).

ალანურ-ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესახებ, როგორც უკვე ითქვა, საუბარია გ. ახვლედიანის ნაშრომებში (იხ. მისი მონოგრაფია – „Сборник избранных работ по осетинскому языку” და სტატია – „О некоторых вопросах аланско (осетинско)-грузинских языковых взаимоотношений”, Тбилиси, 1960), სადაც ავტორი ვ. აბაევის მიერ ზემოდასახელებულ მიზეზებს ქართულში ოსურ-ალანური ელემენტების გამოვლენის სირთულესთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხსნის: „ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხანგრძლივი საურთიერთო გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს“ (1960: 173). მისივე თქმით, „ქართული სიტყვები ოსურში და ოსური ქართულში ვერ მოხვდებოდნენ ამ ენებში იზოლირებულად, ცალკეული ნასესხობების სახით, ისინი უთუოდ შეადგენდნენ უმნიშვნელო ნაწილს მრავალრიცხოვან სიტყვათა სისტემისას, რომელიც ორივე ენისათვის საერთო იყო, და რომელიც ურთიერთმოქმედებისას ამ ენათა სტრუქტურასთან იწვევდა სათანადო ცვლილებებს ორივე ენის გრამატიკასა და ფონეტიკაში“. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, გ. ახვლედიანი არ თვლის საჭიროდ მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სიტყვების შეთვისების მიმართულება – ოსურიდან ქართულში თუ პირიქით, რამდენადაც მას აინტერესებს ერთიანობა ენობრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისა ამ ორ ხალხს შორის (1966: 51).

ქართულში შეთვისებული ოსურ-ალანური სიტყვების დიდი ნაწილი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, შეთვისებულია უძველეს ეპოქაში სკვით-სარმატთა თუ ალანთა ძლიერების ეპოქაში, როდესაც მათი ენობრივი გავლენა ვრცელდებოდა თითქმის ყველა კავკასიელ ხალხზე. რაც შეეხება ქართულიდან ოსურში შესულ ლექსიკურ ელემენტებს, მათი უმრავლესობა ეკუთვნის უფრო გვიანდელ ეპოქას, რომელიც ქართულის კულტურული უპირატესობით აღინიშნება (მაგ., ქრისტიანობასთან დაკავშირებული და საერთოდ სხვა კულტურული ტერმინები). მეორე მხრივ, ქართულში გამოვლენილი ოსურ-ალანური სიტყვების საკმაოდ დიდი ნაწილი განეკუთვნება დიალექტურსა და პერიფერიულ ლექსიკას (იქვე: 55-56). აღსანიშნავია, რომ მ. ანდრონიკაშვილს ოსურ-ალანურ-ქართული ურთიერთობის კვლევისას ლექსიკასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია ფონეტიკურ-ფონოლოგიური მხარე, რამდენადაც ლექსიკური ელემენტების შემოსვლის გზების

გასარკვევად ფონეტიკური შესატყვისობების დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგი, ბუნებრივია, ითვალისწინებს გ. ახვლედიანისა და ვ. აბაევის ნაშრომებში წარმოდგენილ დებულებებსა და მოსაზრებებს როგორც ოსური ენის ფონეტიკური შედგენილობის, ასევე ქართული და ოსური ენების ფონეტიკურ სისტემათა განსაკუთრებული სიახლოვის შესახებ და სწორედ ამ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და საკუთარი ინტერპრეტაციებით წარმოადგენს ზოგად დასკვნებს სკვითურ-სარმატული და ალანურ-ოსური ელემენტების შესახებ ქართულში (იქვე).

ვინაიდან ამჯერად ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს ოსურ-ალანურიდან სვანურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია, ასევე სესხების გზებისა და მიმართულების გარკვევა წარმოადგენს, საანალიზო მასალა, სესხების გზების გათვალისწინებით, დავყავით ორ ნაწილად: 1. **ქართლის გზით სვანურში დამკვიდრებული ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეულები** და 2. **უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები სვანურში**.

წინამდებარე სტატიაში სწორედ პირველი ნაწილის შესახებ გვექნება მსჯელობა სვანური ენის კილო-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით.

### **ქართლის გზით სვანურში დამკვიდრებული ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეულები**

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ქართულში არაერთი ოსურ-ალანური წარმომავლობის სიტყვა გვხვდება, რომლებიც სვანურში სწორედ ქართლის გზით არიან დამკვიდრებული, სესხებისას კი სვანური ენის კილო-კილოკავებში სხვადასხვა სახის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაცია განუცდიათ. ესენია:

**არტაჟაზ** (ზს., ლშხ.)/**არტაჟოზ/არტაოზ** (ლშხ., ჩოლ.)/**არტაჟაზ** (უშგ.) „ემმაკების უფროსი, კუდიანი, გაიმვერა“ *ცრუმორწ*. < ქართ. ართავაზ-ი (< ოს. **артъауаз/артъауыз/артъаудз** „ოსური მითოლოგიის პერსონაჟი, ბოროტი სული“ < ირან. **artavazd**) „ჯადოქართა უფროსი“ სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*გამკვეთრების, ბგერათა დაკარგვის, ბგერათმონაცვლეობის...*) განხორციელებით, თუმცა სვანურ საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა უშუალოდ ოსურ-ალანურიდან სესხებასაც არ გამოვრიცხავთ.

**შენიშვნა:** „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული საკუთარი სახელი **არტავაზ**, რომელიც სახელია ორი პიროვნებისა: 1. **არტავაზ** – სომეხთა მეფის არტაშანის ძე და 2. **არტავაზ** – ძე საურმაგ სპასპეტისა, ვახტანგ გორგასალის ძუძუმტე, კლარჯეთის ერისთავი (იქვე: 13), ვფიქრობთ, სვანურ **არტავაზ** ფორმასთან არ არის კავშირში, ვინაიდან სვანურში აღნიშნული სიტყვა, როგორც ანთროპონიმი, არ გვხვდება.



**აბრაგ/აბრეგ** (ზს.)/**ამბრეგ**(ბქ.)/**აბრაგ** (ლზხ., ჩოლ.)/**აბრაგ** (ლნტ.) < ქართ. აბრაგ-ი (< ოს. **abyræg/abæræg** „ყაჩალი, აბრაგი“, შდრ. სამ. ირან. და ფალ. \***āparak, āpartan** „მარცვა“, **āpar** „მარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნამარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“) ფორმისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ისე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*მოულოდნელი უმლაუტის, ხმოვანთმონაცვლეობის, ბგერის გაჩენისა და პალატალური უმლაუტის*) გავლით.

საანალიზო ლექსიკური ერთეული, მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრების თანახმად, საერთო კავკასიური სიტყვაა, წარმოშობით საშუალო ირანული, ფალური \***āparak, āpartan** „მარცვა“, **āpar** „მარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნამარცვი, ალაფი“, საიდანაც მომდინარეობს ქართ. ა ვ ვ ა რ ი და სომხ. **ասար** (იქვე:76). ვ. აბაევის აზრით კი, აღნიშნულ ოსურ ფორმას **abyræg**’ს საფუძვლად უდევს ირანული **abra** „ღრუბელი“, ოს. **arv** „ცა“ (1958:25-26), თუმცა ოსური ფორმის წარმომავლობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა თვალსაზრისებიც არსებობს, რომელთა განხილვისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ.

ცხადია, აქვე უნდა განვიხილოთ აბსტრაქტულობის გამომხატველი **აბრაგობ/აბრეგობ** (ზს.) ფორმაც < ქართ. აბრაგ-ობ-ა (< ოს. **abyræg/abæræg** „ყაჩალი, აბრაგი“, შდრ. სამ. ირან. და ფალ. \***āparak, āpartan** „მარცვა“, **āpar** „მარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნამარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“) „ყაჩალობა“ სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*მოულოდნელი უმლაუტის, ხმოვანთმონაცვლეობისა და სუფიქსისეული ხმოვნის მოკვეცის*) განხორციელებით.

**დილეგ** (ზს., ქს.)/**დილეგ** (ბქ.)/**დგლიგ** (უშგ.) „ტყვეების დასამწყვდევნი ადგილი კოშკში ან მაჩუბში“ < ძვ. ქართ. დილეგ-ი (< ოს. **dəllag** „ქვედა, ქვეშეთი“)<sup>1</sup> „ციხე-კოშკის ქვედა ნაწილი, რომელიც გამოყენებული იყო საპყრობილედ, – საპყრობილე, საპატიმრო, სატუსაღო“ ლექსიკური ერთეულისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*დაყრუების, რედუქციისა და ხმოვანთმონაცვლეობის*) საშუალებით.

**დუმაი** (ზხ., ბეჩ.)/**დუმან** (ბქ., ლნტ., უშგ.)/**დუმაი** (ლზხ., ჩოლ.) < ქართ. დუმა (< ფალ. \***dum, dumb, dumbak, durb, durbak**, შდრ. ოს. **dymæg** „კუდი“) „ქონიანი კუდი ცხვრისა“ სიტყვისაგან აუსლაუტში შემდეგ ფონეტიკურ პროცესთა – *უმლაუტისა და იოტიზაციის* განხორციელებით. შდრ. ლნტ. **დუმან** < ქართ. (იმერ.) დუმა „თოფის კონდახის ბოლო“.

<sup>1</sup> ქართულში ამ სიტყვის სხვა ენათაგან მომდინარეობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისები აქვთ გამოთქმული როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევრებს (ივ. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე, ჰ. აჭარიანი...), თუმცა ჩვენ ამჯერად მისი ქართულში დამკვიდრების გზა და მიმართულება ნაკლებად გვაინტერესებს, ვინაიდან ერთი რამ ცხადია, სვანურში ამჟერად ქართულის გზით დამკვიდრდა და სვანური ენის ფონოტაქტიკურ წესებსაც დაემორჩილა.

**შენიშვნა:** ქართულის გზით შეთვისებული **დუმა** ლექსემა მატოპონიმებ-  
ლადაც ქცეულა სვანურში, მაგ. **დუმაი** (ლშხ., ჩოლ.)/**დუმაი** (ჩოლ.) „საძოვარი,  
საბალახო ადგილი (ზედმიწ. – **დუმა**)“ < ქართ. დუმა<sup>საგან</sup> უმლაულტითა და  
იოტიზაციით. შდრ. ასევე ლნტ. **დუმ** < ქართ. (იმერ.) დუმა „თოფის კონდახის  
ბოლო“ სიტყვისაგან. ამ უკანასკნელ ფორმაში სემანტიკური გადაწევა აშკარად  
თვალსაჩინოა.

**კერძ** (ბზ., ქს.) „მეგობარი, მოკეთე, მოყვარე, ნათესავი“ < ძვ. ქართ. კერძ-  
ი (< ოს. **kærd** „ნაჭერი, ნაკვეთი“, „ნახევარი, მხარე“) „წილი, ულუფა“, „რაიმე  
საჭმელი (მომზადებული)“, კერძო „ცალკეული პირის კუთვნილი, ისეთი, რაც  
არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას, – პირადი“ ფორმისაგან ფონე-  
ტიკურად უცვლელი სახით, თუმცა სემანტიკური არაიდენტურობა თვალ-  
ნათლივ ჩანს (შდრ. ბზ. **ლიპქალ**, ბქ. **ლიაქალ**).

ქართულ **კერძო**-ს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „მხარე, ნახევარი“, თან-  
დებული „-კენ“, „წილი, ნაწილი, ხვედრი“ და ა. შ. მ. ანდრონიკაშვილის ვარა-  
უდით, ქართული სიტყვისათვის კ ე რ ძ ო ამოსავალია ცნება „ჭრისა, კვეთი-  
სა“, რომელიც წარმოდგენილია ოსურ ზმნაში: **kærdyn: karst/kærdun: karst** „ჭრა,  
კვეთა, ხევა, კუწვა“ და სხვა, თუმცა თვით ოსურში ირ. \***karti**-ს შეეძლო მოეცა  
ფორმა **kærc** (იქვე: 92-93). სემანტიკური გადაწევა, როგორც სვანურმა საანალი-  
ზო მასალამაც აჩვენა, აშკარად სახეზეა.

სვანური ენის კილო-კილოკავებში, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა,  
**კერძ**- ძირისაგან ნაწარმოები მასდარული და მიმღეობური ფორმებიც გვხვდე-  
ბა: ლი-**კერძ** (ლშხ.)/ლი-**კერძ**-ე (ლნტ.) „დანათესავება, დამოყვრება (ზედმიწ. –  
\***კერძ**-ო-ობ-ა)“; ლი-**კერძ**-წლ (ბზ.)/ლი-**კერძ**-წლ/ლი-**კერძ**-წლ (ლშხ.)/ლი-**კერძ**-  
წლ (ლნტ.) „დანათესავება, დამოყვრება“ *ხლმ.* (შდრ. ბზ. **ლიპქალ**); ლგ-**კერძ**-ე  
(ბზ.)/ლგ-**კერძ**-ე (ქს.) „დანათესავებული, დამოყვრებული; დაძმობილებული  
(ზედმიწ. – \***ჩა-კერძ**-ებ-ულ-ი)“ < ქართ. [სა]-კერძო; ლგ-**კერძ**-გლ-ი (ლშხ.) „და-  
სანათესავებელი; დასაძმობილებელი“ *ხლმ.* < ძვ. ქართ. [სა]-კერძო (შდრ. ბზ.  
**ნწი**; ქს. **ნაღალ**) და სხვ.

სვანურში დასტურდება ასევე აბსტრაქტულობის გამომხატველი ფორმა  
**კერძობ** (ქს.) „დანათესავება, დამოყვრება (ზედმიწ. – \***კერძო**-ობ-ა)“ < ქართ.  
კერძო (< ოს. **kærd**) „ცალკეული პირის კუთვნილი, ისეთი, რაც არ ეკუთვნის  
სახელმწიფოს ან საზოგადოებას, – პირადი“ სიტყვისაგან აუსლაულტის გამარ-  
ტივებით. ჩვენ მიერ აღდგენილი ვარსკვლავიანი ფორმა – **კერძობა** შესაძლოა  
დასტურდებოდა ძველ ქართულში, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ სხვა აბ-  
სტრაქტულ სახელთა ანალოგიით გაჩენილიყო სვანურში (შდრ. ბზ. **ლიპქალ**,  
ბქ. **ლიაქალ**).

**შენიშვნა:** ზემოთხსენებულ დიალექტებში გვხვდება აგრეთვე ქართულის  
გზით დამკვიდრებული **კერძ**- (დეზაფრიკატიზაციით მიღებული **კერზ**-) ძირი-  
საგან ნაწარმოები მასდარული და მიმღეობური ფორმებიც: ლი-**კერზ**-წ-ი  
(ბზ.)/ლი-**კერზ**-ე (ბქ.) < ქართ. კერძ-ვ-ა, მი-კერძ-ო-ებ-ა „უსამართლოდ უპირა-  
ტესობის მინიჭება, მხარის დაჭერა ვინმესთვის, – მიდგომა“; მგ-**კერზ**-წ-ი

(ბზ.)/მგ-კერზ-ე (ბქ.) < ქართ. მი-მ-კერძ-ო-ებ-ელ-ი „უსამართლოდ უპირატესობის მიმნიჭებელი, მხარის დამჭერი ვინმესთვის“; ლე-კერზან-ი (ბზ.)/ლე-კერზ-ე (ბქ.) < ქართ. მი-სა-კერძ-ო-ებ-ელ-ი „უსამართლოდ უპირატესობა მისანიჭებელი“...

**კეც** (ზს., ქს.) „ქვევრი“ < ძვ. ქართ. კეც-ი (< ოს. **kæxc/kæxcæ** „დიდი ჯამი, გობი“) „თიხა, თიხის ჭურჭელი გამომწვარი, კრამიტი“ ლექსიკური ერთეული-საგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

**მეხ** (ზს., ქს.)/**მგხ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. მეხ-ი (< ოს. **mey**, შდრ. ასევე ოს. **miğ/meğ** – **ğ** > **x** სიტყვის ბოლოს) „ატმოსფერული ელექტრობის განმუხტვა დედამიწაზე“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახითა და ძირეული ხმოვნის რედუქციით*.

სვანურში საანალიზო ძირისაგან ნაწარმოები მასდარული და მიმლეობური ფორმებიც გვხვდება, მაგ.: ლი-მხ-ე (ბქ.) „გაავდრება (ზედმიწ. – \*გა-მეხ-ებ-ა)“ < ქართ. მეხ-ი „ატმოსფერული ელექტრობის განმუხტვა დედამიწაზე“ და მგ-მხ-ე (ბქ.) „ავდრის გამომწვევი პიროვნება (საფასურად გასამრჯელოს იღებდა)“... შეფარდება სემანტიკურ დონეზე მ ე ხ ი ~ გ ა ა ვ დ რ ე ბ ა, ჩვენი აზრით, კანონზომერია.

**ნეზუტ** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ნეზ** (ლნტ.) „დედალი ღორი“, გადატ. „უნამუსო“ < ქართ. ნეზვი-ი (< ოს. **siɟɨn**) „დედალი ცხვარი, თხა, ღორი“ ფორმისაგან ძირითადად *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, თუმცა ლენტეხურ დიალექტში აუსლაუტში თანხმოვანმოკვეცილი **ნეზ** ფორმა გამოიყენება (შდრ. ზს., ქს. **ყ[ჭ]ერ**). იგივე სიტყვა ლენტეხურში ორცნებიანი კომპოზიტის (**ნეზ-ტახ** „ღორების გამრავლებისთვის განკუთვნილი დღეობა“) ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტადაც დასტურდება და იქაც აუსლაუტისეული თანხმოვანი აქვს დაკარგული.

სანალიზო ძირ-ფუძეებთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისი არსებობს. ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, **ნეზვი** მეგრულსა და სვანურში შეთვისებულია ქართულიდან (თოფურია 1938: 89). გარკვეულია ისიც, რომ **ნეზვი** ფუძეს საერთოდ დედალი საქონლის გამოხატვა უნდა ჰქონოდა დაკისრებული (ჯავახიშვილი 1937: 181, 193-194) და **ზვი-ზუვი** ძირი და მისგან ნაწარმოები ფუძეები სამსავე ქართველურ ენაში გვხვდება (ქერქაძე 1974: 23). **ნეზვი** ფუძეში **ნე-** მიჩნეულია ნივთის კატეგორიის ნიშნად (ჩიქობავა 1938: 25). მზ. შანიძის აზრით კი, ძვ. ქართულის **ნეზვი**- წარმომდგარია **მეზუ**-საგან ისევე, როგორც **ნეფე** – **მეფე**-საგან ან **ნეტაფრასი** – **მეტაფრასი**-საგან (შანიძე 1967: 309).

ამასთანავე არის ცდა ამ საერთოქართველურ **ზვი-ზუვი** ძირის დაკავშირებისა ოსურში შობის აღმნიშვნელ **zajyn/izajun** ფუძესთან (ანდრონიკაშვილი 1966: 88; აბაევი 1949: 23).

**მეჯრა** (ზს.)/**მუჯურა** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**მიჯურა** (ბზ.)/**მუჯრა** (ლნტ.) < ქართ. (რაჭ.) მუჯირა „რკინის წვერიანი ჯოხი“, შდრ. ასევე ლეჩხ. მუჯერო/მუჯურო და კახ. მუჯა (< ოს. **myzyra** „შუბი, ხიშტი“, – ახვლედიანი 1960: 138;

მიძიგური 1956: 236; ანდრონიკაშვილი 1966: 61, 67, 70, 71, 72, 100) ფორმებისაგან ძირითადად *რედუქციის სხვადასხვა პროცესების* გავლით.

**ნართ** (ზს., ლნტ.)/**ნართ** (ლშხ., ჩოლ.) *გადატ.* „გმირი; გოლიათი“ < ქართ. ნართ-{ებ}-ი (< ოს. **nartæ**) „ოსებისა და კავკასიის ხალხების ეპიკურ თქმულე-ბათა გმირები“ ფორმისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე *პალატალური უმლაუტის* განხორციელებით.

**შენიშვნა:** სვანურში ქართულის გზით დამკვიდრებული საანალიზო ლექსიკური ერთეული ძირითადად მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება, მაგ. **ნართარ** (ზს.)/**ნართალ** (ბზ., ლნტ.)/**ნართალ** (ლშხ., ჩოლო.) *გადატ.* „გმირები; გოლიათები“ < ქართ. ნართ-ებ-ი. გარდა ამისა, ჩოლურულ მეტყველებაში *შორეული ნათესავის* მნიშვნელობით **ნართიშნართ** ფორმაც დასტურდება, რომელიც < ქართ. (გურ.) ნართ-ის-ნართ-ი (< ოს. **nartæ** „ოსებისა და კავკასიის ხალხების ეპიკურ თქმულებათა გმირები“) „ვიღაც შორეული“ სიტყვისაგან ინლუტში ბრუნვის ნიშნის შენაცვლებით.

**რანგ** (ზს., ლნტ.)/**რანგ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (რაჭ.) რანგ-ი „თაფლის ღვიწო“, ზან. (მეგრ.) რანგ-ი (< ოს. **rong**) „თაფლისაგან დამზადებული სასმელი; თაფლუჭი“ ფორმისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე *პალატალური უმლაუტის* საშუალებით.

გ. კლიმოვის თვალსაზრისით (კლიმოვი, ხალილოვი 2003: 183), ქართულ-მეგრულში „გამაბრუებელი სასმელის“ აღსანიშნავი სიტყვა სვანურიდან უნდა იყოს შესული, რომლის საფუძველია ოსური **rong** „სათრობი სასმელი“. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ **რანგ**-ი უნდა განვიხილოთ იმ მცირერიცხოვანი მასალის (**მაჩვიბი**, **კუბდარი**, **კიშდვარი**,...) გვერდით, რომელიც ქართულ ენაში სვანურიდან შემოვიდა (იხ. მ. საღლიანი, „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“, თბილისი, 2016: 300). ამ სიტყვის ომონიმი ქართულში აღნიშნავს თანრიგს, წოდებას, ხარისხს (მაგ. „პირველი რანგის კაპიტანი“) და ფრანგული ენიდან ნასესხებად ითვლება (ქეგლი).

**შენიშვნა:** სვანური ენის დიალექტებში სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული **რანგ**- ძირისაგან ნაწარმოები მიმდებარე ფორმა ლგ-**რანგ** (ზს., ლნტ.)/ლგ-**რანგ** (ლშხ., ჩოლ.) დასტურდება, რომელიც < ქართ. (რაჭ.), ზან. (მეგრ.) რანგ-იან-ი „თაფლისგან დამზადებული სასმლის შემცველი“ სიტყვისაგან. გარდა ამისა, **რანგ**- ძირი მატოპონიმებლადაც ქვეულა ბალსქვემოურ დიალექტში, მაგ. ლგ-**რანგ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – \*სა-**რანგ**-ე)“.

**სოსლან** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. სოსლან-ი (< ოს. **Сослан** < თურქ. **suslan** „მრისხანე სახის ქონა“ < სიტყვიდან **susle** „მრისხანე“, „შუბლშეკრული“ – ვ. აბაევი) „ნართების ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი, ნართების უმცროსი თაობის წარმომადგენელი, უსახელო მწყემსისა და სათანას ვაჟი“ ანთროპონიმისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახით*.

**შენიშვნა:** სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, გმირის სახელის მეორე ვარიანტი „სოზირიყო“ (ოს. **Созырыхъо**) ეპოსის დიგორულ ვარიანტებში საერთოდ არ გვხვდება. იგი „სოსლანის“ ადიღური ადაპტაციის შედეგი უნდა იყოს და გვიან ჩანს ოსურში შესული. სოსლანის პერსონაჟს იცნობს ნართული ეპოსის სხვა კავკასიური ვერსიებიც (ანთელავა 2017: 643-644).

**სუტუტ** (ბზ., ლნტ.)/**სუტეა/სრმა/სრუტ** (ბზ.)/**სუტ** (ზს.)/**სოტ/სოი** (ბქ., ლშხ.) „ბარაქა, დოვლათი...“ < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) „ბედი, იღბალი, ბედისწერა“ ლექსიკური ერთეულისაგან სვანური ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (*უმლაუტის, მეტათეზისის, იოტიზაციის...*) განხორციელებით. სემანტიკური გადაწევა ქართულ-სვანურ ფორმებს შორის მინიმალურია.

ქართული **სვე**, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, შემოსული ჩანს ოსურიდან (ანდრონიკაშვილი 1966: 08-109), სვანურში ქართულის გზით შეთვისებული ოსური ფორმა კი დიალექტების მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტებს გვიჩვენებს.

ქართულის გზით დამკვიდრებული **სვე** საგან ნაწარმოებია, სვანურში აგრეთვე, ქონების აღმნიშვნელი სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ლგ-**სუტუტ** (ზს., ლნტ.)/ლგ-**სუტ** (ლხმ.)/ლგ-**სოტ** (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვავრიელი, დოვლათიანი“ ფორმა < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) და ქონებისვე აღმნიშვნელი **ს[ტუ]ტუტან** (ზს., ლნტ.)/**სუტეან/სრმაან** (ბზ.)/**სუტეან** (ზს.)/**სოტეან** (ბქ.)/**სოტეან/სოიან** (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვავრიელი, დოვლათიანი; იღბლიანი“ ფუძე ქართულივე სუფიქსით (შდრ. ქართ. სვ-იან-ი „კარგი სვის, ბედის მქონე, – ბედნიერი, ბედიანი“ < ოს. **fesgun** „სვიანი, ბედნიერი“) არაერთი ფონეტიკური პროცესის (*უმლაუტის, ბგერათა დასუსტების, მეტათეზის...*) გავლით. იგი გვხვდება ასევე ორცნებიანი კომპოზიტის პირველ შემადგენელ კომპონენტად შემდეგ შესიტყვებებში, მაგ.: **სოიბარაქ** (ლშხ.) < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი, ბედისწერა“) და ბარაქა (< არაბ. **baraq**) „ხვავი, დოვლათი“ და **სუტე-გამარჯუტ** (ჩოლ.) < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) „ბედი, ბედისწერა“ და გამარჯვება „ბრძოლის მოგება; მოწინააღმდეგის დამარცხება, ძლევა; წარმატება...“

**ფარსაგ** (ბზ.)/**ფარსაგ** (ბქ.)/**ფარცაგ** (ლშხ., ჩოლ.)/**ფარცაგ** (ლნტ.)/**ფაცაგ** (ჩოლ.) „ფარსაგი, კარგი“ < ქართ. (თუშ., ფშ., კახ.) ფარსაგ-ი (< ოს. **færssag** „საშუალი, გვერდითი, სხვა“) „რიგიანი, ხეირიანი, გამოსადეგი; კარგი, კეთილი“, „საშუალ კეთილისა და ავისა“ (საბა) ლექსიკური ერთეულისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახითა და სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, ბგერის დაკარგვისა და აფრიკატიზაციის*) გავლით (შდრ. ბქ. **სარგბიშ**).

სულხან-საბა ორბელიანი (1993: 184) ასე განმარტავს ამ სიტყვას: „საშუალ კეთილისა და ავისა“. თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს ოსურშიც („საშუალო წოდების ადამიანთა სახელწოდება“), საიდანაც ისესხა ქართულმა (აბავეცი 1958: 453; ანდრონიკაშვილი 1966: 111-112).

აღნიშნული ლექსემის მნიშვნელობები განსხვავებულია ქართული ენის აღმოსავლურსა და დასავლურ დიალექტებში (შდრ. თუშ., ფშ., კახ., იმერ.,

გურ., ფარსაგ-ი, გურ. ფარცაკ-ი – „საკვირველი, მოულოდნელი, უმაგალი-  
თო“). ჩვეულებრივ, სვანური ენის მონაცემებში უფრო ასახულია ხოლმე და-  
სავლური ქართულის ვითარება როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური  
თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაში პირიქითაა საქმე.

**ფარსაგ-** ძირი, როგორც სვანური დიალექტოლოგიური მასალის ანა-  
ლიზმა აჩვენა, აწარმოებს ძირითადად მიმდებარე ფორმებს და ამ მიმდებარე  
ფორმებს დიალექტების მიხედვით მეტნაკლებად განსხვავებული სემანტიკუ-  
რი დატვირთვა გააჩნიათ. მაგ.:

**საფერცაგ** (ლშხ.) „ფარსაგი, კარგი (ზედმიწ. – \*სა-ფარსაგ-ო)“ < ქართ.  
(თუშ., ფშ., კახ.) ფარსაგ-ი (< ოს. *færssag* „საშუალი, გვერდითი, სხვა“)ისაგან  
**სა-** პრეფიქსის დართვითა და ხმოვანთა რედუქციით, შდრ. ბქ. **სწრგბიშ**.

**ლე-ფერსაგ** (უშგ.) < ძვ. ქართ. სა-ფარსაგ-ო (< ფარსაგ-ი < ოს. *færssag* „სა-  
შუალი, გვერდითი, სხვა“) „გამოსაყენებელი, სარგებლობის მომტანი, – ვარგი-  
სი“ სიტყვისაგან სვანური **ლე-** პრეფიქსითა და ხმოვანთა რედუქციით. სემან-  
ტიკური იდენტურობა სვანურ-ქართულ ფორმებს შორის აშკარად თვალსაჩი-  
ნოა, რასაც ვერ ვიტყვით ბალსქვემოური მიმდებარე **ლე-ფერსაგ-ი** „გასახა-  
რებელი (ზედმიწ. – \*სა-ფარსაგ-ო)“ და მასდარული **ლი-ფერსაგ-ი** „გახარება  
(ზედმიწ. – \*გა-ფარსაგ-ებ-ა)“ ფორმებზე, რომელთაც უარყოფითი სემანტიკა  
გააჩნიათ და ისინი ძირითადად გამოიყენება წყევლის ფორმულებში გამოიყე-  
ნება (მაგ.: **ქა დემ აჯფერსაგის ხოშა ღერმეთ** „არ გაგახაროს ღმერთმა (ზედმიწ. –  
არ გა-გა-ფარსაგ-ებ-ს დიდი ღმერთ-ი!)“; **ქა ნომოდუ ოლფერსაგები** „შენ არ გა-  
იხარე (ზედმიწ. – ნუ-მცა გა-ფარსაგ-ებ-ულ-ხარ!)“ და სხვ.).

**ფას** (ზს., ლნტ.)/**ფას** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ფას-ი (< ძვ. ალან.  
\**faes(fas)* „ცხვარი“) „ფულადი ღირებულება საქონლისა“, „გასამრჯელო“, „ღი-  
რებულება“, „ძვირფასი, საუკეთესო“ ლექსიკური ერთეულისაგან როგორც  
*ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე *პალატალური უმლაუტის მეშვეობით*.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, **ფას-** ძირი მნიშვნელობათა  
ფართო სპექტრით გამოირჩევა, იგი აწარმოებს უპირველეს ყოვლისა მასდა-  
რულ (მაგ.: **ლი-ფს-ენ-ი** (ზს., ლნტ.) „შეფასება; დაფასება; ფასისდადება“; **ლი-  
ფს-ე** (ბქ.) „დიდი ამბის ატება“...) და სხვადასხვა გვარის მიმდებარე (მაგ.: **ლე-  
ფს-ენ-ი** (ზს., ლნტ.) „შესაფასებელი; დასაფასებელი; ფასდასადები“; **ლე-ფს-ე**  
(ბქ.) „მოსაყოლებელი“; **ლე-ფს-ენ-ე** (ზს., ლნტ.) „ძვირად ღირებული, ფასიანი,  
შეფასებული; დაფასებული; ფასდადება“...) ფორმებს. მასზეა ასევე დამყა-  
რებული მთელი რიგი ფორმებისა, რომლებიც გაფორმებულია სვანური მო-  
რფოლოგიური ელემენტებით, მაგ.: **ნა-ფას** (ზს., ლნტ.)/**ნა-ფას** (ლშხ., ჩოლ.)  
„ფასი, საფასური (ზედმიწ. – [და]-**ნა-ფას-ი**)“<sup>1</sup>; **ლე-ფას** (ზს., ლნტ.)/**ლე-ფას**  
(ლშხ.) „ძვირად ღირებული, ფასიანი, შეფასებული; დაფასებული“; **ფას-ობ**  
(ბქ.) „[გა]მოსავლიანობა (ზედმიწ. – \***ფას-ობ-ა**)“; **ფას-ურ** (ზს.) < ქართ. უ-ფას-ო  
(შდრ. ზს. **მეუარ**); **ფას-ი** (ზს.)/**ფას-ი**<sup>2</sup> (ლნტ.) „ფასზე“ და ა. შ. **ფას-** ძირი შესი-

<sup>1</sup> შდრ. ზს. **ნალგუნ**.

<sup>2</sup> ეს ფორმა ასიმილაციითაა მიღებული (**სე > შე**) ლენტეხურ დიალექტში.

ტყვეების (მაგ. ლშხ. **ჩალი ფას** „იაფი, არამვირი“ < ქართ. ჩალის ფას-ი) ერთ-ერთ კომპონენტადაც დასტურდება სვანურში ფონეტიკურად უცვლელი სახით.

**ფინთ** (ზს., ქს.) < ქართ. (გურ., ქართლ., ქიზ.) ფინთ-ი (< ოს. **fyd** „ავი, ცუდი“) „ცუდი, უვარგისი“ ფორმისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახით*.

**შენიშვნა:** ზემოსვანურ დიალექტებში **ფინთ**- ძირის შემცველი წინავითარების ნწ-**ფინთ**-ურ-ა „უვარგისი (ზედმიწ. – \*ნა-**ფინთ**-არ-ი)“ ფორმაც დასტურდება, რომელიც სვანური პრეფიქს-სუფიქსითაა გაფორმებული (შდრ.: ნწ-**{მ}-კეც-ურ-ა** „სულელი, ნამხეცარი“, ნწ-**პილწ-ურ-ა** „მხეცი, ნადირი, ბილწი, ნაბილწარი“, ნა-**ჭაგ-ურ-ა** „ცუდი ყოფაქცევის, ჩერჩეტი ქალი, ნამრუშალი“, ნა-**მ-ყაჭ-ურ-ა** „ნაზვავარი“...).

**ქაშაგ** (ზს.)/**ქაშაგ** (ლშხ., ჩოლ.) „ჩერქეზი, ყაზარდოელი“ < ქართ. ქაშაგ-ი (< ოს. **kašæg**) „ჩერქეზი, ყაზარდოელი“ სიტყვისაგან *უმლაუტითა და ფონეტიკურად უცვლელი სახით*, შდრ. სულხან-საბას „ქართულ ლექსიკონში“ დაფიქსირებული ქაშაგ-ი „მოზრდილი ტყვე“, რომელთან დაკავშირებითაც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, აღნიშნული ლექსემა მოდის სიტყვიდან **kašæg** „ყაზარდოელი“, ძველი სახელწოდება ადიღური ტომებისა, რომელიც დაცულია რუსულ, ბიზანტიურ, არაბულ და ქართულ წყაროებში (1966: 118). ავტორს შესაძარებლად მოჰყავს სვან. **kašæg** „ჩრდილო კავკასიის ვაკე“ (იქვე). მისივე აზრით, ქართ. ქ ა შ ა გ ი ტყვის სახელად იმიტომ იქცა, რომ მთელ აღმოსავლეთში კავკასიიდან წამოყვანილი ტყვეები ქაშაგების ან ჩერქეზების სახელით იყვნენ ცნობილი და ქაშაგი „ადიდე, ყაზარდოელი“ იქცა ტყვის აღმნიშვნელ საერთო სახელად (იქვე). ქაშაგ ეთნონიმის შედგენილობის თაობაზე ასევე ვარაუდი აქვს გამოთქმული ევ. ოსიძეს, რომელიც ფიქრობს, რომ ქართულში, სვანურსა და ოსურში დადასტურებული ეს ეთნიკური ტერმინი ამოსავლად ოსურ ფორმას ვარაუდობს. მისივე აზრით, **ქასაგ/ქაშაგ** ფუძეში შესაძლებელია გამოიყოს **-აგ** სუფიქსი, რომელიც ოსურში მეტად პროდუქტიულია და მიმღეობების, წარმომავლობისა და ეთნიკური სახელების მაწარმოებლად გვევლინება, თუმცა თავად ოსურ **ქაშაგ** ფუძეში ამჟამად ეს **-აგ** არ გამოიყოფა. როგორც ჩანს, ფუძესთანაა შეხორცებული (ოსიძე 2000: 46). სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ქართული **ქაშ-აგ**- ფუძის შემთხვევითი მსგავსება სვანურ **ქაშაგ** „ჩერქეზი“ ეთნონიმთან შეიძლება არასწორი მსჯელობის საფუძველი გახდეს, ვინაიდან ქართულ **ქაშ-აგ**-ი ფორმაში ძირად **ქაშ-** გამოიყოფა (**-აგ** კი სუფიქსად მოიაზრება მსგავსად **ჩაბწ-აგ**- ფორმისა), რომელსაც სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესატყვისი ალომორფები არ ეძებნება (2017: 398).

**შენიშვნა:** მე-**ქაშაგ** (ზს., ლნტ.) და მე-**ქაშაგ** (ლშხ., ჩოლ.) „ჩერქეზი, ყაზარდოელი (ზედმიწ. – \*მო-**ქაშაგ**-ე)“ ნაწარმოებია **ქაშაგ**- ძირისაგან წარმომავლობა-სადაურობის მაწარმოებელი **მე-** ფორმანტის დართვით.

**ქერცლ** (ლშხ.) < ქართ. ქერცლ-ი (< ოს. **kærc**) „რქოვანი ან ძვლოვანი წარმოშობის პატარ-პატარა ფირფიტები თევზების, ქვეწარმავალთა სხეულზე, ზოგი ფრინველის ფეხებზე და ზოგი ძუძუმწოვრის კულზე, – ქიცვი“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, შდრ. ბზ. **ქანც**, ლშხ. **ქაც** „ქერტილი“ < ქართ. ქეც-ი 1. „კანის ერთგვარი ავადმყოფობა; ქავილი იცის, თმა-ბალანს აყრევენებს და კანს შაშრავს“, 2. „იგივეა, რაც ქერცლი“ ლექსიკური ერთეულისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ასევე *პალატალური უმლაუტის* საშუალებით (შდრ. ბქ. **ქანჩ**)

3. ფენრიხი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგენს \***ქერც**-არქეტიპს (მაგ. ქართ. ქერც-ლ-ი და მეგრ. ქირც-ა – Fähnrich 1998), ხოლო გ. კლიმოვი სვანურ **ქერცლ**’ს ქართული ქერტლ’ისაგან მომდინარედ მიიჩნევს (Климов 1998: 215). როგორც ჩანს, მან ქართული „ქერცლი“ არ იცის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართული ქერც-ლ-ი (ქეც-ი, ქეც-ედ-ი), ქეცი „თევზის ქიცვი“ (საბა) სპეციალურ ლიტერატურაში დაკავშირებულია ოსურ **kærc/kærae** „ქურქი“, **kærcxor/kærcxwar** „ქურქის მასალა“ ლექსემებთან (ანდრონიკაშვილი 1966: 118), ხოლო ვ. აბაევი მას უკავშირებს ქართ. (კუთხ.) ქეჩო’ს „ქურქი“ (აბაევი 1958: 588), რაც მ. ანდრონიკაშვილის აზრით, უფრო გვიანდელი ნასესხები ჩანს (იქვე: 118).

**შაჭრახ** (ბქ.)/**შაჭრახ** (ჩოლ., უშგ.) 1. ბქ. „მეტისმეტად შავი, შავტუხა“, 2. ჩოლ. „მაღალი, უხეში და უსირცხვილო ქალი“ < ქართ. (თუშ.) შავ-რათ-ი „შავი ცხენი“, შდრ. (ფშ., თუშ.) შავრა „შავი ცხენი“, (აჭარ.) შავ-რახტა-მ „მეტად შავი, შავტუხა“, (ფშ.) შავ-რეშხ-ი „შავი ფერის ცხენი“ ფორმებისაგან.

საანალიზო ლექსიკური ერთეულის პირველი შემადგენელი კომპონენტი, როგორც ვხედავთ, გახლავთ ქართულის გზით შეთვისებული ლექსემა **შავი** „ყორნის ფერი“ (საბა). ვ. აბაევის აზრით, ქართ. **შავ-ი** მომდინარეობს ოსური სიტყვიდან **saw** „შავი“ და შესადარებლად მოჰყავს სპარსული **syah**, რომელსაც ფონეტიკურად არ შეეძლო მოეცა ქართული შავი (1956: 438). ძალიან ხშირად ძველ ნასესხობებში ოსურიდან, როგორც მ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს, სისინას ნაცვლად შიშინები გვაქვს, რაც თვით ოსურის დიალექტური მონაცემი უნდა იყოს (იქვე: 119).

**ცალ** (ზს., ლნტ.)/**ცალ** (ლშხ., ჩოლ.) 1. „ტოლი, ხელა; კბილა, ერთი ასაკისა“, 2. „ერთი, ერთეული, ცალი“, 3. ქს. „ცალ მხარეს, განზე“ < ქართ. ცალ-ი (ოს. **cal** „რამდენი, რაოდენი, ერთეული“) 1. „ორისაგან, წყვილისაგან ერთი“, 2. „საპალნის ერთი მხარის ტვირთი, საპალნის ნახევარი“, 3. „ტოლი, სწორი, ბადალი...“ ლექსიკური ერთეულისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახითა* და *პალატალური უმლაუტის* მეშვეობით (შდრ. ზს., ლნტ. **ყუილ**, ზს., ქს. **ფა**, ბქ., ლშხ. **ყა**, ბზ., ლნტ. **კაკალ**).

მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, ქართ. **ცალ**- ლექსემას კავშირი უნდა ჰქონდეს ოსურ სიტყვასთან **cal** „რამდენი, რაოდენი“, ისინი ფონეტიკურ იდენტურობას ამჟღავნებენ, თანაც მათ დასაკავშირებლად არც სემანტიკური დაბრკოლება არ არსებობს (1966: 121). ივ. ჯავახიშვილის აზრით კი, ქართ.



**ცალ-** უკავშირდება, ერთი მხრივ, დაღესტნურ ენათა ჯგუფის სიტყვებს (**ცამ**, **ცაგ**, **წამ** = 1), ხოლო მეორე მხრივ აფხაზურ-ადიღურს (აფხაზ. **ძ-ალა** – 1937: 291, 297).

სვანური ენის კილო-კილოკავებში დასტურდება ქართულის გზით შეთვისებული **ცალ-** ძირისაგან ნაწარმოები კომპოზიტები (მაგ.: ბზ. **ცალმწგ**, ბქ. **ცალმწგ**, ლნტ. **ცალმწგ** „კარაპანი“ < ქართ. ცალ-მაგ-ი, (ლეჩხ.) ცალ-მაკ-ი „სახლზე მიდგმული შენობა“, შდრ. უშგ. **მაჩ**; ლშხ. **ცალამგეჭ** „მეგობარი (ზედმიწ. – **ცალ-**ი სამეტო)“, უშგ. **ცალმწგუ/ლწცალამგუა** „ტოლი/ტოლები (ზედმიწ. – **ცალ-**სამეტო/სა-**ცალ-**მეტო)“...) და მიმღეობური (მაგ.: მო-**ცალ** (ჩოლ.) „თანატოლი (ზედმიწ. – \*მო-**ცალ-**ე)“...) ფორმები. ამასთანავე იგი გვხვდება შემდეგ გამოთქმებში, მაგ.: ქს. **ცალთე ლიზი** „ცალ მხარეს, განზე წასვლა“ (მაგ., **ცალთე ადერ!** „განზე გადაქი (ზედმიწ. – **ცალ-**{ის}-კენ წადი!)“ და ა. შ.

**შენიშვნა:** ვინაიდან **ცალი** სიტყვისაგან ნაწარმოებად ითვლება ქართულში სიტყვა **ცალიერი** „ცარიელი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 121), ამიტომ, ვფიქრობთ, სვანურში ქართულის გზით შეთვისებული **ცარიელ** (ზს., ქს.)/**ცარიელ/ცარიელ** (ბზ.)/**ცარიელ/ცარიელამ** (ლშხ.)/**ცარიელ** (ლნტ.)/**ცარიელ/ცარიელ** (ჩოლ.) ფონეტიკური ვარიანტებიც ოს. **cal** სიტყვას დავუკავშიროთ. სესხებისას სვანურში კილო-კილოკავთა მიხედვით მათთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები (*უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე, ბგერათა დაკარგვა...*) უნდა განხორციელებულიყო (შდრ. ზს. **ჰარი**; ზს. **ღერყენე**; ბქ. **ყუბ**).

**ცოდ** (ზს., ქს.) < ქართ. ცოდ-ვ-ა (< ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „დანაშაული“ ლექსემისაგან *აუსლაუტისეული მარცვლის მოკვეცი* (შდრ. ზს., ქს. **ღეერი** „საწყალი“), ხოლო **ცუიდ** (ზს., ლნტ.)/**ცუედ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. ცუდი (< ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „ფუჭი, ამაო, ცარიელი, უვარგისი, უსაქმური“ ფორმისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლეელი* სახით, ისე *უ ხმოვნის უმლაუტით*.

**ცუედ**- ფუძის როგორც წარმომავლობის, ისე სემანტიკის შესახებ არაერთი ვარაუდია გამოთქმული საენათმეცნიერო ლიტერატურაში. იგი, როგორც ცნობილია, დადასტურებულია მეგრულ-ჭანურშიც, არსებითად ძველი სემანტიკით (არაბული 2001:159). სწორედ სემანტიკურ მხარეზე ამხვეილებს ყურადღებას არნ. ჩიქობავა, როდესაც ხაზს უსვამს **ცუედ**- სიტყვის ერთგვარ მნიშვნელობას ქართულსა და ზანურში (1938: 241). ეს დაკავშირება ასახულია აგრეთვე ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონში (2000: 401). კ. დანელიას აზრით კი, ჭან. **ცუედ**- და სვან. **ცუიდ**- ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული (1991: 612).

აღნიშნულ ძირთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ანდრონიკაშვილს, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია **ცუედ**- ფუძე, ერთი მხრივ, დაეკავშირებინა **ცოდ**- (ცოდვა), **ცო**- (ცთომა; ცთუნება) ფუძეებთან, ხოლო, მეორე მხრივ, გაეზიარებინა მისი ოსურიდან მომდინარეობა ვ. აბაევზე მითითებით: „... იგი უკავშირდება ოსურ სიტყვას **cawd(cud/cyd)** „ცუდი, მდარე“, რომელიც წარმოადგენს ლექსიკალიზებულ ნამყოს მიმღეობას ზმნიდან

*caewyn* „სვლა“, ე. ი. „წასული“. შდრ. რუს. "пошлый", ლათ. *itus* (აბაევი 1958: 293)... სიტყვები ც უ დ ი, ც ო დ ვ ა ძალიან ძველი ნასესხებია ალანურიდან, ისინი დადასტურებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში. ამავე დროს, მათ კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში არ მოეპოვებათ“ (ანდრონიკაშვილი 1966: 123), თუმცა განსხვავებული თვალსაზრისის მიხედვით საერთოქართველურისათვის აღდგენილია \**kad-/kd-* ფორმა სვანურ **ქდ-/ქად-**ის (ლიქნდ) მიხედვით – „ცთომა“ (კლიმოვი 1964: 195), ხოლო ა. არაბული სრულხმოვნიან არქეტიპად ვარაუდობს **ცუედ-** ძირს, რომელიც საკმაოდ მდიდარი რეფლექსებისა და შესატყვისების სახით ვლინდება ქართველურ ენებში (არაბული 2001: 160).

ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებად მიჩნეული ც ო დ ვ ა / ც უ დ ი<sup>სა-</sup>გან სვანურში იწარმოება *მასდარული* (მაგ.: ლი-**ცუედ-**ილ-ე (ზს.)/ლი-**ცუედ-**ილ-ე (ზზ.) < ქართ. შეცოდება; ლი-**ცუედ-**ილ-წლ (ზზ.)/ლი-**ცუედ-**ილ-წლ (ბქ.)/ლი-**ცუედ-**ილ-წლ (ლშხ.)/ლი-**ცუედ-**ლ-წლ (ლნტ.). „წვალება“ *ხლმ.* < ქართ. ცოდ-ვ-ილ-ობ-ა; ლი-**ცუედ-**ე/ლი-**ცუედ-**აჟ-ი (ზზ.)/ლი-**ცუედ-**ე (ბქ.), შდრ. ლშხ. ლი-**ცდ-**აჟ-ი 1. „გაფუჭება“, 2. „დამარცხება, დაშავება“ < ქართ. გა-ცუდ-ებ-ა...) და *მიმდებოური* (მაგ.: ლე-**ცუედ-**ილ-ე (ზს.) < ქართ. შე-სა-ცოდ-ებ-ელ-ი; ლუ-**ცუდილ-**ე (ლნტ.) < ქართ. გა-სა-ცოდ-ავ-ებ-ულ-ი; ნა-**ცოდ-**არ (ბქ.)/ნა-**ცოდ-**ლ-აჟ-წლ (ლნტ.) „ნაწვალები“ < ქართ. ნა-ცოდ-ვ-ილ-არ-ი < ქართ. ცოდ-ვ-ა) ფორმები, ამასთანავე, გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიტის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტადაც (მაგ.: **ცოდ-**კალ[ტ]ენ (ზზ.)/**ცოდ-**შკალან (ბქ.)/**ცოდ-**კალონ (ლშხ.)/**ცოდიკალენ** (ლნტ.)/**ცოდა-**კალენ (ჩოლ.)/**ცოდ-**კალან (ბქ.). „შესაბრალებელი; ცოდვა-ბრალი; საცოდა ვი! აფსუს!“ < ქართ. ცოდ-ვ-ის კანონ-ი; **ცოდ ი მადილ** (ლშხ.) < ქართ. ცოდვა-მადლ-ი...) და უამრავი ზმნური ფორმის შემადგენლობაში (მაგ.: ა-**ცუედ-**ე/ა-**ცუედ-**აჟ-ი (ზზ.)/ა-**ცუედ-**ე (ბქ.)/ა-**ცდ-**აჟ-ი (ლშხ.) 1. „აფუჭებს, უსარგებლოს ხდის“, 2. „ამარცხებს, აშავებს“ < ქართ. ა-ცუდ-ებ-ს; ხ-ე-**ცუედ-**ი (ზს.)/ხ-ე-**ცდ-**აჟ-ი (ლშხ.) „უფუჭდება“ < ქართ. \*ე-ცუდ-ებ-ა; ხ-ე-**ცუედ-**ილ-წლ (ზზ.)/ხ-ე-**ცუედ-**ილ-წლ (ბქ.)/ხ-ე-**ცუედ-**ილ-წლ (ლშხ.) „ეწვალება“ *ხლმ.* < ქართ. ე-ცოდ-ვ-ილ-ებ-ა (ე. ი. ცოდვილობს...) და სხვ.

ქართულის გზით დამკვიდრებულ **ცოდ-/ცუედ-** ძირზეა აგრეთვე დამყარებული შემდეგი ფორმები: სნ-**ცუედ-**ილ (ბქ.)/სა-**ცუედ-**ილ (უშგ.) < ქართ. სა-ცოდ-ავ-ი (შდრ. უშგ. მე-**ცუედ-**არ-ი); **ცოდ-**არ (ზზ.) „საცოდავი“; **ცოდ-**ობ (ზს., ლნტ.) < ქართ. ცოდ-ვ-ა (ზედმიწ. – \***ცოდ-**ობ-ა); **ცოდ-**ურ (ზს.) „უცოდველი“; **ცოდ-**ულ (ზზ.) < ქართ. სა-ცოდ-ავ-ი (შდრ. ზს. **ლეური**); **ცოდ-**ულ-ობ (ლშხ.) „წვალება“ < ქართ. ცოდ-ვ-ილ-ობ-ა; **ცოდლიან/ცუედლიან/ცოდულიან** (ზს., ლნტ.)/**ცოდრიან** (ბქ.)/**ცოდლიან** (ლშხ.)/**ცუედლიან** (ჩოლ.) „ცოდვილი; შემცოდე (ზედმიწ. – \***ცოდ-ვ-**ილ-იან-ი)“ < ქართ. ცოდ-ვ-იან-ი... და ზმნისართული ფორმები: **ცოდარშუ** (ბქ.)/**ცოდარშუ** (ჩოლ.) „ვაითუ, საუბედუროდ (ზედმიწ. – \***ცოდ-ვ-**ებ-ით)“ < ქართ. ცოდ-ვ-ა; **ცუიდედ** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**ცუდედ** (ლშხ.) „ფუჭად, ტყუილად, უსაქმოდ, ამაოდ“ < ძვ. ქართ. ცუდ-ი „ფუჭი, ამაო, ცარიელი, უვარგისი, უსაქმური“ ფორმისაგან და მისთ. (შდრ. ზზ. **მიქუდილდ**, ბქ. **მოქუდილდ**; ბქ. **მეჟარიშ კაფდ**; ჩოლ. **ცუიდიანარო** „ტყუილუბრალოდ“).

**ცონარ** (ზს.) „უსუსური, სუსტი“ < ძვ. ქართ. მცონარა/ე (< ოს. **aencoj/aencojæ** „სიმშვიდე, დასვენება“) „ზარმაცი, უქმი, მუქთახორა“ ფორმი-საგან თავკიდურა და ბოლოკიდურა *ბგერათა დაკარგვითა და უმლაუტით*.

**ძეწაჭუ** (ზს., ქს.) < ქართ. ძეწკვი-ი < ზან. (მეგრ.-ლაზ.) ძეწკვი-ი (< ოს. **caeg** „რგოლი, რკალი, რკალისებური საგანი“) „წვრილი ჯაჭვი, წვრილი მძივების ასხმულა“ (საბა) სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

აღნიშნული სიტყვის ოსურიდან შესაძლო ნასესხობაზე მიუთითებს მ. ანდრონიკაშვილი თავის მონოგრაფიაში „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ (1966: 124). მისი აზრით, საანალიზო სიტყვაში უნდა გამოიყოს ძირი **წკ-** (< ცეკ), რომელიც დადასტურებულია ოსურში **caeg** ფორმით (შდრ. ოს. **qūscæg** „საყურე, ყურის რგოლი“, **caɣxad** < **caɣfad** „ნალი, ფეხის რგოლი“, **ǰǰaræg/aɣqarcæg** „რგოლები, რომლებსგანაც ჯავშანი/ჯაჭვის პერანგი კეთდება“, **caeggag** „წნელი, რომლისგანაც რგოლს აკეთებენ“ და სხვ.). ამ სიტყვას შესატყვისები ეძებნება კავკასიურსა და უნგრულ-ფინურ ენებში, მაგ.: ვეინახ. **č’ug** „რგოლი, საყურე“, ჩერქეზ. **č’ūk’** „крючок“, ბალყ. **čak** „კვანძი, კილო, რგოლი“, სვან. **caɣ** „подпятник мельницы“... ქართული ფორმის მიღება კი შემდეგნაირად წარმოუდგენია: სე-ცეკ-უ > სე-წკ-უ > წე-წკ-უ > **ძეწკუ** (იქვე).

ქართველოლოგიურ ლიტერატურაში (ნ. მარიდან მოყოლებული), როგორც ცნობილია, *ჯაჭვი* მიჩნეულია ქართული *ძეწკვის* ზანურ ფორმად. გ. კლიმოვს საერთოქართველური ფუძეენის დონეზე აღდგენილი აქვს **\*ძეწუ** არქეტიპი, ხოლო *ჯაჭვი* მეგრულიდან შეთვისებულად მიაჩნია. მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით კი, *ჯაჭვიც* და *ძეწკვიც* ქართულია, თუმცა ორივე მათგანი შეთვისებულია ირანულიდან ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს (იქვე: 125).

ცხადია, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები საინტერესოა, თუმცა, ვფიქრობთ, ნაკლებ დამაჯერებელია და უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

სვანური ენის კილო-კილოკავებში **ძეწკვ-** ძირისაგან ნაწარმოები სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ქონების აღმნიშვნელი ლგ-**ძეწკუ** (ზს., ქს.) ფორმაც დასტურდება (შდრ. ქართ., ზან. ძეწკვი-იან-ი „ძეწკვის მქონე“), რომელიც ასევე ქართულ-ზანური შესაბამისი ფორმის ანალოგიით ჩანს გაჩენილი.

**ხაჟის** (ზზ., ლზზ., ჩოლ.)/**ხაჟიზ** (ბქ.)/**ხაჟს** (უშგ.) < ქართ. ხავს-ი (< ოს. **xos/xwasæ** „თივა, წამალი“ – იქვე: 128) „ტანდაბალი უფესვო სპოროვანი მცენარე; იზრდება ტენიან ადგილებში, ხეებზე, ქვებზე და სხვ.“ სიტყვისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე სხვადასხვა *ფონეტიკურ პროცესთა* (ბგერის განვითარებისა და გამჟღერების) გავლით (შდრ. ზზ., ქს. **ფანთქჟის**, ბქ. **ფუნთქჟირ**, ზზ. **ფიმფო**).

სვანურში ქართულის გზით დამკვიდრებული **ხავს-** ძირისაგან ნაწარმოები მიმდებარის ფორმებიც გვხვდება სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული: ლგ-**ხაჟს-ე** (ზზ., ლზზ., ჩოლ.)/ლგ-**ხაჟიზ-ე** (ბქ.)/ლგ-**ხაჟს** (უშგ.) „დახავსებული/ხავსიანი“ (შდრ. ზზ. **ლგფანთქჟისე**, ბქ. **ლუფუნთქჟირ**).

**პირიკ** (ბქ.) < ქართ. (ლექს.) ხირაგა (< ოს. **хирæг** „ვირი“ – ახვლედიანი 1960: 200) „ვირის ხის უნარიგი, კეხი“ ფორმისაგან შემდეგი ფონეტიკური პროცესების (*აუსაუტისეული თანხმოვნის დაყრუების, აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცის, ხმოვანთმონაცვლეობისა და თანხმოვანთმონაცვლეობის*) შედეგად. იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგ., **წელიშ პირიკ ხაგ** „დიდ ჯაფაშია (ზედმიწ. – ვირის უნაგირი ა-დგ-ა-ს)“...

ამრიგად, როგორც წარმოდგენილმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, სვანური ენის კილო-კილოკავებში არაერთი ოსურ-ალანური ელემენტი გამოვლინდა, რომლებიც ქართულის გზით უნდა დამკვიდრებულიყო.

მასალას, რომელიც სვანურში ოსურ-ალანურიდან ჩანს შეთვისებული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განუცდია; ადგილი აქვს შემდეგ ფონეტიკურ პროცესებს: *უმლაუტს (პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ), ხმოვანთა სიგრძეს, რედუქციას, გამკვეთრებას, დაყრუებას, ბგერათა დაკარგვას, იოტიზაციას, აფრიკატიზაციას, ბგერათმონაცვლეობას და ა. შ.*, თუმცა პარალელურად ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით შეთვისებული ლექსიკური ერთეულებიც საკმაოდ ხელშესახებია.

### ლიტერატურა

- აბაევი 1949** – В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, т. I, М.-Л.  
**აბაევი 1956** – В. И. Абаев, О некоторых Осетинский элементах в грузинском, т. VI, М.  
**აბაევი 1958, 1973, 1979, 1989** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I-IV, М.-Л.  
**აბაევი 1963** – В. И. Абаев, К образу Сатаны нартовского эпоса // ИЮОНИИ, Вып. XII.  
**ანდრონიკაშვილი 1966** – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბილისი.  
**ანთელავა 2017** – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბილისი.  
**არაბული 2001** – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.  
**ახვლედიანი 1960** – Г. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тбилиси.  
**დანელია 1991** – ვ. დანელია, მეგრულ-ქანური ლექსიკის საკითხები. – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბილისი.  
**თოფურია 1938** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, თსუ შრ. VII, თბილისი.  
**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

**კლიმოვი 1998** – G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New-York.

**კლიმოვი, ხალილოვი 2003** – Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков (Сопоставление основной лексики), Москва.

**ორბელიანი 1993** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

**ოსიძე 2000** – ეკ. ოსიძე, ვარაუდი ქაშაგ ეთნონიმის შედგენილობის თაობაზე, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, თბილისი.

**ფენრიხი 1998** – H. Fähnrich, Kartwelischer Wortchatz, VI: Georgica, 21, Konstanz.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – დ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქერქაძე 1974** – რ. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.

**შანიძე 1967** – მზ. შანიძე, ნეზვის ეტიმოლოგიისათვის, ორიონი, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებით ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ძიმიგური 1956** – შ. ძიმიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1937** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი.

MEDEA SAGHLIANI

## **On the Adaptation of Lexical Units Borrowed from Ossetian-Alan Through the Georgian Language in Svan**

### **S u m m a r y**

The paper deals with the Ossetian-Alan elements revealed in the Svan dialects that should have been established through Georgian. As the research of large dialectological material has shown, the mentioned material underwent an extremely interesting and complex phonetic-phonological and semantic adaptation; The following types of phonetic processes took place: umlaut (palatal, velar or labial), vowel length (compensatory or combinatory), reduction (in light and heavy nucleus), sharpening, loss of sounds, iotation, affrication, sound alternation, etc. However, at the same time, phonetically-semantically unchanged lexical units are also quite apparent.

როსტომ ფარეულიძე

**-ვარ (> უორ)//-ვარ ფორმანტიანი ფიცლის  
ფორმულები ნახურ ენებში**

„შორისდებულების რიგებში დგას დღეს ზოგიერთი სიტყვა, რომლებიც ითქმის საფიცრად, მისალმების დროს, საალერსოდ და სხვა შემთხვევებში“ (შანიძე 1973: 625).

ნახურ ენათა საფიცარ სიტყვებში, ე. წ. ფიცლის ფორმებში, გამოიყოფა არსებით სახელთაგან ნაწარმოები შორისდებულები, რომლებიც გამოყენებულია სათქმელის ან ნათქვამის უტყუარობის დასტურად. ასეთ ფორმულებს, ჩვენი აზრით, მტკიცებითი, დადასტურებითი ფორმულებიც შეიძლება ეწოდოს.

შორისდებულები ნახურ ენებში სათანადოდ შესწავლილი არ არის, არ მოგვეპოვება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი. ფიცლის ფორმულები მსჯელობის მიღმა არის დარჩენილი.

ნახურ ენათა ცნობილი მკვლევარი მ. მიქელაძე წერს: წოვათუშურ ენაში „მამაკაცების ფიცლის ფორმულებში არის გაუგებარი სიტყვა **ფარ**, რომლის მნიშვნელობის დაზუსტება არც ახლო მონათესავე ჩეჩნურისა და ინგუშურის მასალებით ხერხდება. მაგ., **დალე<sup>ნ</sup> ფარ!** – ღვთის მადლმა!, ღმერთს ვფიცავ!; **ჟი კაკირ მადლე<sup>ნ</sup> ფარ!** – ცხვრის მატყლის მადლმა! ცხვრის მატყლის მადლს ვფიცავ!; **სე დად სი<sup>ნ</sup> ფარ!** – მამაჩემის სულის მადლმა! მამაჩემის სულს ვფიცავ!“ (მიქელაძე 2016: 26-27).

ფ. ოზდოევა ნაშრომში, რომელიც ეძღვნება დამხმარე მეტყველების ნაწილებს ნახურ ენებში, წოვათუშურ **დალემფარ** (შდრ. დალე<sup>ნ</sup> ფარ, მ. მიქელაძის ორთოგრაფიით) ფორმის შესატყვისად ჩეჩნურში მიიჩნევს **დეერა**, ინგუშურში **დარა** სიტყვებს, რომელთა სემანტიკა რუსულში გადმოცემულია შემდეგი ფორმებით: სწორედ, ღმერთმანი... მისი კვალიფიკაციით, **დერა**, **დარა** წარმოადგენენ ნაწილაკებს და მომდინარეობენ **დალა**, **დელა**, **დალ** „ღმერთი“ სიტყვისაგან ირიბ ბრუნვებში: **დეელა**, **დარა**-სთვის ამოსავალია **დეელარა//დალარა**, რომლებშიც ჩავარდნილია **-ლა**- მარცვალი. ფ. ოზდოევა ასკვნის: დამხმარე სიტყვებად ისინი იქცნენ ადგილობრივ ბრუნვებში გაქვავებული სახით. რაც შეეხება **დალემფარ**-ს, იგი არის რთული ნაწილაკი, შედგება **დალლე** (**დალ** სიტყვის ირიბ ბრუნვათა ფორმა) და არსებითი სახელისაგან **ფარ** „საბრძოლო, საომარი ფარი“ (боевой щит). ორივე კომპონენტმა დაკარგა თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობა, რაც გახდა მიზეზი ამ სიტყვათა გადასვლისა დამხმარეებში.

წოვათუშურის **ვარ** ფორმის როგორც ბგერითი, ისე ფუნქციური შესატყვისია ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ფორმანტი **-ვარ**, რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფიცილის სიტყვებში არის გამოვლენილი. საინტერესოა, რომ -ვარ ფორმანტს ქისტურშივე აქვს ფონეტიკური სახეობა **-ჟორ** (-ვარ > -ჟარ > -ჟორ). სწორედ **-ჟორ** სუფიქსი დასტურდება ფიცილის ფორმულებში ჩეჩნურსა და ინგუშურში. მაგალითები ჩეჩნური სალიტერატურო ენიდან:

**ლათთჟორ**, ბჟოჟ-ქლა, სოგაჰა დან-მ მა დაც [ახჩა] – მიწის მადლმა (//მიწას ვფიცავ), ბჟოჟ-ალი, მე არა მაქვს [ფული];

**დელჟორა** ვუ ას ჰო ჯუ აჟრთახ ვიფინა ჩეჟვოკჯურ – ღმერთს ვფიცავ, შენ თუ ამ სოფელში სალაპარაკო არ გაგხადო;

ასევე: **ჰხართჟორა** – საიქოს ვფიცავ;

**ყურანჟორ** – ყურანის მადლმა;

**(ი)ელჩანჟორა** – [ღვთის] მოციქულის მადლმა...

დასახელებულ სიტყვებს ზოგჯერ ბოლოკიდურ პოზიციაში **-ა** ხმოვანი (სავრცობი) ჩავარდნილი აქვს. მაგალითები ამოღებულია ა.-ხ. ხამიდოვის ნაწარმოებებიდან (ხამიდოვი 2020).

ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ამ ფორმანტების მრავალფეროვნება საგრძნობია, თუმცა გამორიცხული არ არის იგივე ვითარება სხვა დიალექტებშიც იყოს.

აქვე ვიტყვით, რომ მართებული არ არის ფ. ოზდოევას მოსაზრება, რომ საფიცარი სიტყვები ნაწილაკებია ჩეჩნურ-ინგუშურში, ისინი შორისდებულებს წარმოადგენენ, ხოლო **დალემვარ**-ში **-ვარ** არ არის არც სიტყვა და არც „საბრძოლო ფარი“. ეს უკანასკნელი, ალბათ, ქართული „ფარის“ მნიშვნელობით არის გაგებული. -ვარ, როგორც ზემოთაც ითქვა, იგივე ჩეჩნურ-ინგუშური **-ჟორ** (< ვარ) სუფიქსია.

ქართული თარგმანები პირობითია. ქართული სინტაგმის მეორე სიტყვად თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც „ვფიცავ“, ისე „მადლმა“.

საფიცარი სიტყვები, რომლებიც ფიცილის ფორმულებს აწარმოებენ ქისტურში, არსებით სახელებს წარმოადგენენ. მათი რაოდენობა დიდი არ არის. ასეთია:

**დლ(ა)** „ღმერთი“; **მალხ** „მზე“; **ლათთ(ა)** „მიწა“; წე „ცეცხლი“; **დსა** „მამის სული“; **ნან(ა) სა** „დედის სული“; **ქაშ** „საფლავი“, **ზეერქათ/ზაარქათ** „ბარაქა“; **ყჟორ/ყჟარ** „ყურანი“, **თხა** „მატყლი“...

ამ ლექსემათაგან ფიცილის ფორმულებში ზოგს აქვს **-ვარ** და **-ჟორ** ფორმანტიანი პარალელური ფორმები:

**ლათთ(ა)** „მიწა“: **ლეთთ-ჟორ** // **ლეთთი-ვარ**;

**წე** (< წარ) „ცეცხლი“: **წერ-ჟორ** // **წერი-ვარ**;

ქაშ „საფლავი“: **ქოშ-ჟორ** // **ქოშუ-ვარ**;

სამივე შემთხვევაში ფორმანტი მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში.

ზოგი სიტყვისაგან ფიცილის ფორმულა უპირატესად იწარმოება -ჟორ სუფიქსით:

**მალხ** „მზე“: **მალხჟორ**;

**დელ(ა)** „ღმერთი“: **დელ-ჟორ**;

**ყჟარ** (< **ყჟორ'ან**) „ყურანი“: **ყჟარ'ან-ჟორ**;

**ბიერქათ** „ბარაქა“: **ბიერქათ-ჟორ**;

**იელჩ** (< **იელჩინ**) „მოციქული“: **იელჩინ-ჟორ**;

**უსთაზ** (არაბ. მასწავლებელი): **უსთაზ-ჟორ** (უსთაზ, ზოგიერთის გაგებით, ღვთაებაა);

ივარაუდება, რომ სახელის ნათ. ბრუნვის ნიშანი საკვლევე ფორმანტის წინ ჩავარდნილია.

ცალკე სტრუქტურულ ერთეულს ქმნიან ფორმულები, როგორცაა:

**დჰარ(ა)**, **ნჰნ(ა)სარ(ა)** სიტყვები, რომლებიც კომპოზიტების ფონეტიკური გამარტივების შედეგს წარმოადგენენ. ასე, მაგალითად: **დჰარ(ა)** შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: **დჰ** „მამა“ + **ს** (< **სა** „სული“) + **-არ** (< **-ვარ**), სრული ფორმა **დჰ-სი-ვარ** „მამის სულს ვფიცავ“, „მამის სულის მადლმა“; იგივე ითქმის **ნჰნ(ა)სარ(ა)** [< **ნჰნა** „დედა“ + **ს** (< **სა** „სული“) + **არ** (< **-ვარ**)]. ამ მაგალითებში სახელები **დჰ**, **ნჰნა** და **სა** ნათესაობით ბრუნვაში დგას. ასე რომ გვაქვს პარალელურად ხმარებული ფორმები:

**დჰარ(ა)** – **დჰსივარ**;

**ნჰნ(ა)სარ(ა)** – **ნჰნ(ა)სივარ**.

შემოკლებულ ფორმებში ბოლოვიდური (ა) სავრცობს წარმოადგენს, რომელიც სრულ ვარიანტებშიც არ არის გამორიცხული. ამ მაგალითებში **-ვარ-ს** არ ენაცვლება -**ჟორ**.

**დელ-ჟორ(ა)** „ღმერთმანი“ სიტყვის შემოკლებული ვარიანტებია **დჟრ(ა)** //**დჰრ(ა)** ფორმაც, ჩავარდნილია მარცვალი. **სჟლა** „ჭიქა-ქუხილის ღვთაება“ წარმოდგენილია კომპოზიტში **დჰლ-სჟლჟორ**, რომელიც მოდინარეობს **დჟლა ა, სჟლა ა**-საგან, რაც ნიშნავს: „ღმერთიც (და) ღვთაებაც“. **სჟლა** ამჟამად მხოლოდ ფიცილის ფორმულებშია შემორჩენილი.

**დჰლ(ა)** ღმერთი“ სიტყვა დასტურდება ფორმულებში:

**დჰლ(ა) ვოზლჟორ** „ღვთის დიდებულებამ“ (ქართული თარგმანი, როგორც სხვა შემთხვევებში, პირობითია; შდრ., **ვეზინ//ვეძინ დჰლ(ა)** „დიდებულ ღმერთო“), **დჰლ(ა) ვოვლჟორ** „ღვთის სიდიადემ“.

წოვათუშურში, როგორც ზემოთ ითქვა, **-ვარ** ფორმანტიანი ფორმულები ხაზგასმით მამაკაცების მეტყველებაშია. საანალიზოდ გამოვლენილი მაგალითების ნაწილი ქისტურ დიალექტში შეუძლებელია ისმოდეს მამაკაცების მეტყველებაში. ასეთებს განეკუთვნებიან: **მალხჟორ** „მზის მადლმა“, **წერჟორ** „ცეცხლის მადლმა“, **თხავარ** „მატყლის მადლმა“, **უსთაზჟორ**; ქალთა მეტყველებაში ჩვეულებრივია ყველა დასახელებული მაგალითი.



ამრიგად, -**უორ** ფორმანტისათვის ამოსავალია -**ვარ**, რომლის ფუნქციური და ფონეტიკური შესატყვისია -**ვარ**, რომელიც წოვათუშურში გვაქვს. დასადგენია, რომელი მათგანია პირველადი.

ჩეჩნური ენის დიალექტების ამ კუთხით შესწავლა უფრო მეტ და საინტერესო მასალას გამოავლენს.

### ლიტერატურა

**მიქელაძე 2016** – მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, წოვათუშური ენის ფრაზეოლოგია. თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი.

**ოზდოევა 1976** – Ф. Г. Оздоева, Историческая характеристика служебных слов (частей речи) в нахских языках. Грозный.

**ხამიდოვი 2020** – А.-Хь. Хамидов, Пьесаш, дийцарш, байташ. Сольжа-ГӀала (ჩეჩნურ ენაზე).

ROSTOM PAREULIDZE

### Phrases Related to the Oath Containing the Formants -var (> -wor)//-par

#### S u m m a r y

The words used when making an oath are formed with the formants -var and -wor in Chechen and Ingush. Some words may have both formants in the Kist dialects of the Chechen language, e.g., lett-wor – lett-i-var “the blessing of the earth”, while others may take only the formant -wor, e.g., māl-x-wor “I swear on the sun”. Some words have the formant -var: txa-var “the blessing of the wool”, etc.

In Bats the suffix -par is equal to the suffix -var both functionally and phonetically, e.g., dale<sup>n</sup> par “the blessing of God; I swear on God”, etc. The paper deals with the phrases mentioned when making oaths attested only in the speech of women.

მედეა ლლონტი

**ქართული თავის**  
**სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკისათვის**  
(ქართული სიტყვის მადლმოსილების დასტურად)

„რამ არს კაცი?“  
ფსალმუნი 8, 5  
„შეიგან თავი შენი!“  
სოკრატე  
„თავი არს კაცთა ქრისტე“  
სულხან-საბა ორბელიანი

❖ **საკითხის დასმა:**

ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ ადამიანის სრულყოფილების დასაბამი და თავდაპირველი მიზეზი არის მისივე „მე“, ანუ **საკუთარი თავი**. მაგრამ, მრავალმოწყალე ზეციერი შემოქმედის ნებით, ცოდვაში ჩაძირულმა კაცობრიობამ შეიტყო, რომ **საკუთარ თავად** შერაცხული „მე“, სინამდვილეში, ზეგარდმო ბოძებული **ხატება** და **მსგავსებაა – მისა და სიტყვისა ღმრთისა, იესო ქრისტესი**.

ამ ღვთივბოძებული საკვირველი წყალობის გამოსათქმელად ჩვენმა მადლიანმა სიტყვათშემოქმედმა, უკვე ადრეულ ქრისტიანულ ხანაში, ბრძნული ნიშანდობლიობით შეაჩერა არჩევანი ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინზე – **თავი თვისი**, რომელიც ესოდენ წარმატებული ნაყოფიერებით დამკვიდრდა წმიდა წერილის ძველქართულ თარგმანსა და თარგმანებაში.

წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანია, ერთი მხრივ, ქართულენობრივი არჩევანის მოტივირება ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინებისა – **თავი თვისი**, **თავის-მოყუარე[ობა]**, **პატივის-მოყვარე[ობა]** **პატივის-ცემა**, **თავის-უფალი**, ასევე, მათი მასაზრდოებელი კომპონენტებისა – „**თავის**“ და „**პატივის**“, მეორე მხრივ, საკუთრივ **თავის** სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკის<sup>1</sup> თავდაპირველი ქრისტიანული შინაარსის ანალიზის ცდა, რაც სარწმუნოდ აღიბეჭდება წმიდა წერილსა და ეკლესიის წმიდა მამათა ეგზეგეზაში.

<sup>1</sup> ლათ. substantia (← sub „ქვეშ“ + stantia „დგომა“ – სიტყვასიტყვით „ქვე-მდგომობა“); „არსი; დედაარსი, საფუძველი; რაობა“ → **სიტყვის სუბსტანციური სემანტიკა** – „საგნისა თუ მოვლენის არსობრივი შინაარსი, აღსანიშნის კონკრეტული (საგნობრივი) განმაპირობებელი ამოსავალი ფუნქციური სემანტიკა“.

### ❖ „თავი თვის“ – რჯულის აღმსრულებელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე არაერთ ქადაგებაში საგანგებოდ ამახვილებს ჩვენს ყურადღებას **საკუთარი თავის** – „მეს“ შეცნობის იმ უზენაეს დანიშნულებას, რომლის კეთილგონიერულად აღსრულება ყოველთა შემოქმედმა ღმერთმა მიანდო თავის ქმნილებათა გვირგვინს – ადამიანს, შდრ.:

„ადამიანს ორი მიზანი უნდა ჰქონდეს: როგორ მიაღწიოს სულიერ სიმალლეს და როგორ გამოადგეს სხვას, რადგან თუ კაცი **თავისთვის არ ვარგა**, ის **სხვისთვის მით უმეტეს უვარგისია...** ეკლესია ეკონომიკურსა და მატერიალურ საკითხებს კი არ უარყოფს, არამედ თავის ადგილზე აყენებს, რადგან სანამ ადამიანი სხეულით ცოცხლობს, მისთვის ორივე საზრდოა საჭირო და აუცილებელი – ხორციელიც და სულიერიც, ოღონდ, უპირველეს ყოვლისა – სულიერი. ვინც **თავისი სულისთვის** ზრუნავს, ის **მოყვასზეც აუცილებლად იზრუნებს...**“ (ილია მეორე 1997-II: 158-159)<sup>1</sup>.

ჩვენი პატრიარქის ეს ღვთისათნო შეგონება, რომლითაც იგი „საკუთარი მეს“, ანუ „თავი თვისს“ მასაზრდოებლის უცდომელ არჩევანს შეგვაგონებს, წმიდა დავით მეფსალმუნის მიერ თქმულით საზრდოობს: „მიუტევე უფალსა ზრუნვად შენი და მან გამოგზარდოს შენი; და არა სცეს შერყევად უკუნისამდე მართალსა“ (ფსალმუნი 54, 23). წმიდა წერილში ასევე მრავლისმეტყველია ზეციერი შემოქმედი ღვთისადმი მრჩობლად აღვლენილი მისი რიტორიკული შეკითხვა:

„**რა არს კაცი**, რამეთუ მოიჯსენე მისი, ანუ მე კაცისა, რამეთუ მოხედავ მას?“ (ფსალმუნი 8, 5)<sup>2</sup>, რომელსაც საგულისხმოდ ეხმიანება ზედმიწევნით მსგავსი ძველადთქმისეული სწავლება-შეგონება: „**რა არს კაცი**, რამეთუ განადიდე იგი, ანუ რამეთუ ერგი გონებასა მისსა?“ (იობი 7, 17)<sup>3</sup>.

„**რა არს კაცი?**“ – წმიდა წერილში სიცოცხლის აზრის საძიებლად დასმული ეს შეკითხვა, უწინარესად, იმ ღვთივდაკისრებულ მოვალეობაზე დაგვაფიქრებს, რომელსაც უფალი იესო ქრისტე არაერთი რჯულმდებლური შეგონებით გვავალდებულებს, კერძოდ:

„რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“; „უკუეთუ **მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგით სიყუარულსა ზედა ჩემსა**, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგვიე სიყუარულსა ზედა მისსა“ (იოანე 14,

<sup>1</sup> ხაზგასმები ციტატებში აქ და ყველგან ჩვენია – მ. ლ.

<sup>2</sup> → ახ.ქართ.: „რა არის კაცი, რომ იხსენიებ? ან მე ადამიანისა, რომ ყურადღებას აქცევ მას?“ (ფსალმუნი 8, 5).

<sup>3</sup> → ახ.ქართ.: „რა არის ადამიანი, რომ ასე განადიდე და მისკენ მიგიპყრია გულისყური?“ (იობი 7, 17).

21; 15, 10; შდრ.: 15, 12), რამეთუ: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაქსნად **სჯულისა** გინა წინასწარმეტყუელთა; **არა მოვედ დაქსნად, არამედ აღსრულე-ბად**“ (მათე 5, 17).

დასტურად ამისავე შეგვაგონებს წმიდა იოანე ღმრთისმეტყველი: „რამეთუ **ესე არს სიყუარული ღმრთისად, რადთა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ**, და მცნებანი მისნი მძიმე არა არიან“; „შვილნო ჩემნო, ნუ ვიყუარებით სიტყვთა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა“ (1 იოანე 5, 3; 3, 18).

ამ მხრივ, საგულსხმოდ მრავლისაღმეტყუელია საღმრთო რჯულმდებლობაში ათი მცნებით<sup>1</sup> განწესებული **ორი უმთავრესი მოვალეობა კაცისა** (გამოსლვათა 20, 1-17), ანუ **ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულის** ორი „ცხოვრების-მომცემელი“ მცნება:

**„შეიყუარო უფალი ღმერთი** შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ. და მეორე, მსგავსი ამისი: **„შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი**. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე 22, 36-40)<sup>2</sup>.

ეკლესიის წმიდა მამანი ერთხმად გვარწმუნებენ, რომ ათივე მცნების მასულდგმულზელია **სიყვარული** – ღვთაებრივ სათნოებათა შორის ის „აღმატებული გზა“<sup>3</sup> (1 კორინთელთა მიმართ 12, 31), რომლის საფუძვლიან თარგმანებას წმიდა მოციქული პავლე ამავე ეპისტოლეს მე-13 თავში გვაწვდის, და გვამცნობს: „ხოლო აწ ესერა ჰვიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო **უფროჲს** ამათსა **სიყუარული არს**“ (1 კორინთელთა მიმართ 13, 13).

მეორე მხრივ, წმიდა მოციქულის არაერთგზისი განმარტებით, საღმრთო რჯულისკანონში სწორედ ეს უდიდესი მცნება მოიცავს ყველა სხვა მცნებას, რადგან: **„ყოველი შჯული ერთითა სიტყვთა აღსრულებს: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“** (გალატელთა მიმართ 5, 14), ხოლო რომაელთა მიმართ ეპისტოლეში იგი თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს საღმრთო რჯულის კეთილგონივრულად აღსრულების უმთავრეს მამომრავებელ ძალას – **მოყვასისადმი სიყვარულს**:

„ნურარადმცა ვისი თანა-გაც, გარნა ურთიერთას სიყუარული, რამეთუ **რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან შჯული აღასრულა**, ვითარმედ: „არა იმრუშო“, „არა კაც-ჰკლა“, „არა იპარო“, „არა გული გითქუმიდეს“, და სხუად

<sup>1</sup> ბერძნ. **დეკალოგი** „ათი სიტყვა“ – შდრ.: ძვ.ქართ. **მცნება** – „(+2,1 მალაქ.) არს ღმრთისა-მიერ(ი) შჯულისდება, გინა მეფეთა და უაღრესთაგან ბრძანებული, რომელი ამ ცნებდეს და ასწავლიდეს სჯული ერთა საქმეთა“ (სულხან-საბა 1991); „მცნება; სიტყვა; ბრძანება; შეტყობინება; გაფრთხილება; დარიგება; მოთხოვნა; წამება, დამოწმება «მიწესება» (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

<sup>2</sup> იხ.: ლევიტელთა 19, 18 და 19, 34; მათე 22, 39; მარკოზი 12, 31-33; ლუკა 10, 27; რომაელთა მიმართ 13, 8-9; გალატელთა მიმართ 5, 13-14; იაკობი 2, 8.

<sup>3</sup> შდრ.: „**მე ვარ გზად** და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ; **არაგინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ**“ (იოანე 14, 6-7).

თუ რაიმე მცნებად არს, ამითვე სიტყვთა აღესრულების, ვითარმედ: **შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი**. სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არა უყვის; **აღმასრულებელი სჯულისაა სიყუარული არს**“ (რომაელთა მიმართ 13, 8-10).

კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს მე-13 თავში მსგავსი ნიშანდობლიობით ის უკეთურებად აღიბეჭდება, რასაც ჩვენივე **უსიყვარულობით** დათესილის წილ ვიმკით და ამ დროს, როგორც წმიდა მოციქული გვარწმუნებს, ხელიდან გვეცლება ხოლმე მართალი სარწმუნოებისა და კეთილთა საქმეთა მოსახვეჭად ბოძებული ეს საკვირველი მადლმოსილება<sup>1</sup>.

წმიდა იოანე ოქროპირის საგულისხმო განმარტებით, „ესე [სიყვარული] არს მიზეზი ყოველთა კეთილთა და მომატყუებელი [„შემძენ(ელ)ი; მომასწავებელი; შუამავალი“] ნიჭსა სულისა წმიდისასა, რადთა **შეუორგულებელი სიყუარული მოიგოს კაცმან ღმრთისა მიმართ და მოყსისა**“ (სამოციქულო 2006: 398).

ვგიქრობთ, ამჯერად კეთილი იქნება, ამოვიკითხოთ **ღვთისა და მოყვასისადმი** თანაზიარი **სიყვარულის** ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და, უფრორე, რჯულისმიერი მნიშვნელობით მოსილი განმარტება იმერეთის წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის დიდებული ქადაგებებიდან:

**„სიყვარული ღვთისა არის წყარო ყოველთა სხვათა სათნოებათა**. ღვთის სიყვარულისაგან სწარმოებს კაცის განათლება, სულიერი სისრულე, ცხოვნება. ადამიანს ერთი ის თვისება აქვს, რომელი რასაც ანუ ვისაც შეიყვარებს ყოველთა გულითა, იმას დაემორჩილება და იმას დაემსგავსება. მამსადადმე, **როდესაც შენ შეიყვარებ ყოველთა გულითა ღმერთსა, მისი მორჩილი იქნები და მას დაემსგავსები**.

<sup>1</sup> იხ. და შდრ. 1 კორინთელთა მიმართ 13, 1-8: **„სიყუარული თუ არა მაქუნდეს – \* კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე – მხოლოდ რვალი ვარ მოყდრიალე და წკრიალა წინწილი...**

\* წინასწარმეტყველების მაღლიც რომ მქონდეს, ყველა საიდუმლოსაც ვვლობდე და გულმხურვალედაც ისე მწამდეს, რომ მთების დაძვრაც კი შემემლოს – არარა ვარ...

\* მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკათათვის და მსხვერპლად შევეწირო მათ – არას მარგია...“;

და ამის შემდგომ, წმიდა მოციქული ადავლენს დიდებულ საგალობელს **სადმრთო სიყვარულისადმი**:

\* „სიყვარული სულგრძელია და კეთილმოწყალე, \* სიყვარულს არა შურს, არ ქედმაღლობს, არ ზვაობს,

\* სიყვარული არ უკეთურობს, \* **სიყვარული არა ეძიებს თავისასა**,

\* სიყვარული არ მრისხანებს, \* სიყვარული არ იზრახავს ბოროტს,

\* სიყვარული არ შეჭხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს,

\* სიყვარული ყველაფერს იტანს და იტვირთებს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს, \* სიყვარული არასოდეს არ გარდავა – არ დაარღვევს [სიტყვას, პირობას]“.

**სიყვარულის** ჭეშმარიტი რაობა-რავგარობის სანუგეშოდ გაცხადებული ეს მართლაც დიდებული საგალობელი ზედმიწევნით შეესატყვისება **ღმერთის** წმიდა იოანე ღვთისმეტყველისეულ სახისმეტყველებით შეგონება-განმარტებას: „ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ **სიყუარული ღმრთისაგან არს** და ყოველი, **რომელსა უყუარდეს**, ღმრთისაგან შობილ არს და **იცის ღმერთი**. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ **ღმერთი სიყუარული არს**“ (1 იოანე 4, 7-8).

ხოლო მეორე ამის მსგავსია: **შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი**. ღვთისა და კაცის სიყვარულსა აქვს გაუწყვეტელი კავშირი; ღვთის სიყვარული გამოსცხადდება მოყვასის სიყვარულში. სიტყვისამებრ იოანე ღვთისმეტყველისა, კაცმა რომ სთქვას, ღმერთი მიყვარსო და მოყვასი სძულდეს, იგი მტყუარ-არს და შემცდარ. გარნა რა არის მოყვასის სიყვარული და რაში გამოსჩნდება იგი? ამას დიდი განმარტება არ უნდა. აქ ჩვენ მხოლოდ იმაზედ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ[ელ] სახარება მოითხოვს ჩვენგან მოყვასის სიყვარულსა არა სუსტსა, არამედ დიდსა; **მოყვასი ისე უნდა გვიყვარდეს, ვითარცა თავი ჩვენი**“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 294).

თავის დიდებულ და მრავლის-მსწავლელ შეგონებებს იმერეთის ეპისკოპოსი ამ მშვენიერი დანასკვით აგვირგვინებს:

**„ცხოვრებასა ჩვენსა უნდა მართავდეს ერთი მხოლოდ ღვთის სიყვარული“** (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 293 – ქადაგებიდან „ე-სა კვირიაკესა ზედა“).

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის ასევე უაღრესად საგულისხმოა იმ კეთილგონივრულად საძიებელი საგნის საღვთისმეტყველო თარგმანება, რომელსაც წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) თავისი დიდებული პოეტური სიტყვით გამოთქვამს:

„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე:  
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: – აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?  
სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერთდეს სისხლით ზღვევასა,  
სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა“.

დიახ – ღვთის წყალობით ბოძებულ ესოდენ სათნო უზენაეს საქმეს ჩვენ მუდამ უნდა აღვასრულებდეთ და, თან – მუდმივად ვრჩებოდეთ ვალში ღვთისა და მოყვასის წინაშე.

### ❖ თ ა ვ ი თ ვ ს ი – შესაქმისეული პატივი და საკუთარი სულიერი ღირსება

ძველი ქართული ორი თხზული ცნება-ტერმინი – **თავ[ის]მოყუარე[ო]ბა** და **პატივ[ის]- მოყვარე[ო]ბა** – ხშირად კონტექსტიდან გამომდინარე იძენს ალტერნატიულ სემანტიკას: **ა) უარყოფითს**, როდესაც დაწინაურებულია სემანტიკა – „თავმოწონება, თავმოთნეობა, ამპარტავნება“ და **ბ) დადებითს**, როდესაც ორივე ცნება-ტერმინი **ღირსების** სინონიმადაა<sup>1</sup> წარმოჩენილი.

<sup>1</sup> ძვ.ქართ. **თავის-მოყუარე** – „თავმოყვარე; (ზედმეტად) თავმოყვარე, ეგოსიტი самоллюбный: „და იყვენ კაცნი თ ა ვ ი ს-მ ო ყ უ ა რ ე, ვერცხლის-მოყუარე, ლად, თავმოთნე, ამპარტავან... (2 ტიმოთეს მიმართ 3,2)“ (აბულაძე 1973; სიმფონია-ლექსიკონი 2009); შდრ.: ახ.ქართ. **თავმოყვარე** – „(თავმოყვარისა) ვისაც თავისი თავის დაფასების უნარი, **საკუთარი ღირსების** გრძნობა აქვს. „კაცი საზოგადოდ თავმოყვარეა“ (აკაკი);

ახ. ქართ. **თავმოყვარეობა // თავმოყვარეობა** – თავმოყვარის თვისება, – თავისი თავის დაფასების უნარი, საკუთარი **ღირსების** გრძნობა. „ჩემს თავმოყვარეობას... ფეხით თელავენ“ (ეკ. გაბ.). „საკუთარი ღირსების გრძნობა და თავმოყვარეობა-კი დიდი ჰქონდა თედოს“ (რ. ქორქ.)“ (ქეგელ 1955-IV).

იმერეთის წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) თავის დიდებულ ქადაგებებში<sup>1</sup> მკვეთრად აშორიშორებს ერთმანეთისგან – „**უგუნურ, სულელურ, უჭკუო თავისმოყვარობას**“ (ანუ „თავხედობას“) და „**განათლებულ, ამაღლებულ ქრისტიანულ თავისმოყვარობას**“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 234-235). წმიდა მამა მთელი ძალისხმევით წარმართავს ჩვენს ყურადღებას ადამიანის სულის ამ მრავალმხრივ დამაფიქრებელი თვისებისაკენ და მისი ჭეშმარიტი, ქრისტიანული რაობა-რაგვარობის კონკრეტულ საკითხს წამოჭრის.

ზემოხსენებულ ქადაგებებში წმიდა ეპისკოპოსი გამოწვლილვით გვაწვდის უაღრესად საგულისხმო თარგმანებას ამ ცნება-ტერმინთა პირველი კომპონენტებისა – „**თავი**“ და „**პატივი**“<sup>2</sup>, რისი მეოხებითაც სარწმუნოდ ცხადდება **ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების წესის უმთავრესი საღვთისმეტყველო წანამდგრები**. იგი ყურადღებას მიაქცევს **თავის-მოყვარობის** და მისი შეუწყნარებელი ნაირსახეობის – **პატივმოყვარობის**, ამ **უჭკუო თავის-მოყვარობის** მიეხიბვება, როდესაც კაცს: „უყვარს **პატივი**, თავის გამოჩენა საზოგადოებაში, და უყვარს, როდესაც მისი სახელი განთქმული არის, მის სიტყვას გაგლენა აქვს“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 235-236). და ამ არცთუ ისე იოლად დასაძლევნი განსაცდელის მოსაგერიებლად, წმიდა ეპისკოპოსი გვაწვდის კეთილსაიმედო „გზამკვლევს“ – თავის დიდებულ შეგონებას:

**„კეთილი და სასარგებლო ის არის, როდესაც თვით პატივი ეძიებს კაცსა, და არა კაცი – პატივსა“**, – და აქვე, ამ კონკრეტული საკითხავის გამოც ჩაგვეკითხება: მაინც – **„რა პატივს ეძიებთ ჩვენ, და რა საშუალებით, და რისთვის?“**

წმიდა მამას ამჯერად მხედველობაში აქვს სიტყვა-ცნება **პატივი**, მნიშვნელობით – „ჯანსაღი, წმინდა, **ღირსეული პატივი**“, რომლითაც მაშინ იმოსება კაცი, როდესაც იგი **პატივს** ეძიებს მართებული, კეთილსინდისიერი, უანგარო, ღვთისათნო გზითა და საშუალებით, ანუ **ღირსეულად, ქრისტიანულად** – და არა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის, საკუთარი თავისა და თავისი-ანათავის, არამედ გვერდით მყოფი **მოყვასისთვის**, უწინარეს – **ქვეყნის სასარგებლოდ** (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 236-238).

წმიდა ეპისკოპოსი შეგვახსენებს წმიდა მოციქულ პავლეს იმ საკვირველ მონდომებასა და გულმოდგინებას, რომლითაც იგი **პატივს** ეძიებდა. მავანი იფიქრებს: **პატივი** მოციქულთა თავსაც ჰყვარებია და, ესე იგი, თავისმოყვარე ყოფილაო... მაგრამ რომელ **პატივს** ეძიებდა იგი? – ამ კითხვაზე პასუხად, წმი-

<sup>1</sup> იხ. მისი ქადაგებანი: „სიტყვა ლზ-სა კვირიაკესა ზედა“, „სიტყვა პატიოსნებასა ზედა“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 436-439; 439-444) და „სიტყვა ოცდამეექვსესა კვირიაკესა ზედა“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 234-239).

<sup>2</sup> შდრ.: „**პატივი** (პატივისა) კარგად მოჰყრობა, დაფასება, სახელი, ღირსება. ძვ. სამოხელეო (საერო ან საეკლესიო) თანამდებობა. „პატივი“ მოხელეობას და თანამდებობას ერქვა“ (ივ. ჯავახ.). „გამღვე თბილისის ციხისთაობას, თბილისის მცველის პატივს განიჭებ!“ (გ. ლეონ.); „**პატივმოყვარე** (პატივმოყვარისა) ვისაც პატივი, დიდება უყვარს, – განდიდების მოყვარული“; „**პატივმოყვარობა** (პატივმოყვარობისა) პატივმოყვარის თვისება, – პატივისცემის, ქება-დიდებას, განდიდების სიყვარული“ (ქეგლ 1960-VI).

და ეპისკოპოსი ხაზგასმით ბრძანებს: ცხადია, იგი ეძიებდა არა უგუნურ, არა „თავხედურ“ და მავნებლურ პატივს, არამედ „კანონიერსა და კეთილს“, ანუ **ქრისტესმიერ პატივს** – შრომის, გარჯის, მოთმინების, ტანჯვისა და სხვა იმ მაღალი ღვაწლისა და მსახურებისა, რის დაკარგვას მას სიკვდილი ერჩია (იხ.: 2 კორინთელთა მიმართ 11, 1-33), და წმიდა ეპისკოპოსი დასძენს:

„აი რაში ეძიებდა წმიდა მოციქული პავლე **თავის პატივსა!** მისი სინდისი და წრფელი გონება არწმუნებდა მას, რომ მან მრავალი კეთილი საქმე ადასრულა ქვეყნისათვის; ამით ნუგეშობდა იგი და ამაში ხედავდა **თავის პატივსა**“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 238).

**პატივის-მოყვარობას** – ვითარცა **ქრისტიანული თავის-მოყვარობის** ღვთიეროსაწონ სახეობას, წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი საგანგებოდ განგვიმარტავს ქადაგებაში „სიტყვა პატიოსნებასა ზედა“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 439-444), რომელიც ეძღვნება დიდებულ უფლისმიერ შეგონებას: „**არამედ იყავნ სიტყუამ თქუენი ჰმ – ჰე და არამ – არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს**“ (მათე 5, 37)<sup>1</sup>. ამ დიდებული მცნება-შეგონებით უფალი, არსობრივად, **ქრისტიანული პატიოსნების** მართებულ, ჭეშმარიტ რაობა-რაგვარობას გვაწვდის და თავდაპირველად საკუთრივ **პატიოსნების**<sup>2</sup> ჯეროვან განმარტებას გვაწვდის:

„**პატიოსნება** ის არის, როდესაც კაცი ყოველთვის სიმართლით და გულწრფელად იტყვის, **ყოველსა აღთქმას და პირობასა** მიუცილებელად აღასრულებს, ემინია და რცხვენია სიცრუის თქმა, მრუდედ და მზაკვრად მოქცევა; რაც არ იცის ბეჯითად, იმას არ დაგაჯერებს; რისაც აღსრულება არ შეუძლია, იმაზედ პირობას არ მოგცემს; მოკლედ, რომლის **სიტყვა და საქმე ერთია**“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 439-440).

შემდგომ ამისა, **პატიოსნების** მამოძრავებელი ძალის ამოსაცნობად, წმიდა ეპისკოპოსი რამდენიმე მიზნობრივი შეკითხვით შეგვეწვევა:

**რა საფუძველი აქვს პატიოსნებას? რა გამოადვიებებს კაცის გულში პატიოსნებას? და რა არის ის, რაც კაცს დააცვეცინებს პატიოსნებას, და ყოველგვარ დადებულ პირობასაც აღასრულებინებს?**

თავის მხრივ, ამ შეკითხვებზე პასუხად, წმიდა ეპისკოპოსი ასევე სარწმუნოდ გვისახელებს და განგვიმარტავს **პატიოსნების** განმსაზღვრელ ფაქტორს – **ქრისტიანულ პატივის-ცემას**, რომელიც მხოლოდ **საკუთარი თავის**

<sup>1</sup> როგორც განიმარტება, ამ შეგონებით უფალი იესო ქრისტე გვაფრთხილებს: „ნულარ დაიფიცავთ, არამედ ილაპარაკეთ მხოლოდ სიმართლეს, რადგან ყოველი დაუფიქრებელი დაპირება ღვთის წინაშე (ანუ ღვთის სახელით ფიცით) – ფარისეველთაგან მოგონილი ფიცია „უკეთურისაგან“ (მათეს სახარების განმარტება 1998: 148-149).

<sup>2</sup> ძვ.ქართ. „**პატიოსან-ი, პატიოსან-ი** „დიდებულეობა; პატივი; სიწმინდე; საპატიო, პატივსაცემი; დაფასებული; «სარწმუნო», რჩეული, მვირფასი“ (სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009; აბულაძე 1973); შდრ., ახ.ქართ.: „**პატიოსან-ი** (პატიოსნისა) **1.** კეთილსინდისიერი, მართალი, წესიერი, ნაბუსიანი, უეშაკო, უანგარო (ადამიანი). **2.** წესიერი ყოფაქცევისა, ზნეობრივად წმინდა, უმწიკვლო“ (ქეგელ 1960, VI).



**ღირსებიდან** ამოიზრდება, ვინაიდან მარტო იმას შეუძლია იყოს საკუთარი თავის პატივისმცემელი, ვინც იცის და ვისაც ახსოვს **კაცის, ადამიანის ღირსება**, ანუ – **საკუთარი ბუნების** ის ფასდაუდებელი **სიმაღლე და დიდება**, რომლითაც ღმერთმა ჩვენი პირველმშობელი **ადამი** შემოსა:

„კაცის ბუნებას აქვს დაუფასებელი ღირსება! გასინჯე, რა ფასი აქვს კაცის ბუნებას, თუ თვით ცისა და ქვეყნის შემოქმედმა ღმერთმა მხოლოდშობილი ძე თვისი არ დაზოგა ჩვენისა ცხოვნებისა და განათლებისათვის...“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 440).

სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას ძვ.ქართ. ცნება-ტერმინთა სინონიმური წყვილის – **პატივის** და **ღირსების** – გადამკვეთი სემოურთეულები: „პატივი“ და „ღირსება“<sup>1</sup>, შდრ.: **პატივით**, გარდა „ღირსებისა“, აისახება ის „განსხვავებული, უფრო მაღალი ჩინი და ხარისხი“, ანუ ღირებულება, რომლითაც ადამიანი დაჯილდოებულია – ღვთისაგან, და დაფასებულია – კაცთაგან, ხოლო **ღირსებით** გადმოიცემა „პატივიც“, „სიწმინდეც“ და „სათნოებანიც – სიმდაბლისა, სიმშვიდისა, კრძალვა-რიდისა“. ძველი ქართველისთვის ამიტომ იყო **ღირსეული კაცი გულით** – „წმიდა“, ხოლო **ქცევითა და საქმით** – „სათნო“.

წმიდა ლუკა მახარებელი გვამცნობს: დამუწეულ ზაქარია წინასწარმეტყველს მას შემდეგ „აღეღო პირი“, როცა მან მორჩილებით აღიარა ღვთის ნება, რომ თავის ახალშობილ ძეს სახელად **იოანე** უნდა ეწოდოს, და – ზაქარია სულიწმიდით აღივსო!.. მან სინანულით გულშემრულმა ადიდა უფალი და ღირსეული ღვთისმსახურების აღთქმა დადო მის წინაშე: „მსახურებად მისა [ღმრთისა] **ღირსებით** და სიმართლით წინაშე მისსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა“ (იხ.: ლუკა 1, 62-75)<sup>2</sup>.

თუმცა, წმიდა ეპისკოპოსის ღრმა რწმენით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მარადჟამ ძნელად მოსაძიებელი **ქრისტიანული პატიოსნების** იმ უმნიშვნელოვანესი **მასაზრდოებლის** ამოცნობა და მიღება, რომელიც **ქრისტესმიერი ნათლისღებით** გვენიჭება, და ჩვენ, ნათელდებულთ, გვავალდებულებს, ვიყოთ: „წმიდა, მართალი, მოყვარე – ღმრთისა და მოყვასისა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლმორწმუნე ქრისტიანია ის, ვინც **ღვთისა და მოყვასის წინაშე** ამ **ღვთივბოძებულ რჯულისმიერ პირობას** უწინარეს აღასრულებს – **პატიოსნად** (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 438. 440). საპირისპიროდ ამისა, ვერცერთი

<sup>1</sup> შდრ., ერთი მხრივ, ძვ.ქართ.: **პატივი** – „დიდება; დიდი სახელი ან ხარისხი; საჩუქარი; «პატიოსნება»; „შინაგანი გრძობა უადრესობისათვის სხვის ვისმე; პატივი // ღირსება, ჩინებულება, სახელოვნება“; „პატივისცემა, დაფასება; ჩინი, ხარისხი; თანამდებობა“ და **პატივ-ცემული** – „ვისაც რაიმე ვალად ადევს: ჰრომ. 15,20; 2 კორ. 5,9“ (აბულაძე 1973; ნ. ჩუბინაშვილი 1961; სიმფონია-ლექსიკონი 2009);

და, მეორე მხრივ, ძვ.ქართ. **ღირსება** – „ღირსება; პატივი, «სიწმინდე», სათნოება; კმა, საკმაო, საჭირო, შესაფერისი; სიღირსე; სიდარბაისლე; მორიდება; კრძალვა“ (აბულაძე 1973; სიმფონია-ლექსიკონი 2009; ნ. ჩუბინაშვილი 1961).

<sup>2</sup> საგულისხმოა, რომ ადიშის ოთხთავში **ღირსების** ნაცვლად ჩაწერილია **სიწმიდე**: „მსახურებად მისა **სიწმიდით** და სიმართლით წინაშე მისსა“ (ადიშის ოთხთავი 2003: 287).

ადამიანი ვერ გახდება კეთილმსახური ქრისტიანი, თუკი მას პატიოსნება არა აქვს გულში (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 440-441). წმიდა ეპისკოპოსი ყოველივე აქედან გამომდინარე ასკვნის:

„მაშასადამე, **პატიოსნებასა და ქრისტიანობას დიდი კავშირი აქვს**“ (იქვე).

მართლაც! – შეუძლებელია, არ ვისმინოთ წმიდა ეპისკოპოსის სავედრებელთან შეზიარებული ეს მაღალზნეობრივი სწავლება, რამეთუ ქრისტიანის ცხოვრებისა და, საზოგადოდ, ყოველი ადამიანის ყოველდღიურობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა – **ცოცხალი ურთიერთობა**, ერთმანეთთან მისვლამოსვლა და ლამის ყოველწამიერად პირობის დადება ერთურთის წინაშე. ჩვენ ხომ სწორედ ჩვენი მოვალეობებით ვართ **აღთქმადადებულნი – ღვთის წინაშე**, და **პირობადებულნი – მოყვასის წინაშე**, იქნება ეს: ღვთისმსახურება, მოძღვრობა, ლოცვა, მსხვერპლშეწირვა, ცოლქმრობა, დედაშვილობა, მოყვრობა, მეგობრობა, უფროს-უმცროსობა, ვაჭრობა და მრ. სხვ.

იმერეთის წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელის ზემოდასახელებულ სამივე ქადაგებაში აღბეჭდილი ქართ. **პატივის-მოყვარეობის, პატივის-ცემის, პატიოსნებისა** და საკუთრივ **პატივის** ამ თარგმანებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება, ნიშანდობლივ ამოვიცნოთ ქართ. თხზულფუძიან ტერმინ **პატივის-მოყვარეობის** პირველი კომპონენტის („პატივის“) ის სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკა, რისი მეოხებითაც ქართ. ცნება-ტერმინი **პატივი** საგანგებოდ იმოსება კონკრეტული საღვთისმეტყველო მნიშვნელობით: „**შესაქმისეული პ ა ტ ი ვ ი ს ღირსყოფა**“. ისიც ცხადია, რომ ამ საღვთისმეტყველო სემანტიკაში აისახება ბიბლიური პირველწყებით დამოწმებული ერთარსი სამება ღმერთის უზენაესი ნება – ხილული სამყაროს ქმნილებათაგან მხოლოდ ადამიანს მიენიჭოს **ღვთის ხატება და მსგავსება**:

„**და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ... და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატებისაებრ ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი**“ (შესაქმე 1, 26-27).

როგორც განიმარტება, ღმერთმა თავისი ხატი და მსგავსება იმისთვის მიუბოძა ადამიანს, რომ იგი (ადამიანი) საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში განვითარებულიყო სულიერად და ამ გზით მიეღწია უფრო მეტი სრულყოფისათვის. ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებით, **უზენაესი პატივი** და „**ღირსება კაცისა არის სრულყოფილება მისი ბუნებისა**“ (წმიდა იოანე დამასკელი), რაც ცხადდება, ვითარცა:

\* ნაერთობა ერთსა და იმავე დროს „ხილულისა და უხილავისა ბუნებისა“;

\* მიწისაგან სხეულქმნილი და ზეცისაგან (ღვთისაგან) შთაბერვის მიერ მოაზროვნე, გონისმიერი სული; \* მეორე ქვეყნიერება („მცირე სოფელი კაცი არს“); \* მცირე დიდში;

\* სხვა ანგელოზი, შეზავებული; \* ერთი მხრივ, მიწისეულთა მეფე და, მეორე მხრივ, ზენა მეუფებას დაქვემდებარებული;

\* მიწიერიც და ზეციერიც; წუთიერიც და უკვდავიც; ხილულიც და გონებისმიერიც; \* სიდიადესა და სიმდაბლეს (დაცემულობას) შუა არსებული;

\* ერთი და იგივე სულიც და ხორციც, თუმცა სიდიადით პატივდებული (დამასკელი 2000: 110-116; 360-363; იხ.: ორჟონია 2018: 72-74).

ამასთან ერთად, უადრესად საგულისხმოა წმიდა მამათა სარწმუნო თარგმანება იმის თაობაზე, რომ **ადამიანი – ჰიპოსტასურად** არის ერთარსი სამების მეორე პირის, **ძე ღმერთის ხატი**. წმიდა ანტონი დიდი ამ უმნიშვნელოვანეს დოგმას კეთილად განგვიმარტავს: მხოლოდშობილი ძე „არს გონებად ჭეშმარიტი მამისაჲ და ხატი მისი, რომლისა ხატად თვისსა ხატისა შექმნა ყოველი მეტყუელი დაბადებული“. მამასადაძე, წმიდა მამის სწავლებით, მეტყველი **ადამიანი** შეიქმნა **ძე ღმერთის ხატად**, და რაკი **ძე ღმერთი**, თავის მხრივ, **მამაღმერთის ხატია**, ესე იგი, **ადამიანი** მამაღმერთის **ხატის ხატია**, ანუ **ხატი – ძე ღმერთისა** და **სიტყვა ღმერთისა, იესო ქრისტესი!**

კაცის ესოდენი უზენაესი ღირსყოფა წარმოჩნდება ზეციერი შემოქმედის მიერ მისთვის მონიჭებული **მოაზროვნეობით**, **სიტყვიერებითა** და **თავისუფალი ნებით**, რისი მეშვეობითაც იგი – ღვთის ხილულ ქმნილებათა გვირგვინი – იძენს ცოდნასა და გამოცდილებას, ახორციელებს თავის შემოქმედებით მოღვაწეობას და ქმნის მეცნიერებისა თუ ხელოვნების მრავალფეროვან ნიმუშებს (იხ.: იოანე დამასკელი 2000: 111; 341; გრიგოლი ნოსელი 2013: 222; ბასილი დიდი 1996: 317-318; ორჟონია 2017: 37-39).

იმერეთის წმიდა ეპისკოპოსი სამივე საანალიზო ქადაგებაში სწორედ კაცთათვის ღვთისაგან ბოძებული **შესაქმისიული პატივის ღირსყოფის** წარმოსაჩენად მოიმარჯვებს ქრისტიანულ შესატყვება-ტერმინს – **ქრისტიანული პატივის-მოყვარეობა**. ამის თვალსაჩინო დასტურად, კვლავაც გულისხმიერებით ამოვიკითხოთ ჩვენი დიდი წმინდანის რამდენიმე შეგონება-სავედრებელი:

\* „უძვირფასესი ქონება კაცისა არის ეს **პატივი**. სიკვდილი გირჩვენოდეს პატივის მოკლებასა: თუ ადამიანობა გასურს, **შენი პატივი დაიმარხე** პატიოსნებითა შენითა“<sup>1</sup> (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 444);

\* „აბა, როგორ არ ექმნება **დიდი ღირსება** კაცის ბუნებასა, თუკი **უფალმან ღმერთმან იგი შეაერთა ღვთაებრივსა ბუნებასა-თანა!**...“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 440);

\* „ყოველი ცოდვა მზაკვარ არს; ეშმაკი სცდილობს, რომ ცოდვა ჩვენი არარად მიგვაჩნდეს. გარნა იფიქრე, ძმაო ჩემო, ადვილი არისა ცოდვა, უკეთუ იგი **დააბნელებს შენ შორის ხატსა და მზგავსებასა ღვთისასა, უკეთუ იგი განგაშორებს ღვთისაგან** და შთაგადება გეენიასა შინა?“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913: 438).

<sup>1</sup> ჩვენთვის, ქართველი ქრისტიანებისთვის, ისიც საგულისხმოა, რომ **პატივის** ერთ-ერთი მნიშვნელობა, „ღირსებასთან“ ერთად, არის „დიდი სახელი; სახელოვნება; მოქალაქეობა“ (აბულაძე 1973; ნ.ჩუბინაშვილი 1961; სიმფონია-ლექსიკონი 2009). წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეს შეგონება უთუოდ გაახსენებს გულისხმიერ მკითხველსა თუ მსმენელს რუსთაველის უბადლო აფორიზმს: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

\* „აჰა, **რ ა პ ა ტ ი ვ ი თ** შეგამყო შენ ღმერთმან! ა მ ი თ უნდა მოგწონდეს **თ ა ვ ი შ ე ნ ი**, მაგრამ – შიშით და ძრწოლით, რომ არ დაგიმცირდეს ეს **პ ა ტ ი ვ ი**. შიშით და ძრწოლით უნდა ჰზიდავდე ამ პატივს, რომ არ მოგაკლდეს, არავინ წაგართვას, არამედ დაგიმტკიცოს, დაგიმკვიდროს ღმერთმან. ამინ“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 238).

### ❖ **თ ა ვ ი თ ვ ს – თ ა ვ ი ს-მოყვარება**

უფრო საგულისხმიეროდ გვესახება ის შეგონება-სავედრებელი, რომელშიც წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი ზემოგანხილულ შესიტყვება-ტერმინთან – **ქრისტიანულ პატივის-მოყვარებასთან** ერთად, მოიმარჯვებს მის სინონიმურ მეწყვილეს – **ქრისტიანულ თავის-მოყვარებას**:

„აბა, რა არს, რაში მდგომარეობს წმინდა, **ქრისტიანული თ ა ვ ი ს-მოყვარება**? იმაში, როდესაც კაცს ახსოვს **თვისი სულიერი ღირსება**, ახსოვს, **რ ა პ ა ტ ი ვ ი მისცა მას ღმერთმა**, როგორ აღამაღლა, რა საქმისათვის უწოდა, რა გზა უჩვენა ქვეყანაზე... **შენ ისეთი პატივი მოგცა ღმერთმა**, რომელზეც უდიდესს კაცი ვერ წარმოიდგენს – შენ **ღმერთმა შვილად** აღგიყვანა, როგორც იტყვის ღვთისმეტყველი იოანე: „რაოდენთა-იგი **იესო ქრისტე** შეიწყნარეს, მისცა მათ ჳელმწიფებად **შვილ ღმრთისა** ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი (იოანე 1,12)“ (ეპისკოპოსი გაბრიელი 1913ა: 238).

ამ შეგონება-სავედრებელით წმიდა მამა გვაწვდის განსახილველი სინონიმური წყვილის ქრისტიანული რაობა-რაგვარობის **შემაჯამებელ** ფორმულირებას, რომლითაც აღიბეჭდება ძველ ქართულ ცნება-ტერმინთა – **თავის-მოყვარებისა** და **პატივის-მოყვარების** ნიშანდობლივი მახასიათებელი, კერძოდ:

\* ორივე შესიტყვება-ტერმინის საგანგებო – **ქრისტიანული** შინაარსი და დანიშნულება;

\* მათივე პირველ შემადგენელ კომპონენტთა – „**თავის**“ და „**პატივის**“<sup>1</sup> – სრულად თანხვედნილი საღვთისმეტყველო სემანტიკა: „**შესაქმისეული პატივის ღირსყოფა**“, ანუ – ის, რომ **კაცი** არის **ხატი და მსგავსება ღმრთისა**, და ამ სემანტიკის ფუნქციონირების გამოწველილვით განხილვა-წარმოჩენა, ანუ ის, რომ **კაცი**, ამასთანავე, **ძე ღმერთი იესო ქრისტეს ხატია** – ჰ ი ვ ო ს ტ ა ს უ რ ა დ<sup>2</sup>;

<sup>1</sup> შდრ. ძვ.ქართ.: **პატივ(ის)-ცემა**, **პატივ(ის)-ყოფა**, **პატივ(ის)-პყრობა** – „პატივისცემა; პ ა ტ ი ვ ი ს მიგება“ (აბულაძე 1973); **თავ-ყოფა** – „განდიდება; პ ა ტ ი ვ ი; პატივისცემა; უფროსობა; შეკრება“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001) და **თავის-წყოფელი** – „პ ა ტ ი ვ ი ს ან ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს მწყალობელი; პატივისმცემელი; მდაბალი“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

<sup>2</sup> უფალი მოციქულებს მოძღვრავს: „სიტყუათა რომელთა გეტყვ თქვენ, **თავით ჩემით არა გეტყვ**, არამედ **მამად ჩემი, რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა**. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამად ჩემ თანა არს? უკუეთუ არა, საქმეთა ამათგან გრწმენინ ჩემი“ (იოანე 14, 10-11);

ხოლო წმიდა მოციქული პავლე შეგვაგონებს: „**თავნი თვსნი** გამოიცადენით, უკუეთუ ხართ სარწმუნოებასა შინა. **თავნი თვსნი** განიკითხენით. ანუ **არა უწყნითა თავნი თვსნი**, რამეთუ **იესუ ქრისტე თქუნდ შორის არს?** გარნა თუ გამოუცდელ რადმე ხართ“ (2 კორინთელთა 13, 5; სამოციქულო 2006, 463).

\* ამავე შესიტყვება-ტერმინთა მეორე კომპონენტის („**მოყვარეობის**“) სემანტიკით განჭვრეტილი ის **სიყვარული**<sup>1</sup> – „დედად ყოველთა სათნოებათა“ (რომაელთა მიმართ 13, 8), რომელსაც მაღლიერებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა განვიცდიდეთ ზეციერი შემოქმედის წინაშე, რამეთუ ეს უზენაესი პატივი და ღირსება მან თავისი გამოუთქმელი მამამვილური სიყვარულისა და მზრუნველობის ნიშანსვეტად გვიბოძა.

**თავის-მოყვარეობის** შემაჯამებელ ფორმულირებაში წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი სწორედ ამის დასტურად მოიხმობს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის კეთილცნობიერ სწავლებას: „... შენ **ღმერთმა ჴვილად** აღგიყვანა, როგორც იტყვის ღვთის მეტყველი იოანე: „რაოდენთა-იგი **იესო ქრისტე** შეიწყნარეს, მისცა მათ ჴელმწიფებად **ჴვილ ღმრთისა** ყოფად, რომელთა ჴრწამს სახელი მისი (იოანე 1,12)“ (შდრ.: რომაელთა მიმართ 8, 14-16).

ზემოთ წარმოდგენილი თხზულფუძიანი **თავის-მოყვარეობისა** და **პატივის-მოყვარეობის** პირველ შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, იოლად ამოიცნობა ამ ტერმინთა სემანტიკაში უკუფენილად აღბეჭდილი **ღვთის ნებისა** და **კაცობრივი ნების** თანამოქმედება, ანუ **სინერგია** (← ძვ. ბერძნ. συναργία „თანამშრომლობა“), კერძოდ:

ერთი მხრივ → ჩვენთვის ჴეგარდმო ბოძებული **ხატი და მსგავსება – ძე ღმერთისა** (რომელიც ხატია მამა ღმერთისა) და, მეორე მხრივ ← ამ უზენაესი პატივის ღირსეულად **პატრონობა – ჩვენ მიერ**.

მსგავსად ამისა უნდა განისაზღვროს ქართ. ცნება-ტერმინიც **თავის-მოყვარე** – მნიშვნელობით: „ის, ვინც მაღლიერებით იღებს და კეთილგონივრულად ჴპატრონობს **საკუთრივ მისთვის** (ანუ **თავის**) ჴეგარდმო მონიჭებულ **ხატსა და მსგავსებას**“, და არა ოდენ „**მეს**“ – საკუთარ თავს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შდრ. ძვ.ქართ.: **მოყვარე** – „მოყუასი“, «მიყუარი», «საყუარელი», «მეგობარი»; მოყუარული. ვისაც უყვარს (ვინმე, რაიმე); მეგობარი“ (აბულაძე 1973; სიმფონია-ლექსიკონი 2009); **მოყვარი** – „მეგობარი“, «მოყუარე» (აბულაძე 1973) და **თავის-ყოფელი** „პ ა ტ ი ვ ი ს ა ნ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს მწყალობელი; პატივისმცემელი; მდაბალი“ (სარჯველაძე 2001);

ასევე, შდრ. ახ.ქართ.: **სიყვარული** – „ვისიმე ან რისამე მიმართ ერთგულების, თავდადების, კეთილგანწყობის გრძნობა, გამოწვეული მისი მაღალი ღირსების აღიარებით“ (ქეგლ 1958,V); **მოყვარე** – „ახლობელი, კეთილის მდომი, კეთილმოსურნე, მოკეთე“ და **მოყვარეობა** – „რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: ცნობის-მოყვარეობა. სტუმართ-მოყვარეობა. თავ-მოყვარეობა“ (ქეგლ 1958,V).

<sup>2</sup> ამ მხრივ, საგულისხმოდ წარმოდგება „**თავ**“ და „**თვთ**“ კომპონენტთა ალტერნატიული (ურთიერთდაპირისპირებული) სემანტიკური ფუნქციონირება ძველ ქართულში:

ა) **თავით თვისით**, **თვისით თავით**, **თავისთავით**, **თვთ** – „თავად; თვითონ“, **თავისთავ** – „დამოუკიდებლად; ცალკე“; **თვთნება** – „ურჩი,თავნება“, **თავის-თავ**, **თვსა**, **თვსაგან**, **თვსად თანად** – „ცალკე, მარტო[დ]“, **თვს-თვს[ად]** – „ცალ-ცალკე“. **თვთმობრავი** „თავისით მოძრავი“ და სხვ. (← ანუ – „ღვთის გარეშე“);

ბ) **თავი**, **თავი თვისი** – „გული; გონება; გული თვისი“, «სული თვისი», «სული», **თვისი** – „თავისი; მახლობელი, თავისიანი; დამახასიათებელი“, **თვსება**, **თვსობა** – „მსგავსება; ნათესაობა; ბუნება“, უწინარესად კი **თვსთ-მოყვარება** – „ახლობელთა სიყვარული“ და სხვ. (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

ამასთან, ამ შესიტყვება-ტერმინში საკუთრივ „თავი“ შეიცავს – ადამიან-ში უხილავად დამკვიდრებული **მისა და სიტყვისა ღვთისას, იესო ქრისტეს ხატის** („მოაზროვნე, გონისმიერი სულის“) და **მსგავსების** (თავისუფალი ნებით სათნოებათა განხორციელების) მნიშვნელობას; „**მოყუარე**“ კი – საღვთო სიყვარულით აღსავსე იმ ადამიანზე გვითითებს, რომელზეც მეორე უმთავრეს ქრისტიანულ მცნებაშია თქმული: „**შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი**“ (მათე 10,27; მარკოზი 12,31), ანუ იგულისხმება ის, ვინც აღასრულებს ქრისტესმიერ ოქროს კანონს: „**ყოველი რომელი გინდეს თქვენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ**“ (მათე 7,12-14)<sup>1</sup>.

ამგვარად თვალსაჩინოვდება ქართ. **თავის-მოყვარეობისა და პატივის-მოყვარეობის** თავდაპირველი საღმრთო **რ ჯ უ ლ ი ს მ ი ე რ ი** შინაარსი და სემანტიკა, ანუ ის კეთილის-ყოფელი დამოკიდებულება და ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის, რასაც მართლმორწმუნე ქრისტიანი უცილობლად უნდა განიცდიდეს და მისკენ დაუცხრომლად ისწრაფოდეს – **სიტყვითაც და საქმითაც**.

#### ❖ **თ ა ვ ი თ ვ ს ი – „თ ა ვ ი არს კაცთა ქრისტე“**

და აი, ჩვენ მივყავართ წინამდებარე საანალიზო საკითხის უმნიშვნელოვანეს – დასკვნით ნაწილს, კერძოდ: „**თავის**“ სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკის კონკრეტულ მახასიათებელთა ამოცნობას ძვ.ქართ. თხზულებულში – **თ ა ვ ი თ ვ ს ი, თ ა ვ ი ს-მოყუარება** და **თ ა ვ ი ს-უფლება**.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოა საკუთრივ **თავის** სულხან-საბასეული სალექსიკონო განმარტება: „**თ ა ვ ი** არს **კაცთა ქრისტე**“ (სულხან-საბა 1991), რომელიც წმიდა პავლე მოციქულის მიერ საგანგებოდაა აღბეჭდილი ეფესელთა და კოლასელთა მიმართ ეპისტოლეებში, შდრ.:

„არამედ ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყუარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს **თ ა ვ მისა ქრისტე**, რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უხუები-სადათა შეწევნისაებრ საზომისა თვთოეულისა ასოდსა; სიორძილსა მას გუამისა-სა ჰყოფდით **აღსაშენებლად თ ა ვ ი ს ა თქუენისა სიყუარულით**“ (ეფესელთა მიმართ 4, 15-16).

<sup>1</sup> შდრ. აშკარად **ქრისტიანული სათქმელით მოსილი ქართული ანდაზები**: \* „ვინც **თავის თავის პატივი** არ იცის, არც **სხვისი პატივი** ეცოდინებაო“; \* ვინც **თავი** არა სთქვა, ზოლო არ იყოო. \* რაც მოგივა **დავითაო**, ყველა შენი **თავითაო**. \* სიფრთხილეს **თავი** არა სტკივაო.

და ასევე, **აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“**: \* „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, **თავსა** ახლად ვერვინ იშობს“; \* „ვინ მოყვარესა არ ემებს, იგი **თავისა** მტერია“; \* „თუ **თავი** შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“; \* „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა **თავისა** მტერია!“ \* „მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს **თავისისა** სისხლის მხვრეტსა“. \* „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი **თავსა** ივნებს“. \* „ხამს მოყვარე მოყვრისათვის **თავი** ჭირსა არ დამრიდად, გულის მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. \* „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა. **თავისისა** ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“.

ეკლესიის წმიდა მამათა განმარტებით (სამოციქულო 2006: 568-569), ამ ეპისტოლეში მკაფიოდაა გამოხატული წმიდა პავლე მოციქულისეული ქადაგებრივი და განმამტკიცებელი **კონკრეტული მიზანი**, კერძოდ: ეფესოს მკვიდრნი, „დაბნელებულნი გულითა“, განამზადოს ქრისტე ღმერთის სარწმუნო მოძღვრების კეთილგონივრულად გაცნობიერებისა და მიღებისათვის, რათა ისინი არა სიძულვილით, არამედ – **სიყვარულით** ესწრაფოდნენ და ურთიერთშეზავებულად მისდევდნენ – **ქრისტესმიერ ჭეშმარიტ სიტყვას, რჯულსა და კეთილმოქალაქობას**, რამეთუ: ქრისტე არს „**თავი იგი ჩუენ, ყოველთა**“ (სამოციქულო 2006: 569).

ამ დიდებული საღვთისმეტყველო სიმბოლოთი – „**თავი** (იგი)“ – გამოითქმის ქრისტესმიერი ჭეშმარიტი სიტყვის ის „**სულიერი სიმაღლე და ძალა**“<sup>1</sup>, რომელიც ღვთის მსგავსებასთან მისახლეობად ისევე გამოზრდის ჩვენთვის ღვთივბოძებულ ხატებას (resp. გონებას), როგორც **თავი** წინამძღვრობს ჩვენი ხორციელი სხეულისა და გრძნობის ორგანოთა ჯეროვან ფუნქციონირებას (იქვე)<sup>2</sup>.

აქვე შევნიშნავთ ძვ. ქართ. **თავის** ილია აბულადისეული ლექსიკოგრაფიულ-ლექსიკოლოგიური არჩევანის თაობაზე, კერძოდ: „**თავი, თავი თვისი** – «სული თვისი», «გული თვისი», «სული», გული, გონება“ (აბულაძე 1973). ვფიქრობ, განმარტებაში წარმოდგენილ რედაქციულ ვარიანტებს ქართველი ლექსიკოგრაფი სამართლიანად მიაკუთვნებს როგორც საკუთრივ ძვ.ქართ. ცნებას **თავი**, ისე ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინს **თავი თვისი**, რაც გამოიხატება ქრისტიანული მოძღვრების ბურჯად აღიარებული მეორე მთავარი მცნების განმსაზღვრელი სინტაქსური სემანტიკებით («სული თვისი», «გული თვისი» და „გონება“).

#### ❖ **თ ა ვ ი თ ვ ს ი – თ ა ვ ი ს -უფლება:**

ქართული სიტყვის მადლმოსილებისა და „სულიერი ღირსების“ კიდევ ერთ დასტურად გვესახება ყველასთვის ტკბილი, სანატრელი სიტყვა – **თავი-სუფალი**.

ძვ. ქართ. პოლისემანტიკური **თავისუფალის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს შეადგენს სამი მაგისტრალური სემანტიკური მიმართულება: **I.** „საკუთრივ თავისუფალი“, **II.** „რაიმესგან ან ვინმესგან თავისუფალი“ და **III.** „საგანგებო (მაღალი) სოციალური სტატუსის მქონე“, სადავ თავს იყრის სემოერთეულები: „თავისუფალი“; „განთავისუფლებული“; „რაც ენებოს, ქნას“; „არავისი მონა“; „წარჩინებული“; „დიდგვაროვანი“; „აზნაური“; „კეთილმოზილი“; „უპატრონო“.

<sup>1</sup> შდრ.: ძვ. ქართ. **ჰასაკი**, [ჰ]ასაკოვანი „ძალა; სიმაღლე, მაღალი“ და **ჰასაკითა სრული, კეთილდიდი** „სიკეთით სავსე“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

<sup>2</sup> შდრ., ასევე: „**იგი თავადი არს ყოველთა წინა**, და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა. და იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისად, რომელი არს დასაბამი, პირმშობი მკუდრეთით, რაჟათა **იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ**“ (კოლასელთა მიმართ 1, 18; იხ.: ეფესელთა მიმართ 5, 23; კოლასელთა მიმართ 2, 10).

რაც შეეხება ქართ. **თავის-უფალის** მეორე კომპონენტს – „**უფალი**“, ძველ ქართულში იგი ორი სემანტიკური მიმართულებით წარმოდგება:

ა) მისი თავდაპირველი, ამოსავალი მნიშვნელობა – მაღალი წოდების, პატივისა და ქონების მქონებელი – „პატრონი“, „ბატონი“, „უფროსი“, „ნახარარი (წარჩინებული)“, მათგან „**პატრონი**“ და „**ბატონი**“ წმიდა წერილში თანაბარი სიხშირით ნაწილდება;

ბ) მოგვიანებით განვითარებული სემანტიკა: „მფლობელი (ყოველთა)“, „ღმერთი (ზეციერი პატრონი, ბატონი)“, „დამბადებელი; შემოქმედი (ყოვლისა და ყოველთა)“, „მეუფე (ზეციერი)“, „ქრისტე“.

საკუთრივ სიტყვა **უფალს** უკავშირდება სხვა არაერთი მშვენიერი ქართული სიტყვა:

**უფლება, უფლებანი, უფლო, უფელწი, ნაუფლარი, საუფლო, სუფევა, სასუფეველი, ფლობა, მფლობელი, სამეუფეო, სამეფო, დედოფალი, ნეფე, უფალ-ყოფა, უფლის(ა)მოყვარე, უფლისწული, ძალაუფლება, პურისუფალი, კელისუფალი, კელთუფალი, ჭირისუფალი** და მრ. სხვ.

მათგან „თავისუფლებას“ ძველ ქართულში აღნიშნავდა **უუფლო**, ასევე, ძვ. ქართ.: **უმეუფო, ნებებითი, ნებიერი, თვითმფლობელი, თვითკელმწიფე, აზნაური, აზატი, თარხანი**.

წარმოდგენილ ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში ჩვენს ყურადღებას ამჯერად იპყრობს ძვ. ქართ. **უუფლო** (იხ.: ლლონტი 2019), რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა როგორც „უპატრონოს“, ისე „თავისუფალს“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001). **უუფლო** საგულისხმიეროდაა ჩაწერილი წმიდა წერილში, კერძოდ, ძველ აღთქმაში, წმიდა იერემია წინასწარმეტყველის წიგნში. უფალი ღმერთი იერემია წინასწარმეტყველის პირით იმის გამო გამოხატავს თავის გაკვირვებას, რომ ისრაელიანებმა არ შეისმინეს უფლის ნამცნები, მაღლიერებით არ მიიღეს უფლის წყალობა და, რაც ყველაზე შემადრწუნებელია – აღარ ინდომეს უფალთან ყოფნა: „იტყვს უფალი: უდაბნო ნუ ვექმენ სახლსა ისრაელისასა, ანუ ქუეყანა დაყამირებულ? რადასათვს თქუა ერმან ჩემმან: და **უუფლო ვიყვნეთ** და შენდა არღარა მოვიდეთ მერმე?“ (იერემია 2, 31).

უფალი ისრაელ ერს ყველაზე მძიმე ცოდვაზე უთითებს: „**უუფლო ვიყვნეთ**“, ანუ უფლის გარეშე (\*უ-უფ[ა]ლ-ო-დ) ვიქნებითო, ანუ – მათ უარი თქვეს უფალზე, თავიანთ ზეციერ პატრონზე, და ღვთის ნებისებრ მორჩილებას ამჯობინეს თავის ნებაზე ყოფნა (შდრ. ამ შესიტყვების – „**უუფლო ვიყვნეთ**“ – ძველი რუსული თარგმანი: „мы сами себе господа“), რაც იმას ნიშნავს, რომ ერმა საკუთარი თავის უფლად – საკუთარივე თავი განაგო.

იერემია წინასწარმეტყველის წიგნიდან მოხმოვილ ამონარიდში ძველი ქართული სიტყვა **უუფლო** უაღრესად თავისებური, ჩვენთვის საგულისხმებელი სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკით წარმოდგება, კერძოდ: ვისთვისაც უფალი არ არის ზეციერი პატრონი, იგი **უუფლოა** (უ-უფალ-ო-ა) – „უპატრონოა“, ვინაიდან საკუთარი ნებით ითავისუფლებს თავს უფალი ღმერთისაგან, **თვითონვე** რჩება **საკუთარი თავის უფლად** თუ პატრონად, და ამდენად



არის – **უფლო**, ანუ თვითრჯულობას აყოლილი, რაც გაუგონარ კადნიერებად შეირაცხება ღვთის წინაშე, შდრ.: ძვ ქართ.: **თვთ-უფალი** „კადნიერი“ და **თვთ-უფლება** „კადნიერება“ (სარჯველაძე 2001).

**თავისუფლების** ამგვარი სემანტიკური გააზრება, ცხადია, კერძო ხასიათისაა.

თუმცა, საკუთრივ ქართული თხზულებუმიანი **თავის-უფალიდან** (← კუთვნილებითი, უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავის(ი) + უფალი**), სამწუხაროდ, მავანთა მიერ დღემდე ზედმიწევნით ამოიკითხება უმართებულო, ოდენ საწუთისოვლო სემანტიკა: „ის, ვინც საკუთარი თავის უფალია, დამოუკიდებელია, არანაირ იძულებასა თუ ძალდატანებას არ განიცდის“; „ვინც დაკავებული არ არის (საქმით...)“, „ვისაც ან რასაც არაფერი აფერხებს, არ ზღუდავს“; „რაც დაუბრკოლებლად, შეუფერხებლად ხდება“ – რაც იმას ნიშნავს, რომ ქართ. ცნება-ტერმინ **თავისუფალის** შინაარსი და მისი ფუნქციური სემანტიკა შევიწროვდა და მხოლოდ ხორციელი აზრითა და შინაარსით შემოისაზღვრა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულად ფასეულია ქართ. **თავისუფალის** ის ლაკონიური სალექსიკონო განმარტებანი, რომელთაც ახლავს ჩვენს ქართველ ლექსიკოგრაფთა მრავლისმეტყველი საილუსტრაციო მასალა წმიდა წერილიდან:

„**თავისუფალი** – არა ვისი მონა (1 კორინთელთა მიმართ 9, 19; მათე 17, 26)“ (სულხან-საბა 1991; დ. ჩუბინაშვილი 1984; ნ. ჩუბინაშვილი 1961). ცხადია, მითითებული საღვთისმეტყველო საილუსტრაციო მასალით ქართველი ლექსიკოგრაფები მიგვანიშნებენ ქართ. **თავისუფალის** თავდაპირველ, ამოსავალ სემანტიკას.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თხზული ქართული ცნება-ტერმინი **თავის-უფალი**, მისი **თავდაპირველი სემანტიკით**, მისტიკურად იტევს თავისუფლების იმ ჭეშმარიტ ქრისტიანულ შინაარსს, რომელსაც განაპირობებს როგორც კომპონენტი „**თავის**–“ ზემოთ წარმოჩენილი **რჯულისმიერი** სემანტიკით: „ზეგარდმო მონიჭებული **ქრისტე ღმერთის ხატი და მსგავსება**“, ისე მეორე კომპონენტი „–**უფალი**“, თავდაპირველი მნიშვნელობით: „(ზეციერი) პატრონი“.

ასე რომ, ჭეშმარიტად **თავის-უფალი** იგია და ჭეშმარიტი თავისუფლებითაც ის იმოსება, ვინც საკუთარ „წადილთა ნებას“ (შოთა რუსთაველი) კეთილგონიერულად დაუფლებია და **რჯულისაებრ** იმგვარად წარმართავს, როგორც ქრისტე ღმერთის **ხატისა და მსგავსების** ღირსეულ **პატრონს** შეჰფერის. მხოლოდ ამგვარ თავისუფლებას ზიარებული ადამიანი თავისუფლდება ცოდვათა მონობისგან, რასაც წმიდა სახარებაში უფლის მიერ ნამცნები გვიდასტურებს:

„**და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ... ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვამ, მონამ არს იგი ცოდვისამ... უკუეთუ მემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ**“ (იოანე 8, 32. 36); შდრ.: „**მონამ ვარი და არა თავისუფალი მეუფისა ქრისტესი** (ბალ. 86, 22)“ (აბულაძე 1973).

მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამანიც ამას გვიმოწმებენ კეთილგონიერი შეგონებებით:

„რაკი **გონება** იღებს გადაწყვეტილებებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა კეთილსა და ბოროტს შორის **არჩევანის მიღებისას**, ვინაიდან: „როცა **გონება** თავს უდრევს **ღმერთს**, ხორციც მაშინ ემორჩილება“; „ადამიანის არამატერიალური **სული** ის გრძნობადი ტამარია, რომლის მღვდელმთავრად (არქიელად) ღმერთმა **გონება** დაადგინა“ (წმიდა მაქსიმე აღმსარებელი (კუზნეცოვი 2017: 43)<sup>1</sup>.

„ღმერთის საქმეა, მოგანიჭოს **მადლი**, შენი მოვალეობა კი **ამ მადლის** დაცვა, შენარჩუნება და გამრავლება“ (წმიდა კირილე იერუსალიმელი – იხ.: ანტონი დიდი).

„ადამიანი ქმნილებაა, მაგრამ ღმერთისგან ნაბრძანები აქვს, **განღმერთობა მადლის მიერ**“ (წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველი – იხ.: ანტონი დიდი).

ამასვე გვიდასტურებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, **უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე**:

„**თავისუფლება** ნიშნავს, გქონდეს იმდენი **სულიერი ძალა**, რომ უხელმძღვანელო **შენს თავს**“, რამეთუ: „ღვთისა და ადამიანის შეერთებულ ძალას, რომელსაც სინერგია ეწოდება, ყველაფერი შეუძლია“ (ილია მეორე 1997-II: 405).

**დასასრულ**, კვლავაც გავიხსენოთ **წმიდა ილია მართლის** (ჭავჭავაძის) მიერ **წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის** (ქიქოძის) ღვთივმიმადლებული სამღვდელო სიტყვისა და საერო საქმის დიდებული შეფასება, რომლითაც საკვირველი სარწმუნოებით აღიბეჭდება დღეისათვის უსამართლოდ მივიწყებული საუკუნოვანი დებულება **ცოდნისა და რწმენის – მეცნიერებისა და სარწმუნოების** შერიგება-გაერთიანების“ აუცილებლობაზე, მის კეთილნაყოფიერებაზე:

„მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო, თუ სამღვდელო, – რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-მომობით **ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება**.

განსვენებული ღრმად-მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მართო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურთიერებლნი და მოუთავსებელნი არიანო. **იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა**.

ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს: „**ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე –**

<sup>1</sup> შდრ.: „ჯერ-არს დამორჩილება **გონებისათვისცა** იქვსა“ (რომაელთა მიმართ 13,5); „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა **გონებანი გონიერსა!**“ (რუსთაველი); „ამას მართო **თვალი გულისა-და** თუ ხედავდა და **ყური გულისა-და** თუ ისმენდა, თორემ ხორციელი ხედავდა ამისთვის უღონო იყო“ (წმიდა ილია მართალი).

**ვერ დაინახავ**“... ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელს ხიდსა სწნავს მარტო **სიბრძნე**, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის-სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა **მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ზედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუზღალავად და დაუმონებლად**. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვა-ნი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, **ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის**. პირიქით, **იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა**, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული... **კაცთათვის მსახურება მსახურება ღვთისაო**, – ამას მარტო **ღრმადმეცნიერული სარწმუნოება** იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს“ (ილია მართალი 1987: 420-421).

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ადიშის ოთხთავი 2003** – ადიშის ოთხთავი, 897 წლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს: ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ; ზურაბ სარჯველძის საერთო რედაქციით. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი.

**ანტონი დიდი** – წმ. ანტონი დიდი, ადამიანთა ზნეობისა და სასიკეთო მოღვაწეობის შესახებ, იხ.:

[file:///C:/Users/Dodo/AppData/Local/Temp/Rar\\$DIa16372.3678/მმეცნიერებათ-მცყვარეობა.pdf](file:///C:/Users/Dodo/AppData/Local/Temp/Rar$DIa16372.3678/მმეცნიერებათ-მცყვარეობა.pdf)

**ბასილი დიდი 1996** – წმიდა ბასილი დიდი, სწავლანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, გვ. 161-189, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.

**ბიბლია 2015** – ბიბლია, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „ქრონიკონი“, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბაქარ გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა – მ), „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა“, თბილისი.

**გლადკოვი 1913** – В. И. Гладков, Толкование Евангелия, С.Петербург, Издание автора.

**გრიგოლი ნოსელი 2013** – წმიდა გრიგოლ ნოსელი, „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბილისი.

**დამასკელი 2000** – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სა-რწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**ეპისკოპოსი გაბრიელი 1913** – ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გა-ბრიელისა, თქმულნი 1860-1970 წლებში, ტომი პირველი, ქუთაისი.

**ეპისკოპოსი გაბრიელი 1913-ა** – ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გა-ბრიელისა, თქმულნი 1870-1980 წლებში, ტომი მეორე, ქუთაისი.

**ილია მეორე 1997-II** – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, ეპისტოლეონი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი II, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.

**ილია მართალი 1886** – საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივე-რია, 1886, №1, იანვარი 1, ოთხშაბათი, გვ. 2.

**ილია მართალი 1987** – ილია ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული გაენათის მო-ნასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს, რჩეული ნაწარმოებე-ბი ხუთ ტომად, ტომი IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, გვ. 419-424.

[იხ.:<https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/12/07/gaenathis-monastershi-gabriel-episkoposis-dasaflavebis-dghes/>

**კუზნეცოვი 2017** – Священник Максим Кузнецов, Природа человека в богословии и преподавании Максима Исповедника, Московский Патриархат Русская Православная Церковь. Пензенская Митрополия Пензенская духовная семинария Научно-богословский журнал, Выпуск 3 (1), Пенза, გვ. 39-44.

**ლოპუხინი 1911-1913** – Толковая Библия, А. П. Лопухина, 1, Петербург, 1904-1907; 3, 1911-1913.

**მათეს სახარების განმარტება 1998** – მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით, I-XIV თავი, მასალის შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი წილკნელი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი.

**ორჟონია 2017** – ირაკლი ორჟონია, ქრისტიანული ანთროპოლოგია, სა-მეცნიერ-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“, №1, გვ. 23-42.

**ორჟონია 2018** – ირაკლი ორჟონია, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმი-მართების შესახებ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „რელიგია“, №19, გვ. 72-92.

**ოქროპირი 1998** – წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარე-ბისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვთიმე მთაწმიდელისა, წიგნი III, თბილისი.

**სამოციქულო 2006** – სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი.

**სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**სიმფონია-ლექსიკონი 2009** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს, შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**სულხან-საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

**სულხან-საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

**ქეგლ 1955-IV** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტომი IV, თბილისი.

**ქეგლ 1958-V** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტომი V, თბილისი.

**ქეგლ 1960-VI** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტომი VI, თბილისი.

**ღლონტი 2019** – მედეა ღლონტი, ცნება „თავისუფალის“ ქართულენოვანი არჩევანი (კომპონენტ „თავის“ სემანტიკური ფუნქციისათვის): ჩერქეზული კულტურის ცენტრი, IV სამეცნიერო სესია, „ტრადიციული კულტურულ-ლინგვისტური მივბანი“, თბილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ნ. ჩუბინაშვილი 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

MEDEA GHLONTI

**On the Substantive-Functional Semantics of the  
Georgian Word *tavi* “Head”**  
(As a Proof of Blessing of the Georgian Word)

S u m m a r y

Even in pagan times, the idea was expressed that the origin and original cause of a person's perfection is their own **"Self"** (**sakutari tavi**). But, by the will of the all-merciful heavenly Creator, the humanity immersed in sin learned that this **"Self"** is, in fact, the image and likeness of the **Son** and **Word of God, Jesus Christ**.

In order to express this God-given surprising mercy, in the early Christian era, our creator of words chose the Old Georgian syntagm-term **tavi twisi** **"their own self"** that has been established in the ancient Georgian translation of the Holy Scriptures with such successful productivity.

The subject of the present work is the motivation for choosing the Old Georgian syntagm-term **tavi twisi**, as well as an attempt to analyze the original Christian meaning of the substantive-functional semantics of the word **tavi**, which is reliably reflected in the Holy Scriptures and the exegesis of the Holy Fathers of the Church.

ნატო შავრეშიანი

**ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებები  
სვანურში**

სამეცნიერო ლიტერატურაში შერწყმული წინადადების სახელწოდების შესახებ არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული, სხვადასხვა მკვლევართან სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული, თუმცა უმეტესობა ტერმინს – შერწყმული წინადადება – ანიჭებს უპირატესობას: „ერთგვარწევრებიანი წინადადებების აღსანიშნავად ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყენებული იყო ტერმინები: გაერთიანებული, შეერთებული, შერთული და ბოლოს შერწყმული წინადადება. ზოგი მკვლევარის თვალსაზრისით, სინონიმური მნიშვნელობის ტერმინად არის მიჩნეული „შერწყმული“ და „ერთგვარწევრებიანი“ წინადადება“ (აბესაძე 1976: 15).

არნოლდ ჩიქობავასთან ერთგვარწევრებიანი წინადადების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი შერთული, ხოლო ტერმინი „შერწყმული წინადადება პირველად ქართულში ა. შანიძემ იხმარა თავის სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში“ (კვაჭაძე 1977: 229).

„შერწყმული წინადადება ფართოდ არის გავრცელებული ენაში, იგი ძველ ქართულშიც გავრცელებული სინტაქსური კონსტრუქციაა. შერწყმული წინადადება მოხდენილი სინტაქსურ-სტილისტიკური საშუალებაა აზრის გადმოსაცემად; ერთგვარი წევრები უფრო სრულად, ამომწურავად გადმოსცემენ გადმოსაცემის შინაარსს, ამლიერებენ წინადადების სემანტიკურ მხარეს, მის ექსპრესიულობასა და ემოციურობას“ (იქვე: 225).

მეცნიერთა ნაწილი ამ ტიპის წინადადებებს ან მარტივ, ან რთულ წინადადებებთან აიგივებს: „შერწყმული წინადადება წარმოადგენს მარტივ და რთულ წინადადებათა საშუალო საფეხურს: სტრუქტურულად იგი მარტივსაც შეესაბამება და რთულსაც უახლოვდება, ამიტომ მას ხშირად ცალკე ტიპად არც კი გამოყოფენ: აიგივებენ ან მარტივ, ან რთულ წინადადებასთან“ (კიზირია 1953: 203).

სვანურში, ისევე როგორც ქართულში, სრულადაა წარმოდგენილი შერწყმულ წინადადებათა შემდეგი ჯგუფები: ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარდამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, ერთგვარგარემოებიანი და ნარევი. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცე-

ლებული მოსაზრების თანახმად, სვანურში იშვიათაია ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები: „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით ნაკლებად – ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათია, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის“ (აბესაძე 1976: 115).

ჩვენ მიერ განხილულმა მასალამ აჩვენა, რომ სვანურში არცთუ იშვიათია ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები. ერთგვარგარემოებიანი წინადადებების შესახებ ჩვენ უკვე ვიმსჯელებთ (იხ. შერწყმული წინადადებისათვის სვანურში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2018: 137-146) და ამჯერად წარმოვადგენთ ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებების ანალიზს სვანურის ოთხივე დიალექტისა და ჩოლურული მეტყველების მონაცემების გათვალისწინებით.

ერთგვარი წევრები ძირითადად ერთი და იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა; მათ გრამატიკული ფორმაც ერთი აქვთ. მაგრამ, ვინაიდან ერთი და იგივე წევრი სხვადასხვა მეტყველების ნაწილით და სხვადასხვა ფორმით შეიძლება გადმოიცეს, ერთგვარი წევრები ზოგჯერ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნება და ერთმანეთისგან ფორმითაც განსხვავდებიან.

„რამდენიმე განსაზღვრება ერთგვარია, თუ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საზღვრულთან და ერთნაირად მიემართება მას, ერთმანეთს უერთდებიან მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ – მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაციით“ (კვაჭაძე 1977: 244)

როგორც ცნობილია, განსაზღვრება შეიძლება იყოს ატრიბუტულიცა და სუბსტანტიურიც. შესაბამისად, შერწყმული წინადადებაც ან ერთგვარ ატრიბუტულ განსაზღვრებათა, ან ერთგვარ სუბსტანტიურ განსაზღვრებათა შემცველია.

საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, რომ სვანურში ხშირია ერთგვარ ატრიბუტულ განსაზღვრებათა შემცველი შერწყმული წინადადებები.

ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები ასახელებენ საზღვრულით გადმოცემულ საგანთა ერთი რიგის განმასხვავებელ ნიშნებს, ან ერთი და იმავე საგნის ნიშან-თვისებას. ისინი უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულს და ერთნაირად მიემართებიან მას:

ამჟრნ სოფელისგა ეშხუ-მორი მეზგე ჩიძაგ ხეგედ **ლეფშირ** ი **ჯუინელ** (სვან. ქრესტ., 1978:28) „ასე სოფელში ერთი-ორი ოჯახი ყველგან ერია ხალხმრავალი და ძველი“

ეშხუ მაჩენე ი **მაშენე** დონა ქ'ნწკად (სვ. პრ. ტექსტ., I, 1939: 92) „ერთი საუკეთესო და ყველაზე უფროსი გოგო გამოიყვანა („გამოიტანა““



ჰეცერ **ნაკ** ადგილ ლი, **მეფხე** ი **ხოჩა** (სვ. პრ. ტექსტ., II, 1957: 121) „ეცერი ვაკე ადგილია, გაშლილი და კარგი“

მერზა გუნ **ლკმზ** ი **ხოჩა** მეთხუტრ ლემარ (სვან. ქრესტ., 1978: 195) „მირზა ძალიან ძლიერი და კარგი მონადირე ყოფილა“

აშხუ აგის ჟწნთხეხ **ლერექუტლ ლეტრეკუტე** ი **ჩუ ლუსოყე** (სვ. პრ. ტექსტ., III, 1967: 72) „ერთ ადგილას იპოვეს ტანსაცმელდახეული და გაგიჟებული“

ჩუასოხუტიდახ მიჩა ლახუბა **მაფრალ** ი **მნადარ** (იქვე:169) „დახვდნენ თავისი ძმები მწყურვალი და შშიერი“

ფეტურალ დიარ სურუ **მეშხე** ი **ხგი** ლი ლეზობდ (სვ. პრ. ტექსტ., IV, 1979: 188) „ფეტვიანი პური ძალიან შავი და მაგარია საქმელად“

ხოხრა დინა ხეყნდახ **ლეთორ** ი **ლემხალ** (ლშხ.) „უმცროსი გოგო ჰყავდათ ნასწავლი და გონიერი“

**ლემნაჟ** ლესდი ლას: **კლანთხი** ი **წყაზარ**, **ლკმზ** ი **ლემსგუტენ** (ჩოლ.) „კარგი შესახედავი იყო: მაღალი და მწყაზარი, ძლიერი და შშვენიერი“

გირკტან ხეჰამ **წერნი** ი **თუეთნე** ზოლარ (ჩოლ.) „ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა წითელი და თეთრი ზოლები“...

წინადადება შეიძლება შერწყმული იყოს რამდენიმე ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრების მიხედვითაც:

ჯუესერ მიჩა **უსესები** ი **ხადრ** მესმე მუხუბე ხერი (სვ. პრ. ტექსტ., I, 1939:92) „შენ ჩემი უსუპის და ხადრის მესამე ძმა იქნებიო“

მელგიმალ მეზგე **კირი** ი **ქუიშემ** ლამაჯაჟი ნადარსი იწენე (სვან. ქრესტ., 1978: 197) „მშენებელი ოჯახი კირის და ქვიშის ზიდვისას ნადებსაც იშველიებს“

ალ კოლექტიუს ხაყა მენგერე **კუმში** ფერმა ი **დაჯარემ** ი **ხამარემ** (იქვე: 17) „ამ კოლექტიუს ჰყავს მსხვილფეხა საქონლის ფერმა და თხების და ღორების“

**ცხეკუი** ი **მიმლი** ლელუს დარ იზბი (სვ. პრ. ტექსტ., IV, 1979: 29) „ქორისა და მიმინოს ხორცს არავინ ჰამს“

მეგმი ქორი ლაგემდ მაჩენე ლი **ლუმური** ი **ცაირ** მეგემ (ლშხ.) „ხის სახლის ასაგებად საუკეთესოა ნამვის და თელას ხე“

**დინოლარემ** ი **ჰყინტოლარე** ლერექუ ხეკუტეს დომ ათერნ ჩუ?! (ჩოლ.) „გოგოების და ბიჭების ტანსაცმელი ვერ უნდა გაარჩიო?!“

სგირის ხარ ყორ **მარემი** ი **ქუინემგენე** ლაზელალდ (ჩოლ.) „ქვედა სათულს აქვს კარი ადამიანის („კაცის“) და საქონლის სასიარულოდ“...

სვანურში იშვიათად ერთგვარ წევრებად შეიძლება მოგვევლინოს ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებები ერთად:

ნაფანუნდ **ხოჩა** ი **ფიშირ შუმი** ლეზეხ ხეკუტეს ხულუანდებ (სვან. ქრესტ., 1978: 174) ზედმიწ. „დასადგმელად კარგი და ბევრი სახეობის საქმელი უნდა ჰქონდეთ“

დემ ლი **ხოჩა მეკრიან**, **გალბირიან**, **მახლიან** ი **ხოჩა ლესგდი** ლნადრ (სვ. პრ. ტექსტ., IV, 1979:251) „ვერ არის კარგი გაგებული, გონებიანი, მცოდნე და ვერც კარგი შესახედაობის აგრეთვე“

**ფეთიან** ი **ხოლა მანკი** ჩაჟ დემ იმარგ ამკალიბი ლაჩომჟი (იქვე:160) „ფეთიანი და ცუდი ზნის ცხენი ვერ გამოდგება ასეთის კეთებისას“

ხოჩა ლგზნანე ზურალ **ლუგტარ, მუსკუტენ** ი **ხოჩა ფერიშ** ლი (ჩოლ.) „კარგი მოვლილი ქალი მსუქანი, სრულყოფილი და კარგი ფერისაა“...

როგორც ცნობილია, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვის თვალსაზრისით სვანურის დიალექტებს შორის არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს, რაც ერთგვარ განსზღვრებებთანაც აისახება. ბალსზემოურში, ლაშხურში, ლენტეხურსა და ჩოლურულში პრეპოზიციულ მსაზღვრელებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სრული სახით წინა პოზიციებზე მყოფებს დაერთვის, ხოლო უკანასკნელს კი, რომელიც უშუალოდ საზღვრულის წინ გვხვდება ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს:

**ღაჭ** ჟანგაზნ ი ქაჩად **ჭყინტიშ** ი **მიჩა ლახტბ** ლაყურათე (სვ. პროზ. ტექსტ., I, 1939:310) „ღვეი ადგა და წავიდა ბიჭის და მისი ძმის საწოლისაკენ“

**ჭამიშ** ი **ნაზხა** ლადაარალჟინი მიჩა-მიჩა ზენე ლაჭუ ჟი მეკდე (სვან. ქრესტ., 1978:24) „დილის და სადამოს ჭამისას თავ-თავისი წესი იყო აღებული“

**ლახანაშ**, **ქართაშ**, **მაფანაშ**, **ხახუიშ** ი **პატრიჯანი** ნერგს ჩუ ხუნერგატიდ მერბაგის (სვ. პრ. ტექსტ., III, 1967: 15) „კომბოსტოს, თაღამის, წიწაკის, ხახვის და ბადრიჯნის ნერგს ვნერგავთ სხვა ადგილას“

**ნაშხატიშ** ი **ლეღკრი** ნესგა ჟორს შგდებ (ლშხ.) „წნულის და სახეცხლეს შუაში მიწას ყრიან“

**ფანაგაშ** ი **ჭუქელფი** ახალგაზრდობა მაგ ემჩუ არდა (ჩოლ.) „ფანაგას და ჭველფის ახალგაზრდობა ყველა იქ იყო (ზედმიწ. \_ **ფანაგა**-[ს] და **ჭველფ**-ის ახალგაზრდობა ყველა იქ იმყოფებოდა)“...

რაც შეეხება ბალსზემოურ დიალექტს, აღნიშნულ შემთხვევაში საზღვრულის წინ მდგომიც უმეტესწილად სრულად დაირთავს ნათესაობითისეულ ნიშანს:

ჩარინგუნლო **წულიშ დიემ** ი **მუემ** ლაშხერაალი ხეჭმენი (ბქ.) „საბოლოო სადღეგრძელოს ასულის დედის და მამის სადღეგრძელო მოყვება“

**ყორაშ** ი **მადანაშ** ჩუიბე მეგამ ლაგაგი ხაჟხა (სვან. ქრესტ., 1978: 197) „კარის და აივნის კარის ქვედა ხეს ზღურბლი ჰქვია“

**გუალაშ** ი **ყერბიშ** ლაყულად ლეჭუნდიარ ლიხ მესყე (იქვე: 197) „ბოსლის და ყვერბის გასაყოფად .... გაკეთებული“

**ბაგაშ**, **გუალაშ** ი **ლაღულაქარიაშ** თხუმქა ლეჭერ ლი (იქვე: 198) „ბაგას, ბოსლის და ცხვრის თავზე ჭერიანია“

**ქამხენიშ** ი **ისგაშხენიშ** ჭუედრე ლაგამჟი ბაჩარ უშხუარ ნენსგაქა სგელ თექს ხაცუმის (იქვე: 198) „გარეთა და შიგნითა („გარეთის და შიგნითის“) კედლების აგებისას ქვების შუაში სქელ შესაღეს უსმევენ“

იშვიათად ეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი:

ამ ბაჩარს ჩუამგუებ **ჭუედიშ** ი **კუთხრე** ნაზიმჟი (იქვე: 198) „ამ ქვებს გასწორებენ კედლის და კუთხის გასწვრივ“

პოსტპოზიციური წყობის ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრებები ყველა დიალექტში (მათ შორის ჩოლურულ მეტყველებაშიც) სრულად დაირთავენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს:

ხუარა კწრეხენ ლი ლაზელალ **ლინთუისგაშ მენგზარიშ, დაღეშ ი შტანეშ მენგზარიშ** (იქვე: 186) „ხვარას ხეობიდან არის სასიარულო ზამთრის მგზავრის, დალის და სვანეთის მგზავრის“

ეჩემდ საბუთ ლახუტემ **ლიმოლეშ ი ლიზგეშ** (სვ. პრ. ტექსტ., III, 1967: 14) „მან საბუთი მისცა ტყის გაკაფვის და დასახლების“

ლუზუტენნდო ნათიარ ხეტხენიხ ეშხუარ **მეცუწლანშ ი მუზუტენნლანშ** (ლშხ.) „გაშველების შემდეგ ნათესავეები მიუბრუნდებიან ერთმანეთს მოჩხუბართა და გამზავებელთა“

დაკლარს ლეზობდ აშხლარ ხუტანხ **ლომირიშ ი გგეიბიშ** (ჩოლ.) „თხებს საჭმელად ტოტები ჰქონდათ ნამვისა და ფიჭვისა“

ერთგვარ წევრებს შორის შეერთება კავშირიანია, ან უკავშირო. კავშირებიდან ძირითადად **ი** „და“ კავშირია გამოყენებული, ზოგჯერ **აედ/აეს** „ან“ და იშვიათად ორივე კავშირი შეიძლება შეგვხვდეს:

პანშუთერ ლადღლ სგუტენანუ კანრეშ **ი** ხამრე მედსენის აწიჰდახ (სვან. ქრესტ., 1978: 47) „პანაშვიდის დღეს წინასწარ ხარების და ღორების დამკვლელს პატიჟებდნენ“

ამის ჟი ხამზერის სეუთიშ **ი** ჰაჯაშ მუჰუტი ღერმათ (იქვე: 199) „ამას დაულოცავენ სვესა და ძალის მომცემ ღმერთს“

ჭერიშ **ი** გიმიშ უშხუარ ნენსგა ჰედურხენსგა მეტრიშ ნაზიმ ხეკუტეს ასეს (იქვე: 200) „ჭერისა და მიწის შუა ზუსტად ნახევარი მეტრისოდენა უნდა დარჩეს“

ჩუ ლი ჩიანგ აეზუარისა ბობშარეშ **ი** ზურალღლე წივილ-კივილ (სვ. პრ. ტექსტ., IV, 1979: 29)

**აეს** ასყიხ მაშრი, ძღღდ ფაყუარს, **აეს** ხოხროლარს (იქვე: 41) „ხან აკეთებენ ფართე, დიდ ქუდებს, ხან პატარებს“

მახე ნაზალ ფურიშდ ხოჩა ლი მეჯაბ **ი** ლგრხ მეღუ (ჩოლ.) „ახალხობრონაგები ძროხისთვის კარგია მოხარშული და გაქნილი ბალახის თესლი“

მარემიშ **ი** **აედ** ზურანღ ნასგიდშუ შიშდ ესერ ხოლანშ გუჟინ არდუტნე მწრა (სვან. ქრესტ., 1979: 53) „კაცის და ან ქალის ნაყურები უცებ ცუდად („ცუდ გულზე“) ხდებაო კაცი“

იმე არიხ ლადი ლუნყურე **ი** **აედ** თხუმლუნრკუ დინრლარ (ჩოლ.) „სად არიან დღეს წყნარი და ან თავმდაბალი გოგოები“

უკავშირო შეერთების დროს ინტონაცია წარმოადგენს მთავარ საშუალებას:

ლინდის **ჩიმიშ** იჩომდა: **ლიწნიშ, ლითიშ, ლილთეშ, ლილგიმნლეშ, ლილკირანლეშ** (სვან. ქრესტ., 1978:30) „ნადობას ყველაფრისას შვრებოდა: ხვნის, მკის, რთვის, მშენებლობის, კირის წვის“

ამ ლეთ მეზგა ხემზირხ **ნაღჟურგეზლჳშ, ხაზნჳშ, გიცრიშ, ფიკუტიშ** ამკჳლიბრე ლიფშირის (სვ. პრ. ტექსტ., II, 1957: 223) „ამ ღამეს ოჯახი ლოცულობს ვაჟიშვილის, ხარის, ვერძის, ვაცის ასეთების გამრავლებას“

ლეთრელღელის მუსკტარ ოთვიდხ **ოქრემ, ურცხლიშ** (ლშხ.) „სარძლოს ბეჟდები მიუტანეს ოქროსი, ვერცხლის“

ლაფრის დემ ოთლაკენ **კიცომ, გუბიშ** (ჩოლ.) „თავსახურს ვერ მივაგენი ცომის, გობისას“

იშვიათად აუსლაუტში პოსტპოზიციურ სუბსტანტიურ მსაზღვრელს ნათესაობითი ნიშნის პარალელურად ერთვის მიცემითის **-ს** და გვაქვს ნანათესაობითარი მიცემითის ფორმები:

მღლდეღს ლოქ ხეთხელიხ **ხამარემს** ო **გუბეჟარემს** (ჩოლ.) „მწყემს ეძებსო ღორებისას და გოჭებისას“

ლაცინდულას **მაგარალემს** ო **ცხენტრჳშ** ლოქ ისყი ქა ლესიპ კოჯარჟი (სვ. პრ. ტექსტ., IV, 1979: 33) „ბუდეს შტოებისას და ყლორტებისას იკეთებსო გადებრუნებული კლდეზე“...

სახელით გადმოცემული ერთგვარი განსაზღვრებები მსაზღვრელის როლში გვევლინებიან და ისეთივე სინტაქსური ურთიერთობა აქვთ საზღვრულთან, როგორც ცალკე აღებულ განსაზღვრებას მარტივ წინადადებაში: ატრიბუტული (შეთანხმებული) ერთგვარი განსაზღვრებები ერთსა და იმავე ბრუნვაში უთანხმდება საზღვრულს, ხოლო სუბსტანტიური (მართული) ერთგვარი განსაზღვრებები მართულია ნათესაობით ბრუნვაში საზღვრულის მიერ.

### ლიტერატურა

**აბესაძე 1976** – ნ. აბესაძე, შერწყმული წინადადებები სვანურში, თბილისის შრომები, ენათმეცნიერება, ტ-174, თბილისი.

**კვაჭაძე 1977** – თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კიზირია 1953** – შერწყმული წინადადება ქართულში, იკვ, ტ- IV, თბილისი.

### წყაროები:

**სვან. ენის. ქრესტ. 1978** – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1939** – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიაძემ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1957** – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიაძემ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1967** – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1979** – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა, და ალ. ონიანმა. რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

NATO SHAVRESHIANI

### **A Simple Complicated Sentence Containing Similar Modifiers in Svan**

#### S u m m a r y

We present the analysis of a simple complicated sentence that contains similar modifiers based on the data of all four dialects of Svan and Cholur speech.

As is known, a modifier can be both attributive and substantive. Accordingly, the simple complicated sentence contains either a similar kind of attributive modifiers or a similar kind of substantive modifiers, and we can rarely find attributive and substantive modifiers together as similar members.

Similar members are connected to each other with a conjunction or without it. The conjunction is mainly **i** “and”; sometimes it is **jed/jes** “or”, and in rare cases both of them can be used.

These similar kinds of modifiers have the same syntactic relationship with the head word as a separate attribute in a simple sentence.

ვაჟა შენგელია

**გარეული ცხოველების აღმნიშვნელი რამდენიმე  
ლექსიკური ერთეულის შესახებ  
ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში**

გარეული ეწოდება მოუშინაურებელ, ველურ, ტყურ ცხოველებს (ქეგლი 1951: 1067; ქეგლი ახ. 2010: 1111). ამჯერად ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმეზე.

კატისებრთა ოჯახიდან შეეხებით ორი მტაცებელი ცხოველის – ლომისა და ვეფხვის, აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში.

როგორც ცნობილია **ლომი** გავრცელებულია აფრიკასა (კერძოდ, ეკვატორულ აფრიკაში) და აზიაში (კერძოდ, ინდოეთში); როგორც ვარაუდობენ, VIII-IX საუკუნეებში ლომი კავკასიაშიც ბინადრობდა (ქსე 1983: 285).

ქართული **ლომ**- ფუძის შესატყვისად მეგრულში წარმოდგენილია **ლომ** || **იომ**- (მარტვ.), სვანურში **ლუმ** || **ლემ**. **უმე** კომპლექსი სვანურში რ-საგან მიღებულად ითვლება, შემდეგი საფეხურია **უმე**, მისი გამარტივების შედეგი – **ე** (თოფურია 2002: 31, 37). ლომის აღმნიშვნელი სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური სახით გვხვდება ინდოევროპულ და სემიტურ-ქამიტურ ენებში. კონკრეტული წყაროს დადგენა ქართული ფორმისათვის მწელია (გიგინეიშვილი 2016: 298). თ. გამყრელიძე და ვი. ივანოვი შესაძლებლად მიიჩნევენ საერთო-ქართველურ დონეზე აღადგინონ **ლომ**- ფუძე; როგორც ჩანს, **ლომი** ცხოველის აღსანიშნავად გამოყენებული უძველესი ახლოაღმოსავლური ტერმინიაო (გამყრელიძე – ივანოვი 1974: 510).

მეგრულში **ლომ**-ის პარალელურად **ჯილო** || **ნჯილო**-ც იხმარება, რომელიც არაბულ ნასესხობად მიაჩნია ი. ყიფშიძეს (ყიფშიძე 1914: 413). ჩვენი ვარაუდით, მას შეიძლება უკავშირდებოდეს ქართული სიტყვა **ჯილა** – კოჭაობის თამაშისას გამორჩეული კოჭი, რომელსაც ესვრიან სხვა, მწკრივად დასხმულ კოჭებს ან კაკლებს (ქეგლი 1964: 1589).

ლაზურში გვაქვს **ასლანი** || **არსლანი** „ლომი“, რომელიც თურქულიდან არის ნასესხები (მარი 1910: 127).

აფხაზური **აღგმ** „ლომი“ უშუალოდ ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული; ქართულში წარმოდგენილ **ო**-ს აფხაზურის ნიადაგზე ცვლილება განუცდია: **ო** → **ჟა** → **ა** → **გ** (ლომთათიძე 1975: 52). აფხაზურში **ასლიან** შესაძლებელია ყაბარდოულიდან იყოს შესული.

ჩერქეზულ ენებში დამკვიდრებულია თურქული ნასესხობა: ადიღ. **ასლ'ან** ყაბ. **ასლ'ან**. ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: ერთი მხრივ, **ს**-ს მომდევნო პოზიციაში ფშვინვიერი ლატერალი **ლ'**, რაც სონორი ლ-ს უქონლობის პირობებში მომხდარი ბუნებრივი პროცესია; მეორე მხრივ, სიტყვის მეორე მარცვალში ადიღ. **ა** – ყაბ. **ა**.

უბიხურში დასტურდება **ასლან** || **ასლ'ან**. პირველის უშუალო წყარო თურქულია, მეორისა – ადიღური.

მაშასადამე, ლომის აღმნიშვნელი სიტყვა ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში ნასესხები სიტყვებით არის წარმოდგენილი, ამასთან, სხვადასხვაა როგორც სესხების წყარო, ისე – ქრონოლოგია.

**ვეფხვიც**. ლომის მსგავსად, კატისებრთა ოჯახის ძუძუმწოვარი ცხოველია. ბინადრობს აზიის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის – აზერბაიჯან-ირანის საზღვარზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს ცხოველი უძველეს ეპოქაში საქართველოშიც ყოფილიყო გავრცელებული. საქართველოში ვეფხვი ორჯერ მოუკლავთ – XVIII საუკუნის დამლევს ახმეტასთან და 1922 წელს თბილისის მახლობლად სოფელ ლელობთან (ქსე 1979: 387).

ქართულ **ვეფხ** სიტყვას, ბ. გიგინეიშვილის აზრით, შესატყვისი არ მოეპოვება სხვა ქართველურ ენებში; სვანური **ჟეფხჟ** ნასესხები ჩანს ქართულიდან; „სიტყვის წარმომავლობა უცნობია“ (გიგინეიშვილი 2016: 160).

ქართული **ვეფხვისა** და მეგრული **ვემხი** || **ვემხვი**-ს შედარების საფუძველზე მ. ჩუხუას სიტყვა საერთოქართველურ მონაცემად მიაჩნია. აქ ასახსნელია სიტყვის ძირში არსებული მიმართება: ქართ. **ე** – მეგრ. **ე**.

მეგრულში „ვეფხვის“ მნიშვნელობით გამოიყენება, აგრეთვე, **ყილო** || **ყილო**, რომლის წარმომავლობა გასარკვევია. აღსანიშნავია მისი გამოყენება კომპოზიტში **ყილოჯგუა** || **ყილოჯგუა** „წარმოსადეგი, დევივით კაცი“, ზედმიწ. „ყილოს მსგავსი“. მასვე უკავშირდება ზმნა **ყილუნს** „ნთქავს, უზომოდ ჭამს“.

ლაზურში გვაქვს თურქულიდან ნასესხები **კაფლანი** „ვეფხვი“; საინტერესოა ქართულის მსგავსი კომპოზიტი **ასლან-კაფლანი** „ლომ-ვეფხვი“ (თანდილავა 2013: 37, 365).

აფხაზურში „ვეფხვისათვის“ სხვა აფხაზურ-ჩერქეზულ ენათაგან განსხვავებით, მოგვეპოვება **აბჟას**. აფხაზურშია **ყაფლიან** „ვეფხვი“, რომელიც შესაძლებელია ყაბარდოულის გზით იყოს ნასესხები.

ჩერქეზულ ენებში წარმოდგენილია თურქულიდან ნასესხები სიტყვა – ადიღ. **კაფლ’ან**, ყაბ. **ყაფლ’ან**. ყურადღებას იქცევს ნასესხე სიტყვაში წარმოდგენილი შესატყვისობა – ადიღ. **კ** : ყაბ. **ყ**, აგრეთვე, მეორე მარცვალში – ადიღ. **ა** : ყაბ. **ჰ**.

უბიხურში დასტურდება **ყაფლან** „ვეფხვი“, რომელიც შესაძლებელია პირდაპირი ნასესხობა იყოს თურქულიდან (ჩერქეზულში **ფ**-ს მომდევნო პოზიციაში გვაქვს ლატერალი **ლ**, უბიხურში – **ლ**).

განვიხილავთ კიდევ სამი გარეული ცხოველის სახელს. სამივე მათგანი ძალისებრთა ოჯახის წევრია: მგელი, მელა, ტურა.

ქართ. **მგელი**, მეგრ. **გერი** || **ნგერი**, ლაზ. **მგერი** || **მგეი** || **გჭერი** || **მჯვერი**. არნ. ჩიქობავას **მ**- ქართულსა და ლაზურში ფონეტიკურ დანართად მიაჩნია; ფონეტიკური პროცესი **გ** → **ჯ** ლაზურში **ე**-სთან მეზობლობაში მომხდარა; **ვ** მერე უნდა იყოს განვითარებული; მკვლევრის აზრით, სომხური **gail** და ქართული **გელი** ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ სესხების მიმართულება არ არის მითითებული (ჩიქობავა 1939: 87-88). მკვლევართა ნაწილი (გ. დეეტერსი, ჰრ. აჭარიანი, თ. გამყრელიძე და ვიაჩ. ივანოვი...) სახელს სომხურიდან ნასესხებად მიიჩნევს. ბ. გიგინეიშვილი იმ დაბრკოლებებზე მსჯელობს, რომლებიც ამ სიტყვის სომხურიდან სესხებას ექვემდებარება: 1. ფონეტიკური – **აი** → **ე** არაა ბუნებრივი ქართულისათვის; 2. მგლის გავრცელებულობა საქართველოში; 3. სომხური **gail**-ის ინდოევროპული ეტიმოლოგია არ არის დამაჯერებელი; ბ. გიგინეიშვილი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქართულ-ზანური ერთობის პერიოდისათვის არქექტიპად აღდგეს **მგელი**, ამასთან, სვამს კითხვას – ხომ არ არის შესაძლებელი ამოსავალი მეგრული ფორმა გვეკონდეს ტოპონიმ **გალ**-ის სახით (გიგინეიშვილი 2016: 330).

სვანურში სხვა ძირის სიტყვა გვაქვს – **თხნრე**.

აფხაზურში **აბგა** საერთო სახელია მგლისა, მელისა და ტურისა (ჯანაშია 1954: 65). აფხაზურში წარმოდგენილია **ბაგა** „მელა“, ადიღურში **ბაჯან**, ყაბარდოულში **ბაყა**, უბიხ. **ბაჯა** „მელა“, ამ ფუძეთა კავშირი აშკარაა, ამოსავალ სახეობად უნდა ვივარაუდოთ **ბაგ**. ამ ფუძეს პ. ჭარაია ქართულ **მგელ**- და მეგრ. **ნგერ**- ფუძეებთან აკავშირებდა (ჭარაია 1912: 20). მ. ჩუხუა ქართულ-მეგრულ-ლაზურ სიტყვას შესატყვისის უძებნის ჩეჩნურსა და ინგუშურში (ჩუხუა 2008: 411).

აფხაზურში ივარაუდება **ა** ხმოვნის რედუქცია, ჩერქეზულ ენებში – \***გ** → **გ** → **ჯ** → **ჟ**.

ქართული **მელა** მიღებულია უფრო ძველი **მელი** ფორმისაგან. მეგრული **მელა** ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევა.

ლაზურში პარალელურად დასტურდება ორი სიტყვა: ქართული **მელი** და უფრო ხშირად – თურქულიდან ნასესხები **თილქი** || **თილჩი**.



სვანური **მალ** ფორმის **ა**, მ. ქალდანის აზრით, **ე**-საგან არის მიღებული: **მელა** → **მალ** → **მალ**. სვანურის ლაშხურ და ბალსჭემოურ დიალექტებში გვაქვს **მალ**, ბალსჭემოურში – **მალჷ**, ლენტეხურში – **მაულ** (სვანური ლექსიკონი 2000: 559).

აფხაზური **აზგაზგჷგ** და აბაზური **აზგაზგჷა** კომპოზიტებია, რომელთა პირველი ნაწილი მგლის, მელიის, ტურის ზოგადი სახელია (იხ. ზემოთ), **ხგჷგ**, **ხგჷა** „პატარა, მცირე“.

ქართულში, მეგრულსა და სვანურში საერთო სიტყვაა წარმოდგენილი – **ტურა**. წარმომავლობა საძიებელია.

ლაზურში სხვა ფუძეა: **მეაფუ** || **კაფუ** || **ჭაფუ**. არნ. ჩიქობავას აზრით, მას შეიძლება უკავშირდებოდეს ქართული ფუძე **კიფ**- („მკივანი“), მაგრამ ამ დაკავშირებას გარკვეული დაბრკოლება ახლავსო (ჩიქობავა 1938: 89).

აფხაზურში „ტურის“ მნიშვნელობით რამდენიმე სიტყვა დასტურდება: **აზგა**, **აზგალაჯ**, **აზგემ**, **აშაზგა**, **ადგზგა** (გვანცელაძე 2012: 139). აბაზურში გვაქვს **ზაგამა** „ტურა“, რომლის კავშირი აფხაზურ **აზგემ**-თან ნათელია.

ადილეურში „ტურის“ აღმნიშვნელი ორი სიტყვა დასტურდება: **ზაჯანს** და **ჰაჯგემ**, უბიხურში – **ზაგანს**, რომლის კავშირი ადილეურ **ზაჯანს**-თან ცხადია. ამ სიტყვათა პირველი ნაწილი (ადილ. **ზაჯან**, უბიხ. **ზაგან**) „მელიის“ აღმნიშვნელია, მეორე ნაწილი – ადილ. **ან** უბიხ. **ან** „დიდს“ უნდა აღნიშნავდეს. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ჩერქეზული სუფიქსი -**ან**, რომელსაც გამაძლიერებელი შინაარსი აქვს (ურუსოვი 1980: 270). საკამათოა ა. შაგიროვის მოსაზრება, რომლის თანახმადაც სიტყვა ადილეურში შესაძლებელია უბიხური ნასესხობა იყოს (შაგიროვი 1977ა: 72).

რაც შეეხება ადილეურისა და ყაზარდოულისათვის „ტურის“ აღმნიშვნელ საერთო **ჰაჯგემ** სიტყვას, მის პირველი ელემენტი **ჰა**- საფიქრებელია ძალის აღმნიშვნელი სიტყვა იყოს, მეორე ნაწილის სტრუქტურა და სემანტიკა საძიებელია.

## ლიტერატურა

**გამყრელიძე-ივანოვი 1974** – Т. В. Гамк्रेлидзе, Вяч. Вс. Иванов, Индо-европейский язык и индоевропейцы, Тбилиси.

**გვანცელაძე 2012** – თ. გვანცელაძე, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**კუმახოვი 1981** – М. А. Кумахов, Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва.

**ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

**მარი 1910** – Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург.

**სვანური ლექსიკონი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქაღდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ურუსოვი 1980** – Х. Ш. Урусов, Морфемика адыгских языков, Нальчик.

**როგავა 1980** – გ. როგავა, ორგანული და ნივთიერი კუთვნილებების კატეგორია ადიღურ ენაში, თბილისი.

**ქეგლი 1951** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I, თბილისი.

**ქეგლი ახ. 2010** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი ა. არაბული, თბილისი.

**ქსე 1983** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბილისი.

**ყიფშიძე 2014** – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

**შაგიროვი 1977ა** – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских языков) (А-Н), Москва.

**შაგიროვი 1977ბ** – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских языков (П-И), Москва.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჩუხუა 2008** – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჭარაია 1912** – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-Петербург.

**ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

VAZHA SHENGELIA

**On Some Lexical Units Denoting Wild Animals in the  
Kartvelian and the Abkhazian-Circassian Languages**

S u m m a r y

The paper discusses some names denoting wild animals.

As it turns out, words denoting "lion" are borrowings in the Kartvelian and the Abkhazian-Circassian languages (the sources of borrowings are different).

**"Tiger"** is considered to be a Proto-Kartvelian word that is found in different phonetic forms in the Kartvelian languages. In addition, a borrowed word is also used in Megrelian-Laz. Abaz, Circassian and Ubikh use borrowed words while Abkhazian has its own lexical unit.

All the three Kartvelian languages and all the five Abkhazian-Circassian languages have their own lexical units denoting "wolf", "fox" and "jackal".

იზა ჩანტლაძე

**რიხარდ ბერუგის „აღმოჩენები“ სვანეთში**

უცხოელ მეცნიერთა თუ ალპინისტთა მიერ კავკასიის, კონკრეტულად კი სვანეთის, ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას არაერთი საუკუნის ისტორია აქვს. მათ შორის თავისი ობიექტური შეფასებით სხვებისგან მკვეთრად განსხვავდება ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, ბუნებისმეტყველი და სამართალმცოდნე, დოქტორი **დუგლას ფრეშფილდი**, რომელიც რვაჯერ იყო სვანეთში და თავის წიგნში „**The Exploration of the Caucasus**“ („კავკასიის კვლევა“, ტ. I, ლონდონი, 1896, გვ. 182) დიდებულად აქვს ნათქვამი: **სვანეთი ნამდვილი გულია კავკასიისა**. ბატონი დუგლასის ნაშრომის IX თავი („The Paths to Svanetia“ – „ბილიკები სვანეთისკენ“) იწყება აკადემიკოს **ოტო ვილჰელმ ჰერმან ახისის** სიტყვებით: „გ ა ს ა ო - ც ა რ ი კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ თ ე ლ ი დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე მ ო ს ვ ა ნ ე თ შ ი ა დ წ ე ვ ს თ ა ვ ი ს მ წ ვ ე რ ვ ა ლ ს და ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ ის იცნობს კავკასიას, ვისაც ფეხი არ დაუდგამს იმ ჩინებულ მხარეში“. გერმანელი გეოლოგი (1806-1886 წ.წ.) თითქმის 37 წელი ცხოვრობდა კავკასიაში და საგანგებოდ იკვლევდა მის ოროგრაფიას, მათ შორის დეტალურად აქვს აღწერილი კოლხეთის დაბლობი და ენგურისა თუ ყვირილას ზემო წელის მიდამოები (იხ. მისი „Geologische Forschungen in den kaukasischen Ländern“, TI, 1-3, Wien, 1878-1887; – „გეოლოგიური კვლევები კავკასიის ქვეყნებში“).

დღემდე არ დამცხრალა მოგზაურ-მკვლევართა სვანეთით აღფრთოვანება, ანალოგიურ სიტყვებს ღირსეულად იმეორებს არაერთი მეცნიერი, დიპლომატი, ალპინისტი თუ ჟურნალისტი.

დღეს, რაკი ტურიზმმა ძალიან მოიკიდა ფეხი სვანეთში, ამ ულამაზესი ტერიტორიით **აღფრთოვანებული მოგზაურები თითქოს ცდილობენ XIX საუკუნეში მოღვაწე ევროპელ მკვლევართა ტრადიციების გაგრძელებას**. ამ მხრივ განსაკუთრებით მთამსვლელი ჟურნალისტები გამოირჩევიან, რომელთა შორისაა ფილოსოფიის დოქტორი **რიხარდ ბერუგი** თავისი წიგნით „The Essence of the Caucasus – Svaneti“ („კავკასიის არსი – სვანეთი“). მისი აზრით, „სვანეთი გულია კავკასიისა და სახურავი ევროპისა“ (გვ. 5), ხოლო „ლეგენ დარული უშბა ხელმწიფეა კავკასიისა“ (გვ. 122); სხვაგან კი ბატონი რიხარდი წერს: „სვანეთში ადამიანებს შეუძლიათ შეიგრძნონ სამოთხე დედამი-

წაზე“, ან: „სვანეთი ევროპის მწვერვალია და ეთნოლოგიური მუზეუმი“ (იხ. „ლუმნუ ბოფშრე ლიტერატურა“, თბილისი, 2013, გვ. 121-122).

ნორვეგიელი ავტორი თავის ნაშრომს იწყებს მეტად საინტერესო ლეგენდით ქართველების ისტორიული საცხოვრისის შესახებ:

*„ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა, მსოფლიოში მაშინ მცხოვრებ ყველა ხალხს გაუნაწილა გარკვეული ტერიტორია და მეშვიდე დღეს დასვენება გადაწყვიტა, მაგრამ მოულოდნელად მასთან მივიდნენ ძალზე შეწუხებული ქართველები და ჰკითხეს: ჩვენ რას გვერჩით, მიწა-წყალი არ გვინდაო? უფალმა ერთი კი ამოიოხრა ღრმად, მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა და უნებლიეთ მივიწყებულ ქართველებს ის ადგილი მისცა, რომელიც თავისთვის ჰქონდა გადანახული – მსოფლიოს ულამაზესი ნაწილი“.*

ბუნებრივია, ამ მშვენიერი შესავლის შემდეგ მკითხველი მოუთმენლად ელის რაღაც არაჩვეულებრივს და ეს ასეცაა! – ავტორი საკმაოდ მაღალმხატვრულად წერს, სვანეთის განსაკუთრებული სიყვარულით შთაგონებული. მაგალითად: „დიდებული მწვერვალებიდან ყველა მიმართულებით იშლება მომაჯადოებელი, იდეალური, თვალწარმტაცი, განუმეორებელი, ლეგენდარული ხედები და აუცილებლად მოგინდებათ „მუსიკის ჰანგების“ ახალი ვარიანტის შექმნა, ხოლო მიღებული შთაბეჭდილებანი გემახსოვრებათ მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (გვ. 314, 330-331), ან: „მაის-ივლისში ყვავილთა მდელო ფერთა აფეთქებად წარმოგვიდგება“ (გვ. 20).

ბატონი რიხარდის ძირითადი მიზანია დეტალური ინსტრუქტაჟის ჩატარება მოგზაურ ტურისტ-ალპინისტთათვის, რასაც ის ბრწყინვალედ ასრულებს. ურთულეს უღელტეხილებზე გადასადგმელი მათი ყოველი ნაბიჯი ისე ზუსტადაა რეკომენდირებული და საგანგებო რუკებით წარმოდგენილი, რომ სვანეთის უცხოელ სტუმრებს, ალბათ, არც არაფერი შეეშლება. წიგნი ძალიან გამოადგებათ ბუნებისმეტყველებსაც, რადგანაც მასში აღწერილია მთათა სამოთხის ალპური მცენარეები შესაბამისი ულამაზესი ფოტოილუსტრაციებითა და ლათინურ-სვანურ სახელწოდებათა ეტიმოლოგიითურთ (ძირითადად, სვან ინფორმატორთა განმარტებების მიხედვით!).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ონომასტიკურმა ტერმინოლოგიამ, რაც განსაკუთრებით ეხება ტოპონიმის როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში. ძალზე ხშირად რ. ბერუგი ერთსა და იმავე ტოპონიმს იყენებს არაერთი გეოგრაფიული მოცემულობის აღსანიშნავად. საერთოდ კი, რაკი ის ალპინისტია და თავისი ფეხით აქვს შემოვლილი სვანეთის ყოველი კუთხე-კუნჭული, მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს ულამაზესად აღწერილ-ფოტოგრაფირებული არაერთი მწვერვალი, კლდე, ქედი, მთა, მყინვარი, უღელტეხილი, პლატო, ტაფობი, ბილიკი, გზა, ქოხი, ტბა, მდინარე, რუ, ღელე, წყარო, ნაკადული, ჩანჩქერი, ხევი, ხეობა, ჭალა, მდელო, სათიბი, ტყე, სოფელი თუ ქალაქი და მათი სახელწოდებანი, რომლებიც ძალიან გამოგვადგება არა მხოლოდ პრაგმატული თვალსაზრისით, არამედ ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების დროსაც, მაგ-

რამ, სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, რ. ბერუგი არაერთ შეცდომას უშვებს ტოპონიმთა გააზრებისას:

ლაგურკის ეკლესია მართლაც ყველაზე წმინდა ადგილია სვანეთში, მაგრამ სხვა ენაზე თარგმნისას ეს სიტყვა „საღვთო ადგილს“ კი არ ნიშნავს (გვ. 237), არამედ – „საკვირიკოს“. ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში გვხვდება **ლა/აგურკა**, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში – **ლაგურიკა**. რაკი სოფელ კალის ეკლესიის დასახელება მომდინარეობს წმინდა კვირიკეს სახელწოდებიდან, ამიტომ ძირისეული ხმოვნის წინა პოზიციამი მდებარე **ლა-** პრეფიქსისეული **-ა** უმლაუტიანია, როგორც წესი, თუმცა ზოგ კილოკავში უმლაუტო ფორმაც შეიძლება შეგვხვდეს. **კ > გ** პროცესი ადგილი ასახსნელია სვანურ ენაში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი ფონეტიკური წესის (მკვეთრ თანხმოვანთა გამჟღერება) საფუძველზე, მაგრამ რატომ გვაქვს ძირში ხან **-უ-** ხმოვანი, ხანაც კი **-უი** კომპლექსი, მთლად ნათელი არაა (ამოსავალი ხომ **კუტირიკეა**, რომელსაც ბატონი რიხარდი რატომღაც **კირიკე**ს უწოდებს!). ანალოგიისთვის შეიძლება გავიხსენოთ ძვ. ქ. **კურიშტავი** – ახ. ქ. **კვირისთავი**. საერთოდ კი, **უ/უი** მონაცვლეობა ქართველურ ენებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, რაც ყოველთვის უმლაუტით არ არის გამოწვეული.

ჩვენი საანალიზო ნაშრომის მიხედვით, უშგულის თემში შედის 228 ადამიანით დასახლებული ხუთი პატარა სოფელი: მურკმელ (= **მურყმელ**) „საკომკეთი“, Чажәш (= **ჩაჯშ**) „ცხენისა“, Чвибиан (= **ჩუიბიან**) „ქვემოთა“, Жибиан (= **ჯიბიან**) „ზემოთა“ და Ламжурш (= **ლამჯურშ**) – გვ. 228. ოთხი ტოპონიმის შინაარსი ასე თუ ისე გააზრებული აქვს ბატონ რიხარდს (ალბათ, ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით!), მაგრამ მეხუთეზე არაფერს ამბობს, თუმცა არც ისე ძნელია მისი ამოცნობა. მოსალოდნელი იყო, რომ მეხუთე სოფლის სახელწოდების რიხარდისეული ვარიანტი დაგვეკავშირებინა „მზის“ სვანური შესატყვისისთვის **მგე** (**ლა-მე-ურ-იშ** < \***ლა-მგე-ურ-ა-იშ** „სამზეოს“<sup>1</sup>, შდრ. ქვემო სვანური ტოპონიმი **ლამჟარი** < \***ლა-მგე-ა-არ-ი** „სამზეო“), თუმცა მთავარი ისაა, რომ ეს ტერიტორია (ჩარქსელიანების, რატიანების, ნიჟარამეებისა და ჭელიძეების საცხოვრისი) სოფლის სახით სულ ახლახან (რამდენიმე წლის წინ!) ჩამოყალიბდა, ლექსემა **ლამჯურშ**<sup>1</sup> კი უშგულში საუკუნეების მანძილზე არსებობს და ერქვა იმ ადგილს, სადაც იმართებოდა ხოლმე შეჯიბრი რკინაწამოცმული ხის ჯოხებით (შდრ. სვან. **მუ/ი/გჯურა**, ლეჩხ. **მუჯერო / მუჯურო**, რაჭ. **მუჯირა**, მთიულ. **მუჯრი** < ოსური **myžyra** – ანდრონიკაშვილი 1966: 72), რომლებითაც, რ. ბერუგის აზრით, სვანები ელევანტურად გადაადგილდებიან ხოლმე მთაში ზემოთ თუ ქვემოთ (გვ. 71). მამასადამე, წიგნში დაშვებულია კორექტურული (?) შეცდომა (**ჯ** თანხმოვნის ნაცვლად დაბეჭდილია **ქ**!); ე. ი. უშგულში დაარსებული ახალი სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: **ლამჯურშ** < \***ლა-მგე-ურ-ა-იშ** („სამუჯურო“).

<sup>1</sup> 1971 წელს **ლამჯურში**ს (უშგულში მდინარე ქვიშირის მარჯვენა მხარე) ილია ნიჟარაძე „სამოვარს“ უწოდებს (ა. ჭკადუა, 2020: 176, 559).

უშგულის თემის ცენტრის სახელწოდება, Svan alphabet-ის მიხედვით, ასეა ფიქსირებული – **ჟაჟაჟ**. რ. ბერუგის წიგნში გრაფემა **ჟ** ხან **ე** ფონემას შეესაბამება, ხან **ჟ**'ს და ხანაც **ჟ**-ს, რაც ძალიან ართულებს ფაქტების ანალიზს. მაგალითად, 231-ე გვერდზე დასახელებულია ტოპონიმი **Дәшдәларა** („დათვის მინდორი“). როგორ წავიკითხოთ? – თუ **დშდტ**, მაშინ ფორმა ზემოსვანური გამოვა, ხოლო **დემდტ**'ის შემთხვევაში – ქვემოსვანური (რ. ბერუგის ილუსტრაციას ინლაუტში აკლია –**ჟ**!). არადა, ჩვენი დიდი მეცნიერები – აკადემიკოსები ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია ამაოდ დაშვრნენ იმის დასამტკიცებლად, რომ ლაშხურ დიალექტშიც არსებობდა ოდესღაც უძველესი როგორც მორფოლოგიური მოვლენა?! ამ მოსაზრების საილუსტრაციო მაგალითი არც ისე ბევრია, რომელთა შორის უპირველესად **დშდტ** (ზსვ.) / **დემდტ** (ლშხ.)'ს დასახელებენ ხოლმე. თუ აუსლაუტის მიხედვით ვიმსჯელებთ (**ларა**), მაშინ რ. ბერუგის ტოპონიმი უშგულური გამოგვივა, ხოლო მორფოლოგიური ანალიზი (ნათესაობითი ბრუნვის მორფემა –**ჟ** < –**ჟა**) უფრო ლაშხურ წარმომავლობას მისცემს უპირატესობას (თუმცა –**ემ** იშვიათად, აგრამ მაინც ბალსზემოურ დიალექტშიც გვხვდება). ერთი მხარეცაა გასათვალისწინებელი – თუ რ. ბერუგის მიერ ფიქსირებულ **Дәшдәларა**ში **ჟ** იკითხება როგორც უძველესიანი **ჟ**, მაშინ მისი **დშდტ** „**წაწრა**“ ზემოსვანური მონაცემი ყოფილა! ასე რომ, ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ა ნ ბ ა ნ თ რ ი გ შ ი ყ ო ვ ე ლ ი ს ი მ ბ ო ლ ო მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ფ ო ნ ე მ ა ს უ ნ და შე ე ს ა ბ ა მ ე ბ ო დ ე ს!..

კიდევ ერთ საინტერესო ტოპონიმზეა მსჯელობა ჩვენს საანალიზო ნაშრომში – რ. ბერუგის ტრანსკრიფციით ესაა **ჟაჟტარა** (გვ. 259), მაგრამ ასეთი მწვერვალი ალპინისტებს არც კი გაუგიათ, თუმცა სვანური ლექსემა **ჩხუ/გტ** („რიყის წვრილი ქვა, კენჭი“) არაერთი ტოპონიმის შემადგენლობაში შედის სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე (ა. ჭკადუა 2020: 602). ვფიქრობთ, რომ ავტორი გულისხმობს იმავე ტერიტორიაზე მდებარე მწვერვალთა მასივს **ჭუთხარო** (ზსვ.)/**ჭითხარი** (ლშხ.), რომელიც, ალბათ, მომდინარეობს საერთო-ქართველური **\*წყრთა** („ხელის ნაწილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე – სიგრძის საზომი ერთეული ძველად“) ძირიდან (იხ. ჩანტლაძე 1998: 250-251). ასე რომ, ჩვენს ალპინისტ ავტორს მწვერვალთა სწორად ფიქსირებაშიც კი ვერ შევლის თავისი „Svan alphabet“, რაც იმის ბრალია, რომ მისთვის ერთიდაიმავე **ch** სიმბოლოთი აღინიშნება როგორც **ჭ**, ისე **ჩ** ფონემები.

მდინარე **კელედგრა**'ს ჩრდილოეთით მდებარე მთის ფერმა **Лакара**, რომელზედაც ფიქრობს ბატონი რიხარდი (გვ. 270), იძლევა ახალი მსჯელობის დაწყების შესაძლებლობას. **კარ**- ძირი დღეისათვის მხოლოდ ერთადერთ ლექსემაში (ზსვ. **ლიკრე** < ლნტ. **ლი-კარ-ე** „კარ-ფანჯრების გაღება“) ივარაუდება სვანურში (შდრ. ბზ./ლშხ. **ყორ**, ბქ./ლნტ. **ყორ** „კარი“, ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე ქართულ **ყორე**'სა და მეგრულ **ყორ-უ-ა**'ს რომ უკავშირებენ – (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 542-543), რომელსაც დავუმატებთ **ლა-კარ-ა**'საც („საკარე“); შესაძლოა ვინმემ ამ ლექსემის ძირი **კა'რ**- („ფიქალი ქვა“)ის სახელწოდებასაც დაუკავშიროს, მაგრამ იქაური ქოხები ყველა ხისაა.

ნორვეგიელი ფილოსოფოსი შედარებით მოკლედ განიხილავს კოდორის ხეობასაც. მან კარგად იცის, რომ დღეს ჩვენთვის დროებით დაკარგულ ტერიტორიას ნადირობის ქალღმერთის სახელს უწოდებენ, რომელიც წარმოდგენილია ხან **Дэл** (= დწლ), ხანაც **Даэл** (=დწლ)'ის სახით. ასევე, რატომღაც ბატონი რიხარდი ტოპონიმ **მაზერს** ორი ე ხმოვნით გამოხატავს, რაც სრულიად გაუგებარია მკითხველისათვის. გასაოცარი კია, რადგანაც საანალიზო წიგნის ავტორი უკვე 10 წელია ტურისტული ბიზნესით საქმიანობს ლეგენდარული უშბის ძირას – ბეჩოს თემის სოფელ ტეებიში და აქამდე როგორ ვერ მიხვდა, რომ ბალსქვემოურ დიალექტში გრძელი ხმოვნები არ არის?! უმლაუტი, როგორც მორფონოლოგიური მოვლენა, ასე თუ ისე გაუგია მას (თუმცა საოცარია ანაპტიქსური **გ** ხმოვნის შედარება გერმანულ **შ**სთან და ამიტომ „Svan alphabet“-სა და „Сванский алфавит“-ში მისი წარმოდგენა **o** გრაფემის სახით: **Молхура = მგლხურა** – გვ. 186, **Джгорәг = ჯგგრწგ** – გვ. 220,...), მაგრამ მძიმე მდგომარეობა გვაქვს რ. ბერუგის ყველა წიგნში სვანურ ხმოვანთა კვანტიტატური დაპირისპირების ასახვის თვალსაზრისით.

არც გრამატიკა იცის მეტად საინტერესოდ აფერადებული წიგნის ავტორმა: მისთვის **Скеләш** (= **სკელაშ**) – მინერალური წყლის ადგილის სახელწოდება სოფელ ბეჩოში მომდინარეობს **скел** „ფეხი“ და **ши** „ხელი“ სიტყვებისაგან. ჯერ ერთი, **სკელ** „წვივია“ (და არა „ფეხი“!), რომელიც ნაგენეტივარი ფორმითაა, „ხელი“ კი (სვან. **ში**) საერთოდ არაა დაფიქსირებული ამ ლექსემაში.

კარგი იქნებოდა, რ. ბერუგს გახსენებოდა შვედეთის კლდოვანი კუნძული **sxär** და მისი სახელწოდება სვანეთის ცნობილ მწვერვალთან (**შხარა**) დაეკავშირებინა, ცხადია, თუ ეს უკანასკნელი არ მომდინარეობს საერთოქართველური რიცხვითი სახელისგან (შდრ. ქართ. **ცხრ-ა**, მეგრულ-ლაზური **ჩხორ-ო**, სვან. **ჩხარ-ა**).

დამაჯერებელი ჩანს რ. ბერუგის მსჯელობა სვანეთის ძველი თავადების – რიჩგვიანებისა და დადუშქელიანების შესახებ (გვ. 150), მაგრამ რატომ ჰქონდა უშბის დამლაშქრავ პირველ სვან კაცს ორი გვარი (კიბოლან-შამფრიანი – გვ. 170), ნამდვილად გაუგებარია.

ავტორი იყენებს არა მარტო უცხოელ, არამედ ქართველ მეცნიერთა ნააზრევსაც, ოღონდ ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი რ ა ტ ო მ დ ა ც ს უ ლ და ვ ა ვ ი წ ყ დ ი თ. 343 გვერდის შემცველ წიგნში ის ერთადერთხელ ახსენებს „**სვან ლინგვისტებს**“ (გვ. 125), რაც არ ეპატიება ფილოსოფიის დოქტორს, მით უფრო, რომ თავის ნაშრომში ის რატომღაც არაერთხელ უპირისპირებს ერთმანეთს „საქართველოსა“ და „სვანეთს“, „ქართულსა“ და „სვანურს“ – მისი აზრით, „**სვანური და ქართული სტუმართმოყვარეობა მთელ მსოფლიოშია ცნობილი**“ (გვ. 338); აგრეთვე, „**შხატვარი თეოდორე დაიბადა სვანეთში, მაგრამ სწავლობდა საქართველოში – სადაღაც ქვევით**“ (გვ. 293), ან „**მიუდონისტა სვანური ოჯახი**“ (გვ. 307),...

რ. ბერუგისთვის მესტია ზემო სვანეთის დედაქალაქია, ლენტხა (ქართ. ლენტეხი)– ქვემო სვანეთისა (გვ. 8); **აყვა** (სუხუმ/სოხუმი) – აფხაზეთისა, ზუგდიდი კი – სამეგრელოსი. მას ისიც აწუხებს, რომ „სვანეთში არ არის დამოუ-



კიდებული ტელეარხი, რადიო ან გაზეთი სვანურ ენაზე ... **სვანური მშობლიური ენაა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ქართული კი ძირითადი უცხო ენაა<sup>1</sup> (sic!), სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში გავრცელებული ოფიციალური ენა** (გვ. 9, ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**).

**ლალხორ**, რომელიც ქართულად „შესაკრებელ ადგილს“ ნიშნავს, სადაც სვანები იკრიბებოდნენ ხოლმე სოფლის საჭირბოროტო პრობლემების მოსაგვარებლად, საანალიზო წიგნის მიხედვით, ის **ტორიულად** თურმე სვანური პარლამენტი (სავარაუდოდ, მსოფლიოში უძველესი) ყოფილა (გვ. 223-224, 234, 260 და ა. შ.), ხოლო მზის სადიდებელი ჰიმნის „ლილეს“ მისამღერი – ურარტული.

ნორვეგიელმა ჟურნალისტმა შემოიღო „სვანური ანბანი“, რომელშიც რა ხდება, ვერავინ მიხვდება: **ჯერ ერთი, ზოგჯერ ერთი გრაფემა ხუთ ფონემას გადმოსცემს** (მაგალითად, **k არის როგორც კ, ისე ქ, ყ, ხ და ჯ ბგერათა აღმნიშვნელი!**) და თურმე სვანურში **უმლაუტანი** **ě**-ც არსებობს – ზოგადლინგვისტურ კანონზომიერებათა საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ენაში პალატალური ხმოვნები იწვევენ სხვა ხმოვანთა უმლაუტს, თავად კი, ცხადია, ამ პროცესს არ განიცდიან.

რ. ბერუგი სვანური ანბანისთვის იყენებს როგორც ინგლისურ, ისე რუსულ შრიფტს შესაბამის წიგნებში:

### I Svan alphabet

|         |   |    |         |   |     |         |   |                |
|---------|---|----|---------|---|-----|---------|---|----------------|
| ა       | - | a  | ო       | - | o   | შ       | - | sh             |
| ა̄ = აა | - | aa | ო̄ = ოო | - | oo  | ჩ       | - | ch             |
| ა̇      | - | ä  | ო̇      | - | ö   | ც       | - | ts/c           |
| ა̈ = აა | - | ää | ო̈ = ოო | - | öö  | ძ       | - | dz             |
| ბ       | - | b  | პ       | - | p   | წ       | - | ts/c           |
| ბ̄      | - | g  | ჟ       | - | zh  | ჭ       | - | ch             |
| დ       | - | d  | რ       | - | r   | ხ       | - | kh             |
| ე       | - | e  | ს       | - | s   | ჯ       | - | j              |
| ე̄ = ეე | - | ee | ტ       | - | t   | ჭ̄      | - | f              |
| ე̇      | - | yo | უ       | - | u   | ც̄      | - | e              |
| ზ       | - | z  | უ̄ = უუ | - | uu  | ყ       | - | y              |
| თ       | - | t  | უ̇      | - | ü   | ჰ       | - | h              |
| ი       | - | i  | უ̈ = უუ | - | üü  | ვ       | - | w              |
| ი̄ = იი | - | ii | უ̊      | - | w   | ვ̄      | - | k/kh           |
| კ       | - | k  | ფ       | - | p/f | ჟ̄      | - | (glottal stop) |
| ლ       | - | l  | ქ       | - | k   | გ       | - | ö              |
| მ       | - | m  | ღ       | - | gh  | გ̄ = გგ | - | öö             |
| ნ       | - | n  | ყ       | - | k/q |         |   |                |

<sup>1</sup> თუმცა შესანიშნავად იცის, რომ სვანური ქართველურ ენათა ოჯახს გამოეყო დაახლოებით 4000 წლის წინ (გვ. 10; იხ. აგრეთვე, „ლუშნუ ზოფშრე ლიტერატურა“, თბილისი, 2013: 113 – „სვანური ენა არის ერთ-ერთი ქართველური ენა“).

## II Сванский алфавит

|             |   |        |         |   |      |   |   |   |
|-------------|---|--------|---------|---|------|---|---|---|
| ა           | - | ა      | ო       | = | ო    | შ | - | შ |
| ა̄ = აა     | - | აა     | ო̄ = ოო | - | ოო   | ჩ | - | ჩ |
| ა̇          | - | ა̇     | ო̇      | - | ო̇*  | ც | - | ც |
| ა̈ = აა     | - | ა̈     | ო̈ = ოო | - | ოო** | ძ | - | ძ |
| ბ           | - | ბ      | პ       | - | პ    | წ | - | წ |
| ბ̄          | - | ბ̄     | ჟ       | - | ჟ    | ყ | - | ყ |
| ბ̇          | - | ბ̇     | რ       | - | რ    | ხ | - | ხ |
| ბ̈ = ბბ     | - | ბბ     | ს       | - | ს    | ჯ | - | ჯ |
| გ           | - | გ      | ტ       | - | ტ    | ჭ | - | ჭ |
| გ̄          | - | გ̄     | უ       | - | უ    | ც | - | ც |
| გ̇          | - | გ̇     | უ̄ = უუ | - | უუ   | ძ | - | ძ |
| გ̈ = გგ     | - | გგ     | უ̇      | - | ***  | წ | - | წ |
| დ           | - | დ      | უ̈ = უუ | - | **** | ყ | - | ყ |
| დ̄          | - | დ̄     | ფ       | - | ფ    | ვ | - | ვ |
| დ̇          | - | დ̇     | ვ       | - | ვ    | გ | - | გ |
| დ̈ = დდ     | - | დდ     | გ       | - | გ    | ქ | - | ქ |
| ე           | - | ე, ე̇  | გ       | - | გ    | ღ | - | ღ |
| ე̄          | - | ე̄     | კ       | - | კ    | ყ | - | ყ |
| ე̇          | - | ე̇     | კ       | - | კ    | შ | - | შ |
| ე̈ = ეე, ე̈ | - | ეე, ე̈ | კ       | - | კ    | ჩ | - | ჩ |
| ვ           | - | ვ      | კ       | - | კ    | ც | - | ც |
| ვ̄          | - | ვ̄     | კ       | - | კ    | ძ | - | ძ |
| ვ̇          | - | ვ̇     | კ       | - | კ    | წ | - | წ |
| ვ̈ = ვვ     | - | ვვ     | კ       | - | კ    | ჭ | - | ჭ |
| ზ           | - | ზ      | კ       | - | კ    | ხ | - | ხ |
| ზ̄          | - | ზ̄     | კ       | - | კ    | ჯ | - | ჯ |
| ზ̇          | - | ზ̇     | კ       | - | კ    | ჭ | - | ჭ |
| ზ̈ = ზზ     | - | ზზ     | კ       | - | კ    | ც | - | ც |
| თ           | - | თ      | კ       | - | კ    | ძ | - | ძ |
| თ̄          | - | თ̄     | კ       | - | კ    | წ | - | წ |
| თ̇          | - | თ̇     | კ       | - | კ    | ჭ | - | ჭ |
| თ̈ = თთ     | - | თთ     | კ       | - | კ    | ხ | - | ხ |
| ი           | - | ი      | კ       | - | კ    | ყ | - | ყ |
| ი̄          | - | ი̄     | კ       | - | კ    | ვ | - | ვ |
| ი̇          | - | ი̇     | კ       | - | კ    | გ | - | გ |
| ი̈ = იი     | - | იი     | კ       | - | კ    | ქ | - | ქ |
| კ           | - | კ      | კ       | - | კ    | ღ | - | ღ |
| კ̄          | - | კ̄     | კ       | - | კ    | ყ | - | ყ |
| კ̇          | - | კ̇     | კ       | - | კ    | შ | - | შ |
| კ̈ = კკ     | - | კკ     | კ       | - | კ    | ჩ | - | ჩ |
| ლ           | - | ლ      | კ       | - | კ    | ც | - | ც |
| ლ̄          | - | ლ̄     | კ       | - | კ    | ძ | - | ძ |
| ლ̇          | - | ლ̇     | კ       | - | კ    | წ | - | წ |
| ლ̈ = ლლ     | - | ლლ     | კ       | - | კ    | ჭ | - | ჭ |
| მ           | - | მ      | კ       | - | კ    | ხ | - | ხ |
| მ̄          | - | მ̄     | კ       | - | კ    | ჯ | - | ჯ |
| მ̇          | - | მ̇     | კ       | - | კ    | ჭ | - | ჭ |
| მ̈ = მმ     | - | მმ     | კ       | - | კ    | ც | - | ც |
| ნ           | - | ნ      | კ       | - | კ    | ძ | - | ძ |
| ნ̄          | - | ნ̄     | კ       | - | კ    | წ | - | წ |
| ნ̇          | - | ნ̇     | კ       | - | კ    | ჭ | - | ჭ |
| ნ̈ = ნნ     | - | ნნ     | კ       | - | კ    | ხ | - | ხ |

- \* похож на короткий немецкий ö
- \*\* похож на длинный немецкий ö
- \*\*\* похож на короткий немецкий ü
- \*\*\*\* похож на длинный немецкий ü
- \*\*\*\*\* похож на английский h

**შენიშვნა უამრავი გვაქვს**, მაგრამ ვცდილობთ, დავიცვათ სტატიისთვის განსაზღვრული გვერდების რაოდენობა.

შეცდომები XVIII-XIX საუკუნეების სვანეთში მოღვაწე არალინგვისტ მეცნიერებსაც ჰქონდათ, მაგრამ რ. ბერუგის ანალოგიური რამ არავის მოსვლია აზრად... დღეს, **XXI საუკუნეში**, ქართველოლოგიის განვითარების ასეთ მაღალ დონეზე, **წარმოუდგენელია მსგავსი ნააზრევი!... ჟურნალისტი მეცნიერი არ არის, ამიტომ მას არა აქვს უფლება, იმსჯელოს სამეცნიერო პრობლემებზე.** ჩვენ დიდად მადლობელნი ვართ ზემო და ქვემო სვანეთში მოგზაურ უცხოელ თუ ქართველ ტურისტთა დეტალური ინსტრუქტაჟის მაღალმხატვრული გადმოცემისათვის, **მაგრამ უფრო მეტად დაფუფასებდით ნორვეგიელ ავტორს საქართველოსთვის გაწეულ სიკეთეს, საერთოდ რომ არ განებილა მეცნიერული საკითხები!**

რ. ბერუგის ნაშრომი „კავკასიის არსი – სვანეთი“ 2016 წელს დაიბეჭდა ჯერ ნორვეგიულ ენაზე, მერე კი განმეორდა ინგლისურადაც ლატვიაში (ქ. რიგა), ხოლო 2019 წელს ჩვენს დედაქალაქში გამოქვეყნდა მისი რუსული თარგმანი („Суть Кавказа–Сванетия“) ყოველგვარი რედაქტირების გარეშე.<sup>1</sup> **სამწუხაროა, რომ სამი წლის მანძილზე ჯერჯერობით არც ერთი ქართველოლოგი ან თუნდაც პოლიტიკოსი არ გამოხმაურებია უხეში და თანაც ძალზე უხერხული შეცდომებით აღსავსე პუბლიკაციას არც ჩვენში და არც უცხოეთში!**<sup>2</sup>

კარგია, რომ თანამედროვე ევროპელი მოგზაურები აგრძელებენ XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე უცხოელ დიპლომატ-მკვლევართა ტრადიციებს, მაგრამ ყველა ავტორმა უნდა იმსჯელოს იმ ჭეშმარიტების შესახებ, რაც თავად იცის ან სხვათა ნაშრომებში ამოუკითხავს, თორემ „Svan alphabet“-ის მსგავსი საოცრებანი კიდევ ვინ იცის, ვის მოუვა აზრად?! ვაი, რომ რ. ბერუგს სჯერა ვიღაცის ნათქვამი: „ბეჩოს თემის მიტოვებულ სოფელ ფალედში, ერთ-ერთ კლდეზე, XII საუკუნის სვანურენოვანი წარწერა უპოვიათ“ (გვ. 38)-ო.

ტურიზმი დიდად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, მაგრამ ამ ურთულეს პროცესს არ უნდა გადავავლოთ ყველაზე არსებითი ეროვნული ფასეულობანი; ჩვენ **აუცილებლად მოვითხოვთ სპეციალისტების მკაცრ კონტროლს** საქართველოს რომელიმე კუთხის კვლევისადმი მიძღვნილ უცხოელთა ნაშრომებზე მათ გამოქვეყნებამდე.

## ლიტერატურა

**ახიბი 1878** – O. Abich, Geologische Forschungen in den kaukasischen Ländern, II, 1-3, Wien.

**ანდრონიკაშვილი 1966** – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბილისი.

**ბერუგი 2019** – P. Беруг, Суть Кавказа–Сванетия, Тбилиси.

**ბერუგი (რედაქტორი) 2013** – ლუშნუ ბოფშრე ლიტერატურა, თბილისი.

<sup>1</sup> ჩვენი ანალიზისთვის ვსარგებლობთ სწორედ რუსული ვარიანტით, რადგანაც თითქმის წარმოუდგენელია ნორვეგიულ ან ინგლისურ გამოცემათა მოპოვება.

<sup>2</sup> რ. ბერუგის რედაქტორობით 2013 წელს თბილისში გამოიცა „**ლუშნუ ბოფშრე ლიტერატურა**“ (სათაურიდანვე უამრავი შეცდომით სავსე!), რომელსაც მალევე გამოეხმაურა ჩემი მოწაფე – პროფ. ქეთევან მარგიანი საგანგებო სტატუსით მესტიის გაზეთში დასაბეჭდად, მაგრამ არც გაზეთის რედაქციამ და არც ადგილობრივი მერიის თანამშრომლებმა ყურად არ იღეს საკმაოდ მკაცრი შენიშვნები. ასე რომ, ქალბატონი ქეთევანის სტატია „დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“, ანუ თავის მშობლიურ კუთხეში. ასევე მკაცრად უნდა შეფასდეს რ. ბერუგის მეორე წიგნიც „**ბოფშრე ნაირ ლუშნუ ამბჳარ**“ (2015).

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ფრეშფილდი 1896** – D. Freshfield, The Exploration of the Caucasus, v. I, London.

**ჩანტლაძე 1998** – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, ტ. I, თბილისი.

**ჩანტლაძე, ქავთარაძე 2002** – ი. ჩანტლაძე, ნ. ქავთარაძე, სვანეთი ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა შრომებში, „მაცნე“ – ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია, I, თბილისი.

**ჭკადუა 2020** – ა. ჭკადუა, სვანური ტოპონიმია, თბილისი.

IZA CHANTLADZE

### "Discoveries" by Richard Berug in Svaneti

#### S u m m a r y

Doctor of philosophy, Norwegian journalist **Richard Berug** has been living in Svaneti for more than ten years and running a business in one of the hotels in the village of Becho, at the foot of the legendary peak – Ushba that is famous all over the world. Even though he neither learned Svan nor Georgian, he publishes books in which a number of mountaineering-tourist routes are magnificently presented with brilliant photographs and maps, but a lot of mistakes are made from the linguistic and cultural point of view.

Mr. Richard knows that Svan is one of the Kartvelian languages, but he still creates the Svan alphabet based on the Latin script (in which there are a number of misunderstandings – some graphemes convey 4-5 phonemes) and makes such statements that threaten our national values. The books were published in five languages (Norwegian, English, Russian, Georgian and Svan), but, unfortunately, no one (neither a scientist nor a politician) has expressed anything about them yet (neither in our country nor abroad).

This time we discuss the Russian version of R. Berug's book ("Суть Кавказа–Сванетия") and present very serious remarks.

ორინე ჩაჩანიძე

**ჰუგო შუხარდტის რეცენზია სილოვან ხუნდაძის ნაშრომზე  
„სალიტერატურო ქართული“**

ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერი და ქართველოლოგი ჰუგო შუხარდტი (1842-1927) დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ქართულის ენის კვლევის საქმისადმი. ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მკვლევრები პეტრე მელიქიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ნოე ჟორდანიას, აკაკი შანიძე ინტენსიური მიმოწერის საფუძველზე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ შუხარდტის მიმართ და დახმარებას უწევდნენ ქართულის შესწავლაში, რომლის ნათელი დასტურია გრაცის უნივერსიტეტში დაცული მისი პირადი საარქივო მასალები.

ქართულ ენას ეხება შუხარდტის შემდეგი შრომები: „Über das Georgische“ („ქართული ენის შესახებ“-1895), „Ueber den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen“ („გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“ – 1895), „Kharthwelische Sprachwissenschaft“. („ქართველური ენათმეცნიერება“ (I, II, III, 1896-1897), „Georgische Handschriften in Torre del Greco“ („ქართული ხელნაწერი Torre del Greco-ში“-1896), „Georg. წ, ჭ = ts“. („ქართული წ და ჭ“ – 1902) და ა. შ.

ღირსსაცნობია, რომ 1895 წლის „ივერიის“ 198-ე ნომერში პირველად გამოქვეყნდა ცნობა შუხარდტის ნაშრომის შესახებ, რომელიც იუწყება: „ვენაში გამოვიდა წიგნი გერმანულს ენაზედ, სათაურით „Über das Georgische“ („საქართველოს შესახებ“). ავტორი ამ წიგნისა არის ცნობილი წევრი ვენის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა ჰუგო შუხარტი (Hugo Schuchardt), რომელიც კარგა ხანია სწავლობს ქართულს ენას. მისის ას ცალად გამოცემულის წიგნაკიდან სჩანს, რომ ავტორი უკვე რიგაიანად გასცნობია ქართულს ენასა და გრამატიკას, რომლის კრიტიკული განხილვა შეადგენს წინამდებარე წიგნაკის შინაარსს. ამ გამოცემაში ბატონი შუხარტი გააცნობს მკითხველებს იმ შრომათა და გამოკვლევათ, რომელნიც შეეხებიან ქართულს ენას, ვითარცა შრომანი ცაგარლისა, ერკერტისა, ჩუბინაშვილისა, შანშოვანისი, ჯანაშვილისა, კლაპროთისა, მაჯიოსი და სხვანის. თავისს წიგნს ავტორი უძღვნის პროფ. პ. მელიქიშვილს“ („ივერია“ 1895, N198 : 4).

საარქივო მასალებიდან მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ მოპოვებული აქამდე შეუსწავლელი ჰუგო შუხარდტის რეცენზია გამოჩენილი გრამატიკოსისა და პუბლიცისტის სილოვან ხუნდაძის (1860-1928) წიგნზე „სალიტერატურო

ქართული“ სათაურით „სალიტერატურო ქართული. სილოვ. ხუნდაძის გამოკვლევა. ქუთაისი. Типог. Кизладзе и Хеладзе. 1901. [Litterarisches Georgisch. Untersuchung von Silowan Chundadze. Kutais.] SS. 239 [nach einer Schlussbemerkung wurde der Druck im Febr. 1902 vollendet].“.

საყურადღებოა, რომ გაზეთ „ივერიაში“ ენათმეცნიერმა და ეთნოგრაფმა მოსე ჯანაშვილმა სპეციალური წერილი მიუძღვნა ამ ფაქტს და აღნიშნა: „მოგვივიდა გერმანულს ენაზედ დასტამბული ვრცელი წერილი პროფესორის ჰუგო შუხარდტისა საზოგადო სათაურით Litterarisches Georgisch. პატივცემული ავტორი, რომელსაც, როგორც სჩანს, კვლავ მოუკიდნია ხელი ქართულ ფილოლოგიისათვის, წარმოგვიდგენს ბ.ნ სილოვან ხუნდაძის შრომის, – სალიტერატურო ქართულის, – განხილვას. როგორც მიუდგომელის მეცნიერის ნამუშევარი, ღირს იმად, რომ გადმოითარგმნოს და დაიბეჭდოს ქართულს ჟურნალშია“ (მოსე ჯანაშვილი, „ივერია“, 1902, N267: 4).

ამავე წლის გაზეთში „ცნობის ფურცელი“ გამოქვეყნდა ინფორმაცია შუხარდტის ორი რეცენზიის თაობაზე, რომელშიაც ნათქვამია: „მოგვივიდა ავსტრიელ პროფესორ შუხარდტის ორი წერილი. ერთში იგი არჩევს სილოვან ხუნდაძის წიგნს – „სალიტერატურო ქართული“ და მეორეში აჭარიანის გამოკვლევას – Etude sur la langue Lase (ლაზური ენა). წერილების შინაარსს შემდეგ ვავაცნობთ მკითხველს“ (ცნობის ფურცელი, 1902, N2011).

ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ჰუგო შუხარდტს სილოვან ხუნდაძის შრომა „სალიტერატურო ქართული“. ამას ადასტურებს ცნობილი ქართველი ეკონომისტისა და პუბლიცისტის ფილიპე გოგიჩაიშვილის (1872-1950) წერილი შუხარდტისადმი (იმნაიშვილი 2002), რომელშიც ნათქვამია: „ძვირფასო ბატონო პროფესორო! დღეს გიგზავნით „ძიებანს“ („Разыскания“) მარისგან და „სალიტერატურო ქართულს“ სილოვან ხუნდაძისგან, რომელიც ბატონმა ნ. ლოლობერიძემ (ქართველი პუბლიცისტი და მეწარმე) გადმოიტანა და მთხოვა, გამოგიგზავნოთ ასლები. ის გადმოგცემთ თავის საუკეთესო სურვილებს და იმედოვნებს, რომ ერთხელ ჩვენთან ერთად შეგხვდებით“.

სილოვან ხუნდაძის ნაშრომის რეცენზიასთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა შუხარდტის წერილი ალექსანდრე ხახანაშვილისადმი (იმნაიშვილი 2003), რომელშიც შემდეგ სტრიქონებს წერს: „ჩემმა ჯანმრთელობამ და მუშაობამ ძალიან შემაფერხა. ჩემი საქმიანობა რეტორომანულ, ბასკურ და სხვათა ენების მუშაობაზე იყო გადანაწილებული. უკვე ორი წელია, რაც პენსიაზე ვარ და ვაპირებ ჩემი ხანმოკლე თუ ხანგრძლივი პენსია (ახლა თითქმის 61 წლის ვარ) ძირითადად კავკასიური ენების შესწავლას მივუძღვნა. დეკემბრის შუა რიცხვებში რამდენიმე თვით ვგეგმავ ეგვიპტეში წასვლას. ალბათ, ამის გამო ვერ გამოგიგზავნით ორ ვრცელ რეცენზიას (ხუნდაძე – „სალიტერატურო ქართული“ და აჭარიანი – „ლაზური ენის შესწავლა“ – „Étude sur la langue Lase“), რომელიც დაიბეჭდება „Wiener Zeitschrift“-ის („ვენის ჟურნალის“) შემდეგ ნომერში. ვაპირებ დაწვრილებით განვიხილო ყველაფერი, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყნდება ქართველური ენათმეცნიერების შესახებ ქარ-

თულ და რუსულ ენებზე; ეგვიპტიდან მშვიდობით დაბრუნების შემდეგ ვფიქრობ, გავაგრძელო დიდი ხნის წინ დაწყებული სამუშაო ქართული გრამატიკის შესახებ. საამისოდ ჩემთვის მეტად სასარგებლო იქნებოდა ჯანაშვილის ხელნაწერი გრამატიკა, რომელიც პეტერბურგის სააზიო მუზეუმშია“ (შუხარდტის არქივი, 1902 წლის 23 ნოემბერი).

სილოვან ხუნდაძის „სალიტერატურო ქართული“ საინტერესო ნაშრომია. ეს არის არსებითად ერთ-ერთი პირველი მონოგრაფია, რომელშიც ნათლად გამოვლინდა ავტორის დაკვირვება ქართული ენის ბუნება-სტრუქტურაზე, სპეციალური ლიტერატურის ცოდნა და სკოლაში მუშაობის 17 წლის გამოცდილება, რომელშიაც ჩანს პრაქტიკოსი მასწავლებლის შემოქმედებითი მიდგომა ენობრივი მოვლენებისადმი (ზექალაშვილი 1991). წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ჩვიდმეტი წელი შესრულდა, რაც ქართულ ენას ვასწავლი და მასთან, რასაკვირველია, მეც ვსწავლობ. „სწავლა კაცს სიბერემდი არ მოსჭარბდებაო“, და ზედმიწევნით რომ დღესაც არ ვიცოდე ქართული ენა, არ გამემტყუნება. ყოველ შემთხვევაში, ჩვიდმეტი წლის გამოცდილებითა და საგნის დაკვირვებით, რაც უნდა უნიჭო იყოს კაცი, ცოტას რასმე მაინც შეიძენს, და მე მსურს ჩემი დაკვირვების ნაყოფი ქართული ენის მოყვარულთ ვაუწყო“ (ხუნდაძე 1901: 2).

ნიშანდობლივია, რომ ჰუგო შუხარდტი რეცენზიას სილოვან ხუნდაძის ნაშრომზე „სალიტერატურო ქართული“ იწყებს შემდეგი სიტყვებით: „სიწმინდისათვის ბრძოლას ვერც ერთი სამწერლობო ენა ვერ გაექცევა, მათ შორის ქართულიც; მართლაც, ამ ნაშრომის ავტორის აზრით, არც ერთ მათგანს არ ექნებოდა ისეთი მრავალფეროვანი ფორმები (კერძოდ, ეკვივალენტური), როგორც თანამედროვე ქართულს; ის აქებს ძველ ენას მისი ერთგვაროვნებისთვის და ამის გამოსწორებას უდიდესი თავმდაბლობით ცდილობს. ქართულს 17 წელი სწავლობდა და, რა თქმა უნდა, თანდათანობით ისწავლა; მიუხედავად იმისა, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის ეს საფუძვლიანად. მრავალწლიანმა გამოცდილებამ და დაფიქრებამ გარკვეულწილად ნაყოფი გამოიღო, რომელსაც ის წარმოადგენს. მან მასალა დაალაგა არა ანბანური თანმიმდევრობით, არამედ შინაგანი კუთვნილების შესაბამისად, ანუ ვუსტმანის მიხედვით (გუსტავ ვუსტმანი – გერმანელი ფილოლოგი). მას რა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარებოდა „ძირითად სირთულეებსა“ და „ლინგვისტურ სისულელებებში“, რომლებშიაც ბოლომდე ვერ გაერკვა“ (შუხარდტი 1902: 362).

რეცენზიაში ქართული ენის საკითხებზე მსჯელობისას შუხარდტი საკმაო სისრულით ითვალისწინებს და ზედმიწევნით ანალიზებს სილოვან ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულში“ წარმოდგენილ წვრილმან საკითხებს და მიდის მეტად საყურადღებო დასკვნებამდე. ავტორი ნაშრომში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზმნას და ამიტომ, მისი საკმაოდ ვრცელი რეცენზიიდან, რომელიც მოიცავს 18 გვერდს, ყურადღებას გავამახვილებთ რეცენზენტის მიერ გაანალიზებულ ზმნის ფორმებზე.

გასათვალისწინებელია, რომ სილოვან ხუნდაძე ნაშრომში კეთილხმოვანების (ევფონიის) საკითხს გადაჭარბებულად უპირატესობას ანიჭებს, რაც ნათლად ჩანს მის მიერ შემოთავაზებულ სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენაში.

წიგნში ავტორი განიხილავს ზმნის დიალექტურ ფორმებს, რომელშიც მ სონანტის შენაცვლება ხდება გ სპირანტთან და ამ მოვლენას უკანონობასა და არაკეთილხმოვანებას უკავშირებს. ის ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ამ ფორმას ხშირათ აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენ. იქვე ზოგჯერ მ-ს მაგიერ საფუძველს გ-ზე აბოლოებენ საუბარშიც და მწერლობაშიც: სვავს, სვავდა, იზავს, იზავდა და სხ., რაიცა, რა თქმა უნდა, უკანონოა და მასთან უკეთილხმოვანოც“ (ხუნდაძე 1901:40).

ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ეთანხმება ავსტრიელი რეცენზენტი, თუმცა „ზიდავდა“ და სხვა ზმნის ფორმაში ვ-ს კეთილხმოვნების გამოყენების კანონიერებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს: „თუ „ვ“ ხშირადაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში „იზამდა“-ს ნაცვლად „იზავდა“-ს ფორმით, რაც არაკანონიერია, რამდენადაა ის უფრო კეთილხმოვანი „ზიდავდა“ სხვა ზმნის ფორმაში, სადაც კანონიერია მისი გამოყენება? ამ გადაწყვეტილების შესახებ შემემლო აქა-იქ უმნიშვნელო კითხვა დამესვა“ (შუხარდტი 1902: 363).

სილოვან ხუნდაძე რუსული ენის გავლენის შედეგად ზმნურ ფორმებთან შეთანხმებულ მოქმედებითი ბრუნვის არსებით სახელებს არამართებულად მიიჩნევს და განმარტავს: „ხილით ვაჭრობს, დათვზე ნადირობს და სხვა რუსული ენის გავლენით შემოუღიათ; ქართულად უნდა ითქვას (წმინდა ხალხურ ენაში ყოველთვის ასე ხმარობენ): ხილს ვაჭრობს, დათვს ნადირობს. მოქმედებითი ბრუნვა ამ შემთხვევაში რუსული ენის გავლენით არის ნახმარი, ხალხის ენაში კი ვერსად გაიგონებთ. რუსულის გავლენითვე შემოუტანიათ გამოთქმანი: ცხოვრებით კმაყოფილი, ბედით კმაყოფილი და სხვა“ (ხუნდაძე 1901: 156).

მიუხედავად იმისა, რომ შუხარდტი ზოგადად ეთანხმება ხუნდაძეს იმაში, რომ ქართულ ენაში ხშირია რუსული გავლენა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საპირისპირო აზრისაა, რომლის დასამტკიცებლად ავტორისაგან არგუმენტირებულ პასუხს მოითხოვს: „ქართულ ენაში ხშირია რუსული ენის გავლენა; ავტორი განსაკუთრებით გმობს რუსული ენიდან მომდინარე ინსტრუმენტული ნაწილის გამოყენებას და ზოგიერთ პოსტპოზიციას ისეთ გამონათქვამებში, როგორცაა „დათვზე ნადირობს“, „გალახვას ემუქრება“, „ცხოვრებით კმაყოფილი“. სხვა შემთხვევაში, როდესაც ავტორი რუსულ გავლენას ვარაუდობს, ან არ არსებობს ასეთი გავლენის მტკიცებულება, ან იმის მტკიცებულება, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება არსებობდეს თუნდაც ერთ შემთხვევაში“ (შუხარდტი 1902: 366).

ნაშრომში ხუნდაძე მიზანშეუწონლად თვლის ქართულში რუსული ენის გავლენით დამკვიდრებულ ისეთ მემკვიდრეობას ფორმებს, როგორცაა მოკლულ იქნა, დამარცხებულ იქნა და ამის თაობაზე თავის პოზიციას გამოხა-



ტავს: „მწერლობაში იხმარება, – განსაკუთრებით ამ ბოლოს ხანებში, – ფორმა მოკლულიქნა, დამარცხებულიქნენ და სხვა. ეჭვი არ არის, ჩვენს ახალ მწერლობაში განსაკუთრებით რუსული ენის მიბადებით გავრცელებულია ეს ფორმა (ныль убить, переведень ныль და სხვა). ზემოხსენებული ფორმები სრულად არ შეეფერება ქართული ენის ხასიათს- და, ცხადია, მეტათ საჩოთიროა ქართველის გაურყვნელი სმენისათვის. რა საჭიროა სხვებისგან შეუფერებელი ფორმის სესხება, როცა ქართულ ენას მოეპოება თავისი საშვალეა ამ ფორმის გამოსახატავათ. „აზონი ამ ომში მოკლულიქნა. ქართულათ ასე ითქმის: აზონი ამ ომში მოკლეს“ (ხუნდაძე, 82-83).

სამართლიანად მიგვაჩნია შუხარდტის მიდგომა აქტივისა და პასივის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიების განხილვისას. თუმცა, რეცენზენტი ვერ ხედავს რუსული გავლენის კვალს ქართულში. უფრო მეტიც, ვუსტმანის დამოწმებით, პასივის გამოყენების მაგალითებს ოფიციალურ დოკუმენტებსა და პრესაში ადასტურებს: „ქართულში პასივი გამოიყენება აქტივის ნაცვლად, მაგალითად, „მოკლულიქნა“-ს ნაცვლად „მოკლეს“. აქ შეინიშნება არა რუსულის გავლენა (ныль убить), არამედ პასივის გამოყენების ტენდენციები, რომელიცზოგადად ევროპული სიახლეა. მაგალითად ვუსტმანი ადასტურებს, რომ პასივი მომრავლდა იურიდიულ და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები თავიდანვე უფრო ახლოს იყვნენ პასივთან, ვიდრე აქტივთან (იხ. ჩემი ნაშრომი „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“-„Ueber den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen“ (შუხარდტი 1902: 367-368).

„სალიტერატურო ქართულის“ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს **აღ** ზმნისწინზე, რომელიც ფუძეს შეუხორცდა **ვადიარებ** ზმნის ფორმაში, თუმცა იგი **აღვადიარებ** ფორმას უჭერდა მხარს. „საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანო სრული მიმოხრა ზმნის **აღვადიარებ**, რომელსაც ახლა იშვიათათ ხმარობენ კანონიერი ფორმებით. ჩვენს ახალ მწერლობაში იხმარება ფორმები: მე **ვადვადიარებ**, შენ **აღვადიარებ**, ის **აღვადიარებს**, მე **ვადვადიარე**, **აღვადიარებული**. **მეღვადიარებია**, **მიღვადიარებიაო** და სხვა. – და ყველა ეს უკანონოა.

**აღსარება** არის თავსართიანი ზმნა და ისე უნდა მიმოვხაროთ, როგორც სხვა თავსართიანი ზმნები მიმოხრის, – მაგალითათ, როგორც **აღდგენა**, **აღვლენა**, **აღჭურვა** და სხვა, სადაც **ვ** ჩნდება მხოლოდ პირველ პირში (როგორც პირველი მიმოხრის ყველა ზმნაში): მე **აღვადგენ**, **აღვავლენ**, **აღვიჭურვები**, ჩვენ **აღვადგენთ**, **აღვავლენთ**, **აღვიჭურვებით** და სხ.; დანარჩენ პირებში კი **ვ** არ ახლავს: შენ **აღადგენ**, ის **აღადგენს**, თქვენ **აღავლენთ**, ისინი **აღავლენენ** და სხ. მაშასადამე, **აღსარება**-ც ასე უნდა მიმოვხაროთ“ (სილოვან ხუნდაძე 1901: 92).

ბუნდოვანი საკითხების გასარკვევად, რეცენზენტი ეხმაურება ხუნდაძის ნააზრევს აღნიშნულთან დაკავშირებით და წერს: „უცნაურია ძველ ენაში დამკვიდრებული ზმნის საწყისი ფორმა „აღსარება“. ჩემთვის გაუგებარია, მიმღეობიდან როგორ გაჩნდა პრეფიქსი **სა**, თუმცა ზმნა „არება“, რომელიც უნდა ინიშნავდეს „თქმას“, არ დასტურდება; ამჟამად ქართულში, თუმცა გამონაკლი-

სის სახით, გვხვდება ზმნის ფორმები „Ich bekenne“ აღ-ვ-ი-არებ, „ich bekenne ihm“ აღ-ვ-უ-არებ, რომელიც წინ უსწრებს ფუძეს და მყარად არის შეხორცებული მასთან (შუხარდტი 1902: 374).

უნდა აღინიშნოს, რომ ჰუგო შუხარდტის სარეცენზიო ნაშრომი კომპეტენტური და ღირებული სამეცნიერო გამოკვლევაა. აუცილებლად მიგვაჩნია, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ავტორი საკმაოდ ღრმად იცნობს და ფლობს რეცენზიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურას, ეყრდნობა ამ შრომებს და სათანადოდ აფასებს მათ, რაც ენათმეცნიერის მაღალ ერუდიციაზე მიუთითებს. მხედველობაში გვაქვს ანტონ კათალიკოსის, ჩუბინაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, თედო ჟორდანიას, ერკერტისა და სხვათა შრომები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სილოვან ხუნდაძის ნაშრომში წარმოდგენილი მრავალწახნაგოვანი საკითხების გასაანალიზებლად და შესაფასებლად.

აღნიშვნის ღირსია ასევე რეცენზიის დასასრულს შუხარდტის მიერ გამოთქმული სიტყვები: „ამ დისკუსიიდან დაინახავთ იმას, თუ არა მარტო რამდენი ვისწავლე წიგნიდან, არამედ კიდევ რამდენი მინდა ვისწავლო იმავე საგნებზე. მინდა ქართველებმა მეტად უპასუხონ უცხოელების იმ მოკრძალებულ სურვილებსა და კითხვებს, რომლებიც მათი ენის ფაქტობრივი ბუნების შესახებ უჩნდებათ; მათ, ვინც იციან მადლიერების გამოხატვა უცნობების მიმართ საკუთარი ენისა და ლიტერატურისადმი გამოვლენილი ინტერესისთვის (შუხარდტი 1902: 379).

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ავსტრიელმა ენათმეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა დიდად შეუწყო ხელი ქართული ენით როგორც ევროპელ, ასევე ქართველ მეცნიერთა დაინტერესებას, რომელთა დიდი გამოცდილება სასიკეთოდ წაადგებოდა ქართული ენის უფრო ღრმად კვლევას. ამიტომ იყო, რომ პრესასა თუ სხვადასხვა სახის სამეცნიერო პუბლიკაციაში ხშირად იბეჭდებოდა გამოხმაურებები შუხარდტის ნაშრომებზე ქართულის შესახებ.

### დამოწმებული წყაროები

ჰუგო შუხარდტის არქივი – Hugo Schuchardt archiv, <https://gams.uni-graz.at/context:hsa>

გაზეთი „ივერია“, 1895, N198.

გაზეთი „ივერია“, 1902, N267.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1902, N2011.

## ლიტერატურა

**ზექლაშვილი 1991** – რ. ზექლაშვილი, სილოვან ხუნდაძის „სალიტერატურო ქართული“: პედაგოგის, გრამატიკოსისა და მწერლის მონოგრაფიის შესახებ, განთიადი, ქუთაისი, N5, გვ. 173-180.

**იმნაიშვილი 2002** – ვ. იმნაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილისა და ჰუგო შუხარტის ურთიერთობიდან, ბურჯი ეროვნებისა, N3-4, თბილისი; გვ. 19-21.

**იმნაიშვილი 2003** – ვ. იმნაიშვილი, ქართული გრამატიკის კონტურები უცხოელი მკვლევარის თვალთ: (ჰუგო შუხარტისა და ალექსანდრე ხახანაშვილის მიმოწერიდან), ენათმეცნიერების საკითხები, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, N2, თბილისი; გვ. 152-169.

**შუხარდტი 1902** – H. Schuchardt, „სალიტერატურო ქართული. სილოვ. ხუნდაძის გამოკვლევა. ქუთაისი. Типог. Киладзе и Хеладзе. 1901. [Litterarisches Georgisch. Untersuchung von Silowan Chundadze. Kutais.] SS. 239 [nach einer Schlussbemerkung wurde der Druck im Febr. 1902 vollendet].“

**ხუნდაძე 1901** – ს. ხუნდაძე, *სალიტერატურო ქართული*, კილაძისა და ხელაძის სტამბა, ქუთაისი.

IRINE CHACHANIDZE

### Hugo Shukhardt's Review of Silovan Khundadze's Work “The Georgian Literary Language”

#### S u m m a r y

The famous Austrian linguist Hugo Schuchardt (1842-1927) showed great interest and knowledge in the study of the Georgian language. Georgian public figures and researchers Petre Melikishvili, Ilia Chavchavadze, Nikolay Marr, Alexander Khakhanashvili, Mose Janashvili, Pilipe Gogichaishvili, Noe Zhordania, Akaki Shanidze showed a special attitude towards Shukhardt based on intensive correspondence and provided assistance in studying Georgian, which is clearly evidenced by his personal letters kept at the University of Graz Archival materials. His works about the Georgian language are as follows: „Über das Georgische“ (1895), „Ueber den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen“ (1895), „Kharthwelische Sprachwissenschaft“ (I, II, III, 1896-1897), „Georgische Handschriften in Torre del Greco“ (1896), etc.

Among the archival materials, the previously unstudied Hugo Schuchardt's review of the book „The Georgian Literary Language“ by outstanding grammarian and publicist Silovan Khundadze (1860-1928) with the title „სალიტერატურო ქართული. სილოვ. ხუნდაძის გამოკვლევა. ქუთაისი. Типог. Килаძე и Хелაძე. 1901. [Litterarisches Georgisch. Untersuchung von Silowan Chundadze. Kutais.] SS. 239 [nach einer Schlussbemerkung wurde der Druck im Febr. 1902 vollendet]”.

While discussing the issues of the Georgian language in the review, Shukhardt thoroughly analyzes the minor issues presented in „The Georgian Literary Language“ by Silovan Khundadze and reaches very noteworthy conclusions. The author attaches special importance to the verb in the work, and therefore, from his rather extensive review, in the paper we will focus on the verb forms analyzed by the reviewer according to the work of Silovan Khundadze.

მანანა ჩაჩანიძე

**ერთი პოემის პოეტური ლოგიკა: პუნქტუაციის გარეშე და ინტონაციის მიღმა – გუჩა კვარაცხელიას უცნაური პოემა „მახინჯი ჩრდილი (კრიპტომნეზია)“<sup>1</sup>**

ლინგვისტური პასაჟები გუჩა კვარაცხელიას მხატვრული შემოქმედების ორგანული და ორიგინალური ნაწილია. მის პოეზიაში პოეტური ლოგიკისა და ენის ესთეტიკური ფუნქციის ნაირგვარი გამოვლინებები ინტელექტუალური უმაღლესობის პრიზმიდან იკითხება, იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ ინტელექტუალური რაკურსი მასთან უპირატესია. საერთოდ, ცალკე თემაა მისი, როგორც შემოქმედი პიროვნების სამოღვაწეო კულტურული სივრცე (მეცნიერება, მწერლობა, მხატვრობა), რაც არამარტო ინტერესებისა და შესაძლებლობების მრავალმხრივობაზე მიუთითებს, არამედ სრულიად კანონზომიერად განუკუთვნებს მის ნამოღვაწეს გამორჩეულ ადგილს მეცნიერებასა და ხელოვნებაში.

გუჩა კვარაცხელიას შემოქმედებას განსაკუთრებულ კოლორიტს სძენს ლინგვისტიკის ერთგვარი განივთება პოეზიაში და ერთხელ დაჭაშნიკებული ეს „ლინგვისტური პოეზია“ მკითხველის ცნობისწადილს ამგვარი სამყაროსადმი აღვივებს და აძლიერებს. ხომ ფაქტია, რომ პოეტური ლოგიკის უსაზღვრო პირობითობა განსაზღვრავს უპირველესად პოეზიისადმი ასეთივე უსაზღვრო სიყვარულსა და ინტერესს. პოეზიის უსაზღვრო და მარადიული ხიბლი, ენის მიღმა, უთუოდ პოეტური ლოგიკის დამსახურებაა, რამდენადაც ამ სივრცის სანდობაზეა დაფუძნებული ავტორ-მკითხველის მარადიული დუეტიც. ამ თითქოსდა ჩვეულებრივ ამბავთან ერთად, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ენობრივი სივრცე ენათმეცნიერისთვის როგორღაც საარსებო გარემოზე მეტი და თავისათავადია. ამ სივრცეში ინტელექტუალური წიაღსვლები, ძიებები და მიგნებები უკიდევანო ენობრივი სამყაროს განუზომელი შესაძლებლობებით გვწუსხავს, გვაოცებს და მრავალგვარ საფიქრალს აჩენს. ამგვარ პოეტურ ქმნილებათა რიგს განეკუთვნება გუჩას მხატვრული შემოქმედებიდან ერთი უცნაური პოემა სახელწოდებით: „მახინჯი ჩრდილი (კრიპტომნეზია)“, რომელიც გურამ დოჩანაშვილს ეძღვნება (იხ. პოეტური კრებული „მართალთა და უღმრთოთა გზები“, თბ., 2000, გვ. 167-172). რასაკვირვე-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 2022 წლის 28 ივნისს ენათმეცნიერების ინსტიტუტში გუჩა კვარაცხელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

ლია, თვით ეს მიძღვნის ფაქტიც უკვე, ქვეცნობიერად, განწყობის შემქმნელია და გარკვეულ მოლოდინებს აჩენს (აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ მან, მოგვიანებით, სანიმუშო მეცნიერული ნარკვევებიც მიუძღვნა დოჩანაშვილის შემოქმედებას).

პოემა მოგვითხრობს, რომ მახინჯი ჩრდილი ავტორის არაა; მართალია, მას დასდევს და, შეიძლება, მას ჩამოუვარდა კიდეც ტანიდან, მაგრამ მისი არაა. პოემა სულ 140 სტრიქონისგან შედგება და მასში არცერთი სასვენი ნიშანი არაა გამოყენებული. ტექსტის პუნქტუაციის გარეშე დატოვება მკითხველს თხრობის თანაშემოქმედს ხდის, აზრის დანაწევრება და სათქმელის სირღმე, მრავალდონიანობა და ქვეტექსტები ავტორისეული ჩანაფიქრის გარდა (ვარიაციებითურთ) მკითხველსაც თავის საქმეს უჩენს: ლოგიკური მახვილი, აქცენტი, ინტონაცია ტექსტში მკითხველის საქმეა (ვითომ?!) – ესეც ჩრდილის სიმახინჯის გამართლება და ავტორის ჩანაფიქრის უტყუარობა! დიახ, ამ ტექსტს ინტერვალებით, წერტილიდან წერტილამდე ვერ წაიკითხავ, სტრიქონ-სტრიქონ ვერ დააპაუზებ, თვინიერ მთლიანი ტექსტისა კონტექსტებს ვერ გამოაცალკევებ, ის თავიდან ბოლომდე, სიტყვა-სიტყვით უნდა წაიკითხო, ავტორთან ერთგვარი თანამოღვაწეობით, ძალიან გულღიად და გულწრფელად „ძნელად გასაგები ეტიკეტით კი არა კარგად გასაგები კარგად მიღებული და დავარცხნილი ეტიკეტით“ (გვ. 167). ყველაზე მძაფრი ტკივილები და უსასრულო დარდი ასე უფრო კარგად ინიღბება: „ლტოლოვილის იმედიანი დევნილი ხომალდით მივცურავ იქითკენ სადაც ნოტიო ბურუსის მეტი არაფერი დამხვდება სად არის ნათესაური მარღვებით დაქსაქსული და შეკრული მსოფლიო თუ მისი ნაგლეჯი ნოტიო და ცივი ბურუსია ლტოლოვილის თავშესაფარი“ (გვ. 167). მიუხედავად ყველაფრისა, ყოფა-ცხოვრების ორი უძირითადესი საყრდენი **შეგუება** და **მოთმინება** პოეტის ფიქრებში ასე ხშირადღება: „მე ვპატარავდები ყურის დაფებიც მიპატარავდება რომ რხევებმა არ დამიხეთქოს ასე ვლინდება ორგანიზმში შეგუების ფაქტი პატარა ყურში პატარა ფრაზა მიძვრება მაყრუალასავით „დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ თავისუფლება არაა“ სისხლის მწყურვალი ფრაზა პატარა არაა“; „მთვარის ღიმილივით ცივი მაგრამ თილისმიანი სიტყვა „მოთმინება“ (გვ. 168)“. მხოლოდ მათზე ჩაჭიდებით თუ გაივლი „იდუმალ გზებს სადაც „გულგრილობის პური“ უნდა ჭამო და „აბსურდის ღვინო“ დააყოლო ზედ იცხოვრო ტერიტორიის ისტორიის ლოგიკის გარეშე როგორც ფილოსოფოსმა რომელსაც ჩრდილი ასფალტზე დაუფარდა და დააფრთხო ყველა გუშინდელი კი დღევანდელით მაინც ვერ ჩაახშო“ (გვ. 169) თუმცა ზოგჯერ „ფეხის დაცურება ორთოგრაფიული შეცდომის დარად უწყინარია“ (გვ. 169), ან სულაც უჩინარი იქ, სადაც „მოვარაყებულნი სიტყვების ხუჭუჭა რიტორიკა მწველი ეპითეტებით დაბანგული“ (გვ. 169) სივრცეა. ამ უწყინარ-უჩინარობამდე კი, როგორც პოეტი წერს: „უაზრობის წინააღმდეგ იმდენი აზრია საჭირო რომ სიმძიმეს ვერ უძლებს ფიქრების მერხვეი ბადე იგლიჯება და ვერაფერს ვეღარ აკავებს ცეცხლოვანი ტანგოს თავბრუს დამხვევი რიტმით მწყდებიან აზრები და მიზზრიალებენ გზადაგზა ვახტები

ლამაზმტყუნა სიტყვების შერითმულ წყვილთა გუბებზე გვერდს ვუვლი მეტაფორათა მეკობრულ ექსპედიციებს რომელთა შეხლა-შემოხლით მდიდრდება ჩვენი თვალსაწიერი და ფერმკრთალდება იაფფასიანი რომანსების სილამაზე ალბომურ-სალონური ენა სნობურად მოჩლექილი და ინტონირებული“ (გვ. 168). პოეტის ყველაზე ტკივილიანი ზოგადადამიანური საფიქრალი ისაა, რომ „წაგებულა წარსული სულელურ თამაშში დაკარგულია მყოფადი ნოტიო ბურუსის მომცველი სიცარიელე მყოფადი ხსოვნიდან ამოღებული მომავალი წარსულში როგორც გრამატიკული დრო“ (გვ. 169). მეტალინგვისტური რეფლექსიის ასეთი სიმძაფრე და სიღრმეები ამოათქმევინებს პოეტს: „ხანგრძლივი პაუზებით დახლეჩილი დავიწყებისა და განშორების დრო სპირალურად დახვეული უკანვე გვიბრუნდება იმიტომ რომ არსად წასულა ჩვენ ვიტკეპნებით სევდის თიხას ვზელთ და ადგილს ვერ ვწყდებით სიტყვების ტყვეობაში ვართ რადგან ყველაფერი სიტყვებითაა შემოსილი მხოლოდ ისინი გვიდასტურებენ რომ ვმყოფობდით დროსა და სივრცეში“ (გვ. 170). მაშ, სად არის თავისუფლების ადგილი და, მითუმეტეს, შემოქმედებითი თავისუფლების? პოეტის რწმენით: „თავის უფალნი ვართ მხოლოდ აზროვნებაში მხოლოდ ის გვაცხოვრებს სიკეთის შუქში და იმაში რაც აუტანლად მოსაწყენ ცხოვრებას შეალამაზებდა მხოლოდ იქ შეიძლება დაივიწყო ბუნების კანონი და არაფრისგან შექმნა მთელი სამყარო პოეტური ნათელმხილველობით მარტოობის ორი მილიარდი სინათლის წელი დაასახლო სიკვდილითა და სიცოცხლით რომელთა ანატომია შეიძლება დასძლიო პოეტური ლოგიკით რაც ჩვეულებრივ ლოგიკას თუნდაც იმით სჯობს რომ ეს შეუძლია არარსებული არანაკლებ არსებობს ვიდრე არსებული მხოლოდ ამ სიბრძნით შეიძლება ათვისო სამყარო უდანაკარგოდ“ (გვ. 170). პოეტურ სამყაროში, პირობითობის მიღმა კი იმდენი რამეა; თუნდაც პოეტური ენა, ტკბილ-მწარე ამბებით, ან სულაც ამავე პოემიდან მისი უდიდებულესობა პოეტური სემანტიკის თვალცხადი ნიმუშები ერთი სიტყვიდან ფრაზის უსასრულობამდე:

ჭიაფერი, ლამაზმტყუნა;

იეროგლიფებით ნაქარგი ობელისკები, უკვდავებით

დაქანცული წერილები,

მიქელანჯელოს მოუწერტილებელი პიეტა;

ანდა „მთვარის პატარა გუბე ტოკავდა“,

„მშვიდი თვალები მოუკირწყლდა კედელზე წმინდანს“,

„ბუზიყლაპიებს პირები ებრიცებათ მთქნარებით“,

„გულს მიხანჯლავენ გაქერქილი იმედები“,

„უპროტესტო მიტოვებული წლები მიტოვებული

კნუტებივით აკნავლდებიან“,

„უდარდელობის უღრუბლო სიხარულის ზღვევაა

მთელი ცხოვრება“,

„უცოდნელი სივრცეების სიცივე ქსინავდა უსარგებლო სევ-

დით შედედებული“...

და მაინც, ამ ყოვლისმომცველ უსასრულობასა და თვალბრწყვიალა ამაოებაში პოეტისათვის *სამშობლო* (– ჩოქვით შემოვლილი ყვავილების ქვეყანა; სიმღერის საუფლო; ანონიმური მტრების სამოვარი, მარადიული მარხული, ხსნის მოიმედე, ყოფის თოვლ-ჭყაპში ჩაფლული) ყველაზე გაუსაძლისი ტკივილია: „სამშობლოს დეკორაციულ სიყვარულსა თუ დამპყრობლის უტიფარ თარემს ყველაფერს აქვს თავისი ადგილი და ტყუილია რომ გადარჩება ის ვისაც არ ახსოვს ჩრდილის ძონძებით ივლის ულაზათო ბელეშა რომელიც წარსულს გამოტოვებს თუნდაც ის წარსული წაგებულ იყოს ჩოქვით შემოვლილი ყვავილების ქვეყანა სიმღერის საუფლო წარსულიდან მოდის სადაც ფანატიზმის მიაზმები ვერ იბუდრებდნენ ჩვილივით წმინდა მაშინაც უცოდველი როცა ცოდვას სჩადის ყვავილების ქვეყანა ანონიმური მტრების სამოვარი მარადიული მარხული მოიმედე ხსნის რომელიც სადღაც მზადდება მისთვის ყოფის თოვლ-ჭყაპში ჩაფლული ყვავილების ქვეყანა სასიყვარულო ქვეშაგებად გაგებულ არ მინდა არ მინდა არ მინდა არ მინდა არ შემოდია ამის ატანა ამ გაჩერებაზე ჩამოვალ ახლავე ჩამოვტები“ (გვ. 171). ამ „გაჩერებიდან“ ავტორი უზომო ტკივილს (მახინჯ და საზიზღარ ჩრდილს) ისევე სიტყვების, მშობლიური სიტყვების ქვეყანაში გაურბის, როგორც ერთი ვინმე წუთისოფლის მგზავრთაგანი: „ამ გაჩერებაზე ჩამოვალ ახლავე ჩამოვტები საფასურს ჩემს შემდეგ ჩამომვლელები გადაიხდიან სიმდიდრემ გაგვთიშა სიღარიბემ დაგვაახლოოს არაფერია თუ ვიღაც გაკოტრდა ესე იგი ვიღაცა გამდიდრებულა მახინჯი ჩრდილი საზიზღარი ჩემი არაა მე არაფერი დამვარდნია ჩემი არაა მხოლოდ სიტყვები ჩამომცვივდა სხვაზე იაფი ჰუმანურ დახმარებასავით თითქმის უფასო მე იმას ისე მომჭირნედ ვხარჯავ ისე ვაწებებ ერთმანეთზე არ მჭირდება გუმიარაბიკი ორი სიტყვიდან ერთი გამომყავს ერთ ასოსა და ორ ადგილს ვიგებ ამინდკარგში კი ზოგჯერ უფრო მეტს პურხმელი წყალცარიელი ნაცარმშრალი ნაღველმწარე ძნელსამოვარი შურმგლური რაც გადამრჩება ასოები შავი დღისათვის ტომარაზნელში გამოვიზოგავ და იქნება გამოვიზამთრო მე არაფერი დამვარდნია ჩემი არაა...“ (გვ. 172). ამგვარია პოემის ფინალი. ეს კომპოზიტებით დატვირთული, „ამინდკარგი ეპიზოდი“, დიდებული გადაძახილია გურამ დოჩანაშვილის სიტყვის სამყაროსთან, პოემა ხომ მას ეძღვნება („ნეტაროგორკაბიანი მეუღლე“ გამახსენდა უმაღლე, მერე სხვა გემრიელი სიტყვებიც და ბოლოს... ინტერტექსტური წაკითხვის ბუნებრივობა (შესაძლოა ვალდებულებაც – ინფორმაციის ეპოქაში). პოემის ტექსტიდან ვრცელი ლინგვისტური პასაჟების ანალიზი მოწმობს, რომ პოეტური პირობითობით დატვირთული „ლინგვისტური პოეზია“ მეტალინგვისტური რეფლექსიისა და პოეტური სტილისტიკის ერთ-ერთი განსაკუთრებულად უცნაური ნიმუშია. მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ ნაირგვარი უცნაურობები, უფრო სწორად, უცნაურობათა გროვები (სიტყვათა თუ საგანთა, ვგონებ, უფრო კი წარმოსახვათა), ყოფიერ სინამდვილეზე აღმატებული, ახალი სამყაროს ასაგებად, პოეტის გრაფიკულ ნამუშევრებშიც შთამბეჭდავდაა წარმოდგენილი. როგორც თვითონ წერს ერთ-ერთ ესეში: „ასეთი პარალელური სამყარო მოიცავს ჩვეულებრივსაც და უჩვეულოსაც, არსებულსაც და წარმოსახულსაც,



ზღაპრულსაც და მითოლოგიურსაც, ცხადსაც და სიზმარსაც, ცნობიერსაც და არაცნობიერსაც“ (2009: 57). ჩვენი სტატიის თემატური მიზანი მეტად სრულყოფისათვის, რაღა თქმა უნდა, პოეტის ნახატთა გადათვალისწინება-წაკითხვასაც საჭიროებს გარკვეულწილად. ქმნადობის თანხვედრები მის პოეზიასა და მხატვრობაში, მის ნაირფერ სახელოვნებო სივრცეში, უბრალო შემთხვევითობა არაა. ვფიქრობთ, ამგვარ უცნაურობა-არაჩვეულებრივობაში ყველაზე უკეთ გამოსჭვივის გუჩა კვარაცხელიას, როგორც ხელოვანის, მსოფლმხედველობრივი მრწამსი, მისი შემოქმედების განსაკუთრებულობა თუ თავისთავადობა, ერთგვარი ყოვლისმომცველობა თუ თვალის იქნებ, სულაც თავის) არ არიდება ჩვეულებრივისა თუ უჩვეულოსადმი გაცხადებული ოდენ მისეული, პერსონალურად ნიშანდობლივი ხედვებით. მისი „მხატვრული სიღრმეების არასტანდარტულობას“ როგორც პოეზიაში, ისე მხ

ატვრობაში საინტერესოდ განიხილავენ: ი. ამირხანაშვილი, დ. დათუკიშვილი, თ. ვაშაკიძე და სხვ. ასე, მაგალითად, მსჯელობს რა გუჩა კვარაცხელიას ნახატთა სამყაროს შესახებ (პოეტი და ენათმეცნიერი 500-ზე მეტი ნახატის ავტორია), მის ესთეტიკურ, კომუნიკაციურ-ინტერტექსტურ და ექსპერიმენტულ ბუნებაზე, ზოგად თუ კერძოობით ნიშან-თვისებებსა და თავისებურებებზე, პირობითობებით გაჯერებულ, ნონკლასიკურ სტილზე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, პროფ. დიანა დათუკიშვილი უდავოდ დამაფიქრებელ თვალსაზრისს ავითარებს: „გუჩა კვარაცხელიას ნახატები კეთილია, კეთილი, სანდომიანი პერსონაჟებით დასახლებული. აქ ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა უყვართ და ახარებთ. ნახატების წყებაში, სადაც სხვადასხვა კომუნიკაციური სიტუაციებია გამოხატული, მიუხედავად პერსონაჟთა და საგანთა სიუხვისა, ყოველთვის შენარჩუნებულია გამჭვირვალობა და წონასწორობა, ყველგან და მუდამ სიმშვიდისა და სასოების მომტანი“ (გ. კვარაცხელია, „ჩვენი შავ-თეთრი და ფერადი წუთისოფელი“, თბ., გვ. 2). უფრო ქვემოთ კი, მკვლევარი ნახატთა შინაარსობრივი სისავსისა და მრავალფეროვნების აღწერა-მიმოხილვისას, მათივე ბუნების უკეთ შეცნობის მიზნით, საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას შემოქმედის პოეზიაზე და ამასთან დაკავშირებით უაღრესად დახვეწილი ერთუდიტის მახვილგონიერებით შენიშნავს: „უნდა აღინიშნოს გამოფენილი გრაფიკის მნიშვნელოვანი თავისებურება – რიტორიკული ამპლიფიკაციის მსგავსი აკუმულაციის ფიგურის ფართო გამოყენება: პერსონაჟთა, საგანთა, დეტალთა დახვავება. თუ მხატვრულ ლიტერატურაში ჩამოთვლა ხორციელდება ერთ აზრობრივ ველში მყოფი სიტყვებისა და ფრაზების ისეთი თანამიმდევრული რიგებით, სადაც გამონათქვამის მომდევნო ნაწილი შინაარსით წინაზე უფრო დატვირთულია, ჩამოთვლის ამგვარ სტრუქტურას მხატვრობასა და მუსიკაშიც შეუძლია იმავე ეფექტის მოხდენა: რაველის „ბოლეროს“ რიტმი, რომელიც კატალონიელი მიროს ნახატში აღმოაჩინეს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მუსიკა შეიძლება გრძელდებოდეს უასრულოდ. ასევე უსასრულოდ შეიძლება გრძელდებოდეს წინ ხალხის მოძრაობა გუჩა კვარაცხელიას გრაფიკულ სურათებშიც („სვლა“, „საზოგადოება და პიროვნება“, „ქუჩა“).

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ რაღაც ნიშნით (საერთო აზრობრივი ველი, თანამიმდევრულობა) ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების გროვაზე, მაგრამ არსებობს ქაოსური გროვებიც, სადაც ობიექტებს შორის არ არის ხილული კავშირები. როგორც ჩანს, მხატვარი მათი მეშვეობით გამოხატავს შინაგანი მონოლოგის ანუ ცნობიერების ნაკადის მოვლენას („რიზომული ქაოსი“, „ქვეცნობიერის ჭა“, „უპატუური ხორხოცი“, „კაპრიზიო“). ლიტერატურაში ასეთი რამ კარგადაა ცნობილი არამარტო ჯოისის ნაწარომებების შემდეგ, რემბოს „მთვრალი ხომალდიც“ ამ პრინციპითაა აგებული. მხატვრობაში ამის შესახებ რაიმე დაწერილი არ შეგვხვედრია. გუჩა კვარაცხელიას მთელი რიგი გრაფიკული ნამუშევრებისა გამოგნებლად დაუკავშირებელ ჩამონათვალებს შეიცავს (სხვათა შორის, მისი არაჩვეულებრივი პოემა „მახინჯი ჩრდილიც“ მთლიანად ასეთ ჩამონათვალს წარმოადგენს). მხატვარი ამით აშკარად გამოხატულ სიურრეალისტურ ტენდენციას ავლენს.

სიურრეალიზმის სიყვარული ჩანს „ალუზიების“ სერიაშიც და მის ერთ საინტერესო ლექსშიც – „ხუან მიროს სიურრეალისტური ნახატი“, რომელიც ქვემოთ მოგვყავს:

დავიწყების თეთრ ველზე შუამდე მისული  
უცხო „ბიოფორმა“ ჩემკენ მოხედული გაშემდა.  
მისი უთვალეზო სახე შიშს წაეშალა.

სიტყვებით ნახატის ამგვარი „გადმოთარგმნა“ ალბათ მხოლოდ მას ხელეწიფება, ვინც თანაბრად კარგად ფლობს როგორც პოეზიის, ისე მხატვრობის ენას“ (გ. კვარაცხელია, „ჩვენი შავ-თეთრი და ფერადი წუთისოფელი“, თბ., გვ. 2). ხელოვნების ერთიანი სივრცის მიღმა, პოეზიისა და მხატვრობის პარალელურ სამყაროთა მიჯნაზე, პირობითობებით დატვირთული ყოფიერი სინამდვილის მხატვრულად გარდაქმნის გზაზე უცნაურობათა უსასრულობაც პირობითობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ამ პირობითობაში კიდევ უფრო მყიფე მოჩანს პოეტურობა, რომლის უხარვეზოდ, გაუზარავად გადარჩენასაც უსასვენნიშნებო ამაოებით ან უკეთ, თვინიერ შესვენებებისა ცდილობს ფიქრმრავალი შემოქმედი.

აი, მახინჯი ჩრდილი კი ავტორის არაა, განა მხოლოდ იმიტომ რომ თვითონ ასე ამბობს და ჩვენ, მკითხველებმა, უბრალოდ, სიტყვაზე უნდა ვირწმუნოთ მისი, არა, რწმენასთან ერთად აქ ნდობა საქმისადმი უმთავრესია: უსასვენნიშნებოც ბევრი დაწერილა და პოეტური ექსპერიმენტებიც ნაირგვარია, ასევე ნაირგვარი ზედაპირული თუ სიღრმისეული ეფექტებით. ამ პოემაში სწორედაც რომ ამდაგვარი (უფრო კონკრეტულად, გარეგნული) ეფექტურობა გამორიცხულია! არა, აქ თანამოდგაწეობაა უმთავრესი. განა ავტორი (სულაც პროფესიისაგან და მოუკიდებლად, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად) სასვენ ნიშნებს დააკლებდა ან დაამადლიდა თავის ნააზრევს (უკეთ, პირმშოს)?! დიახ, აქ თანამოდგაწეობაა უმთავრესი და არა ის, რომ ჩრდილი მახინჯია (და ე. ი. მატყუარაც), ეს რომ ლამაზი ჩრდილი (და ე. ი. მართალიც) ყოფილიყო, ნამდვილი ჩრდილი ავტორისა, მაშინ ხომ ტექსტში სასვენ ნიშნები

უთუოდ იქნებოდა?! მახინჯი ჩრდილის ფონზე კი პოეტის ტკივილი ისეთი ღრმა და ვრცელი, როგორც ეს გაბმული ტექსტი. ამ ტექსტის დარად მის ტკივილშიც განუყოფელია მე და ჩვენ, საკუთარი და საზოგადო, პიროვნება და სამშობლო. დიახ, პოეტის ტკივილი და პოემის ტექსტი ორივე უსასვენნიშნებოა, ყოფის სრბოლაში დაუსვენებელი თუ მოუსვენარი. სიტყვის დიდოსტატთა და საერთოდ ჭეშმარიტ ხელოვანთა სვე (ბედ-იღბალი) ხომ ყველაზე მეტად არ ცნობს და ვერ ჰგუობს შესვენებებს (მითუფრო, სვეკეთილობას). აქვე, არ დაგვავიწყდეს, პოემის სათაურად ფრჩხილებში მითითებული თუ გამომწყვდებული **კრიპტომენზია** ნამალევად, (შე)ფარულად გახსენებას რომ ნიშნავს; სათაურის ესთეტიკა კი ის უჩინარი ძაფია, რომელზეც მძივის მარცვლებივითა აკინძული პოემის მთელი ტექსტი. (და)ფარულის გახსენება ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ „ყოველთვის ორი იყო სინამდვილე შეტყუებული ერთ არსად ქცეული ოღონდ მაინც სხვადასხვა“ (გვ. 168). ამ საყოველთაო პირობითობით შეიარაღებულმა და თავისუფლებით გათამამებულმა მკითხველმა სულაც ორჭოფულადაც რომ იკითხოს პოემის ტექსტი, რახან იგი უსასვენნიშნებოა, აზრებიცა და განცდებიც ამ სათავისო გუნება-განწყობით რომ ამოკენკვოს ტექსტიდან, მისი იკითხვისი (ყველაზე უცნაურიცა და პრეტენზიულიც) „მახინჯი ჩრდილის“ პოეტური ლოგიკით მაინც გამართლებულია; პოეტის ჩანაფიქრის პროექცია კი პოემის პუნქტუაციის მიღმა დატოვებით ერთგვარ მიმტევებლობასაც გულისხმობს. ამიტომაც, თანამოღვაწეობით, თანაშემოქმედებით, თანაგანცდით (თუნდაც პუნქტუაციისა და ინტონაციის შენაკადში) მკითხველი, ავტორს და სამშობლოს, ისევე, როგორც საკუთარ თავს, მახინჯი ჩრდილის ამარა არ დატოვებს; პირიქით, პოეტური ლოგიკით შთაგონებული და ძიების წყურვილით აღვსილი ენერგიულად გაუსხლტება ამ მახინჯ ჩრდილს ყოველივე უკეთესის იმედით და პოეტის რწმენით გაიმეორებს: „მე არაფერი დამვარდნია, ჩემი არაა“.

### ლიტერატურა

**გუჩა კვარაცხელია 2000** – მართლთა და უღმრთოთა გზები, ლექსები და პოემები, თბილისი.

**გუჩა კვარაცხელია**, ჩვენი შავ-თეთრი და ფერადი წუთისოფელი, თბილისი.

**გუჩა კვარაცხელია 2009** – წერილები, ლექსები, დიალოგები, თბილისი.

---

MANANA CHACHANIDZE

**Poetic Logic of the Poem: Without Punctuation and  
Beyond Intonation – Gucha Kvaratskhelia's Strange Poem  
"Ugly Shadow (Cryptomnesia)"**

S u m m a r y

Linguistic passages are an organic and original part of Gucha Kvaratskhelia's works. Various manifestations of the poetic logic and an aesthetic function of the language in her poetry can be read from the prism of intellectual superiority, perhaps that is why the intellectual perspective is predominant in her works. They are given a special color by a kind of integration of linguistics into poetry, and this "linguistic poetry", once discovered, awakens and strengthens the reader's awareness of such a world.

The paper discusses the linguistic world of one of the poetess's poems – "Ugly Shadow". The poem tells us that the ugly shadow is not the author's; It is true that it is chasing her and maybe it even fell from her body, but it is not hers. The poem consists of 140 lines and no punctuation marks are used in it. Leaving the text without punctuation makes the reader a co-creator of the narrative. The division of thought and the complexity of what is said, multi-levels and subtexts, in addition to the author's intention, also make the reader do their job: logic accent, stress, intonation in the text are up to the reader (as if?!) – This is the justification of the shadow's ugliness and the infallibility of the author's idea!

The analysis of extensive linguistic passages from the text of the poem proves that "linguistic poetry" loaded with poetic conventions is the strangest example of metalinguistic reflection and poetic stylistics.

სოფიკო ჭაავა

**კავკასიური ენების კათედრის მუშაობა და კავკასიოლოგიური კვლევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

(1935 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნული არქივში დაცულია საარქივო მასალები, რომლებშიც მოცემულია **კავკასიური ენების კათედრის** 1935 წლის სხდომათა ოქმები. აღნიშნულ პერიოდში კავკასიური ენების კათედრას ხელმძღვანელობდა: **პროფ. არნოლდ ჩიქობავა, ხოლო წევრები გახლდნენ: პროფ. აკაკი შანიძე, პროფ. გიორგი ახვლედიანი, დოც. ვარლამ თოფურია, დოც. სიმონ ჯანაშია და ასპირანტი ქეთევან ლომთათიძე.**

მომიებული საკვლევი მასალების მიხედვით 1935 წელს აღნიშნულ კათედრაზე 7 სხდომა ჩატარდა, ოქმებს თან ერთვის ერთი საანგარიშო მოხსენება კათედრის წევრებისა და სტუდენტების 1935-1936 წლების აკადემიური მუშაობის შესახებ (სეა, ფ. 471, ან. 21, ს. 6, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. კავკასიური ენათა კათედრის სხდომის ოქმები, 1935 წ.).

საგულისხმო და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სხდომების უმთავრეს საკითხებად წარმოჩენილია ასპირანტ ქეთევან ლომთათიძისთვის მივლინებების დაგეგმვა აფხაზეთში, მაგ.:

1. ოქმი N7: „კათედრის საწარმოო წლიური გეგმის თანახმად ასპ. ქ. ლომთათიძე უნდა იქნეს მივლინებული ოთხი თვით აფხაზეთ ენაზე სამუშაოდ; მოკლებნიანი მივლინებები მეტ ხარჯს იწვევს და საჭირო შედეგის მიღებას – ენის დაუფლებას – აძნელებს. რადგანაც ამ მივლინებაზეა დამოკიდებული აგრეთვე აფხაზეთი ენის სახელმძღვანელოს დამზადება (ტექსტების შემოწმება და ახალი ტექსტების ჩაწერა). საჭიროა დროზე აღიძრას შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე ამ მივლინების მოწყობის შესახებ;
2. ოქმი N4: განიხილეს: 1. საანგარიშო მოხსენება ასპ. ქ. ლომთათიძის აფხაზეთში მუშაობის შესახებ ა. წ. 4 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდის.
3. კათედრამ განიხილა ასპირანტ ქ. ლომთათიძის მიერ შემოდგომას ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება, დროულად დაამტკიცა ასპირანტის წლიური სამუშაო გეგმა და აღძრა საკითხი მისი აფხაზეთში მივლინების შესახებ.

4. მუშაობაში კათედრას ხელს უშლიდა: ასპ. ქ. ლომთათიძის მომზადება თებერვლიდან გადაეცა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტს. ინსტიტუტმა ვერ უზრუნველყო ლომთათიძის დროზე გაგზავნა მივლინებაში (გააგზავნეს ორი თვის დაგვიანებით); ამ მივლინებაზე კი იყო დამოკიდებული აფხაზური ენის სახელმძღვანელოს დამუშავება კათედრის მიერ გათვალისწინებულ ვადაში.

ამასთანავე, სხდომებზე აქტიურად განიხილავდნენ ასპ. ქ. ლომთათიძისა და პროფ. სიმ. ჯანაშიას ავტორობით აფხაზური ენის სახელმძღვანელოს შექმნის ორგანიზებასა და მის კონკურსზე გატანას, მაგ.:

1. „ოქმი N1: დადგენილია ეცნობოს უნივერსიტეტის გამომცემლობას საგამომცემლო გეგმაში შესატანად, რომ 1936 წლის სექტემბრისთვის კათედრას მზად ექნება აფხაზური ენის სახელმძღვანელო (ტექსტები და ლექსიკონი); აქვე განიხილეს: „დ. კარბელაშვილის განცხადება მისთვის უდურის ლექციების მიცემის შესახებ. დაადგინეს: საკითხი ღიათ რჩება, რადგან ჯერჯერობით სასწავლო გეგმა არ იძლევა შესაძლებლობას წაკითხულ იქნეს უდური, ისევე, როგორც წოვა-თუშური. როცა საგნის წაკითხვა შესაძლებელი იქნება, სათანადო სპეციალისტი მოწვეული იქნება კონკურსით. კანდიდატთა შორის ნავარაუდები იქნება დოც. დ. კარბელაშვილიც.

2. აფხაზური ენის სახელმძღვანელოს დამუშავება (ტექსტები, ლექსიკონი, გრამატიკული ანალიზი) – საგნის ხელმძღვანელ ს. ჯანაშიასა და ასპ. ქ. ლომთათიძის მიერ (12 ფორმა – 15. IV. 1936 წლ.). მიმდინარეობს მუშაობა აფხაზური და ლაკური ენის სახელმძღვანელოთა (ტექსტი, ლექსიკონი, გრამატიკული ანალიზი) შესადგენად. ამგვარი სახელმძღვანელოები თვით ამ ენებზედაც არ მოიპოვება.

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ასპ. ქ. ლომთათიძე გახლდათ კათედრის სრულფასოვანი წევრი, ის იყო არჩეული კათედრის მდივნადაც. ერთ-ერთ სხდომაზე საგანგებოდ დაიგეგმა მისი მეორე კურსის სასწავლო გეგმაც, კერძოდ:

1. „ოქმი N1: დადგინეს: კათედრის მდივნათ არჩეულ იქნეს ასპირ. ქ. ლომთათიძე;

2. ოქმი N2: განიხილეს ასპირანტ ქ. ლომთათიძის სასწავლო გეგმის დამტკიცება 1935/36 აკად. წლისათვის.

დაადგინეს: მეორე კურსის ასპ. ქ. ლომთათიძეს წაეკითხოს:

1. ექსპერიმენტალური ფონეტიკა – 40 საათი (პროფ. გ. ახვლედიანი)

2. სვანური ენა – 80 (დოც. ვ. თოფურია)

3. არაბული ენა – 100 (დოც. გ. წერეთელი)

4. აფხაზური ენა – 80 (დოც. ს. ჯანაშია)

შენიშვნა: 1. აღმოსავლური ენებიდან სასურველი იყო თურქულის გავლა, ამისთვის გათვალისწინებული იყო 200 საათი (თურქულში სულ არ უმუშავია ასპირანტს); მაგრამ რადგანაც თურქულის სპეციალისტი ს. ჯიქია

წელსაც ვერ გადმოვიდა ლენინგრადიდან, კათედრა მიზანშეწონილად ცნობს 100 საათი გამოყენებულ იქნეს არაბულისთვის, ხოლო დარჩენილი 100 საათი მოხმარდეს მომავალ წელს თურქულს, თუ სპეციალისტი გვეყოლება.

2. რადგანაც ამჟამად ასპ. ქ. ლომთათიძე მივლინებაში იმყოფება, ზემოხსენებული გეგმით მუშაობა დაწყებულ იქმნეს 15 ნოემბრიდან (დაბრუნების შემდეგ); მუშაობა წარმოებდეს იმ ვარაუდით, რომ 1936 წლ. მარტისათვის ზემოაღნიშნული საგნები დამუშავებული იყოს და ასპ. ქ. ლომთათიძე წლიური საწარმოო გეგმის თანახმად მივლინებულ იქმნეს აფხაზეთში ოთხი თვით. კათედრის გამგე: არნ. ჩიქობავა“.

საყურადღებო და სამაგალითოა ასევე კავკასიოლოგიური ენების კათედრის მუშაობის სპეციფიკა, კერძოდ, სხდომათა ოქმების შეჯამებით ირკვევა, რომ:

1. კათედრა მუშაობდა წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული გეგმით;
  2. სხდომები იმართებოდა თვეში რამდენჯერმე, განიხილებოდა მთავარი და მიმდინარე ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები;
  3. კათედრის წევრებს განსაზღვრულ ვადებში უნდა წარედგინათ საანგარიშო მოხსენებები თავიანთ საგნებში;
  4. მეცნიერებს კათედრაზე სამსჯელოდ უნდა გამოეტანათ ორი საკვლევი საკითხი მოხსენებების სახით, მაგ.: „კათედრამ დააამუშავა ორი სპეციალური საკითხი: 1. „ზოგი“ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ (ჩიქობავა) და მეორე: თანდებულებისა და პრევერბების ურთიერთობა კავკასიურ ენებში (ჩიქობავა). კათედრამ დაამზადა მასალები ხუნძური ენობრივი რუკისათვის (ჩიქობავა).
- ოქმი №6: დღის წესრიგი: პროფ. არნ. ჩიქობავას მოხსენება: „ზოგი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. მომხსენებელი შეეხო ამ ფუძით გამოხატულ ორი მოწინააღმდეგე (ზოგი – რუს. ნეკატორი ან ზოგადი ობში) მნიშვნელობის არსებობას ქართულში და ის დასკვნა გააკეთა, რომ ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ერთი“. ეს სიტყვა მომხსენებელმა დაუკავშირა ხუნძურს ენაში არსებულს „ცოგი“ სიტყვას. ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არსებობს სხვა შემთხვევებიც ხუნძურისა და ქართულის შეხვედრისა. მოხსენების გარშემო მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს პროფ. აკ. შანიძემ და პროფ. ვარ. თოფურიამ. პირველმა აღნიშნა ამავე ძირის არსებობა სომხურში“.
5. ლექციებზე (შემოწმების მიზნით) დასწრება;
  6. ასპირანტების მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების მოსმენა სამჯერ (ნოემბერში, თებერვალში და ივნისში);
  7. დაგეგმილი იყო კათედრის წევრების მივლინებები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ კავკასიური ენების საკვლევად, მაგ. „1936 წლის ზაფხულს სამეცნიერო მივლინებათა მოწყობა კათედრის წევრთათვის ლაკურზე, წოვა-თუმურზე, აბხაზურსა და ხუნძურზე სამუშაოდ“.

8. კავკასიოლოგების უმთავრესი საზრუნავი იყო ასევე საქართველოს სხვადასხვა მხარეში სტუდენტთა ლინგვისტური მივლინებების ორგანიზება და მათი ფინანსური უზრუნველყოფა, მაგ.: “კავკას. და აღმოს. ენათა ჯგუფების (IV – II კ.) სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისა და მივლინების საქმის დროული ორგანიზაცია და სტუდენტების საამისოდ მომზადება: IV კურსის სტუდენტების მივლინება სვანურზე სამუშაოდ, III კურსის სტუდენტთა ნაწილის მივლინება ჭანურზე და მეგრულზე სამუშაოდ, ნაწილის კიდევ – ქართულ დიალექტების შესასწავლად. აუცილებლად იქნეს ცნობილი მიმდინარე ზაფხულში IV კურსის ზემოხსენებული სტუდენტების მივლინება სვანეთში, სვანურზე სამუშაოდ; აგრეთვე III კურ. სტუდენტების (მოწინავეების) მივლინება მეტყველებაზე დაკვირვების საწარმოებლად. აღინიშნოს სტუდენტებისათვის გაღებული თანხების სიმცირე“.
9. კათედრაზე განიხილებოდა მივლინებაში წარგზავნილი სტუდენტების საანგარიშო მოხსენებები: ოქმი N4: „საანგარიშო მოხსენება გ. ჭყონიასი, პ. ხუბუტიასი და ნ. ასათიანისა – ლაზურზე მუშაობის შესახებ აფხაზეთში. საანგარიშო მოხსენება შ. გაფრინდაშვილისა, ალ. მეზუკისა და ივ. შალამბერიძისა – მეგრულზე მუშაობის შესახებ სამურზაყანოში. დაადგინეს: აღინიშნოს, რომ, როგორც ასპ. ქ. ლომთათიძის, ისე სტუდენტთა ორივე ჯგუფის მუშაობა მეტად ნაყოფიერაა ჩატარებული; მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენდეს დეკანატს; წარდგენილ იქნეს ჩაწერილი ტექსტები“.
10. კათედრის წევრებს ევალუბოდათ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების მიცემა და მათი ხელმძღვანელობა;
11. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აფხაზური და ოსური ენების სწავლებას: ოქმი N7: „კათედრა მიზანშეწონილად თვლის მეორე სემესტრში იმავე კურსის მსმენელთათვის წაკითხულ იქნეს ოსური ენა (ხელმძღვანელი პროფ. გ. ახვლედიანი); ამას მნიშვნელობა ექნებოდა კავკასიური განხრის სტუდენტთა ზოგადი საენათმეცნიერო ჰორიზონტის გაფართოებისათვისაც“.
12. მეცნიერები მუშაობდნენ კავკასიოლოგიით დაინტერესებული სტუდენტების ახალი ნაკადის შესაქმნელად;
13. კათედრაზე სტუდენტების მოწვევითა და აზრების გათვალისწინებით ხდებოდა მათი სხვადასხვა სპეციალობებზე გადანაწილება;
14. საგანგებოდ აღინიშნებოდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობა;
15. მეცნიერები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი კავკასიური ენის შესწავლა ყოფილიყო შესაძლებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: „კათედრაში შემავალი საგნებიდან წელს სასწავლო გეგმის თანახმად იკითხებოდა: აფხაზური ენა (პროფ. სიმონ ჯანაშია), ლაკური ენა (პროფ. ვ. თოფურია), ძველი ინდური ენა და ოსური (პროფ.



გ. ახვლედიანი). ამათში ლაკური ენა პირველად იკითხებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტში.

16. კათედრის წევრები მთელი ძალისხმევით მუშაობდნენ ახალი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესადგენად: “კათედრამ დაამუშავა პროექტი სასწავლო გეგმისა კავკასიური და აღმოსავლური ენების განხრებისათვის და სათანადო განმარტებითი ბარათით წარადგინა საგანგებო სხდომაზე, რომელსაც კათედრის წევრებს გარდა დაესწრნენ მონათესავე კათედრის წევრები და დეკანატი. გეგმა მცირეოდენი შესწორებით მიღებულ იქმნა. უნდა აღნიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტებში ამგვარი განხრების უქონლობის გამო კათედრას მოუხდა ამ გეგმის სრულიად დამოუკიდებლად დამუშავება“.
17. კავკასიოლოგიური ენების კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობდნენ ქვეყნის გარეთ არსებულ სამეცნიერო ინსტიტუტებთან კავკასიოლოგიის მიმართულებით: „კათედრა მომსახურეობას უწევდა როსტოვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს და დაღესტნის კულტურათა ინსტიტუტს: მათი მომართვის საფუძველზე პროფ. ვარ. თოფურია ხელმძღვანელობას უწევდა ლეკ ასპირანტს მურყილინსკის სადისერტაციო შრომის დამთავრებაში (დიალექტური თავისებურებანი ლაკური ენისა)“ (სეა, ფ. 471, ან. 21, ს. 6, თბილისის სტალინის სახელობი სახ. უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. კავკასიური ენათა კათედრის სხდომის ოქმები N 1-7, 1935 წ.).

მაშასადამე, ჩვენი მიერ მოძიებული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ 1935 წელს კავკასიური ენების კათედრა პროფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით ასრულებდა უმნიშვნელოვანეს სამუშაოებს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგების განსავითარებლად. კათედრის წევრებისა და სტუდენტების მიერ სამეცნიერო ლინგვისტურ ექსპედიციებზე მოპოვებული სხვადასხვა მასალები და ცოცხალ მეტყველაზე დაკვირვების შესაძლებლობა იყო ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი ქართული ენობრივი სამყაროს, ასევე კავკასიური ენების უკეთ შესასწავლად, ფუნდამენტური კვლევების საწარმოებლად და სახელმძღვანელოების შესაქმნელად. კათედრის მუშაობის მთავარი მიმართულება და სტრატეგია ნათლადაა წარმოჩენილი პროფ. არნ ჩიქობავას მიერ ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქმულ შემდეგ სიტყვებში: „კავკასიური ენების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე შეუძლებელია გადაიჭრას არა ერთი ძირითადი საკითხი ქართულს ენაში. ისევე როგორც შეუძლებელია კავკასიური ენების საფუძვლიანი შესწავლა ქართველური ენების მონაცემთა გაუთვალისწინებლად“.

### გამოყენებული წყაროები

1. ფ. 471, ან. 21, ს. 5, ოქმი N1 კავკასიური ენების კათედრის სხდომისა 1935 წლის 10 ოქტომბერს;
2. ფ. 471, ან. 21, ს. 5, ოქმი N2 კავკასიური ენების კათედრის სხდომისა 1935 წლის 25 ოქტომბერს;
3. ფ. 471, ან. 21, ს. 5, ოქმი N3 კავკასიური ენების კათედრის სხდომისა 1935 წლის 15 ნოემბერს;
4. ფ. 471, ან. 21, ს. 5, ოქმი N4 კავკასიური ენების კათედრის სხდომისა 1935 წლ. 27 ნოემბერს;
5. ფ. 471, ან. 21, ს. 5, ოქმი N6 კავკასიური ენების კათედრის სხდომისა 1935 წლ. 21 დეკემბერს;
6. ფ. 471, ან. 21, ს. 5, ოქმი N7 კავკასიური ენების კათედრის სხდომისა 1935 წლის 11 თებერვლის სხდომისა;
7. ანგარიში კავკასიურ ენათა კათედრის მიერ 1935/36 აკადემიური წლის ჩატარებული მუშაობის შესახებ; კავკასიურ ენათა კათედრის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიური ფაკულტეტი.

SOFIKO TCHAAVA

**Work of the Department of Caucasian Languages and  
Caucasus Studies at Tbilisi State University**  
(Based on the Archival Materials of 1935)

S u m m a r y

The hitherto unknown archival materials obtained by the author show how the Department of Caucasian Languages of the Faculty of Linguistics worked nine years later, in 1935. The archival documents confirm that in 1935 the Department of Caucasian Languages carried out the most important works for the development of Kartvelology and Caucasology as scientific fields. The field materials obtained by the faculty members and students during the scientific linguistic expeditions in Georgia and abroad, the texts recorded by them and the opportunity to observe live speech were the main achievements to better investigate Georgian and Caucasian languages, to conduct fundamental research and to develop new university textbooks.

ნინო ხახიაშვილი

**ი ნ წ უ ბ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ა თ ვ ი ს**

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში დასტურდება სახელი **ინწუბა** „(ქართლ.) წუმპე ღორის ჩასაწოლი (კირიონი)“ (დლონტი 1984).

ეს სიტყვა გვხვდება ძველ ქართულში, ოღონდ ზმნის პირიანი ფორმით: „შემთხვია მათ ჭემმარტისა მისებრ იგავისა: ძალი მიექცა ნათხევარსა თვსსა და ღორი **ინწუბა** სანგორელსა მწვრისასა“ (II პეტრე, 2, 22)<sup>1</sup>.

**ინწუბა** ზმნა **იმწუბა** ვარიანტითაც დასტურდება: ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სწორედ პეტრე მოციქულის ამ ეპისტოლეს იმოწმებს, მხოლოდ – **იმწუბა** ფორმით: „**მწუბვა** ბანა, გორვება: „ღორი **იმწუბა** საგორელსა მწვრისასა“ (II პეტრე, 2, 22). იხ. ამომწუბებელი, აღმომწუბება“ (აბულაძე 1973). შდრ.: „**ნგორება** გორება, ამოვლება: „ბზესა ზედა ინგორის“ ფიზ. XVIII, 8; „ვინგორები მე მწვრესა შინა ცოდვისასა“ მ. სწ. 261, 7... **ნგორებუ-ლი** ამოგორებული, ამოვლებული: „ვითარცა ნგორებული ჭუარდლსა და მწვრესა შინა“ ლიმ. 52, 10; „მსგავსად ღორთასა ნგორებულ იყვნენ მწვრესა Sin. 11, 268 (აბულაძე 1973).

სულხან-საბას განმარტებით: „**მწუბება** წუმპეში გორვა ZAB; **წუმბე** მყრალი ლაფი ფინთი ZA; **წუმპე** იგივე ლაფი ZA; **მწვრე** მყრალი ლაფი ZABCD“ (სულხან-საბა I, 1991).

ილია აბულაძე **წუბ-** (**ნწუბ-**// **მწუბ-**) ძირის სიტყვებს იმოწმებს აგრეთვე სხვა ძველი ტექსტებიდანაც (ძირითადად, „ამოსვრის, დასვრის“ მნიშვნელობით): „**ნწუბება** გორვა, გორაობა: „**ინწუბებოდიან** მათ შორის ღორნი“ მ. ცხ. 408v... „**აღმომწუბება** ამოგორება: „ნულარა **აღმომწუბვი** მას შინა ცოდვისა“ მ. ცხ. 162r; „ნუ კვალად მწვრესა შინა **აღმომწუბებთ** თავთა თქუენთა“ Ath-11,

<sup>1</sup> თანამედროვე ქართულით [უფრო ვრცელი მონაკვეთი]: ეპისტოლე მეორე, პეტრესი (2, 19-22): „19. თავისუფლებას აღუთქვამენ მათ, თვითონ მონები ხრწნილებისა, ვინაიდან ვინც რისგან არის ძლეული, მისივე მონაა. 20. რადგან თუ უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა, იესო ქრისტეს შემეცნების წყალობით, ამქვეყნიური ბილწებისაგან განრინებულნი კვლავ იმავე ბილწებით ისვრებიან და იძლევიან, მათთვის ეს უკანასკნელი ყოფა უწინდელზეც უარესია. 21. უჯობდათ საერთოდ არ შეეცნოთ გზა სიმაართლისა, ვიდრე შეცნობის შემდეგ უკუქველუიყვნენ მათთვის მიცემული წმიდა მცნებისგან. 22. მაგრამ **მათთვის თქმულა მართალი ანდაზა: ძალი მიუბრუნდა თავის ნარწყევს და დაბანილი ღორი კვლავ თავის წუმპეში ჩაგორდა...**“ (ბიბლია 1989)].

133r. იხ. მწუბვა“. **„ამომწუბებელი** „ამოგორებული, ამოსვრილი“: „შავნი ვიყვენით სიშავითა მით ცოდვისადათა **ამომწუბებულნი**“ Ath-11, 209v. იხ. აღმომწუბება“ (აბულაძე 1973).

ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში დადასტურებულია სიტყვა **მწუბებელი** „ამოსვრილი“: იგინი ვითარცა უღმრთოებისა სიღრმედ **მწუბებულნი** ამწუბებედ თავთა თვსთა და იმწუბებიედ [A=162 204v, 31-33a]; მიერთგან მიწასა ზედა **მწუბებულთა** ელენნი ვიდრემე შეაცთუნნეს ოცნებითა [A=689 285v, 11-14b]“ (სარჯველაძე 1995). საინტერესოა აქვე დადასტურებული ზმნური ფორმები: **ამწუბებედ** და **იმწუბებიედ**... (ანუ: „ისინი როგორც უღმრთოების სიღრმეში ამოსვრილნი [ამომწუბებულნი] ამოსვრიან თავს [ამწუბებედ თავთა თვსთა] და ისვრებიან [იმწუბებიედ]“).

მსგავსი განმარტება გვხვდება „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონშიც“: „**მწუბება** გორვა, ამოსვრა ტალახში, წუმპეში: ი. ვნ.: ღორი **იმწუბა** (**ინწუბა** ლს) საგორელსა მწვრისასა 2 პეტ. 2, 22. **მწვრე** ლაფი, ტლაპო, ტალახი: ღორი **იმწუბა** საგორელსა მწვრისასა 2 პეტ. 2, 22.“ (ქართ. სამოც. 2009).

აგრეთვე: „**ინწუბა** „ამოსვარა“ (ქ. ცხ.) (ძვ. ქართ. ენის შეერთ. ლექსიკ., 2008).

მარი ბროსე პეტერბურღში (1849 წელს) გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის კომენტარებში სხვა სიტყვებთან ერთად **ინწუბა** ზმნასაც განიხილავს და თვლის, რომ **ინწუბა** იგივე **იწუმპაა**, რომელიც სიტყვა **წუმპე**-დან უნდა მომდინარეობდეს (რეალურად „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ტექსტში პეტრე მოციქულის ეპისტოლეს სიტყვებს იმეორებს და იმოწმებს):

„ხოლო იგი, ვითარცა ძალლი, მიექცა ნათხევარსა, და ვითარცა ღორი, **ინწუბა**<sup>1</sup> სანგორელსა მწვრისასა...“ 1. T ინწუნბა; lis იწუმპა, de წუმპე boue (ბროსე 1849: 241), – როგორც ვხედავთ, მარი ბროსე იქვე სქოლიოში წერს, რომ **ინწუბა** // **იწუმპა** ზმნა სახელ **წუმპე**-დან მომდინარეობსო.

ფარნაოზ ერთელიშვილის თვალსაზრისითაც, **წწუბ**- ზმნური ფუძე სიტყვა **წუმპე**-ს უნდა უკავშირდებოდეს (საგულისხმოა, რომ ისიც პეტრე მოციქულის ამ სიტყვებს იმოწმებს, მხოლოდ, „ქართლის ცხოვრებიდან“):

„წ სონანტი ზმნური ფუძეების თავკიდურა პოზიციამი მეტწილად განვითარებულია<sup>1</sup>, – აღნიშნავს იგი, – ...**წწუბ**- < \***წუნბ**- < **წუმბ**- (ხოლო იგი ვი-

<sup>1</sup> შდრ. ფ. ერთელიშვილის მოსაზრება: „წ სონანტი ზმნური ფუძეების თავკიდურა პოზიციამი მეტწილად განვითარებულია: ნგალ- < გალ- (დანგალეზა – ძალზე მიტანება რაზედმე...); ...ნგორ- < გორ- (განშიშულეზული ინგორების, ლმნ. 59, 15-17) ...ძველ ქართულში რამდენიმე მაგალითი დასტურდება. ცხადია, ნგორ- იგივე გორ- ფუძეა: გორავს, აგორებს, გორდება...); ნდღევ- – ნთხევ- < თხევ- (ნდღევა – ოდნავ თხიერი (მოთხიერი) მასის დაღვრა...)... ნქრევ- < \*ქრევ- (რომელსა ზედა დაეცეს, განანაქრის იგი; ლ.. 20,18 (= გააქროს); განქრევა – წურილად დალენა...)“ (ერთელიშვილი 1970: 165).

თარცა ძალი მიეკვა ნათხევარსა და ვითარცა ღორი **ინწუბა** სანგორელსა მწვრისასა, ქართლ. I, 325, 14 (**ინწუბა** – ამოისვარა); შდრ. **მწუბება** – წუმპეში გორვა (საბა); **წუმბე** – მყრალი ლაფი ფინთი; **წუმბე** – იგივე ლაფი (საბა); **წ** ფუძის თავში ანლაუტში მეტათეზისის შედეგი ჩანს“ (ერთელიშვილი 1970: 165).

ფენრიხ – სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ქართული **წუმბ**- მეგრულ-ზანურ **წუმბ**- ძირთან („დასველება“) მიმართებით დასტურდება:

„**წუმბ**-

ქართ. **წუმბ**- **წუმბ**-ე; აღმო-**წუმბ**-ვ-ა

მეგრ. **წუმბ**- დო-**წუმბ**-უ-ა „დასველება“

ლაზ. **წუმბ**- ო-**წუმბ**-უ- „დასველება“

დასტურდება ძველ ქართულში: ნუ კუალად მწვრესა შინა **აღმოიმწუმბებთ** თავთა თქვენთა, Ath.-11 113r; ნუღარა **აღმოიმწუმბვი** მწვრესა შინა ცოდვისა A-1105 162r.

ქართულ **წუმბ**- (**წუმბ**- < **წუმბ**- ასიმილაციით) შეესატყვისება მეგრული **წუმბ**- და ლაზური **წუმბ**- (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური **წუმბ**-).

მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის **წუმბ**-/**წუმბ**- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1998: 302)“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 653).

ზემოთქმულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონაში დადასტურებული სიტყვა **ინწუბა**, რომელიც არსებით სახელად არის მოაზრებული [„**ინწუბა** (ქართლ.) წუმპე ღორის ჩასაწოლი (კირიონი)“], უნდა იყოს გაარსებითებული ზმნის პირიანი ფორმა – **ინწუბა** „ამოისვარა“. სავარაუდოდ, ბიბლიური ცოდნის, კერძოდ, ზემოთმოხმობილი პეტრე მოციქულის ეპისტოლის გავლენით, ზმნური ფორმა გაარსებითდა<sup>1</sup> (ანდა, ზმნა სახელად იქნა გაგებული).

ვფიქრობთ, ამ ბიბლიური იგავის გამომდახილია შემდეგი ანდაზებიც: „ღორი ლაფში გორვას არ მოიშლის“; „ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, იმდენი იგორა, რომ ისევ ლაფში ჩავარდაო“...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიბლიური სიუჟეტები (ბიბლიური სწავლება) ხალხში (ფოლკლორში, ლიტერატურაში...) ხშირად იჩენს ხოლმე თავს სხვადასხვა ფორმით.

<sup>1</sup> ზმნური ფორმის გაარსებითების მაგალითი არაერთია ქართულში (დაფარნა, გარდამოხსნა,...).

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**ბიბლია 1989** – ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი.

**ბროსე 1849** – მარი ბროსე (Volume 1, Issue 1 By Marie-Felicité Brosset): „ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნამდის, თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრისა საიმპერატორო აკადემიის მეცნიერებათა, ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ: Histoire de la Georgie, depuis l' antiquité jusqu' au XIX e siècle, Publiée en Georgien par M. Brosset, Membre de l' academie impérial des sciences. I<sup>re</sup> partie. Histoire ancienne, jusqu' en 1469 de J-G. სანკტპეტერბურდს De l' Imprimerie de l' academie en octobre 1849. Le Secrétaire perpétuel P.-H Fuss.

**ერთელიშვილი 1970** – ფარნაოზ ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

**კლიმოვი 1998** – G. A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin-New York.

**სარჯველაძე 1995** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**სულხან-საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

**სულხან-საბა 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), თბილისი.

**ქართ. სამოც. 2009** – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და ჩთეიმურაზ მეტრეველმა, რედაქტორი ლელი ბარამიძე, თბილისი.

**ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (მეორე გამოცემა), თბილისი.

**ძვ. ქართ. ენის შეერთ. ლექსიკ. 2008** – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი [შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, კ. კეკელიძის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით], შემდგენელი გრიგოლ რუხაძე, რედაქტორი: გვანცა კოპლატაძე, თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

**On the Word *i n ç u b a***

S u m m a r y

The word ***i n ç u b a*** is attested in the Georgian dialectal vocabulary as “(Kartl. A wallow for a pig (Kirioni)” (Ghlonti 1984).

This word is also found in the epistle of Peter the Apostle, only in the verbal form: „šeemtxvia mat çešmaritisa misebr igavisa: zaḡli miekca natxevarsa twissa da ḡori ***i n ç u b a*** sangorelsa meḡwirisasa“ (II Peter, 2,22). It is also found in “Life of Kartli” (actually, the author of "Life of Kartli" repeats the words of the epistle of Peter the Apostle).

We think that the word ***i n ç u b a*** attested in the Georgian dialectal vocabulary that is considered to be a noun is a personal form of a verb (nominalized later) – ***i n ç u b a*** "he daubed himself". Probably, under the influence of biblical knowledge, in particular, the above-mentioned epistle of the apostle Peter, the verb form was nominalized.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

### მეგრულ-ლაზური ო-პრეფიქსი ქართულ ფიტონიმიაში

არაერთი ზანური წარმოშობის ფიტონიმი დასტურდება ქართულის დასავლურ დიალექტებში, სადაც ზანური კვალი რამდენიმე სახით ვლინდება: ზანურ-ქართული წარმოება, ზანური და ქართული სახელების (ან ფუძეების) შერწყმა, ზანური სახელები.

გამოვარჩევთ ზანურ-ქართული წარმოების მცენარეთა სახელებს. ამ რიგისაა: **ო-სერ-ო**, **ო-ღვალ-ო**, **ო-კნატ-ო** (გურ.), **ო-შომ-ა/ო/ე** (იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.), **ო-ყრალ-ო** (იმერ.), **ო-მცხვარ-ო** (იმერ, ლეჩხ.)...; **ო-ხოკ-უ-ა**, **ო-ლად-უ-ა** (იმერ., გურ.), **ო-ყრალ-უ-ა/უ-ე** (იმერ.), **ო-ტყაჩ-უ-ა**, **ო-ნჯახ-უ-ა**, **ო-ხატ-უ-ა** (გურ.), **ო-ხოტ-უ-ა** (აჭარ.) და სხვა. ამგვარ ფორმებს „ჰიბრიდული წარმოების ფიტონიმებს“ ვუწოდებთ, რადგან: ა) ფუძე ფორმდება ზანური **ო-** პრეფიქსითა და ზანურ-ქართული **ო-** სუფიქსით, ამასთან, ფუძე ზანური ან ქართულია, შდრ.: **ო-ღვალ-ო**, **ო-კნატ-ო** (გურ.); **ო-შომ-ა/ო/ე** (იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.); **ო-ყრალ-ო** (იმერ.); **ო-მცხვარ-ო** (იმერ., ლეჩხ.) და სხვა (კრებ. ლექს.); ბ) ზანური პრეფიქს-სუფიქსით (**ო-უ**) გაფორმებულ დანიშნულების სახელს ან მიმდევობას ერთვის ქართული მაფიტონიმებელი **-ა** სუფიქსი, რომლის დართვა უნდა მომხდარიყო მოგვიანებით ზანური ფიტონიმების „გაქართულებისათვის“ (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2003: 148-163). აქაც ფუძე ზანური ან ქართულია. ნიმუშები: **ო-ხოკ-უ-ა**, **ო-ლად-უ-ა** (იმერ., გურ.); **ო-ყრალ-უ-ა/ე** (იმერ.); **ო-ტყაჩ-უ-ა**, **ო-ნჯახ-უ-ა**, **ო-ხატ-უ-ა** (გურ.); **ო-ხოტ-უ-ა** (აჭარ.) (კრებ. ლექს.).

ამ ფიტონიმებით გამოხატულია აღსანიშნი მცენარის გამოყენება-დანიშნულება-თვისება. საინტერესოა, რომ აღნიშნული აფიქსებით (**ო-ო**, **ო-უ-ა**) გაფორმებული მცენარეთა სახელები დასტურდება ოდენ ქართულის დასავლურ დიალექტებში და არ ჩანს საკუთრივ ზანურში, სადაც, თავის მხრივ, ხელშესახებია **ო-**პრეფიქსითა და **-ია**, **-ა-ია**, **-ე**, **-ალ** სუფიქსებით გაფორმებული დანიშნულება-გამოყენების ფიტონიმები, შდრ.: მეგრ. **ო-ხოხ-ია**, **ო-ხარკალ-ა-ია**, ლაზ. **ო-სულ-ე**, **ო-ქოს-ალ-ე**... (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2000: 418-413). საინტერესოა, რომ, **ო** – **უ-ა** ზანურ-ქართული აფიქსით გაფორმებული სახელები ქართულში ოდენ ფიტონიმებია და ახალ რიგს ქმნის ქართულ ენობრივ სისტემაში.



ჩვენი დაკვირვებით, ქართულ დიალექტებში დადასტურებულ მეგრულ-ლაზური წარმოშობის ფიტონიმებში გამორჩეულია ზანური ო-პრეფიქსის როლი – ის დასტურდება არა მხოლოდ ზანური წარმოშობის, არამედ ჰიბრიდული წარმოების ფიტონიმებშიც და საერთო ზანურ-ქართულ დერივაციულ ინვენტარადაც კი მოჩანს.

საზოგადოდ, ქართული დანიშნულების სა-პრეფიქსის ფარდი ზანური ო-მეტად პროდუქტიული პრეფიქსია თავად მეგრულ-ლაზურში. მეგრულში იგი გარკვეულ სუფიქსებთან ერთად წარმოქმნის ადგილის, დანიშნულების, იარაღის სახელებს, მომავალი დროის მიმდებარე, ხოლო ლაზურში გვხვდება მასდართან და მიმდებარესთან. ო-პრეფიქსიანი დანიშნულების სახელები წარმატებით დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულშიც, რაც აისახა კიდეც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. ეგევე ო-გვაქვს არაერთ ზანური წარმომავლობის ტოპონიმშიც.

ბ. ბოჩუა სამართლიანად მიუთითებს: „ო-ზე დაწყებულ დანიშნულების აღმნიშვნელ სიტყვებს საგანგებო განხილვა ესაჭიროება: ცნობილია, რომ სალიტერატურო ქართულშიც შემოვიდა მალლარი ვაზის ერთ-ერთი ჯიშის სახელი **ოჯალეში**, რომელიც ასე ანალიზდება: **ო-ჯალ-ეში** „სა-ხე-ო“, ე. ი. მალლარი. ყურადღების ღირსია მსგავსი აგებულების სხვა სიტყვებიც: **ოკანხე** – „გემზანის კიჩო“; **ოლოფსირი** – „მაწაწური“ (დადასტურებულია ლეჩხუმში), **ონჯარო** – „ალი“ (იმერ.), **ორე** – „გეჯა“, „საწნახელი“ (გურ., რაჭ.), **ორჩხომელი** – „მოდიდო ნავი“, **ოსპიო** – „თევზის საჭერი ბადე“, **ოფიო** – „ნავიდან წყლის სახაპავი“, **ოფიო** – „ბლის ქერქი სარცხისათვის“ (ფოჩხუა 1974: 323).

მცენარეთა აღნიშნულ სახელებზე დაკვირვება გვაფარაუდებინებს, რომ დასავლურ ქართულ კილოებში ზანური ო-პრეფიქსი დიდ ხანს აღიქმებოდა, როგორც მაწარმოებელი და ის არ წარმოადგენდა ოდენ სუბსტრატულ საწარმოქმნო ინვენტარს, გაქვავებულ დანაშრევს. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ნიმუშები სადაც ო-, როგორც მაწარმოებელი პრეფიქსი, ჩნდება ქართულის გვიანდელ უცხოენოვან ნასესხობებშიც. ნიმუში: *იმერ.*, *ლეჩხ.*, *გურ.*, *აჭარ.* **ოდელია**, **ოდელიე** (მაყაშვილი 1961), *იმერ.*, *ძვ.* **ოდელა** (გაჩეჩილაძე 1976; საბა 1991, ჩუბინაშვილი 1961, ერისთავი 1884, ჩუბინაშვილი 1985), *ქართლ.* **ოდელია-ხალი** (მხალ. 2020)<sup>1</sup> (= წიწმატურა *Capsella bursa-pastoris*) (კრებ. ლექს.). აქ გამოვაცალკევებთ საწარმოქმნო ფუძეს **-დელი**, რომელიც თურქული ნასესხობაა, შდრ., „**დელი** (**დელისა**) [თურქ. deli] ძვ. გიჟი, ხელი, გადარეული“ (ქეგლ 1953); ლაზ. „**დელი** (თურქ. Deli) – სულელი, გიჟი“ (თანდილავა 2013); **გაადელე**-ს (გაადელა, გაუდელეზია) *კუთხ.* (გურ. აჭარ.) *გრდმ.* გააგიჟებს, გაახელებს“ (ქეგლ 1951).

ეგევე თურქული სახელი ჩანს სხვა ფიტონიმებშიც: ა) *იმერხ.* **დელიოთი**, შდრ., „**დელიოთი**- (*deliotu*) გარეული ჭარხალი (ბალახი). დელიოთი ხანდახან აწყენს საქონელსა“ (ფუტკარაძე 1993) (= **შმაგა**, **კავკასიური ბელადონა** *Atropa*

<sup>1</sup> **ოდელია-ხალი** ქართულში დასავლური დიალექტებიდან უნდა იყოს შესული.

caucasica), შდრ. ამ მცენარის სხვა სინონიმები: **ფშ. გიჟანა; ფშ., კახ. ცოფის ბა-  
ლახი; ერწ. საგიყებელა...** (კრებ. ლექს.); ბ) ფიტონიმი **დელა** დასტურდება  
ძველ ქართულ ლექსიკონებში (საბა 1991, ერისთავი 1884, ჩუბინაშვილი 1985).  
ის ერთ-ერთი ბალახის სახელია, თუმცა რომლის – დაკონკრეტებული არაა.

აღნიშნული ფიტონიმების მოტივაცია მათ შედგენილობას უნდა უკავ-  
შირდებოდეს, რადგან ადამიანის მიერ დასახელებული მცენარეების დაგე-  
მოვნება-მიღება იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებას  
(შმაგა), ან ძლერი დასუსტების, წვის შეგრძნებას (წიწმატურა). აქვე, შედარებისა  
და სემანტიკური კავშირებისათვის საინტერესოა **ოდელია/ოდელიე-ს** (= წიწ-  
მატურა) სხვა სინონიმური სახელები, ერთის მხრივ: **ოვიც. წიწმატურა, მოხ.  
წიწმატი, სმხთ. წიწმატა, სამცხ. გარეული წიწმატი, წიწმატურა, იმერ. წიწმა-  
რიტა, ქვ.-იმერ. წიწმარიტე** და, მეორეს მხრივ, ფიტონიმ **წიწმატი**-დან მიღე-  
ბულ ნასახელარ ზმნათა მნიშვნელობები: „**წიწმატობ-ს** – ... მეტის-მეტად ცხა-  
რობს, კაპასობს“ (ქეგლ 1964); „**წიწმარიტოფს** – ავობს, ძალიან ფიცხობს, კაპა-  
სობს“ (ძოწენიძე 1974). მკაფიოა თურქულ **დელი-ს** სემანტიკასთან მათი სიახ-  
ლოვე.

ამგვარად, ქართულში უცხო ენიდან ნასესხები ლექსიკური ერთეული  
„დელი“ (ეს სახელი ზანურში არ ჩანს) ქართულის დიალექტებში დაირთავს  
წარმოშობით ზანურ დანიშნულების **ო-პრეფიქსსა** და ქართულ მაფიტონიმე-  
ბელ **-ა** სუფიქსს, რის შედეგადაც წარმოიქმნება დანიშნულების სახელი (ფი-  
ტონიმი). შესაძლებელია ვივარაუდოთ მეორე გზაც: თურქულიდან ნასესხები  
სიტყვა ზანურშივე გაფორმდა (**ო-დელი**) და შემდეგ გადავიდა დასავლურ  
ქართულ დიალექტებში, სადაც დაერთო ქართული მაფიტონიმებელი **-ა** სუ-  
ფიქსი, შემდეგ კი ის ამ სახით დარჩა ქართულის დიალექტებში, მაგრამ თავად  
მეგრულ-ლაზურმა ეს ფიტონიმი ვერ შემოინახა.

ამგვარად, ქართულის დასავლური დიალექტებისათვის იკვეთება ერ-  
თგვარი ენობრივი ყალიბები, როგორცაა: **ო-ო, ო-უ-ა, ო-ა** აფიქსებით წარმოე-  
ბული მცენარეთა სახელები. ხშირად ამგვარ წარმოქმნილ ფიტონიმთა სემან-  
ტიკა გაუმჭვირვალეა (**ონჯახუა, ოხოკუა, ოლაღუა, ომზალო/უა, ონჭო...**), ამი-  
ტომ მხოლოდ ამ ყალიბების გათვალისწინებითაა შესაძლებელი პრეფის-სუ-  
ფიქსებისა და ფუძეთა გამოცალკეება, ფუძის, შესაბამისად, მთლიანი  
სიტყვის სემანტიკის დადგენა და ფიტონიმთა სახელდების მოტივაციების  
ამოცნობა.

კვლევის შედეგად დაზუსტდა რიგი ფიტონიმების ფუძეთა სემანტიკა  
და სახელდების მოტივაცია, ესენია: **იმერ., გურ. ოხოკუა** (= ჩვეულებრივი  
ოროვანდი, ძირხვენა *Arctium lappa*);

**გურ.** (ალ.მ.) **ო-ტყაჩ-უ-ა; იმერ.** (პ.გ.), საბა, ი.ბ., ნ.ჩ., რ.ე. (იმერ.), დ.ჩ.,  
ალ.მ. **ონტოფა; ზ.-რაჭ.** (ალ.მ.) **ონტოფილა, ოტკოფილა** (= ალუბალა ონტკო-  
ფა *Physalis alkekengi*) (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015: 81-95).

ამჯერად საანალიზო ფიტონიმები: **ოშოშა, ოკნატო, ოღვალო.**

**I. ოშოში** (/ოშოშო/ოშოშუა/ვოშოშე/ოშმეშა/ოშოშა /ოშოშია): კაზ. (ალ.მ.), რაჭ. (ა.ვ.)**ოშოშო**; ინგილ. (ალ.მ., რ.ლ.) ჟინჟირალაი, ჟინჟირალაი; იმერ. (ალ.მ.) **ოშოშუა**; ლეჩხ. (ალ.მ.) **ვოშოშე**; გურ. (ალ.მ.) **ოშმეშა**; ქიზ. (ს.მ.), ზ.-იმერ. (ქ.მ.), ი.ბ., დ.ჩ. **ოშოშა**; საბა, ალ.მ. **ოშოში**; რ.ე. კატის-წამალა, ოთხ-ყური; რ.ე. (რაჭ.), დ.ჩ. **ოშმეშა, ოშოშია** (= ოშოშა Glechoma hederacea) (კრებ. ლექს.).

ამ სახელში გამოცალკევდება **-შოშ-** საწარმოქმნო ფუძე, მეგრულ-ლაზური დანიშნულების **ო-** პრეფიქსი და **-ო, -უ-ა, -ა/ე, -ია** სუფიქსები. ამგვარად, ეს არის ზანურ-ქართული წარმოების დანიშნულების სახელი. **-შოშ-** ძირის ლექსიკური მნიშვნელობის დასაზუსტებლად შეადარეთ ქართულში დადასტურებული ლექსიკური ერთეულები: „**დაშოშინება** – მცირედ მომშვიდება; დაწყნარებასავით; დაწყნარება“ (საბა 1991); ხალხური სარიტუალო სიმღერის ტექსტიდან: „დატკბით, დატკბით, **დაშოშინდით**, ვარდო ბატონებო“ (მოზ. მასალა, რაჭა, ს. გლოლა). მეგრულში ამავე სემანტიკით (დაწყნარება, დამშვიდება, დამშვიდებული...) გვაქვს **-შუშ-** ძირი, შდრ.: მეგრ. „**შუში** – ზამთრის უქარო და უშხეო, ჩამოთოვლილი, მაგრამ თბილი დღე... მოყურებული ადგილი...“; „**შუშია** – წყნარი, ნაზი, ტრუნია“; „**შუშინი** – ფშვინვა, წყნარი, მშვიდი სუნთქვა“ (ქობალია 2013).

ამგვარად, **ოშოშო/ოშოშუა** არის „დასაშოშინებელი, მოსაშუშებელი მცენარე“. მართლაც, მცენარე **ოშოშა** Glechoma hederacea ოდითგანვე (დღესაც) წარმატებით გამოიყენებოდა ქართულ ხალხურ მედიცინაში სახსრის მოტეხილობის, ნაღრძობის, „შეშინებულის“ სამკურნალოდ, დასაამებლად, მოსაშუშებლად.

**II. ოკნატო**: იმერ. წითელი გლერტა; ქვ.-იმერ. წეპია-ბალახი; გურ. **ოკნატო**; მეგრ. ლაკარტი, მაკარტი, ლეჯიში კეტი, ოლეკეტი (= ლაკარტია Paspalum digitaria) (მაყაშვილი 1961).

**ოკნატო**-ში თუკი გამოვაცალკევებთ **ო – ო** აფიქსს, სამიებელია საწარმოქმნო ფუძე **კნატ-** ის სემანტიკა. სპეციალურ ლიტერატურაში ის დაკავშირებულია **კ(ლ)ერტ-** ძირთან, რაც გასაზიარებელია, შდრ.: „ს.-ქართვე. \***კ(ლ)ერტ-** „გლერტა“ > ქართ. **კლერტ-ა** > // **გლერტ-ა**; ზან. **ო-კნატ-ო** < \***ო-კარტ-ო**; სვან. **ლა-კარტ** < \***ლა-კერტ**... საინტერესოა, რომ სვანური და ზანური ეკვივალენტები შემორჩენილია მხოლოდ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში. კერძოდ, ზანური სახეობა გურულმა შემოგვინახა **-ო-კნატ-ო** < \***ო-კანტ-ო**, ხოლო სვანური – ლეჩხუმურმა: **ლა-კარტ-ი** < **ლა-კარტ**“ (ჩუხუა 2000-2003: 121). ეგვე ფუძე ზანური გახმოვანებით დასტურდება გურულში, შდრ.: „**გურ. კლარტაი** (ალ.მ.), **კლარტა** (გ.შ.)“ (კრებ. ლექს.).

მიმაჩნია, რომ **ოკნატოს** მოტივაცია სხვა მცენარესთან მსგავსება – ის ძალიან ჰგავს სარეველა ბალახს, რომლის სახელია **კლერტა** (=კლერტა, გლერტა Cynodon dactylon) (მაყაშვილი 1961), ე. ი. გურული **ოკნატო** იგივეა, რაც „**კლერტასნაირი, მისი მონათესავე**“. ამის მიხედვით, იკვეთება ახალი ნიუანსი აღნიშნული ყალიბების წარმოქმნილ ფიტონიმთა სემანტიკაში – მსგავსება, ნა-

ირობა, ნათესაობა<sup>1</sup>. თავის მხრივ, **კლერტ**- ფუძის ამოსავალი სემანტიკა ქართულში „წვრილი ღერო“ უნდა იყოს, შდრ.: „**კლერტ**-ი (**კლერტისა**) 1. ყურძნის მტევნის ღერო, რომელზედაც კიმპლები ასხია... 2. ფოთლებგაცლილი **წვრილი შტო** (ხისა, თამბაქოსი...)...“ (ქეგლ 1955).

**III. ოღვალო:** ხეც. საგოგა, საგუგა (ალ.მ.), გოგ (ა.ჭ.); თუშ. ჭირტალი (ალ.მ.), ჭირტალრ (გ.ც.); გურ. **ოღვალო** (ა.ღ., ნ.ხ./დ.ჭ.); აჭარ. კოკომჟავა (= მთის ღოლო *Rumex alpinus*) (კრებ. ლექს.); სვან. ტელეფი (მაყაშვილი 1961).

ამ სახელის მოტივაციაც სხვა მცენარესთან (მცენარეთა ჯგუფთან) შედარება-მსგავსებაა. **მთის ღოლო** არის გვარ **ღოლო**-ს (*Rumex*) ერთ-ერთი სახეობა, ე.ი. ის ღოლოთა მსგავსია, ღოლოსნაირია. გურული სახელწოდება **ოღვალო** სწორედ ამ მსგავსება-ნათესაობას მიანიშნებს.

დაკვირვებას მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ ქართულის დასავლური დიალექტებისათვის აღნიშნული რიგის ფიტონიმებში ზანური წარმომავლობის **ო-** ჯერ კიდევ ცოცხალ პრეფიქსად აღიქმებოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ჰიბრიდული წარმოების ეს ფიტონიმები **ადსტრატის** ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. როგორც მიუთითებენ, „**ადსტრატი**... წარმოიქმნება ორი ენისა ან დიალექტის თანაბარი სისრულით ფლობის პირობებში მათი თავისუფალი ურთიერთმელწევადობის დროს... ადსტრატი ენათა ინტერფერენციის ცოცხალი, აქტიური პროცესია“ (ჯორბენაძე 1989: 98-99). ე. ი. ადსტრატის პირობებში მეგრულ-ლაზური **ო**-პრეფიქსით გაფორმებული დანიშნულების სახელი (ფიტონიმი) ბუნებრივ მონაცემად აღიქმებოდა დასავლურ ქართულ დიალექტთა წარმოქმნილ სახელებში და ხშირ შემთხვევაში ქართული მაფიტონიმებელი **-ა** სუფიქსითაც ფორმდებოდა.

**დასკვნა.** ქართულის დასავლურ დიალექტებში ზანური კვალი რამდენიმე სახით ვლინდება. ამათგან გამორჩეულია ზანურ-ქართული (ჰიბრიდული) წარმოების (აფიქსები: **ო-ო, ო-უ-ა, ო-ა**) ფიტონიმები. ისინი დასტურდება ქართულის დასავლურ დიალექტებში, მაგრამ არ ჩანს საკუთრივ ზანურში, ამასთან, ისინი ქართულში ოდენ ფიტონიმებია და ერთგვარ ახალ რიგს ქმნიან ენობრივ სისტემაში. ამ რიგის სახელებში ზანური **ო-** პრეფიქსი საერთო ზანურ-ქართულ ცოცხალ დერივაციულ ინვენტარად მოჩანს.

**ო-ო, ო-უ-ა, ო-ა** საწარმოქმნო ყალიბები საშუალებას გვაძლევს გამოვაცალკევოთ ძირები და ვეძებოთ მათი სემანტიკა, ასევე, მცენარის სახელდების მოტივაცია, რომელიც, როგორც კვლევამ აჩვენა, მცენარის ნიშან-თვისებას, დანიშნულებას უკავშირდება. იკვეთება ახალი ნიუანსიც – სხვა მცენარესთან (ან მცენარეთა ჯგუფთან) მსგავსება, ნათესაობა.

ჰიბრიდული წარმოების **ო**-პრეფიქსიან დასავლურ ქართულ ფიტონიმებს ადსტრატის ნიმუშებად მივიჩნევთ.

<sup>1</sup> მცენარის სახელდება სხვა მცენარესთან შედარებისა და მსგავსების მიხედვით ჩვეული მოვლენაა ქართველურ ფიტონიმიაში.

### ლიტერატურა

**გაჩეჩილაძე 1976** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა (ხანისწყლის ხეობა), თბილისი.

**ერისთავი 1884** – რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, თბილისი.

**კრებ. ლექს** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დ. ჭელიძე, მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონი (გადაცემულია გამოსაცემად), თბილისი.

**მაყაშვილი 1961** – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

**მხალ. 2020** – შ. სიხარულიძე, დ. ქიქოძე, მ. ხუციშვილი, დ. ჭელიძე, ი. მაისაია, ა. ჯორჯაძე, ქ. ბაცაცაშვილი, საქართველოში ველურად მოზარდი მხალეული მცენარეები და საკვები სოკოები, თბილისი.

**საბა 1991** – ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი.

**ფოჩხუა 1974** – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

**ქეგლ 1951, 1953, 1955, 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, III, IV, VIII თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1985** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**მოწენიძე 1974** – ქ. მოწენიძე, ზემომერული ლექსიკონი, თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2003** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ა-სუფიქსიანი მცენარეთა სახელები ქართულში, კრებ. ბესარიონ ჯორბენაძეს, თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2000** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ზანიზმები მცენარეთა სახელწოდებებში, ქმ, IV, ქუთაისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ხოკ-ლექსიკური ძირისათვის მცენარეთა ქართველურ სახელებში, ეტიმოლოგიური მიუბანი, XII, თბილისი.

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

NANA KHOCHOLAVA-MACHAVARIANI

**The Megrelian-Laz Prefix o- in Georgian Phytonomy**

## S u m m a r y

A number of phytonyms of Zan origin are attested in the western Georgian dialects, especially in Gurian, Adjarian and Kvemo-Imeretian. The Zan traces are manifested in several ways: Zan-Georgian formation, fusion of Zan and Georgian names (or bases), Zan names.

Phytonyms with Zan-Georgian (hybrid) affixation **o-o**, **o-u-a** are distinguished: **o-ser-o**, **o-γval-o**, **o-knaṭ-o** (Gur.), **o-šoš-a/o/e** (Imer., Gur., Rach., Lechkh.), **o-gral-o** (Imer.), **o-mcxvar-o** (Imer., Lechkh.); **o-xoḳ-u-a**, **o-lay-u-a** (Imer., Gur.), **o-gral-u-a/u-e** (Imer.), **o-tgač-u-a**, **o-nḟax-u-a**, **o-xaṭ-u-a** (Gur.), **o-xoṭ-u-a** (Adjar.).

Phytonyms with Zan-Georgian affixation are attested in the western Georgian dialects and cannot be found in Zan. In addition, they are only phytonyms in Georgian and create a kind of new order in the language system. In these names, the Zan prefix **o-** appears to be as a common Zan-Georgian living derivational inventory.

ცირა ჯანჯღავა

**მნიშვნელობის ცვლის შესახებ მეგრულ  
ნასესხებ ლექსიკაში**

სიტყვათა სესხება ენათა შორის არსებული კონტაქტების ბუნებრივი შედეგია. სესხებისას შეიძლება სიტყვის სემანტიკა შენარჩუნებული იყოს ან შეიცვალოს. მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში სესხებისას მომხდარი სემანტიკური ცვლილებები იყო ჩვენი მსჯელობის საგანი 2018-2020 წლებში დაბეჭდილი პუბლიკაციებისა, კერძოდ, განხილული იყო 70-ზე მეტი ნასესხები სიტყვა მეგრულში. ამჯერად შევხებით კიდევ 20 ნასესხებ სიტყვა.ს

1) მეგრ. **ბიჭება** „გადაგვარება, დაჩივება; გაფუჭება“ (ქაჯაია 2001: 247); **მობიჭება** „დაჩივება, გადაგვარება, გადაჯიშება; გამოფიტვა“ (ქაჯაია 2002ა: 289; ქობალაია 2010: 464). აღნიშნულ მეგრულ სიტყვებში გამოიყოფა **ბიჭ-** ფუძე, რომელიც უკავშირდება ქართულ პოლისემიურ სიტყვას **ბიჭი** („მოზარდი ადამიანი, ყრმა, ახალგაზრდა ყმაწვილი; ვაჟკაცი; ვაჟი, ვაჟიშვილი; ძვ. ხელზე მოსამსახურე“ – ქეგლი 1950: 1072-1073); **ბიჭი** „ბიჭი, ვაჟი“ გვხვდება ლაზურშიც. სიტყვა ქართულში სპარსულიდან ნასესხებად მიიჩნევა (ყიფშიძე 1914: 204; ჩიქობავა 1938: 23).

2) მეგრ. **ბეჭუა** „წვნა“, ბეჭუნს „წნავს“, **ბეჭილი** „დაწული“. ნასესხები ქართულიდან, სადაც სათანადო სიტყვა „ქსოვის“ სემანტიკას გადმოსცემს: **ბეჭავს** „სავარცხლით“ (ბეჭით) ქსელში ზედას ჯიფთავს ქსოვის დროს“ (ქეგლი 1950: 1045); ეს ფუძე გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. „კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“, რაც თანამედროვე ქართულით ნიშნავს: „ლაჩარი კაცი რით სჯობს მქსოველ დედაკაცს“ (კომისია 2011: 258).

3) მეგრული **კაზარმა** „ბოსელი“ ქართულიდან არის ნასესხები – ქართ. **ყაზარმა**; ქართულს კი, წარმოშობით იტალიური სიტყვა, რუსულის გზით შეუთვისებია და დაუმკვიდრებია მნიშვნელობით „სამხედრო ნაწილების საცხოვრებელი შენობა“ (ქეგლი 1958: 498), მეგრ. **კ < ყ**.

4) მეგრულში **კვალი** ქართულიდან არის შესული, მაგრამ მას არ მოეპოვება ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც აქვს ქართულში, კერძოდ, „გზა, მიმართულება, გეზი“ (ქეგლი 1955: 1557).

„კვალის“ მნიშვნელობით მეგრულს მოეპოვება საკუთარი წარმოების სიტყვა **ნოქური** ზედმიწ. „ნაქუსლარი“.

5) მეგრულში **მანკი** გვხვდება ცალკეც და შესიტყვებაშიც – **მანკი** || **გურიმ მანკი** „მანკი, გულის მანკი“. ქართულიდან შეთვისებულ ამ სიტყვას არა აქვს მნიშვნელობა „ნაკლი, ზადი, ბიწი, უარყოფითი მხარე“ (ქეგლი 1958: 48). ქართულში ეს სიტყვა ნასესხებად არის მიჩნეული (გიგინეიშვილი 2016: 310).

6) **მართვე** მეგრულში ნიშნავს „ბარტყს“. ქართულში **მართვე** არის „ფრინველთა და მწერთა ნაშიერი“ (ქეგლი 1958: 60). მეგრულში მნიშვნელობა მცირედ შეცვლილია. ბ. გიგინეიშვილი წარმოგვიდგენს ეტიმოლოგიას ქართულის საფუძველზე, კერძოდ, გამოყოფს **ართ**- ფუძეს და **მ** – ე კონფიქსს (გიგინეიშვილი 2016: 314).

7) მეგრული **მუხუდო** „მუხუდო, სოია“ ქართულიდან არის ნასესხები, მაგრამ მას ქართულისებურ მნიშვნელობასთან ერთად შეუძენია „სოიას“ მნიშვნელობაც (მეგრულის მსგავსი ვითარებაა დასავლურქართულ დიალექტებში).

8) მეგრულში ნასესხები **ნაკვეთი** იხმარება საკუთარი **ნოკვეთი**-ს პარალელურად. **ნაკვეთი**-ს მეგრულში შენარჩუნებული აქვს ერთი ძირითადი მნიშვნელობა – „მიწის რაიმე ნაწილი, რომელიც ვისიმე მფლობელობაშია“ (ქეგლი 1958: 1309), მაგრამ არა აქვს მეორე მნიშვნელობა – „გამოკვეთილი, გამოჭრილი, გამოთლილი“ (ქეგლი 1958: 1309).

9) რუსულიდან არის შესული მეგრულში **პატალოკი** „ჭერი“, მაგრამ მას არა აქვს სათანადო რუსული სიტყვის სხვა მნიშვნელობა – „უკიდურესი სიმაღლე“ (რელ 1987: 332).

10) ასევე რუსულიდან მეგრულში შეთვისებულ სიტყვა **პრავადნიკ**-ს მოეპოვება მხოლოდ ერთი მნიშვნელობა – „რკინიგზის ვაგონის გამყოლი“, შდრ. რუს. проводник, რომელსაც აქვს „მეგზურის“ მნიშვნელობაც.

11) მეგრულ სიტყვას **სამზადი** „სამზარეულო“ ქართული **სამზადი** უდევს საფუძვლად („რასაც ამზადებენ, მოსამზადებელი“), რომელსაც იმერულსა და გურულში მეგრულისებური მნიშვნელობა უდასტურდება (ქეგლი 1960: 703). მეგრულში **ბ < მ**.

12) ო. ქაჯაიას ლექსიკონის მიხედვით **სალაყანა** ნიშნავს „ზარმაცს“ (ქაჯაია 2002b: 572); მისი უშუალო წყაროა ქართული **სალახანა** „გაფუჭებული, ზნედაცემული, გათახსირებული“, რომელიც, თავის მხრივ, არაბულ-სპარსულ ნასესხობად მიიჩნევა (ქეგლი 1960: 672).



13) რუსულიდან ნასესხები მეგრული **სალფეთი** „ხელსახოცის“ აღსანიშნავად გამოიყენება; სათანადო რუსულ სიტყვას კი აქვს, აგრეთვე, მეორე მნიშვნელობა – „მცირე ზომის სუფრა“ (რელ1988: 15).

14) მეგრული **სარსოლი** „სასროლი ბადე“, სათანადო სიტყვა – **სასროლი**, ქართულში საობიექტო მიმღეობაა („რაც უნდა ისროლონ“ და „რასაც უნდა ესროლონ“ – ქეგლი 1960: 811). მეგრულში **რს < სრ**.

15) ქართულ სიტყვა **საშველ**-ს, რომელიც საობიექტო მიმღეობაა, სამი მნიშვნელობა აქვს (იხ. ქეგლი 1960: 887), რომელთაგან მეგრულს სესხების შემდეგ შეუნარჩუნებია ერთი – „რამაც უნდა უშველოს, შველა, ხსნა“.

16) მეგრ. **ჩივილი** // **ჩიული** „საჩივრის შეტანა, საქმის აღძვრა“; ეს მნიშვნელობა ქართულშიც აქვს სიტყვა **ჩივილ**-ს, მაგრამ, ამასთან ერთად, მოეპოვება მნიშვნელობა „მდურვა, საყვედურის ლაპარაკი“ (ქეგლი 1964: 503), რაც მეგრულში არ დასტურდება.

17) მეგრ. **ცოდა** „საცოდავი, შესაცოდი“, **საცოდება** „საცოდაობა; საოცარი; სასტიკი“ (ქაჯაია 2002ბ: 354; ქობალია 2010: 588, 685); ქართულ სიტყვა **ცოდვა**-ს, რომელიც მეგრულს უდევს საფუძვლად, აქვს მეგრულისაგან განსხვავებული მნიშვნელობაც – „დანაშაულის ჩადენა ღვთის წინაშე; ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული“ (ქეგლი 1964: 644).

18) მეგრ. **ცოცხალი** // **ცხორცხალი** „ცოცხალი, სიცოცხლის მქონე“; ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულ სიტყვას არა აქვს მნიშვნელობა „ნედლი, ახლად მოჭრილი“ (ქეგლი 1964: 655).

19) მეგრ. **მვირი** „დიდი ფასის მქონე“; ეს მნიშვნელობა ქართულისებურია, მაგრამ ქართულისაგან მეგრულს არ შეუთვისებია ისეთი მნიშვნელობები, როგორებიცაა „იშვიათი; ცუდი, ავი“ (ქეგლი 1964: 742).

20) ქართ. სიტყვას **ჯორჯი** „მოდიდო და უსუფთაო“ (საბა), „მსხვილი, ტლანქი, უხეში“ (ქეგლი 1964: 1606) მეგრულში სხვა მნიშვნელობა შეუძენია: მეგრ. **ჯორჯი** „ზანტი, ჯანჯალი, საქმეში გვიანი“ (ქაჯაია 2002ბ: 622; ქობალია 2010: 741).

### ლიტერატურა

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**კომისია 2011** – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, წიგნი I (1937-1979 წწ.), თბილისი.

**რელ 1988** – Словарь русского языка, т. IV, Главный редактор – А. П. Евгеньева, Москва.

**ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

**ქაჯაია 2002ა** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

**ქაჯაია 2002ბ** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

**ქეგლი 1950** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი.

**ქეგლი 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი.

**ქეგლი 1960** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი.

**ქეგლი 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

TSIRA JANJGHAVA

### On the Change of Meanings in Megrelian Borrowed Vocabulary

#### S u m m a r y

The paper discusses 20 words borrowed by the Megrelian dialect of the Megrelian-Laz language, that changed their meanings after borrowing: Megr. **bečua** “to twist” < Geo. **bečva** “to weave”, Megr. **muxudo** “chickpea, soy” < Geo. **muxudo**, Megr. **sarsoli** “throw net” < Geo. the participle **sasroli** “something that is supposed to be thrown at”, Megr. **kazarma** “cowhouse” < Geo. **qazarma** “a residential building for military units” (an Italian word that entered Georgian through Russian) and others.

**მემკვიდრეობა Heritage**

ტოგო გუდავა

**ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის  
ახსნის ცდა**

ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენას, რომელიც ქართულსა და სვანურ ენასთან ერთად კავკასიურ ენათა ქართველურ ჯგუფში შედის, მოეპოვება რიგი ნიშან-თვისება, რითაც იგი ქართული ენისაგან განსხვავდება. ერთ-ერთი ამ ნიშან-თავანი ისაა, რომ ზანურმა, როგორც წესი, შემოინახა ფუძისეული ხმოვანი ბგერა იქ, სადაც ქართულმა იგი დაკარგა (ალბათ, მახვილის გავლენით). ამიტომ ბუნებრივია, რომ ზანური სრულხმოვნობა მვირფას ჩვენებს იძლევა ქართულ სიტყვათა ფუძეების უძველესი სახის დასადგენად.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, ზანურს ფუძის სრულხმოვნობა ახასიათებს, მაგრამ აქედან ვერ გაკეთდება დასკვნა, თითქოს ზანურისათვის ხმოვანთა რედუქცია სრულებით უცხო იყოს. ამის სასარგებლოდ მეტყველებენ ნ. მ ა რ ი ს, ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს, ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს და ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს შრომებში გამოვლენილი ფაქტები.

მაგალითად:

| <b>ზანური</b> | <b>ქართული</b> | <b>შდრ. სვანური</b> |
|---------------|----------------|---------------------|
| დღა           | დღე            | ლაღელ               |
| თხა           | თხა            | დაჭგლ               |
| თხირი         | თხილი          | შდიხ                |
| ნოშქერი       | ნახშირი        | ფუძ. შიხ-           |
| ფქვერი        | ფქვილი         | ფუძ. ფექ-           |

დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც კი [1], როცა ქართული ენის სრულხმოვნობა ფუძეს ზანურში რედუცირებული ფუძე შეესატყვისება:

| ზანური ფუძე | ქართული ფუძე |                            |
|-------------|--------------|----------------------------|
| რჩხ-        | რეცხ-        | ‘რეცხვა’                   |
| რჩ-         | რეც-         | ‘რეცვა (დაფენა)’           |
| ჩვ-         | ცავ-         | ‘დაცვა (შენახვა)’          |
| ჩქვ-        | ციქვ-        | ‘მიგზავნა’ (შდრ. მოციქული) |
| ღვ-         | ღევ-         | ‘ღება’                     |
| ხთ-    რთ-  | ჰედ-         | ‘სვლა’ (ძვ. ქ. გარდამოკედ) |
| ყვ-    სვ-  | ყავ-         | ‘ყოფნა’                    |

რით აიხსნება ხმოვნის რედუქცია ზანურში, მიუხედავად ამ ენის აშკარად სრულხმოვნური ხასიათისა?

ქართულ-ზანურ ფუძეთა შედარებამ<sup>1</sup> გამოავლინა გარკვეული კანონ-ზომიერება, რომელიც გამომდინარეობს გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს დებულებიდან თანხმოვანთა აქცესიური და დეცესიური კომპლექსების შესახებ.

ა ქ ც ე ს ი უ რ ა დ იწოდება თანხმოვანთა ისეთი კომპლექსი, რომელშიაც უკანა წარმოების თანხმოვანს მოსდევს მასზე უფრო წინა წარმოების თანხმოვანი, ხოლო დ ე ც ე ს ი უ რ ა დ – საპირისპირო თანამიმდევრობის თანხმოვანთა კომპლექსი ([2], გვ. 108). თანხმოვანთა კომპლექსების ანალიზმა რიგ ენაში გამოაშკარავა მისწრაფება ამ ენებისა დაძლეულ (ს უ პ ე რ ი რ ე ბ უ ლ) იქნეს თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსები. დადგენილია სუპერაციის 7 სახე ([2], გვ. 334-353; [3]).

ირკვევა, რომ ზანური სრულხმოვნობაც სუპერაციის თავისებური სახეა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ენა წინდაწინ უშლის ხელს თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის წარმოქმნას: ზ ა ნ უ რ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ფ უ ძ ე შ ი ა რ ა ხ დ ე ნ ს ხ მ ო ვ ნ ი ს რ ე დ უ ქ ც ი ა ს<sup>2</sup>, თუ ამ რედუქციას შედეგად მოჰყვება თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის შექმნა. ხოლო პირიქით, თუ რედუქცია თანხმოვანთა დეცესიური კომპლექსის შექმნას გამოიწვევს, – ენა არჩევანში თავისუფალია: ასეთ შემთხვევებში იგი ჩვეულებრივ იმეორებს ქართულ ნორმას. ზემოთ ნაჩვენები წესი ასახავს ზანური ენის სრულხმოვნობის ძირითად ტენდენციას.

ზანური რედუქციის არსის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ჩვენ სპეციალური ტერმინით აღვნიშნავთ იმ დახურულ მარცვალს, რომელშიც რედუქცია

<sup>1</sup> იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ნაშრომი [1], სადაც გაანალიზებულია ზანური და ქართული ენის ლექსიკის ძირითადი ფონდი.

<sup>2</sup> იგულისხმება ისტორიულად არსებული ხმოვანი.

უნდა მოხდეს. აქცესიურ და დეცესიურ კომპლექსთა ანალოგიით ასეთ მარცვალს ვუწოდებთ აქცესიურ მარცვალს და დეცესიურ მარცვალს.

აქცესიური მარცვალია ის დახურული მარცვალი, რომელიც ხმოვნის ამოღების შემდეგ თანხმოვანთა აქცესიურ კომპლექსად იქცევა, საპირისპირო შემთხვევაში საქმე გვაქვს დეცესიურ მარცვალთან. ასე, მაგალითად, მარცვალი გად აქცესიურია, რადგან ა ხმოვნის რედუქციით გად აქცესიური კომპლექსი რჩება; მარცვალი დაგ, პირიქით, დეცესიურია<sup>1</sup>.

რაკი გარკვეულია, რომ ქართული ენა – მით უფრო ზანური! – აქცესიურ კომპლექსებს გაურბის (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი), მოსალოდნელი იყო, რომ ამ ენებში – განსაკუთრებით ზანურში! – აქცესიური მარცვლები რედუქციის მიმართ უფრო გამძლენი ყოფილიყვნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, დეცესიურ მარცვალში უფრო ადვილი უნდა იყოს რედუქციის მოხდენა, ვიდრე აქცესიურში. ეს მართლაც ასეა.

ის შემთხვევები, როცა ქართულ ენას სიტყვის ფუძეში ხმოვნის რედუქცია მოუხდენია, ხოლო ზანურს ხმოვანი დაუცავს, – აქცესიურ მარცვლებზე მოდის: ქართულმა ენამ აქცესიურ მარცვალში დაუშვა რედუქცია, ხოლო ზანურმა არა.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

| ქართული | ზანური   | რედუქცია ზანურში მოგვემდა აქცესიურ კომპლექსს |
|---------|----------|--|
| ძმა     | ჯუმა     | ჯმ   |
| ქმარი   | ქომონჯი  | ქმ   |
| ტბა     | ტობა     | ტბ   |
| თმა     | თომა     | თმ   |
| სისხლი  | ზისხირი  | ხრ   |
| ძალი    | ჯოლორი   | ღრ   |
| თთუე    | თუთა     | თთ   |
| სახლი   | ოხორი    | ხრ   |
| ცხრა    | ჩხორო    | ხრ   |
| ჩვილი   | ჩიქუ     | ჩჩ   |
| მატყლი  | მონტყორი | ყრ   |

<sup>1</sup> ის დახურული მარცვალი, რომელსაც თავსა და ბოლო ერთი და იგივე თანხმოვანი მოუდის (მაგ., გაგ, დად) თავისი შედეგების მიხედვით აქცესიურ მარცვლად უნდა ვცნოთ.

|         |                        |    |
|---------|------------------------|----|
| ხეჭბი   | ხეჭეპა                 | ჭპ |
| გლოვა   | გარა                   | გრ |
| ტფილი   | ტუბუ                   | ტბ |
| გბობა   | გუბუა                  | გბ |
| კრება   | კორობუა                | კრ |
| ქმნა    | ქიმინუა                | ქმ |
| სიყმილი | ყუმენი 'წყურ-<br>ვილი' | ყმ |

და ასე შემდ.

ცხადია, რომ ზანური აქცესიურ კომპლექსებს გაურბის. ამ ტენდენციამ გადაარჩინა რედუქციას აქცესიური მარცვლები (მაგ., ჯ უ მ, ქ ო მ, ტ ო ბ...). ესაა ზანური სრულხმოვნობის საფუძველი.

როგორც ზევით ვნახეთ, ქართულისაგან განსხვავებით ზანურმა ზოგჯერ დეცესიურ მარცვლებშიც შემოინახა სრულხმოვნობა. ასეთ პირობებში ზანური არაა შეზღუდული ფონეტიკური კანონით, მაგრამ მაინც უფრო ბუნებრივი იქნებოდა ზანურშიც რედუცირებული ფუძეები გვექონოდა. საინტერესოა, რომ ასეთ (არამრავალრიცხოვან) შემთხვევებშიც ქართულის შესატყვის რედუცირებულ ფორმას ზანურშივე, სახელდობრ, ჭანურ დიალექტში, ვპოულობთ:

| მეგრ. დიალექტი | ქართ. ენა | ჭან. დიალექტი |
|----------------|-----------|---------------|
| ჭობური         | წაბლი     | ჭუბრი         |
| თოფური         | თაფლი     | თოფრი         |
| თხომური        | თხრამლი   | თხომრი        |
| ცქუმუნტური     | ზღმარტლი  | სკილიმუნტრი   |

ჭანური დიალექტი, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზუსტად იმეორებს შესატყვის ქართულ რედუცირებულ ფორმას. ასეთი სიახლოვე ქართულ და ჭანურ ფონეტიკურ მოვლენათა შორის (მეგრულისაგან განსხვავებით) სხვაგანაც შეიძლება დავადასტუროთ. ვფიქრობთ, რომ ისტორიულად ჭანურ დიალექტს რედუქცია უფრო ახასიათებდა, ვიდრე მეგრულს. იქნებ ამით აიხსნებოდეს ხმოვანთა რედუქცია ჭანურ ფუძეებში: წ ი ფ რ ი, შდრ. ქართ. წ ი ფ ე ლ ი, მეგრ. წ ი ფ უ რ ი; კ ი ბ რ ი, შდრ. ქართ. კ ბ ი ლ ი, მეგრ. კ ი ბ ი რ ი; ც ო მ რ ი, შდრ. ქართ. ზ ი დ-, მეგრ. ზ ი ნ დ-... ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ ისეთი გამონაკლისებიც, როცა ზანურმა რედუქ-

ცია მოახდინა აქცესიურ მარცვლებში, თუმცა ქართულში მას შესატყვისად სრულხმოვნიაანი ფუძე მოეპოვება:

| ქართ. ფუძეები | ზან. ფუძეები      |
|---------------|-------------------|
| ცავ-          | ჩვ. 'იცავს'       |
| ღევ-          | ღვ- 'ღევს'        |
| ყავ-          | ყვ-    ლვ- 'ყავს' |

(იხ. აგრეთვე ზემოთ გვ. 220).

ამ მაგალითებში დადასტურებული რედუქცია თითქოს ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ დებულებას, რომ ზანური აქცესიურ მარცვლებში რედუქციას არ ახდენს, მაგრამ, ჯერ ერთი, ისეთი გამონაკლისები ძალიან ცოტაა. და, ამას გარდა (ესაა არსებითი), ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, კომპლექსის მეორე კომპონენტად **ვ** გამოდის, რომელიც, როგორც ს კ ი - რ ა ნ ტ ი, ქმნის არა თანხმოვანთა კომპლექსს, არამედ ლაბიალობას მატებს წინამავალ თანხმოვნებს<sup>1</sup>. ეს მით უფრო ადვილი დასაშვებია, რომ ზანურში ვ გამოითქმის არა როგორც თანხმოვანი, არამედ როგორც ნახევარხმოვანი ჟ.

უდავო გამონაკლისად გამოიყურება ზანური ფუძეები ზ დ- 'ზიდვა', რ ჩ ხ- 'რეცხვა', რ ჩ- 'რეცვა', 'დაგება', ხ თ- || რ თ- 'სვლა', რომელთაც ქართულში სრულხმოვნიაანი ფუძეები შეესატყვისება, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ყველა ეს ფუძე ზანურში შეიძლება ქართულიდან შეთვისებულად მივიჩნიოთ უკვე რედუცირებული სახით, ან კიდევ იმაზე მიგვითითებს, რომ ზანურში ოდესღაც მოქმედებდა მალზე სუსტი რედუქცია ([4], გვ. 87).

ამრიგად, ირკვევა რედუქციის ძირითადი ტენდენცია ზანურ სიტყვათა ფუძეებში. ეჭვი არაა, რომ ხმოვნის რედუქცია მახვილთანაა დაკავშირებული: რედუქციის მთავარი ფაქტორი მახვილია. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია გავითვალისწინოთ იმ მარცვლის ფონეტიკური ტიპი, რომელსაც რედუქცია მოსდის.

თანამედროვე ქართულში (ისევე, როგორც ზანურში) მახვილი სუსტია. ასეთ მახვილს რედუქციის გამოწვევა გაუჭირდება, მაგრამ გამორკვეულია, რომ უძველეს ქართულში მოქმედებდა დინამიკური, ინტენსიური და მოძრავი მახვილი, ხოლო ზანურში ჭარბობდა ტონური მახვილი ([5], გვ. 270, [6], გვ. 273 [7]). ეს დებულება აქცესიურ-დეცესიურ მარცვალთა ფონზე თავის

<sup>1</sup> აქცესიურ კომპლექსში მონაწილე ხშულის სპირანტად ქცევა წარმოადგენს სუპერაციის ერთ-ერთ სახეს. მაგ., რუს. кто → хто ([2], გვ. 335).

შემდგომს დადასტურებას და დაზუსტებას პოულობს: როგორც ჩანს, უძველეს ქართულში მახვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი რედუქციას იწვევდა აქცესიურ მარცვალშიც კი (მაგ., ძმ ა ← ძა ძა ა), ხოლო ზანურში იგი გაცილებით სუსტი იყო, მას ხმოვანთა რედუქციის მოხდენა ძირითადად დეცესიურ მარცვლებშიდა შეეძლო.

ამრიგად, ე. წ. აქცესიური მარცვალი ზანურში რედუქციას არ განიცდის, ე. ი. ზანურმა სრულხმოვნობა, როგორც წესი, მხოლოდ აქცესიურ მარცვლებში შემოინახა.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფილისი, 1938.
2. გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.
3. გ. როგავა. ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან – მეგრ. რ: ქართ. გ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. X, №8, თბილისი, 1949.
4. ვ. თოფურია. რედუქციისათვის ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
5. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942.
6. Арн. Чикобава. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, II, თბილისი, 1946.
7. არნ. ჩიქობავა. მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, №2 და 3, თბილისი, 1942.



TOGO GUDAVA

**An Attempt to Explain Zan (Megrelian-Chan)  
Vowel Fullness**

S u m m a r y

It is known that in contrast to Georgian, Megrelian-Chan (Zan) is characterized by fullness of stems, which is explained by the action of historically existing accents of different strengths, in particular, Georgian accents were much stronger compared to Zan. But we have cases where the stem with full vowels of the Georgian language corresponds to a reduced stem in Zan.

It turned out that Zan does not reduce the vowel in the stem of the word if this reduction results in the creation of an ascending cluster of consonants; If we get a descending cluster as a result of the reduction, the reduction is possible.

ვაჟა შენგელია

**ტოგო გუდავა მეგრულ-ლაზური  
სრულხმოვნობის შესახებ**

100 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართველურ და დაღესტნურ ენათა ცნობილი სპეციალისტის, პროფესორ ტოგო გუდავას დაბადებიდან. მას ეკუთვნის ხუთი მონოგრაფია და მრავალი სტატია, რომელთაც მკვლევარს დამსახურებული აღიარება მოუპოვეს.

1950 წელს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ XI ტომში ახალგაზრდა მეცნიერმა ტ. გუდავამ გამოაქვეყნა სიახლითა და საყურადღებო დასკვნებით გამორჩეული ნაშრომი „ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა“, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარი ქართველურ ენათა სახელის ფუძის აგებულების შესახებ გამოთქმულ საინტერესო თვალსაზრისს შემდგომში აღარ დაბრუნებია, და არც სხვას უცდია მისი განვითარება თუ კრიტიკული ანალიზი. ამის გამო საჭიროდ ვცანით ნაშრომის პირველი პუბლიკაციიდან 70 წელზე მეტი ხნის შემდეგ მისი ხელახლა გამოქვეყნება.<sup>1</sup>

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი იყო, რომ მეგრულ-ლაზურს (ზანურს) სრულხმოვნობა ახასიათებს. სრულხმოვნობის ფორმების შენარჩუნება მეგრულ-ლაზურში არნ. ჩიქობავამ მახვილის სხვადასხვა სახის არსებობით ახსნა. მაგრამ გამოვლენილი იყო რიგი შემთხვევა, როდესაც, მეგრულ-ლაზურში, ქართულის მსგავსად, რედუცირებულ ფორმებს გვიჩვენებს (მაგ., ქართ. **დღე**, მეგრ.-ლაზ. **დღა**, სვან. **ლადეღ**); ამასთან, ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც ქართული სრულხმოვნობის ვარიანტების შესატყვისად ზანურში რედუცირებული დასტურდება. მსგავსი ფაქტების ახსნა სცადა ტ. გუდავამ.

ავტორი თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისას დაემყარა, ერთი მხრივ, გ. ახვლედიანის მოძღვრებას აქცესიური და დეცესიური კომპლექსების შესახებ, მეორე მხრივ, არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს მახვილის ბუნების შესახებ ქართველურ ენებში.

<sup>1</sup> ბუნებრივია, ნაშრომი ქვეყნდება უცვლელად (შენარჩუნებულია სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითების წესიც). დაერთო მხოლოდ რეზიუმე, რომელიც პირველ პუბლიკაციას არ ახლდა (რეზიუმე მოამზადა ვ. შენგელიამ).

ტ. გუდავამ, გ. ახვლედიანის მიერ დამკვიდრებულ ცნებათა (აქცესიური კომპლექსი და დეცესიური კომპლექსი) ანალოგიით შემოიღო ცნებები **აქცესიური მარცვალი** და **დეცესიური მარცვალი**. მან აქცესიური უწოდა იმ დახურულ მარცვალს, რომელიც აქცესიურ კომპლექსად იქცევა ხმოვნის ამოდების შემდეგ; თუ დახურული მარცვლის ხმოვნის რედუქციის შედეგად მიიღება დეცესიური კომპლექსი, ის დეცესიურ მარცვლად მიიჩნევა.

ტ. გუდავას დასკვნის შესაბამისად, მართალია, რედუქციის მთავარი ფაქტორი მახვილია, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია გავითვალისწინოთ იმ მარცვლის ტიპი, რომელსაც რედუქცია მოსდის. როგორც ჩანს, უძველეს ქართულში მახვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ის რედუქციას იწვევდა აქცესიურ მარცვალშიც კი, ხოლო მეგრულ-ლაზურში ის გაცილებით სუსტი იყო, და მას რედუქცია ძირითადად დეცესიურ მარცვალში შეეძლო.

თუ მეგრულ-ლაზურ აქცესიურ მარცვალში რედუქცია მოხდებოდა, მივიღებდით ამ ენის ფონოტაქტიკისათვის მიუღებელ აქცესიურ კომპლექსებს (**ტბ, ქმ, ღრ, ქმ, თმ, ჩხ...**); ამ გარემოებამ ხელი შეუშალა რედუქციის განხორციელებას.

ზოგ შემთხვევაში ქართულის არარედუცირებული ფუძის ნაცვლად მეგრულ-ლაზურს რედუცირებული ფუძე გააჩნია (მაგ., ქართ. **დევ**-ს, მეგრ.-ლაზ. **დვ**-). ავტორის განმარტებით, ასეთი მაგალითები ცოტაა, თან ყველა შემთხვევაში აქ თანხმოვანთა მიმდევრობის მეორე კომპონენტია **გ**, რომელიც წინამავალი თანხმოვნის ლაბიალობის ელემენტია და არა კომპლექსის მეორე კომპონენტი.

ლაზურში არის შემთხვევები, როცა რედუქცია იქ ხდება, სადაც მეგრული ურედუქციო ფორმას ინარჩუნებს (მაგ., მეგრ. **ჭუბური**, ლაზ. **ჭუბრი** „წაბლი“). ამ მოვლენას ავტორი ხსნის იმით, რომ ლაზურში რედუქცია უფრო ინტენსიურად მოქმედებდა, ვიდრე მეგრულში.

ავტორის ზოგადი დასკვნის შესაბამისად, მეგრულ-ლაზური სრულხმოვნობა შეიძლება განვიხილოთ როგორც აქცესიური კომპლექსის სუპერაციის თავისებური სახეობა: ენა წინასწარ უშლის ხელს თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის წარმოქმნას.

ტ. გადავას ორიგინალური და მეტად საინტერესო გამოკვლევა თვალსაჩინო ადგილს იკავებს ქართველურ ენათმეცნიერებაში. იმედია, მომავალში მას სათანადოდ გაითვალისწინებენ ქართველურ ენათა სპეციალისტები.

VAZHA SHENGELIA

**Togo Gudava About Megrelian-Laz  
Vowel Fullness**

## S u m m a r y

In the scientific literature, it was known that Megrelian-Laz (Zan) is characterized by fullness of stems, unlike Georgian. In addition, in some cases Megrelian-Laz also has reduced forms like Georgian; There are also cases in which instead of Georgian full-vowel variants reduced forms are attested in Megrelian.

To explain the mentioned facts, Togo Gudava introduced the concepts of an **ascending syllable** and a **descending syllable**. As a result of the research, it became clear that reduction does not occur if we get an ascending cluster as a result of vowel removal; If the reduction results in a descending cluster, the reduction is carried out. The author also presents an explanation of the exception.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**